

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ევროპეისტიკის დეპარტამენტი

ლელა ქამადაძე

ანდაზის სტრუქტურულ-სემანტიკური და ეთნოკულტურული თავისებურებანი  
ინგლისური და ქართული ანდაზების მიხედვით

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სპეციალობა: ლინგვისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:  
ასოცირებული პროფესორი  
ნინო დვალიძე

ბათუმი

2016

## სარჩევი

შესავალი -----	1
<b>თავი I. ანდაზური ფონდის ზოგადი დახასიათება და მისი შესწავლის ზოგიერთი საკითხი</b>	
1.1. ანდაზური ფონდის ზოგადი დახასიათება-----	6
1.2. ანდაზების ლინგვისტური შესწავლის ზოგიერთი საკითხი-----	10
1.3. ანდაზის ლინგვისტური სტატუსი-----	14
<b>თავი II. ანდაზების სემანტიკურ-სტრუქტურული კვლევის პრობლემა</b>	
2.1. ანდაზების სტრუქტურულ-სემანტიკური კვლევის ასპექტები-----	32
2.2. ინგლისური და ქართული ანდაზების სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება-----	40
2.3. სხვადასხვა ხალხის ანდაზების ინვარიანტულობის პრობლემა-----	54
<b>თავი III. კულტურულ ღირებულებათა ასახვის სემანტიკური თავისებურებანი განსხვავებულ ეთნოკულტურაში (ინგლისური და ქართული ანდაზების მიხედვით)</b>	
3.1. ანდაზა, როგორც ნაციონალური კულტურის კომპონენტი-----	61
3.2. ინგლისური და ქართული ანდაზების თემატიკა-----	65
3.3. სულიერი კულტურის შემცველი პარემიები-----	91
3.4. მატერიალური კულტურის შემცველი პარემიები-----	100
3.5. ანთროპონიმები პარემიებში-----	107
3.6. ტოპონიმები პარემიებში-----	111
3.7. ანდაზური მენტალიტეტი-----	117
3.8. ანდაზები თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ლინგვოკულტურაში -	125
<b>თავი IV. პარემიების პრაგმატიკული და კომუნიკაციური ფუნქციები</b>	
4.1. პარემიების პრაგმატიკული ფუნქციები-----	135
4.2. პარემიების კომუნიკაციურ-ფუნქციური პარამეტრები-----	143
4.3. პარემიების დანიშნულება ტექსტებში-----	151
ზოგადი დასკვნები-----	160
გამოყენებული ლიტერატურა-----	170

## შესავალი

სადისერტაციო ნაშრომი ინგლისური და ქართული ანდაზების შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე შეისწავლის ინგლისური და ქართული ანდაზების თემატიკას, სტრუქტურულ - სემანტიკურ ასპექტებს, ასევე ისტორიული, სულიერი და მატერიალური რეალიების, გარე სამყაროს, ნაციონალური მენტალიტეტის, ტრადიციებისა და ცხოვრებისეული მრავალფეროვანი მოვლენების ასახვის თავისებურებებს განსხვავებულ ეთნოკულტურაში, კერძოდ, ინგლისურსა და ქართულში.

**თემის აქტუალობას** განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ თანამედროვე პირობებში აქტიურად ვითარდება ხალხებს შორის კულტურული ურთიერთობა, შესაბამისად, აქტუალურია ენობრივი ერთეულების შესწავლა, განსაკუთრებით იმ ენობრივი ერთეულებისა, რომლებიც კულტურული კონოტაციით ხასიათდებიან. ამ შემთხვევაში, თვისებრივად ასეთ ერთეულებს წარმოადგენს ინგლისური და ქართული ანდაზები. გამოკვლევის აქტუალობას განსაზღვრავს ისიც, რომ შეპირისპირებით ჭრილში საკმარისად არაა შესწავლილი ინგლისური და ქართული ანდაზების სტრუქტურა და სემანტიკა, გარე სამყაროს ასახვის თავისებურებანი. სათანადო საანალიზო ლინგვისტური მასალა აღებულია ინგლისური და ქართული ანდაზების ფონდებიდან, რომლებიც აფართოებს ჩვენს ცოდნას ორი ხალხის ზეპირსიტყვიერების, კულტურისა და ყოფის შესახებ. ანდაზები თავისებურ მენტალურ სარკეს წარმოადგენს, აქედან გამომდინარე, ისინი ფასეულია, აგრეთვე, ინგლისელებისა და ქართველების მენტალიტეტის შესასწავლად.

### **ნაშრომის მიზანი:**

1. ანდაზის ლინგვისტური სტატუსის განსაზღვრა.
2. ინგლისური და ქართული ანდაზების შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე, სტრუქტურულ - სემანტიკური თვალსაზრისით, მსგავსებისა და სხვაობის გამოვლინება.
3. კულტურულ ღირებულებათა (სულიერი, მატერიალური) ასახვის თავისებურებების გამოვლენა განსხვავებული ეთნოკულტურის (ინგლისური და

ქართული) ანდაზებში. ინგლისური და ქართული ანდაზების დახასიათება თემატიკის მიხედვით.

4. ინგლისურ და ქართულ ანდაზებში მენტალიტეტის ეროვნულ - სპეციფიკური და უნივერსალური, ზოგადსაკაცობრიო თვისებების გამოვლენა.

5. პარემიების პრაგმატიკული და კომუნიკაციური ფუნქციების გამოყოფა - დახასიათება ინგლისური და ქართული ანდაზების მიხედვით.

**ნაშრომის სიახლეს განაპირობებს** იმ საკითხების შემოტანა სამეცნიერო-კვლევით სივრცეში, რომლებიც ქართულში ნაკლებადაა შესწავლილი, კერძოდ:

1. მოცემულია ჩვენი პოზიცია ანდაზის ლინგვისტურ სტატუსთან დაკავშირებით;
2. შესწავლილია ანდაზისა და ნაციონალური კულტურის ურთიერთმიმართება ინგლისურსა და ქართულში;
3. გამოკვლეულია ინგლისურ და ქართულ ანდაზებში რეალიების ასახვის თავისებურებანი;
4. ჩვენ მიერ პირველადაა გამოყოფილი და კონკრეტულად შესწავლილი „ანდაზური მენტალიტეტი“ ინგლისური და ქართული ანდაზების ანალიზის საფუძველზე, ასევე, ლოგიკო-სემიოტიკურ ინვარიანტულ სისტემაში ქართული ანდაზების თავსებადობის საკითხი.

**ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის შემდეგი ლინგვისტური მოძღვრებანი:**

ენა და მეცნიერება ენის შესახებ (Гумбольдт 1977; Wittgenstein 1953; Грайс 1975; Клаус 1967; Кроче 1980; Соссюр 1977); სამეტყველო აქტების თეორია (Остин 1999; Серль 1976). ასევე ნაშრომები პრაგმატიკაში (Levinson 1994; Morris 1971; Гак 1992), ფრაზეოლოგიაში (Кунин 1967; Телия 1996; Назарян 1976), სემანტიკაში (Leech 1983) და ანდაზებთან დაკავშირებით არსებული სპეციალური გამოკვლევები (Dundes 1975; Norrick 1994; Крикман 1978; Пермяков 1970; 1975; 1988;...).

**კვლევისას გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:** შეპირისპირებითი ანალიზისა და დესკრიფციული მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ანდაზების სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებანი არამონათესავე ენების (ინგლისური და ქართული) ანდაზებში. კვლევა წარმოებს ინგლისური და ქართული ანდაზების უშუალო

შეპირისპირების საფუძველზე, რადგან ეს მეთოდი თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ინგლისური და ქართული ანდაზების მსგავსებასა და განსხვავებას გარე სამყაროს ასახვის//ხედვის თვალსაზრისით. ამასთანავე, საკვლევი ობიექტის არსი და თავისებურებანი ყველაზე ეფექტურად ვლინდება განსხვავებული ეთნოკულტურის (ინგლისური და ქართული) სათანადო მასალის შეპირისპირებით. კვლევის ეს მეთოდი იძლევა, აგრეთვე, საკვლევ ენებში სპეციფიკური და უნივერსალური შტრიხების დანახვის საშუალებას.

**ემპირიული მასალა ამოღებულია** ინგლისური ანდაზების ლექსიკონებიდან, გამოყენებულია, აგრეთვე, ინტერნეტრესურსი, ხოლო ქართული მასალა-ქართული ანდაზების ლექსიკონებიდან. გამოყენებულია, ასევე, ლიტერატურული ტექსტები.

#### **ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება:**

ინგლისური და ქართული ანდაზების შეპირისპირებითა კვლევამ გამოავლინა გარე სამყაროზე, მრავალრიცხოვან ცხოვრებისეულ მოვლენებზე შეხედულებების, რეალიების ასახვის მსგავსი, ზოგადკაცობრიული, ასევე ინგლისური და ქართული ენებისა და კულტურების სპეციფიკით განპირობებული განსხვავებული თავისებურებანი.

ნაშრომში წარმოდგენილი თეორიული დასკვნები და ემპირიული მასალის ანალიზის შედეგები დახმარებას გაუწევს ბაკალავრიატის სტუდენტებს რეფერატების, საკურსო თუ სადიპლომო, მაგისტრანტებს-სამაგისტრო, დოქტორანტებს- საკვალიფიკაციო ნაშრომების მომზადებაში. ხოლო სათანადო დარგის სპეციალისტები, თავიანთი ინტერესების შესაბამისად, გამოიყენებენ პარემიოლოგიის, ლექსიკოლოგიის, ლინგვოკულტუროლოგიის, ანგლო-ამერიკული და ქართული ფოლკლორისტიკის, ლექსიკური სემანტიკის ლექცია-სემინარებზე.

**ნაშრომის სტრუქტურა** განსაზღვრა დასახულმა მიზნებმა და ამოცანებმა. ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, საერთო დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან. სადისერტაციო ნაშრომი კომპიუტერულად ნაბეჭდი 181 გვერდია.

შესავალ ნაწილში დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის აქტუალობა, განსაზღვრულია კვლევის მიზანი. მოცემულია ნაშრომის მეცნიერული სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

**I თავი . ანდაზური ფონდის ზოგადი დახასიათება და მისი შესწავლის ზოგიერთი საკითხი:**

ზოგადად დახასიათებულია ანდაზურ ფონდში გამოყოფილი ძირითადი სემანტიკური ჯგუფები. განხილულია ანდაზების ლინგვისტური შესწავლის ზოგიერთი საკითხი (ძირითადად ინგლისურში არსებული ვითარების გათვალისწინებით). ასევე ზოგადად განხილულია ანდაზების სტრუქტურულ–სემანტიკური კვლევის ასპექტები. დახასიათებულია ინგლისური და ქართული ანდაზები სტრუქტურულ - სემანტიკური თვალსაზრისით.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში ცხარე კამათის საგანია ანდაზის ლინგვისტური სტატუსის პრობლემა. მკვლევართა ძირითად შეუთანხმებლობას იწვევს ანდაზის ფრაზეოლოგიურ ფონდში გაერთიანება - არგაერთიანების საკითხი. მიმოვიხილავთ რა ამ პრობლემასთან დაკავშირებულ ყველა არსებით თვალსაზრისს, სათანადო არგუმენტების საფუძველზე, გამოვხატავთ ჩვენს პოზიციას, რომ ანდაზა ფრაზეოლოგიური ერთეულია, რადგან მას ყველა საამისო ნიშანი გააჩნია. ასევე არის მოსაზრება, რომ ანდაზა არაა ენობრივი ნიშანი (მ.რუსიეშვილი), მაგრამ არსებობს საფუძველი იმისა, რომ ანდაზა ენობრივი ნიშანია (ალ. კარტოზია). ჩვენ სწორედ ამ შეხედულებას ვუჭერთ მხარს.

**თავი II. ანდაზის სტრუქტურულ–სემანტიკური კვლევის პრობლემა:**

განხილულია სტრუქტურული და სემანტიკური კვლევის ზოგიერთი მიმართულება, რომლებიც ანდაზების შესწავლის ამ სფეროში იკვეთება. ზოგადად დახასიათებულია ინგლისური და ქართული ანდაზები სტრუქტურულ–სემანტიკური თვალსაზრისით. განხილულია, აგრეთვე, სხვადასხვა ხალხის ანდაზების ინვარიანტულობის პრობლემა.

**თავი III. კულტურულ ღირებულებათა ასახვის სემანტიკური თავისებურებანი განსხვავებულ ეთნოკულტურაში (ინგლისური და ქართული ანდაზების მიხედვით):**

ძირითადად განხილულია ანდაზა, როგორც ნაციონალურ–კულტურული კომპონენტი. ანდაზები ნათლად წარმოაჩენენ ენობრივი საზოგადოების უშუალო კავშირს მატერიალურ, სულიერ და სოციალურ გარემოსთან. ყველაზე მეტად სწორედ აქ ვლინდება ერის ნაციონალური თვითმყოფადობა, როგორც ინგლისურ, ისე ქართულ

ანდაზებში საუკეთესოდაა ასახული მისი შემოქმედი ხალხის ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი მომენტები, დახასიათებულია მრავალრიცხოვანი ცხოვრებისეული სიტუაციები, ისტორიული რეალიები, რწმენა - წარმოდგენებიმატერიალურ კეთილდღეობასთან დაკავშირებით. განსხვავებულ ეთნოკულტურაში ასეთი შინაარსის ანდაზური ტექსტები განსხვავებულია ლექსიკურად და ზოგჯერ კონცეპტუალურადაც. როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ანდაზებში ხშირად გვხვდება ადამიანის საკუთარი სახელი, გვარი, გეოგრაფიული სახელწოდება, რომლებიც, პირველ ყოვლისა, ნაციონალური კუთვნილების მარკერებია. გაანალიზებულია ორივე ეთნოსის ანდაზებში ასახული მენტალიტეტი. განხილულია, აგრეთვე, ანდაზები თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ლინგვოკულტურაში.

#### **IV თავი. პარემიების პრაგმატიკული და კომუნიკაციური ფუნქციები:**

მოცემულია პარემიების პრაგმატიკული ფუნქციები, კერძოდ, დახასიათებულია ადრესატის ყურადღების მიპყრობის, კომუნიკაციურად მნიშვნელოვან ელემენტებზე აქცენტის გადატანის, ინფორმაციის კომპრესირების ფუნქციები. გაანალიზებულია პარემიების კომუნიკაციურ-ფუნქციური პარამეტრები, სახელდობრ, დახასიათებულია ანდაზების კომუნიკაციური ფუნქციები: კომუნიკაციური, შემეცნებითი, რეგულაციური, ემოციურ- ექსპრესიული, ესთეტიკური, გართობის, ორნამენტული. განხილულია პარემიების დანიშნულება ზოგიერთ მხატვრულ ტექსტში.





მოგვემდა<sup>2</sup>, ამასთანავე, გამოდგებოდა ისინი მსგავსი გამოთქმებისაგან მის გასამიჯნავად. ასევე, განსხვავებული შეხედულებებია ანდაზის მეტაფორულობასთან, ლინგვისტურ თუ ტექსტუალურ სტატუსთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ანდაზა კლიშირებული წინადადებაა. როგორც წესი, იგი ხალხური შემოქმედების ნაყოფია. თუმცა შეიძლება იყოს ლიტერატურული წარმომავლობისაც, მაგრამ ანდაზური ფონდი ძირითადად მაინც ხალხური სიტყვიერების სფეროს განეკუთვნება.

ანდაზურ ფონდს გარკვეულწილად ავსებს აფორიზმი. ე.ი. აფორიზმი შეიძლება გადაიქცეს ანდაზად, თუ ის გახდება ფართოდ გავრცელებადი და ავტორის ვინაობა თანდათანობით მივიწყებას მიეცემა. მაგალითად, ბევრი ანდაზა სათავეს იღებს ბ. ფრანკლინის აფორიზმებიდან (ერთ–ერთი ასეთია–“Early to bed and early to rise makes a man healthy and wise”-ადრე დაწოლა და ადრე ადგომა ადამიანს აჯანმრთელებს, ამდიდრებს და აჭკვიანებს. (ქართ. „ტოლმა ტოლს რითი აჯობა და ადრე ადგომითა“;

„ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ მოეწევა მწვეარიო“). თუმცა შესაძლებელია, ამ ანდაზებიდან ზოგიერთი ადრეც არსებობდა, მაგრამ მივიწყებული იყო, ბ. ფრანკლინმა კი გამოიყენა და დღეს ისინი მის გამონათქვამთა რიგშია. ანდაზა “Two heads are better than one”-ორი თავი სჯობია, ვიდრე ერთი; (ქართ. „ორი თავი ერთს სჯობიაო“) ციცერონის გამონათქვამია, მაგრამ მისი ავტორობა კარგა ხანია დავიწყებულია და დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ეტიმოლოგიური კვლევების საფუძველზე.

ზოგიერთი ანდაზა დაკავშირებულია ლიტერატურულ ნაწარმოებთან, მაგალითად, უ. შექსპირის ნაწარმოებებიდან იღებს სათავეს შემდეგი ანდაზები: “ A young man married is a man that’s marred”(ქორწინება აზიანებს ახალგაზრდა კაცის სულს, უქმნის ბევრ პრობლემას); “All is well that ends well”(ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება) (ქართ. ბოლო ამშვენებს საქმესა); “There is nothing either good or bad but thinking makes it so” (ჩვენ

<sup>2</sup> ანდაზის ერთ–ერთი პირველი მეცნიერული განმარტების ავტორი არის ფრანგი მეცნიერი მატეიუ დე ვენდომი. მისი განმარტებით, ანდაზა არის პოპულარული ფრაზა, საყოველთაოდ მიღებული ადათ–წესითა და საერთო აზრით, რომელიც გამოხატავს უკვე დამტკიცებულ ჭეშმარიტებას (И.Ю. Юдина),

თანამედროვე მეცნიერები მიუთითებენ, რომ ანდაზა არის მოკლე, სამეტყველო კულტურაში მყარი, რითმულად ორგანიზებული დამრიგებლობითი შინაარსის და წინადადების სტრუქტურის მქონე გამონათქვამი, რომელშიც დაფიქსირებულია ხალხის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება.

ამჟამად ანდაზის უამრავი განმარტება არსებობს, მაგრამ ვერც ერთმა მკვლევარმა ვერ მისცა ამ ურთულეს ენობრივ ფენომენს სრულყოფილი და ადეკვატური განმარტება.

ვხვდებით რა არის კარგი და ცუდი, მაგრამ შეგნებულად ვხუჭავთ თვალს), („ჰამლეტი“) ასეთ შემთხვევაშიც, ავტორის დასადგენად საჭიროა დამატებითი კვლევები.

ლიტერატურული ნაწარმოებებიდან აფორიზმების ანდაზურ ფონდში გადასვლის ფაქტი კარგადაა ცნობილი და კამათს არ უნდა იწვევდეს. ასეთი შემთხვევები ქართულ სინამდვილეშიც გვხვდება. მაგ., „გველსა ხვრელით ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარი“. შ. რუსთაველის ამ აფორიზმთან უნდა იყოს დაკავშირებული ანდაზა „ტკბილი ენა გველს ხვრელიდან გამოიყვანს“. შესაძლოა, აღნიშნული აფორიზმის „ტკბილი ენის“ მოტივი უდევს საფუძვლად შემდეგ ქართულ ანდაზებსაც: „ტკბილი სიტყვით მთას ირემი მოიწველაო“, „ტკბილი სიტყვით ცხრაკლიტული გატყდება“, „ტკბილი სიტყვა რკინის კარს გააღებსო“...

ისიც არაა გამორიცხული, რომ ხალხური ანდაზური „ტკბილი ენა“ არის ამოსავალი შ. რუსთაველის დასახელებული აფორიზმისა. ანალოგიური მოვლენაც დასაშვებადაა მიჩნეული სპეციალისტების მიერ. დროის მიხედვით, ეს პროცესი შეუზღუდავია, იგი დღესაც მიმდინარეობს.

ბევრი ანდაზა ბიბლიური წარმოშობისაა.

მაგალითები: “ He who finds a wife finds a good thing, and obtains favor from the Lord” (ვინც ცოლი ჰპოვა, სიკეთე ჰპოვა და უფლისაგან წყალობა მიიღო).

“Some give freely, yet grow all the richer; others without what is due, and only suffer want” (ერთი ხელგაშლილია და უფრო მდიდრდება, მეორე ყაირათიანია, მაგრამ სიღარიბეშია).

“A generation goes, and a generation comes, but the earth remains forever” (თაობა მიდის, თაობა მოდის, ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე).

“There is nothing new under the sun” (მზის ქვეშ ახალი არაფერი ხდება; არაფერია ახალი დედამიწის ზურგზე) (ფარტენაძე 2013:122).

როგორც აფორიზმების შემთხვევაშია, ლიტერატურული ნაწარმოებიდან ან ბიბლიიდან ციტატა რომ ანდაზად გადაიქცეს, საჭიროა ენაში მისი ფართოდ გავრცელება და წარმოშობის თანდათანობით დავიწყება. ანდაზური ფონდის შევსება–

გამდიდრების ერთ–ერთი საშუალება ანდაზური თქმებიც უნდა იყოს. ზოგი ანდაზური თქმიდან თავისუფლად შეიძლება ანდაზის მიღება და პირიქით. ყველა ხალხის ანდაზურ ფონდში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს, აგრეთვე, „ანდაზური ნასესხობანი“.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში აქტუალურია ანდაზებისა და ფრაზეოლოგიზმების ურთიერთმიმართების, ანდაზების სემანტიკისა და შინაგანი ფორმის საკითხების კვლევა. გარკვეული წარმატებებია მოპოვებული ანდაზების ლექსიკონების შედგენა-პუბლიკაციის საქმეში. თუკი თვალს გავადევნებთ ანდაზების ლექსიკონებს, დავინახავთ ასეთ მდგომარეობას: ერთ შემთხვევაში მოცემულია ანდაზის დეფინიცია, რომელიც ხსნის ანდაზის მნიშვნელობას; მეორე შემთხვევაში მოცემულია სიტუაციის აღწერა, რომელშიც ანდაზა გამოიყენება; მესამე შემთხვევაში კი არანაირი განმარტება არაა მოცემული.<sup>3</sup> სამივე შემთხვევაში ანდაზის გამოყენების მაგალითები მოყვანილია კონტექსტში. როგორც შენიშნულია, ადამიანები ხშირად ვერ ხსნიან ანდაზის მნიშვნელობას, თუმცა მეტყველების დროს ცდილობენ კონტექსტში მართებულად გამოიყენონ (Yankah 1994:134).

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდაა გამოქვეყნებული ანდაზური ლექსიკონები, ასევე ნაშრომები, რომლებშიც მოცემულია ანდაზების სემანტიკისა და შინაგანი ფორმის კვლევა, ამ მიმართულებით გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, არც ანდაზების მნიშვნელობაა სრულყოფილად აღწერილი და არც მათი შინაგანი ფორმაა საფუძვლიანად შესწავლილი.

პარემიოლოგიური პარადოქსი:<sup>4</sup> პარემიოლოგიური პარადოქსი აღწერილია ი.ი. ლევინის მიერ (Левин 1984: 108-126). მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ, ერთი მხრივ, ანდაზები გამოხატავენ ეროვნულ ხასიათს, მეორე მხრივ, უნივერსალურია. მრავალ ანდაზას გააჩნია სინონიმი სხვა ენებში. ფაქტიურად ეს იგივეა, რასაც გ.ლ. პერმიაკოვი სხვადასხვა

<sup>3</sup> არსებობს ანდაზების ისეთი ლექსიკონებიც, სადაც ანდაზები წარმოდგენილია ანბანური რიგის მიხედვით, ამასთანავე, მითითებულია მათი ეტიმოლოგია, სად, ვის მიერ იქნა იგი პირველად გამოყენებული და ჩამოთვლილია ის ნაწარმოებები, სადაც გვხვდება იგი ზუსტი ან ვარირებული ფორმით. ასეთი ლექსიკონები მრავლადაა. ერთ–ერთი მათგანია ჯონ სიმფსონის “The Concise Oxford Dictionary of Proverbs” (1982).

<sup>4</sup> სპეციალურ ლიტერატურაში (Ганеев, 1988; Федоренко, Сокольская, 1990; Карасик, 1995...). ტერმინები „პარადოქსი“ და „პარადოქსალური“ მოცემულია განსხვავებული მნიშვნელობებით. მაგ., რ.თაგორის გამოხატვაში – „ის, ვინც ძალას იყენებს, საკუთარ სისუსტეს ამტკიცებს“ – არის პარადოქსალური ფორმის აფორიზმი, რომელიც ეყრდნობა ანტითეზას „ძალა-სისუსტე“, ხოლო ო. უაილდის გამოხატვაში „ერთგულება, მუდმივობა-მხოლოდ ლეთარგიულობა ან არასაკმარისი წარმოსახვის უნარი“-პარადოქსია, რადგან აქ ჰიპერბოლიზებულია მუდმივობის ცნება.

ხალხის ანდაზებს ერთმანეთის ინვარიანტებს რომ უწოდებს (რომელიც განხილული გვაქვს ცალკე პარაგრაფში). სხვადასხვა ენის ანდაზების მსგავსება განსაკუთრებით თვალსაჩინოდაა დემონსტრირებული ე. შტრაუსის მიერ შედგენილ ევროპული ანდაზების ლექსიკონში. აღიარებულია, რომ ევროპული ენების, მათ შორის ინგლისური ენის, ანდაზური ფონდის ფორმირებაზე დიდი გავლენა იქონია ლათინურმა აფორიზმებმა და ანდაზებმა, ასევე ბიბლიამ. საერთოდ, ბიბლიური, ლათინური ანდაზები და აფორიზმები სხვა ენებშიც (მათ შორის ქართულშიც) გვხვდება. ეს ვითარება სხვადასხვა ხალხის ანდაზების მსგავსების ერთ-ერთ ფაქტორად ითვლება.

პარემიოლოგიაში მნიშვნელოვანი საკითხია, აგრეთვე, ანდაზის განმარტების პრობლემა. XII საუკუნიდან მოყოლებული ანდაზის უამრავი განმარტება არსებობს, მაგრამ არც ერთი მათგანი არაა საყოველთაოდ მიღებული და აღიარებული. დიდი ყურადღება ექცევა ამ ენობრივი ერთეულის ტექსტუალურ პრობლემასაც. იგი განიხილება: „ანდაზა, როგორც განსაკუთრებული დანიშნულების (ან ტიპის) მინი-ტექსტი“, „ანდაზა, როგორც ლინგვოკულტურული ტექსტი“, „ანდაზა, როგორც ინტერტექსტის ერთ-ერთი სახე“. სამივე ეს სტატუსი ერთმანეთის მიმართ არაა წინააღმდეგობაში და მისაღები უნდა იყოს.

ამჟამად დიდი ყურადღება ეთმობა ანდაზების შესწავლას სოციალურ-კულტურულ კონტექსტში. ამ საკითხზე არაერთ ნაშრომშია მსჯელობა მოცემული (Jackendoff, 1994; Телия, 1996; Вежбицкая, 1997...).

ამრიგად, ანდაზური ფონდი ყველა ხალხის ლინგვოკულტურაში ძირითადად ხალხური შემოქმედების ნაყოფია. გვხვდება, აგრეთვე, ლიტერატურული წარმომავლობის აფორიზმებიდან მიღებული ანდაზები. ყველა ხალხის პარემიულ ფონდში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „ანდაზურ ნასესხობას“. ყოველივე აღნიშნული ერთნაირად ეხება, როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ანდაზურ ფონდს.

## **1.2. ანდაზების ლინგვისტური შესწავლის ზოგიერთი საკითხი**

ანდაზებისადმი მკვლევართა დაინტერესებამ დიდი ხნის წინ იჩინა თავი, რაზედაც ნათლად მეტყველებს ანდაზის პირველი მეცნიერული განმარტება, რომელიც XII საუკუნით თარიღდება.

ანდაზების ენათმეცნიერულ ჭრილში შესწავლას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი იწყება XVI საუკუნიდან და დღესაც გრძელდება. უცხოელი მკვლევრები პარემიოლოგიურ კვლევა-ძიების სფეროში გამოყოფენ ხუთ პერიოდს:

I პერიოდი მოიცავს XVI-XVIII საუკუნეებს. ამ პერიოდში შეიქმნა ანდაზების მარტივი კრებულები (J. Heywood; J. Howell; J. Ray; W. Walker; T. Fuller). ოღონდ არავის უცდია შეკრებილი მასალის სისტემატიზაცია და ანალიზი.

II პერიოდი- XVIII საუკუნიდან XIX საუკუნის შუა წლები. ამ პერიოდში შესწავლილ იქნა ანდაზები პოეტიკისა და ფილოსოფიის თვალსაზრისით (J. Zingerle).

III პერიოდი- XIX საუკუნის მეორე ნახევარი- XX საუკუნის დასაწყისი. ეს პერიოდი მნიშვნელოვანია იმით, რომ გამოჩნდა პირველი გამოკვლევები, რომლებშიც მოცემულია ანდაზების ისტორიული და შედარებითი ანალიზის საკითხები (Skeat 1910).

IV პერიოდი მოიცავს XX საუკუნის 30-იან წლებს. ამ პერიოდის შრომებში განიხილება ანდაზების ფსიქოლოგიური ასპექტი (Albig, 1931; Bain, 1939).

V პერიოდი- XX საუკუნის 60-იანი წლებიდან-დღემდე. ამ პერიოდში მიმდინარეობს ანდაზების კონტექსტუალური [Taylor, 1975; Mieder, 1992], სტრუქტურული და სემანტიკური კვლევა [Dundes, 1980; Norrick, 1985; Honeck, 1997].

თანამედროვე უცხოელ ლინგვისტთა ნაწილი (Taylor, Krikman, Mieder) ანდაზებს განიხილავს დასავლური საზოგადოების კონკრეტული პრობლემების კონტექსტში, რაც მათ ნაშრომებს აძლევს ვიწრო მიმართულებას და გამოყენებით ხასიათს. მაგალითად, ვ. მიდერი სტატიაში “A Proverb a Day keeps No Chauvinism Away” (Mieder 1985:273-277) აღნიშნავს, რომ ანდაზების უმრავლესობა, რომლებიც ეხება ქალებს, უარყოფითად აფასებს, ახასიათებს მათ. ამის დასტურად მკვლევარს მოჰყავს სათანადო მაგალითები ინგლისური ანდაზების ოქსფორდის ლექსიკონიდან (Oxford dictionary of English proverbs): “A woman’s tongue wags like a lamb’s tail”-ქალის ენა ისე ირხევა, როგორც ბატკნის კუდი; “All women may be won”-შესაძლებელია ყველა ქალმა გაიმარჯვა; “Women are necessarily evils”-ქალები უთუოდ ეშმაკები არიან.

ესაა სწორედ საკითხის ცალმხრივი და ვიწრო ინტერპრეტაცია. ანდაზებში ქალის უარყოფითი შეფასებაც გვხვდება და დადებითიც. ასეა ეს ქართულ სინამდვილეშიც. ისიც კარგადაა ცნობილი, რომ ქალის კარგი ქალობა ქმარსა და ოჯახზეცაა დამოკიდებული. ამის კლასიკურ მაგალითს ერთი ქართული ანდაზა წარმოადგენს: „ავმა სახლმა, ავმა კარმა ავად გამადედაკაცა, კარგმა სახლმა, კარგმა კარმა კარგად გამადედაკაცა“.

ვ. მიდერი და თ. არჩერი ყურადღებას აქცევენ ბავშვების აღზრდაში ანდაზების პედაგოგიური მიზნით გამოყენებას. მიუთითებენ უცხო ენების შესწავლისას პარემიების დიდაქტიკურ ღირებულებაზე. კინი ნაშრომში “Racial characteristics of proverbs” (Wang Qin 1996:15-18) აღნიშნავს, რომ შეუძლებელია უცხო ენის შესწავლა პარემიოლოგიური ფონდისგან მოწყვეტით, რამეთუ არც ერთ სხვა ლიგვისტურ მასალას არ შეუძლია ისე ასახოს ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ისტორია, ეკონომიკური და კულტურული განვითარების თავისებურებები, როგორც ანდაზებს.

თანამედროვე დასავლურ ლინგვისტიკაში ძალზე აქტიურად შეისწავლება ანდაზები კოგნიტური თვალსაზრისით. კერძოდ, ესაა ანდაზების შექმნის საფუძვლების კოგნიტური პროცესების, ანდაზების გამოყენებისა და გაგების შესწავლა, ასევე რეალურად არსებული ინგლისური ენის ანდაზების შესწავლის საფუძველზე გამოყოფენ შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

1. ცალკეული ანდაზებისა და მათი მეტყველებაში ფუნქციონირების დიაქრონიული და სინქრონიული შესწავლა (W. Mieder, A. Dundes,).
2. ანდაზების ფუნქციონირების ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტი (W. Daniel, M. Barbour).
3. რამდენიმე ენის ანდაზური ფონდის ტიპოლოგიური შედარება (Henry G. Bohn).
4. ანდაზების ფუნქციონირების ფსიქოლოგიური ასპექტი (D. Karlheinz, K. Higbee).
5. ანდაზური ფონდის გამოყენება დიდაქტიკური და მეთოდური მიზნით (ინგლისური ენის, როგორც უცხო ენის, სწავლებისას) (E. Hirsch, W. Mieder).

აღასანიშნავია, რომ ანდაზების თანამედროვე ლინგვოკულტურული კვლევები,

რომლებსაც საფუძვლად დაედო გ.ლ. პერმიაკოვის შრომები, აერთიანებს ფოლკლორისტულ, ლიტერატურათმცოდნეობით და ლინგვისტურ ასპექტებს. ამ კვლევების ფარგლებში ანდაზები და ანდაზური თქმები განიხილება, როგორც ხალხური ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის გამაერთიანებელი, ხალხური სიბრძნის საგანძური, თავისებური სარკე, რომელიც ასახავს არა მხოლოდ ყოფა-ცხოვრებას, არამედ ისტორიასაც, რწმენასაც, ხალხის წეს-ჩვეულებებსაც.

ლინგვოკულტურული მიდგომების ფარგლებში მოხდა პარემიებისადმი, მათი სოციალურ-ფსიქოლოგიური და კულტურულ-ფილოსოფიური საზღვრების ანალიზისადმი კვლევითი ინტერესის გაღრმავება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ა.ა. პოტებნიასა (Потебня 1930) და ბ.ა. ლარინის (Ларин 1956) შრომები.

პარემიოლოგიური ფონდის კვლევისადმი ლინგვოკულტურული მიდგომების შემდგომი განვითარება დაემთხვა დასავლეთ ევროპელი მკვლევრების რიგი კონცეფციების ხელახალი გააზრების პერიოდს. გამოიკვეთა, განსაკუთრებული ინტერესი ვ. ფონ ჰუმბოლდტის (Гумбольдт 1977), ლ. ვაისგერბერის (Weisgerber 1962), ე. სეპირის (Сепир 1993), ბ. უორფისა (Whorf 1956), მ. კოულის (Коул 1977) და სხვა მკვლევრების შეხედულებების მიმართ.

რუსული პარემიების შესწავლაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს რუსმა მკვლევრებმა ფ.ი. ბუსლაევმა (ბუსლაევი 1861), ა.ნ. ვესელოვსკიმ (Веселовский 1908-38), ვ.ი. დალმა (Даль 1957), გ.ლ. პერმიაკოვმა (Пермяков 1970), ი.მ. სნეგირევმა (Снегирев 1848), ა.ა. პოტებნიამ (Потебня 1930) და სხვ.

ამრიგად, საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში პარემიული ფონდის შესწავლის მეთოდებსა და მიდგომებს გააჩნია თავისი სპეციფიკა. ამასთანავე, თვალსაჩინოა აღნიშნული მეცნიერული მიმართულების განვითარების ტენდენციებში გარკვეული ერთიანობა. ინტენსიურად შეისწავლება ანდაზები მათი ეთნოკულტურული, ლინგვოკულტურული სპეციფიკისა და კოგნიტური მიდგომის თვალსაზრისით.

ენათმეცნიერულ ჭრილში ქართული ანდაზები მონოგრაფიულად შესწავლილი აქვს პროფ. მ. რუსიეშვილს (რუსიეშვილი 2005). მაგრამ ქართული პარემიების საფუძვლიანი

შესწავლისათვის რამდენიმე სტატია თუ მონოგრაფია საკმარისი არაა. საგულისხმოა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ბოლო წლებში არაერთი სადისერტაციო ნაშრომი მომზადდა, რაც, რა თქმა უნდა, წინგადადგმული ნაბიჯია ანდაზის ლინგვისტური თვალსაზრისით საფუძვლიანი შესწავლისათვის.

აქ აღარ შევუდგებით ქართულში არსებული მდგომარეობის მიმოხილვას, ავლნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ზემოთ მოცემული მიმართულებებით ქართული ანდაზების შესწავლა საჭიროა და აუცილებელია.

### 1.3. ანდაზის ლინგვისტური სტატუსი

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან XX ს-ის შუა წლებამდე გამოქვეყნებულ კრებულებში გვხვდება პარემიების ტიპოლოგიზაციის პირველი მცდელობები. იწყება მსგავსი ენობრივი ერთეულებიდან პარემიების გამოყოფა. ანდაზები განიხილება, როგორც განსაკუთრებული დანიშნულების მინი-ტექსტები, კვლევა-ძიება წარიმართა ფოლკლორული, ეთნოლინგვისტური და ლინგვისტური თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს, რომ ანდაზების შესწავლის ლინგვისტურ ასპექტს დასავლურ ენათმეცნიერებაში შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა. ამ მიმართებით მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ რუს მკვლევრებს. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ დასავლელი მკვლევრები პარემიოლოგიას განიხილავენ ფოლკლორისტიკის შემადგენელ ნაწილად, ხოლო რაც შეეხება ანდაზების შესწავლის ლინგვისტურ ასპექტებს, ისინი უპირატესობას ანიჭებენ ანდაზების ეთნოკულტურულ სპეციფიკას, ეროვნული აზროვნების თავისებურებებსა და მათ ასახვას ინგლისურ ანდაზებში, საფუძვლიანად არ განიხილავენ პარემიების საკუთრივ ლინგვოკულტურული სტატუსს, ე.ი. მათ ნიშნობრივ ბუნებას, ადგილს ენის სისტემაში და მონათესავე ენობრივ ფენომენებთან ურთიერთდამოკიდებულებას. ანდაზებისა და ფრაზეოლოგიზმების ურთიერთმიმართება ზოგჯერ სულ არ განიხილება, ან ნაკლები ყურადღება ექცევა.

ფრაზეოლოგიური მასალის ნებისმიერი სისტემატიზაცია კლასიფიკაციის სახით იგება იმის შესაბამისად, თუ ფრაზეოლოგიური ერთეულის რა მახასიათებლები ექვემდებარება სათანადო ანალიზს და, რადგანაც მყარი სიტყვათმეხამებანი მრავალფეროვანია,



როგორც სტრუქტურული, სემანტიკური, ასევე ფუნქციონალური თვალსაზრისით, ამიტომ ფრაზეოლოგიური ერთეულის მოცულობისა და შინაარსის საკითხი დღემდე იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. გარდა ამისა, ფრაზეოლოგიური მოცულობის განსაზღვრის ერთიანი კრიტერიუმის არარსებობის გამო, საერთო დებულებები ყოველთვის არ ვრცელდება ყველა სახის მყარ სიტყვათშეხამებაზე. ზოგიერთი მათგანისთვის დაშვებულია გამონაკლისი იმის მიხედვით, თვლის თუ არა ავტორი მას ფრაზეოლოგიზმად.

თანამედროვე პერიოდში (XX ს-ის შუა წლებიდან მოყოლებული) პარემიები შეისწავლება ყველა მიმართულებით, კერძოდ, ყალიბდება პარემიების სტატუსის შესახებ ახალი წარმოდგენები, ისინი განიხილება არა მხოლოდ ფოლკლორული ჟანრის ტექსტები, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი პოეტიკა და რიტმიკა, არამედ, როგორც ენის ერთეულები. ამასთანავე, მიმდინარეობს პარემიებში ხალხის მენტალიტეტის ასახვის თავისებურებების კვლევა.

ანდაზის ლინგვისტურ სტატუსთან დაკავშირებით თანამედროვე ენათმეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა ნაწილი ანდაზას განიხილავს, როგორც ფრაზეოლოგიურ ერთეულს, ე.ი. ანდაზას აერთიანებს ფრაზეოლოგიურ სისტემაში, ზოგი კი - არა. ამ პრობლემასთან დაკავშირებით სპეციალისტების დისკუსია ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა ხანებში დაიწყო. დისკუსიაში ჩართულ მკვლევართა ერთი ნაწილი, რომელიც ემხრობოდა ფრაზეოლოგიის „ვიწრო“ ინტერპრეტაციას, ფრაზეოლოგიას განიხილავდა ლექსიკოლოგიის შემადგენელ ნაწილად, ფრაზეოლოგიზმს კი განმარტავდნენ, როგორც სიტყვის ეკვივალენტს (Ш. Балли , А.И. Смирницки, М.М. Гухман , И. С. Торобцев, Л.В., Щчерба, С. И. Ожегов, А.И. Молотков და სხვ.). ხოლო ისინი, ვინც მხარს უჭერდნენ ფრაზეოლოგიის „ფართო“ ინტერპრეტაციას (В.В. Виноградов, В.Л. Архангельский, А.В. Кунин, И.И. Чернышева, И.М. Деева, Н.М. Шанский, Ф.А. Краснов, А.Д. Райхштейн, В.Н. Телия, М.М. Копыленко, А.Н. Лисе და სხვ.), განმარტავდნენ მას, როგორც დამოუკიდებელ ლინგვისტურ დისციპლინას, რომელიც შეისწავლის სინტაქსური კონსტრუქციის მქონე ნებისმიერ მყარ სიტყვათშეხამებას, ამასთანავე, მნიშვნელოვან საკითხად განიხილავდნენ ანდაზებისა და ფრაზეოლოგიზმების ურთიერთმიმართების პრობლემას.

ანდაზების შესწავლის ლინგვისტური მიდგომა მოიცავდა სხვადასხვა საკითხს, განსაკუთრებით კი ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში ამ ენობრივი ერთეულების ადგილის განსაზღვრას და ძირითადი ნიშნების გამოვლენას.

ანდაზის ლინგვისტურ სტატუსთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

1. ანდაზა არ არის ფრაზეოლოგიური ერთეული - ფრაზეოლოგიის მოცულობის „ვიწრო“ ინტერპრეტაცია.

2. ანდაზა არის ენის ფრაზეოლოგიური ფონდის ნაწილი-ფრაზეოლოგიის მოცულობის „ფართო“ ინტერპრეტაცია ( Птушко 2010) .<sup>5</sup>

3. ფრაზეოლოგიას განეკუთვნება ხშირად გამოყენებადი ანდაზების გარკვეული კორპუსი (ვ.ლ. არხანგელსკის მიხედვით, „საყოველთაოდ გამოყენებადი“ ანდაზები, ხოლო ა.ვ. მიდერის თვალსაზრისით, „პარემიოლოგიური მინიმუმი“).

4. ანდაზა ენობრივი ნიშანია - ენის იერარქიული სისტემის ერთ - ერთი დონის ერთეული ( კარტოზია 1995).

5. ანდაზა არის ტექსტი ენის, მეტყველების, ან ორივეს ერთად, ან ფოლკლორული ტექსტი ( რუსიეშვილი 2005:6; Кунин 1967; Соколов 1914:182; Dundes 1975...).

ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ანდაზებისა და ფრაზეოლოგიზმების ურთიერთმიმართების საკითხი (პირველი და მეორე მოსაზრება), რომელიც მკვლევართა კამათს იწვევს. ამიტომ მოცემული პრობლემის შესახებ მსჯელობა ბოლოს გვექნება, პირველად კი დანარჩენ სამ მოსაზრებაზე შევაჩერებთ ყურადღებას.

ზემოთ აღნიშნული ერთ-ერთი მოსაზრების (Архангельский 1964:314) მიხედვით, ფრაზეოლოგიას განეკუთვნება ხშირად გამოყენებადი ანდაზების მხოლოდ გარკვეული კორპუსი (ვ.ლ. არხანგელსკის ტერმინით „საყოველთაოდ გამოყენებადი“ ანდაზები, ა.ვ. მიდერის მიხედვით, „პარემიოლოგიური მინიმუმი“). ამ თვალსაზრისის მომხრეები ეჭვქვეშ აყენებენ ყველა ანდაზის ფრაზეოლოგიურ სისტემაში გაერთიანებას. მათი აზრით,

---

<sup>5</sup> აღსანიშნავია, რომ ვ.ლ. პერმიაკოვიც გამოყოფს საკუთრივ ფრაზეოლოგიას, რომელშიც არ შედის ანდაზები და ანდაზური თქმები, და - ფრაზეოლოგიას ფართო გაგებით (ანდაზებისა და ანდაზური თქმების ჩათვლით) (Пермяков 1975:249).

ფრაზეოლოგიზმებს უნდა მივაკუთვნოთ მხოლოდ ის ანდაზები, რომლებიც გამოყენების განსაკუთრებული სიხშირით ხასიათდებიან კომუნიკაციის სხვადასხვა სფეროში. ამ მოსაზრების ნაკლი ისაა, რომ სხვადასხვა ავტორი განსხვავებულად უდგება ხშირად გამოყენებადი ანდაზების შერჩევის საკითხს, რასაც მივყავართ სუბიექტურობამდე და, აქედან გამომდინარე, განსხვავებულ შედეგამდე.

ვ.ლ. არხანგელსკი თვითონაც აღნიშნავს, რომ ნებისმიერი ანდაზა მეტყველებით სტანდარტში შეიძლება გახდეს აქტიურად გამოყენებადი. რაც ხშირად ხდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ზეგავლენით. აქედან გამომდინარე, ხშირად გამოყენებადი ანდაზების კორპუსი მოძრავია. იმ პარემიებმა, რომლებიც ნახევარი საუკუნის წინ იშვიათად გამოიყენებოდა, თანამედროვე პირობებში შეიძლება მიიღონ ახალი ინტერპრეტაცია და გახდნენ ხშირად გამოყენებადი და, პირიქით, ანდაზები, რომლებიც ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინ გამოიყენებოდა (როგორც წერით, ისე ზეპირ მეტყველებაში), თანამედროვე მეტყველებაში შეიძლება საერთოდ აღარ შეგვხვდეს, როგორც მოძველებული გამოთქმები.

ეს მოსაზრება ფაქტიურად ნაწილდება ზემოთ აღნიშნულ პირველ და მეორე მოსაზრებას შორის. საერთოდ, პრაქტიკულადაც და თეორიულადაც გაჭირდებოდა ხშირად და ნაკლებად გამოყენებადი ანდაზების კლასიფიკაცია.

დროის მიხედვით, მეტყველებით სტანდარტებში ანდაზები რომ მოძრავია, ამის ნათელ დასტურს წარმოადგენს ბლეკის კვლევები (Chateris-Black 1995). მეცნიერმა ერთმანეთს შეადარა ხშირად გამოყენებადი ანდაზების 1931, 1982, 1995 წლების მონაცემები. აღმოჩნდა, რომ ყველაზე პოპულარული ანდაზები შესაბამისად იყო:

1931 წლის - A stitch in time saves nine; An apple a day keeps the doctor away; There is no fool like an old fool (ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო; დღეში ერთი ვაშლი ექიმს ჯობიაო; სანამ ჭკვიანი დაფიქრდა, ცეტმა გადავლო მთებო).

1982 წელი-First come, first served; Money talks; First things first; Better late than never; Out of sight, out of mind (ვინც პირველი მივა, იმას მოემსახურებიანო; ერთამი ჯოჯოხეთს

ანათებს; სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს; თვალი თვალს რომ მოშორდება, გულიც გადასხვაფერდება).

1995 წელი- Birds of a feather flock together; New broom sweeps clean; Early bird catches the worm (კვიცი გვარზე ხტისო; მღვდელი ჭილოფში იცნობა; ახალი ცოცხი კარგად ჰგვის; ადრე ამდგარი ჩიტი ნისკარტს იწმენდს, მძინარა - თვალს იფშენებს).

სამივე პერიოდულ ჭრილში, ზეპირი გამოკითხვის მეთოდით, მიღებულ იქნა სხვადასხვა შედეგი. რაც იმას მოწმობს, რომ ხშირად გამოყენებადი ანდაზების სტაბილური კორპუსის შექმნა პრაქტიკულად შეუძლებელია. გარკვეული დროის შემდეგ ხდება ცვლილებები.

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად გამოყენებადი ანდაზების გამოსავლენად ზეპირი გამოკითხვების გამოყენებას თავისი ნაკლი აქვს. კერძოდ, რესპონდენტს არა აქვს მოფიქრების საკმარისი დრო. ამასთან, როგორც შენიშნულია, ანდაზა ხალხში გავრცელებული იმდენად, რამდენადაც სასაუბრო ენაში გარკვეული აზრის შესატყვისი ელფერით დადასტურებისათვის არის გამოყენებული. ე.ი. ანდაზას ადამიანები იშველიებენ გარკვეულ ფაქტზე მსჯელობის პროცესში, აზრის დასადასტურებლად (ზანდუკელი 1980). ამდენად, ძნელია მოინახოს ისეთი პიროვნება, რომელიც გარკვეული დროის (30 წუთი, 1 საათი...) განმავლობაში ზეპირად ჩამოთვალოს რამდენიმე ათეული ანდაზა.

ერთ-ერთი ექსპერიმენტული კვლევა ჩაატარა ამერიკელმა სოციოლოგმა ვილიან ალბიგმა (Albig 1931:527-535), რომელმაც ანდაზების კვლევაში პირველად გამოიყენა დემოგრაფიული მეთოდი.

კვლევა ჩატარდა შემდეგნაირად: 68 სტუდენტს შესთავაზეს 30 წუთში დაეწერათ ის ანდაზები, რომლებიც ამ დროის განმავლობაში გაახსენდებოდათ. ინფორმატორებმა მიუთითეს სულ 1443 ანდაზა, საშუალოდ 21,2 ანდაზა ერთ სტუდენტზე. 442 ანდაზა გამოყენებული იყო დაახლოებით ერთჯერ. ყველაზე პოპულარული აღმოჩნდა "A stitch in time saves nine". ეს ანდაზა 68 სტუდენტიდან 47-მა მიუთითა. სულ გამოიყო 13 ანდაზა, რომელიც ცნობილი იქნა, როგორც მეტნაკლებად გამოყენებადი: "A stitch in time saves nine"-დროული ლამზი ცხრა ლამზს გადაარჩენს (47); (ქართ. დროზე მოხმარებული

ფარი ხმალიაო). "A rolling stone gathers no moss"(40); (აგორებულ ქვას ხავსი არ მოეკიდება). "A bird in the hand is worth two in the bush- ხელში ერთი ჩიტის ყოლა სჯობია ბუჩქში მჯდომარე ორ ჩიტსა (39); (ქართ. დღევანდელი კვერცხი სჯობია ხვალინდელ ქათამსაო). "Early to bed, early to rise, makes a man healthy, wealthy and wise"- ადრე დაწოლა და ადრე ადგომა ადამიანს აჯანმრთელებს, ამდიდრებს და აჭკვიანებს (37); (ქართ. ტოლმა ტოლს რითი აჯობა და ადრე ადგომითაო). "Never put off till tomorrow what you can do today"-ნუ გადადებ ხვალისათვის იმას, რისი გაკეთება დღეს შეგიძლია (30); (ქართ. დღემეხვალე კაცსაო თოვლი მოადგა კარსაო). "Haste makes waste"-აჩქარება დროის დაკარგვაა (27); (ქართ. აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო). "An apple a day keeps the doctor away"- ყოველდღე თუ თითო ვაშლს შეჭამ, ექიმიც არ დაგჭირდება (26); (ქართ. დილის ვაშლი- გულის ვარდი, დილის მსხალი- გულის შხამი). "All that glitters is not gold"-ყველაფერი ოქრო როდია, რაც ბრწყინავს (23); (ქართ. აგურის ნატეხი ლალს შეუდარეს-აქაო და წითელიაო). "Do unto others as you would have them do unto you"-მოექეცი სხვას ისე, როგორც გინდა რომ მოგექცენ შენ (23). "Laugh and the world laughs with you"-გაიღიმე და სამყაროც გაგიღიმებს (21). "Birds of a feather flock together"- ერთნაირი ფრინველები ერთად იკრიბებიან (21); (ქართ.თხა თხას მისდევს, ცხვარი ცხვარსაო). "Make hay while the sun shines"-თივა მანამ თიბე, ვიდრე მზე კაშკაშებს (20); (ქართ. სანამ თორნე ცხელია, პური მანამ ჩააკარო)...

მეორე ამერიკელმა სოციოლოგმა რ. ბეინმა (Bain 1939: 431-446) მიიღო იგივე შედეგი სტუდენტთა ორჯერ მეტი რაოდენობის გამოყენებით.

მოცემული ცდებიდან 30 წლის შემდეგ, რუსმა მკვლევარმა ისიდორე ლევინმა, 1968 წელს ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ ალბიგისა და ბეინის ცდები არ იყო სწორი. მან გამოავლინა ანდაზების გამოყენების სიხშირის პირდაპირი დამოკიდებულება ასაკზე, სოციალურ მდგომარეობაზე, ეროვნულ ხასიათზე, განათლებასა და ინფორმანტების მენტალიტეტზე. ი. ლევინის გამოკითხვებისას სოფლად მცხოვრები ასაკოვანი ადამიანები ასახელებდნენ ხშირად გამოყენებად ანდაზებს, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებოდა იმ ანდაზებისაგან, რომლებსაც ასახელებდნენ სტუდენტები და ქალაქის მოსახლეობა.

მოგვიანებით ამერიკელმა ფსიქოლოგმა ს. მარზოლფმა ერთნაირი გამოკითხვებით დაადგინა, რომ ერთი უნივერსიტეტის, ერთნაირი ინტელექტის მქონე, მაგრამ განსხვავებული რასის სტუდენტებიც კი ხშირად გამოყენებად ანდაზებად სხვადასხვა ანდაზებს ასახელებდნენ (Птушко 2010). რაც ბუნებრივი შედეგი უნდა იყოს, რადგან ხშირად გამოყენებადი ანდაზები ეროვნულობის ფაქტორითაცაა შეპირობებული.

მაშასადამე, ანდაზების გამოყენება განსხვავებულია ასაკობრივ ჯგუფებში, ასევე ისინი უშუალო კავშირშია ადამიანების სოციალურ მდგომარეობასთან, ეროვნულ სპეციფიკასთან, განათლებასა და ინფორმანტების მენტალიტეტთან. ამასთანავე, სოფელში მცხოვრები ასაკოვანი ადამიანების მიერ ხშირად გამოყენებადი ანდაზები მკვეთრად განსხვავდება სტუდენტებისა და ქალაქის მაცხოვრებელთა მიერ გამოყენებული ანდაზებისაგან.

ეს დასკვნა მნიშვნელოვანია ზოგადი პარემიოლოგიისათვის, ამასთან იგი უარყოფს, ანდაზის ლინგვისტურ სტატუსთან დაკავშირებით ფ.ლ. არხანგელსკისა და ა.ვ. მიდერის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას.

ერთ-ერთი მოსაზრებით, ზოგადად ანდაზა ენობრივი ნიშანია, როგორც გამოცანა, ანეკდოტი, ლეგენდა (კარტოზია 1995). ფ. დე სოსიურისეული, ანუ სისტემური ენათმეცნიერების („ენა//მეტყველება“) დიქტონიმის პოზიციისა და რ. იაკობსონისეული პოზიციის (ენა და მეტყველება ერთი გლობალური მოვლენაა) საფუძველზე პროფესორ მ. რუსიეშვილს მიაჩნია, რომ ანდაზა არაა ენობრივი ნიშანი, თუნდაც იმიტომ, რომ ანდაზა, ისევე როგორც ნებისმიერი ტექსტი, ინდივიდუალური მოვლენაა და მას არ ახასიათებს ენობრივი ნიშნის, მისი ელემენტის არც ერთი აუცილებელი თვისება, როგორცაა მისი

საყოველთაოობა, აქედან სავალდებულობა ანუ უცისტიმატურობა.<sup>6</sup>

მეცნიერის აზრით, ანდაზა ვერბალური ტექსტია, რომელიც, როგორც ნებისმიერი ტექსტი, ენობრივი ერთეულების გარკვეული კომბინაციებით იქმნება. მკვლევარი ეთანხმება და აღიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ანდაზას ფოლკლორული ფესვები აქვს, ანუ ხალხის მიერაა შექმნილი. ავტორი ანდაზას ზოგადრეფერენტულ გამონათქვამთა რიცხვს მიაკუთვნებს. ზოგადრეფერენტულ ერთეულს კი უწოდებენ ისეთ კომუნიკაციურ ერთეულს, რომელიც შეიცავს რაიმე განზოგადებულ დასკვნას, რომლის მნიშვნელობაც მინიმალურად არის დამოკიდებული კონტექსტზე. მკვლევარი გამოყოფს, აგრეთვე, ანდაზის არსებით ნიშნებს: ა. ხატოვანება; ბ. სტრუქტურულად წინადადების ფორმის ქონა; გ. ხალხურობა; დ. მსჯელობის ფორმა. ხოლო დიფერენციალურ ნიშნად და ფუნქციურ არსად მიიჩნია ანდაზის უნარი- გამოხატოს სიღრმისეული, განზოგადებული არქეტიპული ცოდნა. ანდაზის სემანტიკური სტრუქტურა კი სამი ურთიერთდაკავშირებული დონის სინთეზად აქვს წარმოდგენილი. კერძოდ: ექსპლიციტური შინაარსის, იმპლიციტური შინაარსისა და პრესუპოზიციის დონეები.

ექსპლიციტურ დონეზე გამოიყოფა ანდაზის მეტაფორული ფორმა, ანუ მისი პირდაპირი მნიშვნელობა. იმპლიციტურ დონეზე ცხადდება ანდაზის მეტაფორის გადატანითი მნიშვნელობა, რომელიც უკავშირდება კონკრეტულ სიტუაციას, ანუ იმას, რასაც მთქმელი კონკრეტულ კონტექსტში გულისხმობს და პრესუპოზიციის დონეს,

---

<sup>6</sup>საერთოდ, ენობრივ ნიშანთან დაკავშირებით, რაც აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში (თ. გამყრელიძე, ... 2003:25-26; ენციკლოპედია

„ქართული ენა“, 2008:177-178), მოცემულ თვალსაზრისთან („ანდაზა ენობრივი ნიშანია“) არ უნდა იყოს პრინციპულ წინააღმდეგობაში. ვფიქრობთ, ავტორის ვარაუდის ამოსავალია შემდეგი თეორიული დებულება: „ენა არის ნიშანთა სისტემა. ენობრივ გამონათქვამებს ყოველთვის გარკვეული შინაარსი აქვს. ისინი ღირებულია იმდენად, რამდენადაც მიუთითებენ რაღაცაზე გარეენობრივ (ექსტრალინგვისტურ) სამყაროში-აღნიშნავენ საგნებს, მოვლენებს, თვისებებს. ენობრივი ფორმის, ე.ი. სიტყვის, სიტყვათა კომბინაციის, ასევე სიტყვის ნაწილის მნიშვნელობას ქმნის მისი მიმართება გარეენობრივი სამყაროს საგნებსა და მოვლენებთან. სწორედ ეს მიმართება, მითითება ექსტრალინგვისტური სამყაროს სიტუაციებზე, მათი აღნიშვნა არის ენობრივი ნიშნის ძირითადი ფუნქცია. მასასადავს, მნიშვნელობის მქონე ყოველი ელემენტი ენობრივ სისტემაში არის ნიშანი.“

ნიშანს აქვს ორი მხარე - აღმნიშვნელი და აღსანიშნი. აღმნიშვნელი არის ნიშნის მატერიალური მხარე, ბგერითი სუბსტანცია, ფორმა, ხოლო ის, რასაც იგი აღნიშნავს-საგნის თვისებისა თუ მოვლენის ამსახველი ცნება-არის აღსანიშნი. კავშირი ნიშნის ამ ორ მხარეს შორის მყარდება გარკვეული მიმართებების საფუძველზე და ეს მიმართებები ქმნიან ნიშნის მნიშვნელობას“ (თ. გამყრელიძე, ... 2003:25-26).

ენობრივ ნიშნებს იყენებენ ადამიანები საკუთარი აზრების სხვებისთვის გასაცნობად. ე.ი. ეს ნიშნები წარმოადგენენ ადამიანებს შორის კომუნიკაციის საშუალებას.

ანდაზა მრავალმხრივ საინტერესო ვერბალური ტექსტია. მას ახასიათებს სპეციფიკური შინაარსი და სტრუქტურა. კომუნიკაციის პროცესში პარემიებს საგანგებო მნიშვნელობა აქვთ. ანდაზები და ანდაზური თქმები სიტუაციებსა და საგნებს შორის გარკვეული დამოკიდებულების გამოხატველი ნიშნებია. ასევე, თუ ანდაზა ენობრივი ერთეულია, ენობრივი ნიშნებიც უნდა გააჩნდეს. რუსი ლინგვისტების მიხედვითაც, ანდაზა ენობრივი ნიშანია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ა. კარტოზიას მოსაზრების ხელაღებით უარყოფა არ უნდა იყოს მართებული.

როგორც გაგების საფუძველს. ამ უკანასკნელ დონეზე აქტუალიზდება ენის მატარებლის ცნობიერებაში ასახული სამყაროს მოდელის კონკრეტული ნაწილი (რუსიეშვილი 2005: 10, 141, 197, 198).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ანდაზა არის ტექსტი ენის, მეტყველების, ან ორივეს ერთად, ან ფოლკლორული ტექსტი (იხ. ზემოთ-მე-5 მოსაზრება). ანდაზები რომ განსაკუთრებული დანიშნულების მინი-ტექსტებია, ადრეც იყო ცნობილი. შეიძლება გადაწყვეტილად ითქვას, რომ ანდაზა არის განსაკუთრებული დანიშნულების მინი-ტექსტი და ეს საკითხი სპეციალისტთა შორის კამათს არ უნდა იწვევდეს, რადგანაც ტექსტი ძალზე ფართო მნიშვნელობის ტერმინია. იგი აერთიანებს ყოველგვარ ენობრივ წარმონაქმნს (ზეპირი ან წერილობითი) (ენციკლოპედია „ქართული ენა“, 2008; Лингвистический Энциклопедический Словарь, 1990; სერგია 1989; თევდორაძე 2011.). თუმცა შეიძლება მსჯელობა მინი-ტექსტის ნიშნებსა თუ თავისებურებებზე, სხვა ტექსტებთან მიმართებებზე და ა.შ.

ანდაზა უეჭველად არის ტექსტი, მაგრამ ანდაზური ტექსტი რამდენად თავსდება, ან არა ფრაზეოლოგიზმთა სისტემაში, ლინგვისტთა შორის სადავო საკითხია, რადგან ანდაზას გააჩნია ფრაზეოლოგიზმებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ამის გამო მკვლევართა ერთი ნაწილი მას აერთიანებს ფრაზეოლოგიურ სისტემაში, მაგრამ ანდაზას აქვს ფრაზეოლოგიზმებისაგან განსხვავებული ნიშნებიც. ამ მოტივით, მკვლევართა მეორე ნაწილს ანდაზა არ შეაქვს ფრაზეოლოგიურ ფონდში.

სწორედ ეს პრობლემა წარმოადგენს მკვლევართა შორის ცხარე კამათის საგანს.

როგორც აღინიშნა, მკვლევართა ერთ ნაწილს ანდაზა არ შეაქვს ფრაზეოლოგიზმების ფონდში. მაგალითად, ლ. ლეჟავას აზრით, ანდაზა არაა ფრაზეოლოგიური ერთეული, რადგან იგი ხალხური სიტყვიერების ნიმუშია, მხატვრული ნაწარმოებია, ხოლო ფრაზეოლოგიური ერთეული ენობრივი ერთეულია და ლექსიკოლოგიის შემადგენლობაში შედის. ამიტომ ანდაზა ფრაზეოლოგიური ერთეული არაა (ლეჟავა 1959:143). მაშასადამე, მკვლევარი ანდაზას არაენობრივ ერთეულად თვლის. ამ დასკვნას არ იზიარებს პროფესორი მ. რუსიეშვილი. რადგან მოცემული დასკვნის მიხედვით, ანდაზის



არაენობრივი ბუნების გამო, ენათმეცნიერებამ შეიძლება შეისწავლოს მხოლოდ ანდაზის ენა და არა ანდაზა მთლიანად, როგორც ერთეული (რუსიეშვილი 2005:8).

ანდაზა ფრაზეოლოგიის შემადგენლობაში არ შეაქვთ მკვლევრებს იმ მოტივით, რომ ანდაზა ლოგიკურად უკავშირდება მსჯელობას და, ფრაზეოლოგიური ერთეულისაგან განსხვავებით, კომუნიკაციური ბუნებისაა (Эмирова 1967:40-51).

პროფესორ მ. რუსიეშვილის მიერ ანდაზა მონოგრაფიულად (რუსიეშვილი 2005), როგორც თვითონ აღნიშნავს, გამოკვლეულია ყველა შესაძლებელი მიმართულებით. ავტორი იზიარებს იმ მკვლევრების აზრს, რომელთაც ანდაზა არ შეაქვთ ენის ფრაზეოლოგიურ სისტემაში და ამ თვალსაზრისის გასამყარებლად დამატებით რამდენიმე არგუმენტს ასახელებს. კერძოდ: ა) ანდაზა ზოგადრეფერენტული ერთეულია, ხოლო ფრაზეოლოგიურ ერთეულს კონკრეტული რეფერენტი აქვს. ბ) ფრაზეოლოგიური ერთეული სამყაროს რაიმე მოვლენის სენსორულ-ფიზიკური, ზედაპირული შთაბეჭდილების ხატოვანი, უზუალიზებული ნომინაციაა, ანდაზას კი საფუძვლად უდევს ადამიანის მიერ სამყაროს სიღრმისეული, შინაგანი კანონზომიერების ხატოვანი გააზრება. გ) თუმცა, როგორც ანდაზის, ისე ფრაზეოლოგიური ერთეულის სემანტიკურ სტრუქტურაშიც მოიპოვება უზუალური ტროპი, მაგრამ ანდაზის იერარქიული სემანტიკური სტრუქტურის ერთ–ერთ შრეზე ფონად ცნობიერდება არქექტიპული აზრობრივი სტრუქტურა, რომელიც ფრაზეოლოგიურ ერთეულს არ ახასიათებს. დ) ანდაზა (სულ ცოტა) წინადადებაა, ხოლო ფრაზეოლოგიური ერთეული შეიძლება ორწევრა ფრაზაც იყოს (რუსიეშვილი 2005:9). დასახელებული არგუმენტების გათვალისწინებით, მკვლევარი აკეთებს დასკვნას, რომ ანდაზა არაა ფრაზეოლოგიური ერთეული. მიუხედავად იმისა, რომ ფრაზეოლოგიზმებსა და პარემიებს მსგავსი ნიშნები ახასიათებს, გ. ლ. პერმიაკოვიც ფრაზეოლოგიზმებს არ მიაკუთვნებს პარემიოლოგიურ ერთეულთა რიცხვს. მისი აზრით, პარემიები ხალხური გამონათქვამებია, გამოხატული წინადადებით (Пермиаков 1970:33). შემდგომში ავტორმა განსხვავებული მოსაზრება განავითარა (იხ. ზემოთ, სქოლიოში).

ანდაზებს არ აერთიანებენ ფრაზეოლოგიზმებში, რადგან ანდაზების მთლიან შინაარსობრივ გააზრებაში დევს მსჯელობა და არა არსი, როგორც ეს გვაქვს

ფრაზეოლოგიურ სიტყვათშეხამებებში. ფრაზეოლოგიზმებისაგან განსხვავებით, ანდაზები შეიძლება გამოვიყენოთ პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით (Жуков 1990:41-46). მაგ., ანდაზური თქმა “Too many cooks spoil the broth”-ბევრი მზარეული შეჭამანდს აფუჭებს; (ქართ. ბევრი გამზრდელი ბავშვს ვერ გაზრდისო), აღნიშნავს მთელ სიტუაციას და შეიძლება გამოყენებული იყოს ზუსტი მნიშვნელობით, თუ ძალიან ბევრი ადამიანი შეუდგება სადილისათვის ბულიონის მომზადებას.

ანდაზების კორპუსში თუ ჩავრთავთ ანდაზა-მაქსიმებს კლიშირებულ წინადადებებს (გადატანითი მნიშვნელობის გარეშე), მაგ., Love is never without jealousy-არ არსებობს სიყვარული ეჭვიანობის გარეშე; (ქართ. სადაც სიყვარულია, იქ ეჭვიანობაცააო), მაშინ მოცემულ პოზიციას დაემატება ის არგუმენტი, რომ ფრაზეოლოგიის შემადგენლობაში არ არის ერთეულები, რომლებსაც გააჩნიათ კომპონენტების მნიშვნელობის ჯამიდან უშუალოდ გამომდინარე მნიშვნელობა.

მაშასადამე, ფრაზეოლოგიის მოცულობის „ვიწრო“ განმარტების მომხრეების თვალსაზრისით, ანდაზა არ წარმოადგენს ფრაზეოლოგიურ ერთეულს. ამ მოსაზრებას ბევრმა ლინგვისტმა დაუჭირა მხარი (Ш. Балли , А.И. Смирницки, М.М. Гухман , И. С. Торонцев, Л.В., Щчерба, С. И. Ожегов, А.И. Молотков, Н.М. Амосов, В. П. Фелицына და სხვ.). მათი ძირითადი არგუმენტებია:

1. ფრაზეოლოგიის ობიექტია მხოლოდ სიტყვების ეკვივალენტური მყარი შეხამებანი, ხოლო ანდაზები მთლიანი წინადადებებია (Ш. Балли, А.И. Смирницки, М.М. Гухман , И. С. Торонцев, Л.В., Щчерба, С. И. Ожегов, და სხვ.).

2. ანდაზის შინაარსობრივი სტრუქტურა გამოირჩევა ფრაზეოლოგიზმისაგან შემდეგი თავისებურებით: წინადადება - ანდაზით გადმოცემული გამონათქვამის შინაარსის ფუძეში დევს აზრი, დასკვნა, მსჯელობა. მაშინ, როცა ფრაზეოლოგიზმის ლექსიკური მნიშვნელობის ფუძეში-ესა თუ ის ცნება (А.И. Молотков).

3. ანდაზები დასრულებული წინადადებებია, ფრაზეოლოგიზმები კი არ წარმოადგენს დასრულებულ წინადადებებს და მათ ეს არც სჭირდებათ (Малова).

4. ფრაზეოლოგიზმებისაგან განსხვავებით, ანდაზებისათვის დამახასიათებელია ცოცხალი სინტაქსური კავშირი კომპონენტებს შორის. მათი საერთო მნიშვნელობა მოტივირებულია და გამომდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობიდან (В. П. Фелицына).

ა.ვ. კუნინი, გამოყოფს რა კონტრარგუმენტებს, თვლის, რომ ის არგუმენტები, რომელთა საფუძველზე მკვლევრებს არ შეაქვთ ანდაზები ფრაზეოლოგიურ ფონდში, თანამედროვე ლინგვისტიკის თვალსაზრისით, ისინი არარელევანტურია და „ცოცხალი ენის ფაქტებთან შეჯახებისას ქალაქის სახლებივით იშლება“.

ფრაზეოლოგიის მოცულობის „ვიწრო“ გააზრებას უპირისპირდება მისი „ფართო“ გაგება. რომლის მომხრეებიც განუხრელად მატულობენ. დამტკიცებულად ითვლება, რომ ფრაზეოლოგიზმი ფართო ცნებაა და მოიცავს არა მარტო მყარ სიტყვათშეხამებებს, არამედ ყოველგვარ მყარ გამონათქვამს - წინადადებებს, შესაბამისად, ანდაზებსაც.

ა.ვ. კუნინის თვალსაზრისით, ანდაზას ახასიათებს ფრაზეოლოგიური ერთეულის რამდენიმე ნიშანი, სახელდობრ: ხატოვანება, ფიქსირებული ფორმა და გადააზრებულობა, მაგრამ ზოგიერთი მახასიათებელი ნიშნით იგი განსხვავდება ფრაზეოლოგიური ერთეულებისაგან. კერძოდ, ანდაზას კომუნიკაციური ფუნქცია აქვს, ფრაზეოლოგიურ ერთეულს - ნომინაციისა. მეცნიერის მიხედვით, ანდაზის არაფრაზეოლოგიური ნიშნებია: სტრუქტურულად მცირე წინადადების ფორმა; დიდაქტიკური დანიშნულება; მსჯელობის ფორმა. ამ არაფრაზეოლოგიური ნიშნების მიუხედავად, ა.ვ. კუნინს (ასევე ზოგიერთ სხვა მკვლევარს) ანდაზა მაინც შეაქვს ფრაზეოლოგიის ფონდში. ოღონდ ენათმეცნიერთა ნაწილს ფრაზეოლოგიზმებში შეაქვს მხოლოდ ხატოვანი ანდაზები.

ა.ვ. კუნინი ანდაზებს კომუნიკაციურ ერთეულებს უწოდებს და გამოყოფს ორ სტრუქტურულ ტიპს: ა. სტრუქტურულად უცვლელი, ჩაკეტილი ერთეულები; ბ. სტრუქტურულად ცვლადი ერთეულები (Кунин 1967:35, 43, 63; რუსიეშვილი 2005 :7).

მკვლევართა მსჯელობის საგანია, აგრეთვე, ანდაზის მიმართება სხვა ენობრივ წარმონაქმნებთან (აფორიზმი, თქმულება, იგავი...). სპეციალისტთა ნაწილის მიხედვით, აფორიზმი და ანდაზა განსხვავდებიან წარმომავლობით, კერძოდ, ანდაზა ხალხურია, აფორიზმი კი - ლიტერატურული, რომელიც ეკუთვნის ერთ ავტორს.

ანდაზის გენეზისის, ასევე ანდაზისა და მხატვრული ლიტერატურის ურთიერთობის საკითხები სპეციალურ ლიტერატურაში საკმაოდ კარგად არის შესწავლილი (სიხარულიძე 1960.).

ფოლკლორულ თუ საენათმეცნიერო გამოკვლევებში სათანადოდ განხილულია, აგრეთვე, ანდაზისა და თქმულებების, ანდაზისა და იგავ-არაკების მსგავსება-განსხვავების საკითხებიც (ერთელიშვილი 1957:102-109; ჯაში 1984 63-68; Потебня 1930:130; Жуков 1966:535).

პარემიოლოგიურ გამოკვლევებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ანდაზების ფუნქციური ასპექტის შესწავლას, მაგრამ ზოგიერთი მკვლევრის აზრით, წმინდა ფუნქციური განსაზღვრა არ არის სრულყოფილი, ვინაიდან ანდაზის მსგავსი ფუნქციები სხვა ფოლკლორულ ჟანრებსაც შეიძლება ჰქონდეთ.

სემიოტიკურ-თეორიული თვალსაზრისით, გამოყოფენ ანდაზის სამ სტრუქტურულ - სემანტიკურ ნიშანს: ანდაზური ხატი, ანდაზური ინფორმაცია და ანდაზის არქიტექტურული ფორმულა. მაგალითად, ანდაზა „Better late than never“ – „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“. ამ შემთხვევაში ანდაზური ხატი დროული ხასიათისაა; ანდაზური შეტყობინება გულისხმობს მასში გამოთქმულ აზრს, ხოლო ანდაზის არქიტექტონიკა ექვემდებარება ზოგად ფორმულას: რაღაც ერთი სჯობს მეორეს ( Dandés 1975: 961-973).

როგორც ითქვა, ფუნქციური თვალსაზრისით, სხვა ფოლკლორული ჟანრებიც შეიძლება იყოს ანდაზის მსგავსი, მაგრამ ანდაზაში საინტერესო და გადამწყვეტი სწორედ ფუნქციურ და სტრუქტურულ-სემანტიკურ ასპექტთა ურთიერთმიმართებაა, ამიტომ საჭიროა ყოველთვის ხაზი გაესვას ანდაზის ფუნქციურ ასპექტს. ამის უგულებელყოფა შეუძლებელია ( ჯაში 1984:66).

მკვლევართა დიდი ნაწილი ანდაზის ძირითად ფუნქციურ ნიშნად თვლის მის დიდაქტიკურ ხასიათს, რომელსაც უკავშირდება ალეგორიულობა, ეს „კომპონენტი“ ანდაზისთვის მუდმივია (კუნინი 1967; ერთელიშვილი 1957; ლეჟავა 1959; ქართული ანდაზები 1965). ალეგორიულობის გარეშე შეუძლებელი გახდებოდა ანდაზის ისეთი

სემანტიკური ასპექტის არსებობა, როგორცაა ანდაზური ხატი, რომელსაც სწორედ ალეგორია ქმნის.

პროფესორ ქ. ჯაშის მიხედვით, ანდაზა უნდა განისაზღვროს, როგორც დიდაქტიკური ფუნქციის მატარებელი ფოლკლორული ჟანრი, რაც გამოხატულია კომუნიკაციური ტიპის ფრაზეოლოგიური ერთეულით და შეიცავს სამ შემდეგ სტრუქტურულ-სემანტიკურ ასპექტს: ალეგორიული ხასიათის ანდაზურ ხატს, გარკვეული ცხოვრებისეული თემატიკისადმი დაქვემდებარებულ ანდაზურ შეტყობინებას და გარკვეულ ფორმულას (ჯაში 1984:68).

ფიქრობენ, რომ ანდაზათა კვლევის საფუძველს წარმოადგენს ენის ფრაზეოლოგიური სისტემა, ამიტომ ანდაზების საფუძვლიანი ლინგვისტური კვლევისათვის საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ლინგვისტური ფრაზეოლოგიისათვის აქტუალური და მნიშვნელოვანი ყველა პარამეტრი, რაც იმას ნიშნავს, რომ ფრაზეოლოგიური ერთეული განხილულ უნდა იქნეს მისი რელევანტური სამი კატეგორიის გათვალისწინებით. კერძოდ: ა). გადააზრების კატეგორია; ბ).ხატოვანობის კატეგორია; გ).ნომინაციის კატეგორია (ჯაში 1988:10).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, აგრეთვე, რომ ფრაზეოლოგიზმი, ან ფრაზეოლოგიური ერთეული ენის ცალკე გაფორმებული ერთეულია, რომელიც ხასიათდება მასში შემავალი კომპონენტების სრული ან ნაწილობრივი სემანტიკური გადააზრებით (Назариан 1976:51). ანდაზები წარმოადგენენ რა კონკრეტული შინაარსის გამომხატველებს, მათ ყოველთვის აქვთ გადატანითი, განზოგადებული მნიშვნელობა, რომელიც არ გამომდინარეობს წინადადების კონკრეტული შინაარსიდან (თელია 1972:511).

სემანტიკური გადააზრება არის ის, რომ გამონათქვამის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს მისი შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობებიდან. სიტყვების გადატანითი მნიშვნელობით ხმარება, მეტაფორისა და მეტონიმის გამოყენება ალეგორიული ხატის შექმნის მიზნით, წარმოადგენს ანდაზათა ფუნქციონირების არსებით ასპექტს ლინგვისტური ფრაზეოლოგიის თვალსაზრისით (ჯაში 1988:10).

მეტაფორა არის სიტყვის ან გამოთქმის გადატანითი მნიშვნელობით ხმარება, რაც ემყარება მსგავსებას, შედარებას, ანალოგიას. ხოლო მეტონიმია – მოვლენის, ცნების ან

საგნის ერთი სახელწოდების მეორით შეცვლა მათი მეზობლობის შედეგად. ალეგორია კი – არაპირდაპირი ხერხებით, იგავური გამოხატვა აზრისა მხატვრულ ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში (უცხო სიტყვათა ლექსიკონი 1989). მაშასადამე, ანდაზისათვის ძირითადი დამახასიათებელი და მუდმივი თანამდევნი ნიშნები არის მეტაფორა, მეტონიმია და ალეგორია. მკლევართა შორის ეს საკითხი დავას არ იწვევს. თუმცა მეტაფორასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებიც გვხვდება.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის მიხედვით, ანდაზა არის ფრაზეოლოგიური ნომინაციის კერძო და სპეციფიკური შემთხვევა. უფრო ზუსტად, ანდაზები მეორადი ნომინაციის ერთეულებია. მეორადი ლექსიკური ნომინაცია ნიშნავს ენაში უკვე არსებული ნომინაციურ საშუალებათა გამოყენებას მათთვის ახალი ფუნქციით, რომელიც განისაზღვრება იმის საფუძველზე, რომ სიტყვათშეთანხმების ცალკეულ კომპონენტს და მის მიერ გამოხატული სინამდვილის ელემენტებს შორის არ არსებობს დამოუკიდებელი ნომინაციური მიმართება (თელია 1972:129-130).

ფუნქციების მიხედვით, ენის ფრაზეოლოგიურ ერთეულებში გამოყოფენ ორ ჯგუფს. პირველი ჯგუფს მიაკუთვნებენ წინადადების ფუნქციის, კომუნიკაციური ფუნქციის მქონე ფრაზეოლოგიზმებს; მეორე ჯგუფს კი – აღნიშნული ფუნქციის არმქონე ფრაზეოლოგიზმებს (Назариян 1976:62). საგულისხმოა, რომ ფრანგულ ენაშიც გამოყოფენ კომუნიკაციური ტიპის ფრაზეოლოგიური ერთეულების ორ ძირითად ჯგუფს: 1. ანდაზური ხასიათის ფრაზეოლოგიური ერთეულები; 2. კომუნიკაციური ერთეულები – ანდაზები (ჯაში 1988:11).

თითოეული ანდაზა წარმოადგენს წინადადებას (ამ ფაქტს მკვლევრები ხაზგასმით აღნიშნავენ), რაც იმას ნიშნავს, რომ ანდაზათა ლინგვისტური ანალიზისას გამოყენებულ უნდა იქნეს თანამედროვე ლინგვისტური მოძღვრება წინადადების შესახებ. კერძოდ, წინადადების ლინგვისტური მოდელირების თეორია, რომელიც მოიცავს სამ ძირითად ასპექტს: 1. სინტაქსური (სტრუქტურული) მოდელირება; 2. სემანტიკური მოდელირება;

3. პრაგმატიკული მოდელირება. ანდაზების ღრმა და საფუძვლიანი ლინგვისტური კვლევისათვის ყველა ამ ასპექტის გამოყენებაა საჭირო (ჯაში 1988:11).

პროფესორი ქ. ჯაში მიმოიხილავს რა წინადადების მოდელირების ყველა ასპექტს, აღნიშნავს, რომ ანდაზათა ლინგვისტური კვლევა უნდა ნიშნავდეს, როგორც მეორად-ნომინაციური, ანუ საკუთრივ ფუნქციური განზომილების განსაზღვრას, ასევე იმ პირველად-ნომინაციური ანუ საკუთრივ ენობრივი საფუძვლის განსაზღვრასაც, რომლის გარდაქმნა – გადააზრება იძლევა ანდაზას, როგორც ფრაზეოლოგიურ ერთეულს (ჯაში 1988:12-14).

უნდა აღინიშნოს, რომ ფრაზეოლოგიის ფართო გაგებას მაშინ ჩაეყარა საფუძველი, როცა ფრაზეოლოგიური ერთეულების ძირითად კრიტერიუმებად დაიწყეს „აღდგენის“ და „სიმყარის“ აღიარება. ამ მოსაზრებას მხარს უჭერენ: ვ.ვ. ვინოგრადოვი, ვ.ლ. არხანგელსკი, ა.ვ. კუნინი, ი.ი. ჩერნიშევა, ი.მ. დეევა, ნ.მ. შანსკი, ა.დ. რაიხშტეინი, ვ.ნ. თელია, მ.მ. კოპილენკი, ა.ნ. ლისე და სხვა ლინგვისტები. ნ.მ. შანსკი თვლის, რომ ფრაზეოლოგიური გამონათქვამის ძირითადი მახასიათებელი, რომელიც მიჯნავს მას სიტყვათა თავისუფალი შეხამებისგან, არის „აღდგენითობა“. რადგანაც ანდაზები მყარი სიტყვათშეხამებანია, რომლებიც არ იქმნება მეტყველების პროცესში, არამედ აღდგება მოსაუბრის გონებაში, როგორც მზა ერთეულები. ამიტომ ისინი უნდა მიეკუთვნოს ფრაზეოლოგიზმებს.

ანდაზების ფრაზეოლოგიზმებში გაერთიანების სასარგებლოდ მოწმობს, პირველ რიგში, მეტყველებაში მათი გამოყენება ისე, როგორც ფრაზეოლოგიური ერთეულებისა. ისინი არ იქმნებიან კომუნიკაციის პროცესში. არც ერთ მათგანში არ შეიძლება კომპონენტების თვითნებურად ცვლა. თუმცა, როგორც ზოგიერთი ანდაზის შემადგენლობაში, ისე ზოგიერთ ფრაზეოლოგიურ ერთეულში, გარკვეულ ვარიაციულობას მაინც აქვს ადგილი.

მეორე რიგში, ანდაზები (ანდაზა-მაქსიმების გარდა) ხასიათდება ხატოვანებით. მესამე რიგში, ანდაზების მნიშვნელობა ტიპურად ძალიან ახლოსაა ზმნური ფრაზეოლოგიური ერთეულების მნიშვნელობასთან. (მაგ., “to hang on somebody words (to listen with great admiration to somebody you admire-ვიღაცას ყურადღებით მოუსმინო). ზმნური ფრაზეოლოგიური ერთეულები, ისევე როგორც ანდაზები, აღნიშნავენ სიტუაციას, მაგრამ, ანდაზებისაგან განსხვავებით, სიტუაციის ყველა მონაწილე არ სახელდება.

მოყვანილ ფრაზეოლოგიურ ერთეულში არ არის დასახელებული მოქმედების სუბიექტი და პირი, რომელსაც ეკუთვნის სიტყვა. ეს პოზიციები ივსება მეტყველებაში.

ამ დებულების თანახმად, სავსებით ნათელია, რომ ანდაზებსა და ფრაზეოლოგიზმებს გააჩნიათ საკმაოდ გამოკვეთილი ერთგვაროვანი მახასიათებლები (ანდაზების ფართო გაგების შემთხვევაში), ამასთანავე, გააჩნიათ განსხვავებული სემანტიკური თავისებურებანიც. საგულისხმოა, რომ ბევრ ენაში ხდება ზმნური ფრაზეოლოგიური ერთეულების გადასვლა ანდაზურ თქმებში (ღია პრედიკატულ ერთეულებში, რომლებშიც ზმნა პირიანია), ხოლო შემდეგ - ანდაზებში (ჩაკეტილ პრედიკატულ ერთეულებში). ზემოთ აღნიშნული სამივე ჯგუფი მჭიდრო ურთიერთკავშირშია, მაგალითად, ზმნური ფრაზები შეიძლება წარმოიშვას ანდაზების საფუძველზე და პირიქით.

შენიშნულია, რომ მსოფლიოს ანდაზური სურათების რეკონსტრუქციისათვის სხვადასხვა კვლევის ჩასატარებლად (მაგ., ანდაზების შედარებითი კოგნიტური ანალიზისას), მნიშვნელოვანია გამოვყოთ საკვლევი მასალის საზღვრები, ხოლო ამ მასალის უფრო დიდ ენობრივ წარმონაქმნში გაერთიანება-არგაერთიანების საკითხს არ უნდა ჰქონდეს პრინციპული მნიშვნელობა.

ხაზგასმით აღნიშნავენ, აგრეთვე იმ თავისებურებების შესახებ, რომლებიც საშუალებას იძლევა ანდაზების ფრაზეოლოგიურ ფონდში ჩართვას. ეს თავისებურებებია:

1. ლექსიკური შემადგენლობის მუდმივობა.
2. შინაარსის პირდაპირი და გადატანითი გეგმის არსებობა.
3. კომპონენტების ლექსიკური მნიშვნელობის შესუსტება.
4. მეტყველებაში მზა კლიშეების სახით გამოყენება (სხვა სიტყვებით, ესაა სიმყარე, აღდგენითობა და იდიომატურობა).

აღსანიშნავია, რომ პროფესორ ა.ვ. კუნინის მონოგრაფიების „ინგლისური ფრაზეოლოგია“ და „თანამედროვე ინგლისური ენის ფრაზეოლოგია“ გამოქვეყნებამ კიდევ უფრო შუწყო ხელი მოცემული თვალსაზრისის განმტკიცებას, რომელსაც მხარს უჭერს ფრაზეოლოგიის თანამედროვე მკვლევართა უმრავლესობა. თუმცა ავტორთა ერთი ნაწილი (Архангелски, Лазарева, Mieder) ეჭვქვეშ აყენებს ყველა ანდაზის (გამონაკლისის გარეშე)



ფრაზეოლოგიზმებისადმი მიკუთვნებას და გამოყოფენ ე.წ. „ხშირად გამოყენებადი ანდაზების კორპუსს“, ან „პარემიოლოგიურ მინიმუმს“. მაგრამ ეს ვარაუდი სათანადო საფუძველს მოკლებულია, რაზედაც ზემოთ იყო მსჯელობა.

ამრიგად, მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით განვიხილეთ ხუთი მოსაზრება, რომელთაგან, როგორც აღინიშნა, მნიშვნელოვანია პირველი და მეორე, რომელიც ეხება ანდაზებისა და ფრაზეოლოგიზმების ურთიერთმიმართებას. პირველი მოსაზრების მომხრეები ფრაზეოლოგიას განიხილავენ ლექსიკოლოგიის შემადგენლობაში, ფრაზეოლოგიზმს კი განმარტავდნენ, როგორც სიტყვის ეკვივალენტს. სწორედ საკითხისადმი ასეთი მიდგომა გახდა ამოსავალი ფრაზეოლოგიის მოცულობის „ვიწრო“ ინტერპრეტაციისა, რომლის საფუძველზეც მკვლევართა ერთ ნაწილს ანდაზები არ შეაქვს ფრაზეოლოგიზმების სისტემაში.

მკვლევართა მეორე ნაწილი კი ფრაზეოლოგიას ცალკე ლინგვისტურ დისციპლინად გამოყოფს, რომელიც შეისწავლის სინტაქსური კონსტრუქციის მქონე ნებისმიერ მყარ სიტყვათშხამებას (ფრაზეოლოგიის „ფართო“ ინტერპრეტაცია). ამ თვალსაზრისის მომხრე ენათმეცნიერებს ანდაზა შეაქვთ ფრაზეოლოგიურ ფონდში. თანამედროვე ლინგვისტიკაში მოცემული მოსაზრების მხარდამჭერთა რიცხვი დღითიდღე მატულობს.

წარმოდგენილი არგუმენტები, რომელთა მიხედვითაც ანდაზები უნდა გაერთიანდეს ფრაზეოლოგიურ სისტემაში, საკმაოდ დამაჯერებელია. ვფიქრობთ, ეს მოსაზრება მისაღები და გასაზიარებელია.

## თავი II. ანდაზების სემანტიკურ-სტრუქტურული კვლევის პრობლემა

### 2.1. ანდაზების სტრუქტურულ-სემანტიკური კვლევის ასპექტები

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო ანდაზების სტრუქტურულ - სემანტიკური შესწავლა. სტრუქტურული მიმართულებით კვლევა ითვალისწინებდა ანდაზის მორფოლოგიურ - სინტაქსური მოდელების გამოყოფას, სტრუქტურის თავისებურებების გამოვლენას. განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო ანდაზში ცალკეული სიტყვების კვლევა. ანდაზის ზოგადი შინაარსი, სემანტიკის საკითხები და ა.შ. ქართული ენის ანდაზების სემანტიკურ - სტრუქტურული მახასიათებლები გამოკვლეულია ვინფრიდ ბოდერის სტატიაში (Boeder, Winfried 1985: 97-115). სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფონოლოგიურ მახასიათებლებს (ალიტერაცია, რითმი, ასონანსი...), რიტმულ წყობას ეხება ჯ. ბარდაველიძე (ბარდაველიძე 1979: 67-77), ხოლო ლ. ლეჟავას ნაშრომში განხილულია მორფოლოგიურ - სტრუქტურული და სინტაქსის საკითხები (ლეჟავა 1959: 130-167). საინტერესო საკითხებს ეხება, აგრეთვე, ალ. ლლონტის (ლლონტი 1955; 1900), ფ. ერთელიშვილის (ერთელიშვილი 1955; 1957), ნ. დარასელიას (დარასელია 1988) ნაშრომები.

ამჟამად მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით არაერთი ნაშრომი მოგვეპოვება, რომლებიც მიმოხილულია პროფ. მ. რუსიეშვილის მონოგრაფიაში (მ. რუსიეშვილი, 2005). ამიტომ არსებული ლიტერატურის შესახებ მსჯელობას ადარ გავაგრძელებთ. რა თქმა უნდა, მკვლევარი მაღალ მეცნიერულ დონეზე განიხილავს აღნიშნული პრობლემის საკითხებსაც.

გამოყოფენ ანდაზის დიფერენციალურ ნიშნებს: ა) ანდაზის მიერ ცხოვრების, სამყაროს რაიმე მოვლენის შესახებ ღრმა, ჭეშმარიტი, განზოგადებული აზრის გამოხატვა; ბ) ხატოვანება; გ) ფორმის სისხარტე, ლაკონიურობა; დ) დიდაქტიკურობა; ე) ანდაზის სტრუქტურის ქვედა ზღვარი არის წინადადება; ვ) ხალხურობა; ზ) მსჯელობის ფორმა; თ) ალეგორიულობა.

თუმცა დიფერენციალურ ნიშნებთან დაკავშირებით დღეს მკვლევართა შორის ერთიანი აზრი არაა. ანალოგიური მდგომარეობაა ანდაზის განმარტებასა და ფუნქციურ პრობლემასთან დაკავშირებითაც.

ანდაზის სტრუქტურული გაფორმების სპეციფიკა: ამ საკითხთან დაკავშირებით პროფ. მ. რუსიეშვილი გამოყოფოს შემდეგს:

ა) ანდაზა სტრუქტურულად სულ მცირე წინადადებაა (სტრუქტურულად დასრულებული წინადადებაა). ავტორს მიაჩნია, რომ ეს არის მძლავრი არგუმენტი ანდაზის ფრაზეოლოგიურ ერთეულად ცნობის წინააღმდეგ და იმოწმებს ამ საკითხთან დაკავშირებით არსებულ სხვის თვალსაზრისსაც (Эмирова, Авалиани 1967: 40-51). იქვე აღნიშნავს, რომ წინადადების ფორმა სხვა პარემიოლოგიურ ერთეულებსაც აქვს (რუსიეშვილი 2005: 24-25). მაშასადამე, ანდაზა, რომ სტრუქტურულად დასრულებული წინადადებაა, მარტო ანდაზისათვის არ ყოფილა სპეციფიკური.

ბ) ანდაზა ლაკონიური, სხარტი ერთეულია;

გ) ალეგორიულობა;

დ) ხალხურობა;

ე) დიდაქტიკურობა.

ჩამოთვლილ თითქმის ყველა ნიშანთან დაკავშირებით მკვლევართა შორის განსხვავებული მოსაზრებებია, რაზედაც ავტორიც მიუთითებს. მაშასადამე, სპეციფიკურ ნიშნებად მათი აღიარება გაჭირდება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ავტორი ანდაზას, ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, გამოცანას, მაქსიმას, ანდაზურ - ხატოვან თქმებს ფორმას//ფორმებს უწოდებს. ვფიქრობთ, ჩამოთვლილი ერთეულების ასეთი ინტერპრეტირება არ უნდა იყოს მართებული.

სტრუქტურული კრიტერიუმის შესაბამისად, ანდაზა შედარებით ჩაკეტილი პრედიკატული ერთეულია, რომელშიც თვითნებურად ვერ ჩავამატებთ. როგორც მიუთითებენ, იგი ხასიათდება ტრადიციულობით (ე. ი. არსებობს ხანგრძლივი დროის განმავლობაში). გამოხატავს საყოველთაო ჭეშმარიტებას და გააჩნია დიდაქტიკური მნიშვნელობა. ანდაზაში არ შეიძლება კომპონენტების თვითნებურად ცვლა, თუმცა

ზოგიერთი ანდაზის შემადგენლობაში გარკვეულ ვარიაციებს მაინც აქვს ადგილი. ანდაზების ნაწილი (ან ყველა, თუ არ განვიხილავთ ანდაზა - მაქსიმუმს) ხასიათდება ხატოვანებით.

ანდაზის სტრუქტურის შესწავლას ეხება, აგრეთვე, პროფ. ქ. ჯაშის ნაშრომი (ჯაში 1988: 10-15), მაგრამ ამ ნაშრომზე აქ ყურადღებას აღარ შევაჩერებთ, რადგან ამის შესახებ უკვე გვკონდა მსჯელობა.

ანდაზის სემანტიკური სტრუქტურა: პროფ. მ. რუსიემვილის აზრით, ანდაზის სემანტიკური სტრუქტურა სამი ურთიერთდაკავშირებული დონის სინთეზია. 1. ექსპლიციტური შინაარსი, 2. იმპლიციტური შინაარსი, 3. პრესუპოზიციის დონეები.

აღნიშნულის ნათელსაყოფად ავტორი აანალიზებს სათანადო მაგალითებს:

There's no smoke without fire.

(კვამლი ცეცხლის გარეშე არ არის).

ამ ანდაზის კონტექსტში აქტუალიზაციის დროს ექსპლიციტურ დონეზე სახეზეა ხატოვანი ანდაზა, რომელიც პირდაპირ მიგვითითებს, რომ კვამლი უცეცხლო არ არსებობს. იმპლიციტურ დონეზე მსმენელი „იპოვის“ აზრს: „რადაც ერთი არ არსებობს მეორის გარეშე. ერთი არის მეორის შედეგი“, ანუ ყოველ ჭირსა და მითქმა - მოთქმას რეალური საფუძველი აქვს. ხოლო პრესუპოზიციის დონეზე გაცხადდება სამყაროს მოდელის ის ნაკვეთი, რომელშიც ჩადებულია ცოდნა კვამლისა და ცეცხლის ურთიერთკავშირის შესახებ. პრესუპოზიციური დონე კომუნიკაციური აქტის მონაწილეებს საერთო აქვთ, - ეს არის ენის მატარებლის კონკრეტულ კონტექსტში წამოშლილი ასოციაციები

You cannot make a crab walk straight.

(შენ ვერ შეძლებ კიბორჩხალას ასწავლო სწორად სიარული)

(ქართ. კუზიანს სამარე გაასწორებსო; ძაღლის კუდი არ გასწორდება).

ავტორი განიხილავს რა ამ სამ ანდაზას (ერთი ინგლისური და ორი ქართული), აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაშიც, კონტექსტში აქტუალიზაციის დროს ანდაზის ექსპლიციტურ დონეზე ცხადდება, რომ „კიბორჩხალა სწორად ვერ გაივლის“ (ინგლისურ ვარიანტში). იმპლიციტური დონე მიუთითებს, რომ ვინმეს ნირს ვერ

შეაცვლევინებ, ხოლო პრესუპოზიციის დონეზე აქტუალიზდება სამყაროს მოდელის ის ნაწილი, სადაც ეს კონკრეტული ცოდნაა ჩადებული იმის შესახებ, რომ კიბორჩხალა ყოველთვის გან - გან დადის. თუ შევუდარებთ დასახელებულ მაგალითებს, დავინახავთ, რომ მოცემულ სამივე მაგალითში განსხვავებულია ექსპლიციტური და პრესუპოზიციური დონეები, ხოლო იმპლიციტურ დონეზე სამივე ანდაზა მსგავსია -

„ადამიანი ჩვევას ძნელად დალატობს“. ხოლო პრესუპოზიციურ დონეზე ქართველისათვის ამოტივტივდება „ძალის კუდისა“ და „გამოუსწორებელი კუზიანის“ მონაკვეთი, ინგლისელისათვის კი ეს აზრი დაკავშირებულია კიბორჩხალასთან (რუსიეშვილი 2005: 44-48).

ავტორის აზრით, ანდაზა აუცილებლად შეიცავს ბინარულ სემანტიკურ ოპოზიციას მისი სემანტიკისა და ლოგიკური აღქმის ყველა დონეზე. გამოყოფს და განიხილავს სემანტიკურ მოდელებს: „მსგავსი მსგავსს მიელტვის/ემსგავსება“, „ნირის/ცხოვრების შეცვლა ადვილი არ არის“, „მოვლენებს ნუ გაუსწრებ“... ასე აჯგუფებს სემანტიკის მიხედვით ინგლისურ და ქართულ ანდაზებს, არკვევს მათ შორის მსგავსება - განსხვავებებს (რუსიეშვილი 2005: 60-139). მოცემულ სემანტიკურ მოდელებს ჩვენ განვიხილავთ, როგორც თემატურ - სემანტიკურ ჯგუფებს, თანაც ზოგად ჭრილში, რადგან ანდაზასთან დაკავშირებით ყველა საკითხი მკვლევართა შორის საკამათოა და კვლევა არც ერთი მიმართულებით არაა დასრულებული. ამასთან ყურადღებას ვამახვილებთ სხვადასხვა სიტუაციის ანდაზური ასახვის თავისებურებებზე (ინგლისური და ქართული ანდაზების მიხედვით).

მკვლევრები ანდაზების მნიშვნელოვან კრიტერიუმებად თვლიან ტრადიციულობას, სემანტიკურ და სტრუქტურულ მახასიათებლებს. გამოყოფენ, აგრეთვე, მეორეხარისხოვან ანდაზურ მარკერებს (ფონეტიკური, სემანტიკური, გრამატიკული, ლექსიკური).

1. ფონეტიკური მარკერები (ალიტერაცია, ასონანსი, რითმა, რიტმი).

Haste makes waste (რიტმა).

აჩქარება დროის დაკარგვაა.

ქართ. აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო.

Idle folks have the least leisure (ალიტერაციაა–ბგერა L-ს გამეორება).

ქართ. ზარმაცისათვის ნიადაგ უქმეაო.

2. სემანტიკური-(მეტაფორა, ჰიპერბოლა, შედარება).

Big fish eat little fish (მეტაფორა).

დიდი თევზი პატარა თევზს ჭამს.

Every Czech is a musician (ჰიპერბოლა).

ყველა ჩეხი მუსიკოსია.

A man of words and not of deeds, is like a garden full of weeds (შედარება).

სიტყვების მოყვარული და უქნარა კაცი სარეველათი სავსე ბაღსა ჰგავს.

ქართ. სიტყვა უსაქმოდ მკვდარიაო; სიტყვა ქარიაო.

3.გრამატიკული-(სინტაქსური კონსტრუქციები, პარალელიზმი,

მოდველებული/არანორმატიული გრამატიკული კონსტრუქციები).

Money makes the mare (to) go (to-ს გამოყენება makes შემდეგ).

ფული ჭაკ ცხენსაც კი დასძრავს ადგილიდან.

ქართ. ფული კლდეს გაანგრევსო.

Soon ripe, soon rotten (პარალელური კონსტრუქცია).

რაც ადრე მწიფდება, ჩქარა ფუჭდება.

ქართ. ადრე დამწიფებულიო, ადრე გაფუჭებულიო.

4. ლექსიკური-(არქაიზმები და ისტორიზმები ანდაზის შემადგენლობაში).

You may ding the devil into a wife, but you'll never ding him out of her ('ding' means

'beat')- შენ შეგიძლია ჩასახლო ეშმაკი ქალში, მაგრამ ვერასდროს განდევნი მისგან.

ანდაზურ ფონდში გამოყოფენ სინონიმურ, ანტონიმურ, თემატურ ან სემანტიკურ ჯგუფებს.

სინონიმური ანდაზები უნდა იყოს ისეთი ერთეულები, რომლებსაც ერთნაირი ან მსგავსი მნიშვნელობა აქვთ. პერმიაკოვის მიხედვით, ერთმანეთის ინვარიანტებია. როგორც აღინიშნა, ეს ვითარება ლევინსაც აქვს აღწერილი.

ბუნებრივია, სინონიმური ანდაზები ერთი ენის ანდაზურ ფონდშიც არის და მნიშვნელოვანი ადგილიც უჭირავს. სინონიმური ანდაზების მაგალითებია:

Appearances are deceptive.

გარეგნობა მატყუარაა.

ქართ. ფერი ლალისა, გემო წყალისაო.

The face is no index to the heart.

სახე გულის მაჩვენებელი არაა.

All that glitters is not gold.

ყველაფერი ოქრო როდია, რაც ბრწყინავს.

ქართ. აგურის ნატეხი ლალს შუდარეს-აქაო და, წითელიაო.

It's not hood that makes the monk.

ვისაც ბარტყულა ახურავს, ყველა ბერი როდია.

ქართ. მღვდელს ჭილოფში იცნობენო.

It's not the gay coat that makes the gentlemen.

კოხტა ტანსაცმელს ჯენტლმენობა არ მოაქვს.

ქართ. კაცი გარეგნობით არ შეფასდებაო.

ანდაზების ეს მწკვრივი გვიდასტურებს, რომ გარეგნობა მატყუარაა. პირველი ანდაზა გამოხატავს მწკვრივის საერთო და განზოგადებულ მნიშვნელობას. ის შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მწკვრივის სინონიმური დომინანტი. დანარჩენი ანდაზების მნიშვნელობებში დამატებულია კომპონენტები: მეორე ანდაზა მხოლოდ ადამიანის დასახასიათებლად გამოიყენება. მესამე-მოგვიტხრობს იმის შესახებ, რომ საგნის მიმზიდველი გარეგნობა ყოველთვის არ მიუთითებს მის დანარჩენ კარგ თვისებებზე. მეოთხე ანდაზა ხაზს უსვამს იმას, რომ შინაგანი თვისებები გარეგნული იერით არ განისაზღვრება... ანალოგიური სემანტიკის მაგალითები ქართულშიც დაიძებნება. მაგ., „ყველა ოქრო როდია, რაც ბრწყინავს“, „საქონელი (ცხოველი-ლ.ქ.) გარედანაა ჭრელი, ადამიანი-შიგნიდან“, „ცხენს ნუ ათვალიერებ, ყური უგდე მის ზნესო“...

სავარაუდოდ, ასეთი ანდაზები გამოდგება ადამიანის მხოლოდ გარეგნული დახასიათებისათვის. როგორც შენიშნულია, სინონიმურ დომინანტად ანდაზურ რიგში, როგორც წესი, გვევლინება ანდაზა-მაქსიმა, ე.ი. ანდაზა, რომელსაც არ გააჩნია მეტაფორული მნიშვნელობა.

ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობის მქონე ანდაზების არსებობამ XVIII საუკუნიდან მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. თავად ამ მოვლენას ეწოდა “ Crossing of Proverbs”. საპირისპირო მნიშვნელობის მქონე ანდაზების არსებობის (ან წარმოშობის) მიზეზებს სხვადასხვაგვარად აღწერენ. ვ. მიდერის მიხედვით, ანდაზები არ გამოხატავენ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, პირიქით, ისინი ასახავენ ადამიანის გამოცდილებას, რომელიც თავისი ბუნებით ურთიერთსაწინააღმდეგოა, რასაც მივყავართ ანდაზების საპირისპირო მნიშვნელობამდე, დიამეტრალურად საწინააღმდეგო მნიშვნელობის მქონე ანდაზების წარმოქმნამდე.

ადამიანური მენტალიტეტი ურთიერთსაწინააღმდეგოა, რაც ვლინდება ანდაზებშიც. გარდა ამისა, ანდაზებში აისახება სხვადასხვა სოციალური ჯგუფის შეხედულებები. რაც, აგრეთვე, განაპირობებს საპირისპირო მნიშვნელობის მქონე ანდაზების წარმოქმნას.

საპირისპირო მნიშვნელობის მქონე ანდაზები ამახვილებენ ყურადღებას სიტუაციებზე, რომლებიც იწვევენ საზოგადოების შეშფოთებას, განგაშს. ისინი იმდენად არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, რამდენადაც ხაზს უსვამენ პრობლემის სხვადასხვა ასპექტს, რითაც ამტკიცებენ, რომ შესაძლებელია და აუცილებელიცაა სხვადასხვანაირად შეხედო ერთსა და იმავე პრობლემას. გარდა ამისა, გამოცდილების გააზრება დროთა განმავლობაში განიცდის ცვლილებებს და ეს ცვლილებები აისახება ანდაზებში, რომლებიც სათავეს სხვადასხვა ისტორიული პერიოდიდან იღებენ.

მნიშვნელობით საპირისპირო ანდაზები გამოიყოფა პრაქტიკულად ყველა დიდ თემატურ ჯგუფში. დაპირისპირების საფუძველი, როგორც წესი, შეფასებითი კრიტერიუმია - „კარგი-ცუდი“.



მაგალითად, სპირტიანი სასმელების დადებითი მხარე უპირისპირდება უარყოფითს: “A cask of wine works more miracles than a church full of saints”(კასრი ღვინო უფრო მეტ საოცრებებს ახდენს, ვიდრე წმინდანებით სავსე ეკლესია); „ Bacchus has drowned more men than Neptune“ (ბახუსმა მეტი ადამიანი დაახრჩო, ვიდრე ნეპტუნმა), შდრ. ქართ. „ღვინომ ქვევრი გახეთქა და კაცს რაღას უზამსო“. სიბერეს მიეწერება ორი საპირისპირო დახასიათება-სიბრძნე და სიბრიყვე: “ If you wish good advice, consult an old man”(თუ ჭკვიანური რჩევა გსურს, მოხუცს ჰკითხეო); “Old head and young hand”(მოხუცის თავი და ახალგაზრდის მკლავი). ქართულშიც მოგვეპოვება მსგავსი ანდაზები: ბერი კაცი ბერდებოდა, ცხენს უკუღმა შეჯდებოდა“, „სიბერეს სირეგვენემდე მიჰყავს ადამიანო“; „ხანდაზმულ კაცს სიზმარიც დაეჯერებაო“. სილამაზე ითვლება ყოვლისშემძლედ და უსარგებლოდ: “ Beauty opens locked doors”(სილამაზე აღებს ჩაკეტილ კარებს); “Beauty is in the eye of the gazer (მშვენიერება ყურადღების თვალშია) შდრ. ქართ. „ვისაც ვინ უყვარს, მისი ლამაზიც ის არისო“; “Beauty is but skin- deep”(გარეგნული სილამაზე მხოლოდ კანის ზედაპირზეა) შდრ. ქართ. „სილამაზეს რა ჭკუა აქვს“.

ანდაზები ხშირად არ წარმოადგენენ სრულ ანტონიმებს, მათი საპირისპირო მნიშვნელობა ასიმეტრიულია: ანდაზა გამოხატავს ერთსა და იმავე სიტუაციაზე სხვადასხვა შეხედულებას. მაგალითად, ანდაზაში “Fear is the prison of the heart” საუბარია შიშის დამღუპველ ზეგავლენაზე, მაშინ, როცა ანდაზაში “Fear is one part of prudence” მოცემულია შიშის შეგრძნების დადებითი მხარე, რადგან შიში აიძულებს ადამიანს, იყოს კეთილგონიერი. აღნიშნული ანდაზები შედარებულია შემდეგი პარამეტრების მიხედვით: „შიში-კარგია“/„შიში-ცუდია“. მაგრამ დადებითი და უარყოფითი არსის დახასიათება არაა მკაცრად ანტონიმური: რადგან, ერთი მხრივ, შიში თრგუნავს ადამიანის გრძნობებს, მისწრაფებებს, მეორე მხრივ, აიძულებს, იყოს კეთილგონიერი. ნამდვილი ანტონიმური დაპირისპირება იქნებოდა: „შიში თრგუნავს გრძნობებს“ - „შიში ათავისუფლებს გრძნობებს“, ან „შიში აიძულებს, იყოს კეთილგონიერი“- „შიში აიძულებს, იყოს არაკეთილგონიერი“.

ანდაზებში შეინიშნება ენობრივი ანტონიმები, რომლებიც შეიძლება იყოს სხვადასხვა ფუძიანი და იშვიათად ერთფუძიანი: youth-age, ახალგაზრდობა-სიბერე; good-bad, ცუდი-კარგი; little-great, პატარა-დიდი; married-unmarried, გათხოვილი- გაუთხოვარი...

Youth and age will never agree.

ახალგაზრდობა და სიბერე ერთმანეთს ვერასდროს ეთანხმებიან.

Little fishes slip through nets, but great fishes are taken.

დიდ თევზებს იჭერენ, ხოლო პატარა თევზები ბადეს უსხლტებიან.

The married man has many cares, the unmarried one many more.

დაქორწინებულ კაცს ბევრი საზრუნავი აქვს, ხოლო დაუქორწინებულს უფრო მეტი.

ანდაზური ანტონიმის შედარებით კვლევა ერთ-ერთი შესაძლო მიმართულებაა, რომელიც წარმოაჩენს სხვადასხვა ხალხის მიერ სამყაროს ასახვის ანდაზურ სურათს,

მსგავსებასა და განსხვავებას გარემომცველი სამყაროს ანდაზურ ხედვაში. პარემიულ ფონდში შეიძლება გამოიყოს ანდაზები ოჯახზე, შრომაზე, სიზარმაცეზე, სიმდიდრესა და სიღარიბეზე, ფულზე, სიძუნწეზე, ბედნიერებასა და უბედურებაზე... გამოყოფილ ჯგუფებს შორის მკვეთრი ზღვარი არ არის. ერთი და იგივე ანდაზა შეიძლება შედიოდეს სხვადასხვა ჯგუფში. მაგალითად, “The darkest hour is that before the dawn” (ყოველთვის არსებობს იმედი, ყველაზე უიმედო სიტუაციაშიც კი) შედის როგორც იმედის, ისე დროის ამსახველი ანდაზების ჯგუფში. ერთი მხრივ, ის სთავაზობს ადამიანს არ დაკარგოს იმედი მძიმე გარემოებაშიც კი, მეორე მხრივ, მიუთითებს ყველაფრის ცვალებადობაზე დროში.

დიდ ანდაზურ ჯგუფებში შეიძლება გამოიყოს მცირე ჯგუფები, ანუ ქვეჯგუფები.

ანდაზურ ფონდში გამოყოფენ, აგრეთვე, ანტი-ანდაზებს, რომლის შესახებაც სხვაგან გვაქვს მსჯელობა.

## **2.2. ინგლისური და ქართული ანდაზების სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება**

ანდაზა ერთნაირადაა საინტერესო მეცნიერების სხვადასხვა დარგის (ფოლკლორისტიკა, ლინგვისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ეთნოგრაფია) მკვლევართათვის. ანდაზა ტექსტუალურად მინი-ტექსტია, მას უწოდებენ,

აგრეთვე ლინგვოკულტურულ ტექსტს, ინტერტექსტის ერთ-ერთ სახეს. იგი თავისი შინაარსით წარმოადგენს მინი-ლიტერატურულ ნაწარმოებს. ყოველ ანდაზას ახასიათებს სტრუქტურა და სემანტიკა, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ერთმანეთის გარეშე არ არსებობს.

ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია ინგლისური და ქართული ანდაზების სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება. იმის გამო, რომ საკითხი დიდია და მასალაც სოლიდური, ამიტომ სათანადო მასალას შერჩევით დავახასიათებთ.

Good seed makes a good crop (კარგი თესლი კარგ მოსავალს იძლევა).

ქართ. რაც ხეა, ნაყოფიც ისეთიაო.

კარგი თესლისგან კარგ მოსავალს უნდა ველოდოთ, მაშასადამე, კარგისგან კარგს მივიღებთ. ასევე შეიძლება ითქვას კარგი ჯიშის//მოდგმის ადამიანისგან კარგ შთამომავლობას უნდა ველოდოთ. ივარაუდება, რომ ცუდისგან ცუდს მივიღებთ. ქართულ მაგალითშიც თითქმის იგივე აზრია ჩაქსოვილი: როგორცაა ხე, ნაყოფსაც ისეთივეს მოგვეცემს, (რაც ხეა, ნაყოფიც ისეთი იქნება), ინგლისურში ეს ვითარება უფრო მარტივადაა გადმოცემული, ვიდრე ქართულში. შედარება მიდის შემდეგნაირად: ინგლისურში-კარგი-კარგი, ქართულში-რაც//როგორიც-ისეთი.

Attack is the best form of defence (თავდასხმა საუკეთესო თავდაცვაა).

ქართ. გაღმა შეედავე და გამოღმა შეგრჩებაო.

ომებში გამოწრთობილმა ინგლისელებმა კარგად იცოდნენ, რომ დასწრება და მტერზე თავდასხმა, თავდაცვის საუკეთესო საშუალება იყო. ეს აზრი ქართულ ვარიანტში სხვაგვარადაა მოცემული. რა თქმა უნდა, აზრობრივად და მნიშვნელობით ანდაზები ყოველთვის არ შეესატყვისება ერთმანეთს. ზოგჯერ ეს მიახლოებითია.

Better the devil you know, than the devil you don't know (უკეთესია ის ეშმაკი, ვისაც იცნობ, ვიდრე ის, ვისაც არ იცნობ).

ქართ. შეუჩვეველ ჭირს შეჩვეული ჯობიაო.

ინგლისური ანდაზა კონკრეტულად მიუთითებს ნაცნობი ეშმაკის უკეთესობაზე, ვიდრე უცნობისა, რადგან ნაცნობის თვისებები შესწავლილი და ამოხსნილია, უცნობის კი

არაფერია ცნობილი. ქართული ანდაზა უფრო ზოგადი პოზიციებიდან ასახავს ამ ვითარებას. პრინციპში ორივე ანდაზის აზრი თითქმის ერთია:

ინგლისურში-ნაცნობ ეშმაკს შეგუებული ხარ და გირჩევნია უცნობს.

ქართულში-შერვეული ხარ არსებულ ჭირს და შეურვეველს გირჩევნია.

მოცემული ვითარება სხვადასხვაგვარადაა ასახული (ლექსიკურად თუ ცნებების გამოყენების თვალსაზრისით). ინგლისურ ვარიანტში აღებულია ნაცნობი და უცნობი ეშმაკი, ქართულში შერვეული და შეურვეველი ჭირი. ორივეს აზრი კი ერთია: ნაცნობი, შერვეული უკეთესია, ვიდრე უცნობი და შეურვეველი. სხვაობა უფრო თვალსაჩინოა სტრუქტურაში. ინგლისური აღნიშნულ სიტუაციას უფრო რთულად და მრავალსიტყვაობით გადმოგვცემს. ქართული კი- მარტივად, მოკლედ და ლაკონიურად.

Business before pleasure (ჯერ საქმე, მერე დასვენება).

ქართ. ჯერ შრომა, მერე ხტომა.

ჯერ სწავლა, მერე გავლა.

თავდაპირველად შრომაა აუცილებელი (გონებრივი იქნება თუ ფიზიკური), მერე კი დასვენება (ინგლისურში-გართობა). ეს არის ნორმალური ადამიანის ცხოვრების წესი და საზოგადოებაშიც მიღებული. ცხოვრების ასეთი წესი ორივე ეთნოსის (ინგლისური და ქართული) ანდაზებში ანალოგიურად არის გააზრებული. სტრუქტურულადაც ერთნაირად არის აგებული, მაგრამ ასახვის თავისებურება მაინც ჩანს. მოცემულ ანდაზებში მთავარი ისაა, რომ პროცესი ერთნაირი თანმიმდევრობითაა გააზრებული: ჯერ შრომა, მერე დასვენება და არა პირიქით.

Everybody's business is nobody's business (საერთო (ყველას) საქმე არავის საქმეა). ქართ. საზიარო ყანა (ფეტვი) ჩიტმა მოჭამაო; ზიარი ყანა კოლომ მოძოვაო; ზიარი ძროხა მგელმა შეჭამაო.

ცხრა ძიძის ხელში ყმაწვილი შიმშილით მოკვდაო.

ორ ძიძის შუა ბავშვი დაიხრჩოო.

მკვდარს ცხრა კაცი მარხავდა და მაინც დაუმარხავი დარჩაო.

ამ ანდაზებში (ინგლისურშიც და ქართულშიც) მოცემულია საერთო საქმის (ან საკუთრების) კრიტიკა. თუ საქმე ყველას გასაკეთებელია, ან რაიმე საკუთრება საზიაროა, საქმე არ გაკეთდება, საკუთრება კი განადგურდება. ამ საკითხს ქართული ანდაზები უფრო მრავალფეროვანი სახით წარმოგვიდგენს, ვიდრე ინგლისური, თუმცა შეიძლება ინგლისურშიც ასეა, მაგრამ ამჯერად სხვა მასალა არ გაგვაჩნია. ქართულ ანდაზებში ოჯახში შესასრულებელი საერთო საქმეც ანალოგიურადაა შეფასებული: ერთმანეთისა ცქერითა, სახლი აივსო მტვერითა; ერთმანეთისა ბაძვითა, სახლი აივსო ნაგვითაო.

ამრიგად, აღნიშნული ანდაზების მიხედვით, საერთო საქმე ან საკუთრება უარყოფითი კონოტაციით ხასიათდება. მოცემული მაგალითების დედაარსი ის არის, რომ ყველაფერს ერთი პატრონი უნდა ჰყავდეს და საქმეც კარგად გაკეთდება.

A barley corn is better than a diamond to a cock (მამალს პურის მარცვალი ურჩევნია მარგალიტს).

ქართ. ნუ დაუყრი ღორს მარგალიტებსო.

ამ ანდაზების სემანტიკა ერთია: მარგალიტი ძვირფასია მისთვის, ვინც მისი ფასი იცის და სათანადოდ გამოიყენებს კიდევ. მაგრამ სტრუქტურული სხვაობა თვალსაჩინოა. კერძოდ, ინგლისური ანდაზა თხრობითი კილოთია გადმოცემული, ქართული-ბრძანებითით. ე.ი. ინგლისური ანდაზა, როგორც წინადადება, თხრობითია, ქართული-ბრძანებითით.

A bird in the hand is worth two in the bush (ხელში ერთი ჩიტის ყოლა სჯობია ბუჩქში მჯდომარე ორ ჩიტსა).

ქართ. დღევანდელი კვერცხი სჯობია ხვალინდელ ქათამსაო.

ნუ მპირდები ცაში წეროს, ხელში მომეც ბელურაო.

ამ ანდაზების არსი ისაა, რომ სამომავლოდ ზღაპრულ დაპირებებს სჯობია მცირე და ნაღდი. რა თქმა უნდა, ეს სიტუაცია სხვადასხვაგვარადაა გადმოცემული (თუნდაც ლექსიკურად), კერძოდ, ინგლისურ ვარიანტში დაპირებულ ორ ჩიტს (ან ბუჩქში მჯდომარეორ ჩიტს) სჯობია ერთი, რომელიც ხელში გყავს. ხოლო ქართულ ანდაზაში მოცემულია ის აზრი, რომ ზღაპრულ დაპირებებს (მომავალში) დღევანდელი მცირედიც

სჯობია. შედარებისათვის გამოყენებულია კვერცხი//ბელურა (მცირე ოდენობის მნიშვნელობით), ქათამი//წერო (დიდი ოდენობის მნიშვნელობით).

სიტუაციის ასახვის თვალსაზრისით, მოცემული ინგლისური და ქართული ანდაზები განსხვავებულია, მაგრამ მსგავსი აზრია ჩაქსოვილი.

Absence makes the heart grow fonder.

(განშორება აძლიერებს სიყვარულს/, განშორებამ სიყვარული იცისო).

Absence sharpens love, presence strengthens it.

(სიახლოვე ღრღნის სიყვარულს, სიშორე აძლიერებს მას).

ქართ. ახლოს გყავდი - არ გიყვარდი, შორით შენი ჭირიმეო.

ახლოს მოხვალ მყრალი ხარო, შორს წახვალ და ბრალი ხარო.

ეს ანდაზები სიტუაციურად ერთსა და იმავეს ასახავს, კერძოდ, მოცემულია ის აზრი, რომ, როცა ადამიანი შენს გვერდითაა, მის ფასს ვერ გრძნობ, შორს რომ წავა, მაშინ გამოჩნდება მისი როლი და მნიშვნელობა შენს ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, ასახვის ფორმა განსხვავებულია. ქართულში უფრო ლაკონიურად და მხატვრულადაა ეს მოვლენა მოცემული.

A broken friendship may be soldered, but will never be sound.

(ერთხელ შებღალულმა მეგობრობამ სიმტკიცე აღარ იცის).

A cracked bell can never sound well.

(გაბზარულ ზარს კარგი ხმა ვერ ექნებაო).

ქართ. ერთხელ დაკოდილ გულს ვერაფრით გაამთელებო.

კაცის გული შუშა არის, თუ ერთი გაიბზარება, აღარ გამთელდებაო.

დაღვრილი წყალი აღარ აიხვეტებაო.

გატეხილი პური არ გამთელდებაო.

მოცემული ყველა ანდაზა ადამიანებს, მეგობრებს შორის ურთიერთობის საკითხს ეხება. პირველ ინგლისურ ანდაზაში გატარებულია აზრი, რომ მეგობრობას გაფრთხილება უნდა. თუ კი ის ერთხელ შეიბღალა, შეილახა, მას თავდაპირველი სიმტკიცე აღარ ექნება. მეორე ანდაზაშიც იგივეა ნათქვამი. აქ ურთიერთობა ზართანაა შედარებული, კერძოდ,

გაუბზარავი ზარი კარგ ხმას გამოსცემს, ვიდრე გაბზარული, გაბზარულს ის ხმა აღარ ექნება, ვიდრე გაუბზარავს. მამასადამე, შებღალული, შეღახული მეგობრობა ძველებურად აღარ იქნება. ორივე ინგლისური ანდაზა მარტივი ფორმითაა წარმოდგენილი.

ქართული ანდაზების პირველ ვარიანტში გატარებულია აზრი, რომ დაკოდილი, დაჭრილი გული აღარ გამთელდება, ისე, როგორც ჭრილობა (რომელიც ისე არ მორჩება, რომ კვალი არ დატოვოს). მეორე და მესამე ანდაზაც იმავე ვითარებას აღწერს და ადასტურებს პირველ ანდაზაში აღწერილ სიტუაციას. მეორე ანდაზაში ადამიანის გული შედარებულია შუშასთან, რომელიც თუ ერთხელ გაიბზარა, მისი გამთელება შეუძლებელია, ისე როგორც შეუძლებელია გატეხილი პურის გამთელება. მეორე ქართული ანდაზა სიტუაციას უფრო რთული სახით აღწერს, ვიდრე - პირველი, მესამე და მეოთხე.

სხვაობა თავს იჩენს მოვლენის ასახვის სფეროში. კერძოდ, ინგლისური პირველი ანდაზა შედარებისათვის იყენებს შებღალულ, შეღახულ მეგობრობას, მეორე მხრივ, იგულისხმება შეუბღალავი, შეულახავი მეგობრობა, მეორე ანდაზაში კი გამოყენებულია შედარება გაბზარული ზარის ხმა გულთან (იგულისხმება გაბზარული გული), რომელიც ისეთი აღარ იქნება, როგორც იყო. ქართულში კი მეგობრობაში თუ რაიმე უსიამოვნება მოხდა, გული დაჭრილს, დაკოდილს დაემსგავსება და აღარ აღდგება, აღარ გამთელდება, როგორც გაბზარული გული და გატეხილი პური. ე.ი. გაბზარული გული შედარებულია გაბზარულ შუშასა და გატეხილ პურთან, დაღვრილ წყალთან. მოცემული როგორც ინგლისური, ისე ქართული ანდაზების მიხედვით, შებღალული მეგობრობა აღარასოდეს აღდგება.

1. Birds of a feather flock together (ერთნაირი ფრინველები ერთად იკრიბებიან), შდრ. ქართ. „თხა თხას მისდევს ცხვარი ცხვარსო.
2. Like begets like (მსგავსი მსგავსსა შობს), შდრ. ქართ. „ქორი ქორსა ჩეკს, ძერა-ძერუკასა“.
3. Like father like son (რაც მამა, ისეთი შვილი), შდრ. ქართ. „კვიცი გვარზეხტის“.
4. Like cow, like calf (როგორც ძროხა, ისეთი ხბო), შდრ. ქართ. „როგორც გყავდა დედაო, შენც ისეთი ხარ, ქედაო“.

5. Like (such) carpenter, like (such) chips (როგორც დურგალი, ისეთი ბურბუშელა), შდრ. ქართ. „როგორიც ტყე, ისეთი ნადირო“; „როგორიც ერიო, ისეთი ბერიო“.
6. Like teacher like pupil (როგორიც მასწავლებელი, ისეთი მოსწავლევ), შდრ. ქართ. „რაც მასწავლებელია, ისაა მოწაფევ“.
7. Like master, like man (როგორიც ბატონი, ისეთი მსახური), შდრ. ქართ. „შეხედე ერსა, მერე ბერსაო“.
8. Like priest, like pupil (როგორიც მღვდელიო, ისეთი მრევლიო), შდრ. ქართ. „როგორიც ბერიო, ისეთი ერიო“.
9. Like parents, like children (როგორიც მშობლებია, ისეთია შვილები.), შდრ. ქართ. „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე“.
10. Like mother, like daughter (child) (როგორიც დედაა, ისეთი ქალიშვილიც (შვილიც), შდრ. ქართ. „დედა რა იყო, შვილი რისა იქნებოდაო“.

მოცემული ინგლისური და ქართული ანდაზების მნიშვნელობა ერთია. ოღონდ ერთსა და იმავეს სხვადასხვაგვარად ასახავენ. რაც ნორმალური უნდა იყოს, რადგან განსხვავებული ენები სამყაროს, რეალურ ვითარებას განსხვავებულად ასახავენ.

ჩამოთვლილ ანდაზებში ყველაფერი ზოგად ლოგიკურ მსჯელობას ემყარება. მაგალითად, დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე; კვიცი გვარზე ხტის; დედა რა იყო, შვილი რისა იქნებოდაო... მოცემულია მშობლის ფაქტორი, ე.ი. როგორიცაა მშობელი, ისეთი იქნება შთამომავლობაც. ყველა თავის ჯიშს ეძებს (თხას თხა ურჩევნია ათას სულ ცხვარსაო), ბაღლი ბაღლებთან გაძლებს, ძაღლი - ძაღლებთან, თხა თხას მისდევს ცხვარი ცხვარსო და ა.შ. მაშასადამე, აღნიშნული ანდაზების დედააზრი ისაა, რომ მსგავსი მსგავსისკენ მიისწრაფვის ან მსგავსი მსგავსს ემსგავსება.

1. Cut your coat according to your cloth (პალტო იმის მიხედვით გამოსჭერი, რამდენიც ქსოვილი გაქვს).	ქართ. „ფეხი იქამდე გაჭიმე, სადამდისაც საბანი გაგწვდებაო“
2. Stretch your legs according to your coverlet (ფეხები დასაფარებლის მიხედვით გაჭიმეო).	ქართ. „კაცმა ფეხი ისე უნდა გაჭიმოს, საბანს გარეთ არ დარჩესო“.



ეს ანდაზები ზომიერებაზე მიუთითებს. განსხვავება ინგლისურ და ქართულ ანდაზებს შორის ისაა, რომ ქართული კონკრეტულად მიუთითებს დასაფარებლის სახეობაზე „საბანი“. ხოლო ინგლისურ მაგალითებში მოცემულია ზოგადად „დასაფარებელი“.

1. Make hay while the sun shines (თივა მანამ თიბე, ვიდრე მზე კაშკაშებს)	ქართ. „სანამ თორნე ცხელია, პური მანამ ჩააკარო“.
2. Strike while the iron is hot(რკინა სანამ ცხელია, მანამ გაჭედო)	ქართ. „სანამ კეცი ხურს, ცომი დააკარო“.
3. Take time by the forelock (დროს ქოჩორში ჩაშვიდე ხელი)	ქართ. „წკნელი სანამ პატარაა, მოგრიხე, გაიზრდება-აღარ
4. Tomorrow come never („ხვალ“ არ გამოელევა)	ქართ. „დღე-მეხვალზე კაცსაო თოვლი მოადგა კარსაო“.

(მაგალითებს ვსარგებლობთ მ. რუსიეშვილის წიგნიდან: (რუსიეშვილი 2005).

ეს ანდაზებიც მსგავსი სემანტიკით ხასიათდება. მათი უმეტესობა ბრძანებითი კილოთია მოცემული. ყველა მათგანი მიუთითებს, რომ საქმის გასაკეთებლად ხელსაყრელი მომენტი უნდა გამოიყენო და დროზე უნდა გააკეთო.

You can take a horse to the water, but you can't make him drink (შენ შეგიძლია მიიყვანო ცხენი წყალთან, მაგრამ ვერ აიძულებ მის დალევას). ე.ი. ძალდატანებით არაფერი გამოვა, თუ გინდა ვინმეს დაეხმარო, მაგრამ ის შენ არ გისმენს, არ ღებულობს რჩევას, ჯობია თავი დაანებო, რადგან ძალით არაფერი გამოვა. მოცემული ინგლისური ანდაზის მსგავსი შეიძლება იყოს ქართული ანდაზა: „ძალით წასეული ძაღლი ნადირს არ დაიჭერს“. აქაც იგივე აზრია: ძალდატანებით არაფერი გამოვა. ეს ვითარება ქართულში მარტივი სახითაა გადმოცემული, ინგლისურში კი- უფრო რთულად.

თემატიკის მიხედვით, ამგვარი მაგალითები უამრავია. დაიძებნება მათ შორის მსგავსებაც და განსხვავებაც. განხილული ანდაზების უმეტესობა უნივერსალური გამონათქვამებია. ამიტომაც ამჟღავნებენ ერთმანეთთან სიახლოვეს.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს (ზემოთაც ითქვა), რომ ანდაზასთან დაკავშირებით არც ერთი საკითხი არაა ბოლომდე საფუძვლიანად შესწავლილი. რა თქმა უნდა, არც სემანტიკური და სტრუქტურული მახასიათებლებია სრულყოფილად გამოკვლეული. ამასთანავე, ნაშრომთა უმეტესობაში ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებებია გამოთქმული.

ამრიგად, ინგლისური და ქართული ანდაზები სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით ბევრ საერთოს პოულობს ერთმანეთთან. ეს საერთოობა უფრო მეტად ჩანს ზოგად პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც გარკვეულწილად ერთნაირია ორივე ეთნოსისათვის და შესაბამისად ასახულია პარემიებშიც. ანდაზა მხოლოდ მისი შემოქმედი ერის კუთვნილებაა, თუმცა მკვეთრ ეროვნულ სპეციფიკასთან ერთად, ბევრ ანდაზას მკვეთრი განზოგადებული მნიშვნელობაც გააჩნია. იგი უნივერსალურ გამონათქვამთა რიგს მიეკუთვნება. ერთი ენის ანდაზებს არ მოეპოვება ზუსტი ანალოგი სხვა ენაში, მაგრამ მსგავსი ცხოვრებისეული სიტუაციები ერთნაირადაა (დაახლოებით მაინც) ინტერპრეტირებული.

ბუნებრივია, ანდაზების სხვაობა სტრუქტურული თვალსაზრისითაც. ვინაიდან ინგლისური და ქართული ენობრივი სტრუქტურები განსხვავებულია, შესაბამისად, განსხვავებული იქნება ანდაზების სტრუქტურაც. ასევე სემანტიკაც ხასიათდება მსგავსებითაც და განსხვავებული თვისებებითაც. ანდაზები განსხვავებულია ლექსიკითაც, რადგან ყოველი ერი ანდაზაში იყენებს თავისი ენისათვის ნაცნობ ცნებებს. მსგავსება ვლინდება ანდაზების ტიპების (მოდალობის, რაგვარობის) მიხედვითაც. ყველა ხალხის ანდაზურ ფონდში მოიპოვება ბრძანების, რჩევის, რეკომენდაციის ტიპის ანდაზები. გვხვდება, აგრეთვე, სინონიმური და ანტონიმური ანდაზები.

სტრუქტურული თვალსაზრისით, ნებისმიერი ანდაზა წარმოადგენს საერთო აზრის მქონე კონკრეტულ მსჯელობას იმის შესაბამისად, რომ მსჯელობაში მტკიცდება რაღაც ნიშანი, რომელიც მიეკუთვნება ან შეიძლება მიეკუთვნოს სხვა მოვლენებსაც, რომლებიც მსგავსია ერთმანეთისა ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით, თუმცა სხვა ყველაფრით განსხვავდებიან. ამის საფუძველზე შეიძლება წარმოიშვას მრავალრიცხოვანი და

მრავალგვარი ანალოგიები: ანდაზური სახე, როგორც ქარაგმული გამონათქვამი, გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა კონკრეტული ფაქტისა და მოვლენის მიმართ.

ანდაზა, სიმოკლისა და წინადადებისეული სტრუქტურის მიუხედავად, თავისი არსით დასრულებული გამონათქვამია, რომელიც გამოხატავს ტექსტ-დისკურსის არსებით ნიშნურ ფუნქციებს: ნომინაციას, პრედიკაციას, თემატიზაციას და

სტილიზაციას. ანდაზები იდიომატურია. მათი შინაარსის ელემენტს წარმოადგენს

„ციტატურობა“, ანუ საყოველთაოდ მიღებულ აზრზე მითითება, რომელსაც ეყრდნობა მოსაუბრე. ბუნებრივია, ეს ზოგადი მსჯელობა ვრცელდება ინგლისურ და ქართულ ანდაზებზეც.

ვინაიდან ანდაზებს უპირატესად გააჩნიათ დამრიგებლობითი შინაარსი, მათში გამოიხატება როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შეფასება. ამ რიგის ანდაზების გრამატიკული ფორმა ანალოგიურია და შეესაბამება მათი შინაარსის ხასიათს. სწორედ ამიტომ დადებითი და უარყოფითი შეფასების ინგლისური და ქართული ანდაზები ძირითადად წარმოდგენილია თხრობითი და, ნაწილობრივ, ბრძანებითი წინადადებებით. კითხვითი და ძახილის კონსტრუქციები მათთვის თითქმის არ არის დამახასიათებელი.

თხრობითი ფორმის ანდაზები ორ ჯგუფად იყოფა: მარტივი წინადადების ფორმის ანდაზები და რთული წინადადების ფორმის ანდაზები. მარტივი თხრობითი წინადადების ფორმის ანდაზები საკმაოდ ბევრია. ასეთ მაგალითებში ქვემდებარის როლს ხშირად ასრულებს არსებითი სახელი, რომელსაც ხან ახლავს ზედსართავი სახელი, ხან არა.

დადებითი შეფასების ანდაზები:

A good name keeps its luster in the dark- კარგი სახელი სიბნელეშიც ანათებს, ქართ. ოქრო წყალშიც არ იძირებაო; A good deserves a good bone-კარგი ძაღლი კარგ ძვალს იმსახურებს; ქართ. კარგ საპირეს კარგი სარჩული უნდაო; A good wife makes a good husband-კარგი ქალი ქმარსაც კარგს გახდისო. ქართ. კარგი ცოლის პატრონს საგზალი არ უნდაო; The end justifies the means-მიზანი ამართლებს საშუალებას. ქართ. მიზანი ნახევარი საქმის შესრულებააო; Fools and madmen speak the truth- სულელები და გიჟები სიმართლეს ლაპარაკობენ.

მოცემული ინგლურ ანდაზას უფრო შეესატყვისება ქართული ანდაზა–გიჟი ბევრჯერ მართალს იტყვის).

უარყოფითი შეფასების ანდაზები:

Greedy folk have long arms-გაუმაძღარ ადამიანს გრძელი ხელები აქვს. ქართ. მდიდარი ღარიბს პერანგს აძრობდაო; A fair face may hide a foul heart-ლამაზი სახე შეიძლება საზიზღარ გულს ფარავდეს; ქართ. ლამაზი სახე და ბილწი გულიო. Pride goes before a fall-სიამაყე დაცემის წინამორბედა; ქართ. ვინც თავს მაღლა წაიღებს, ფეხს წაიკრავსო; Honours change manners-საზოგადოებრივი მდგომარეობა ადამიანებს ცვლის. ქართ. ვინც მდიდრდება მეგობრებს ივიწყებსო.

თხრობით წინადადებებში შემასმენელი შეიძლება იყოს მარტივი და შედგენილი.

მოქმედების გამომხატველი ზმნური შემასმენელი ძირითადად წარმოდგენილია პირიანი ზმნის ფორმით. დადებითი შეფასების ანდაზების მაგალითები:

An apple a day keeps the doctor away- ყოველდღე თუ თითო ვაშლს შეჭამ, ექიმიც არ დაგჭირდება; ქართ. ადამიანის მკურნალია: მხიარულება, დასვენება და ზომიერი კვებაო; All doors open to courtesy-თავაზიანობის წინაშე ყველა კარი ღიაა. ქართ.ტკბილი სიტყვა რკინის კარს გააღებსო;

უარყოფითი შეფასების ანდაზები:

Pleasure has a sting in its tail-სიამოვნებას კუდში ნესტარი აქვს; ქართ.სიამოვნება თავშეუწუხებლად არ იქნებაო; Idleness rusts the mind-უქმად ყოფნისაგან ტვინს ჟანგი ეკიდება; ქართ. უსაქმურობა გონებას აჩლუნგებს.

ზოგჯერ გვხვდება პასიური გვარის ზმნური შემასმენელი:

A good deed is never lost-კარგი ნამოქმედარი არ დაიკარგება; ქართ. კარგი ქენი ქვას დადევნის, გაიარე, წინ დაგხვდებაო.

შედგენილი შემასმენლიანი (რომელიც აღნიშნავს ფაქტებს, მდგომარეობის, საგნის ხარისხს, ან რაიმე სხვა მახასიათებლებს) ანდაზების უმრავლესობაში გვხვდება is .

დადებითი შეფასების ანდაზები:

Necessity is the mother of invention-გაჭირვება გამოგონების დედაა; ქართ. გასაჭირი ბრძენზე ბრძენიაო; Good health is above wealth-სიმდიდრეს ჯანმრთელობა სჯობს; ქართ. კაცი ჯან-ღონით ცოცხლობს. Experience is the mother of wisdom-გამოცდილება სიბრძნის დედაა. ქართ.სიბრძნე გამოცდილების შვილიაო.

უარყოფითი შეფასების ანდაზების მაგალითები:

Idleness is the mother of all evil-უქმად ყოფნა ბოროტების დედააო. ქართ. სიზარმაცე ყოველგვარი ბოროტების დედააო; An idle brain is the devil's workshop-უქნარა ტვინი ეშმაკის სახელოსნოა. ქართ. უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო; A great fortune is a great slavery-დიდი სიმდიდრე დიდი მონობაა. ქართ. ბევრი ფული ბევრი დარდიო.

რთული ქვეყნობილი სტრუქტურის ანდაზებში გვხვდება განსაზღვრებითი ქვეყნობილი წინადადებები, რომლებშიც გამოყენებულია საკავშირებელი სიტყვები -that და Who.

დადებითი შეფასების ანდაზები:

All is well that ends well-ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება; He is a good friend that speaks well of us behind our backs- კარგი მეგობარია ის, ვინც ჩვენს ზურგსუკან ჩვენზე კარგს საუბრობს. ქართ. მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო; He knows much who know how to hold his tongue-ჭკვიანი ის არის, ვინც ენაზე კბილის დაჭერა იცისო. ქართ. ენას კბილს თუ არ დაადგამ, თავში ჩაგირაკუნებსო.

უარყოფითი შეფასების ანდაზები:

All are not saints that go to church-ყველა წმინდანი არაა ვინც ეკლესიაში დადის. ქართ. ყველა პირჯვარს იწერს, მაგრამ ყველა როდი ლოცულობს; Dogs that put up many haves kill nine-ძალი, რომელიც ერთდროულად ბევრ კურდღელს აფრთხობს, ვერც ერთს ვერ დაიჭერსო. ქართ. ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო.

უფრო იშვიათია რთული ქვეყნობილი აგებულების უკავშირო ანდაზები:

Money spent on the brain is never spent in vain-სწავლაში დახარჯული ფული, ამაოდ დახარჯული არაა. ქართ. განათლებაზე დახარჯული ფული, დაკარგული არ არისო; An honest tale speeds best, being plainly told-მარტივად თქმულ ამბავს, მეტი გასავალი აქვს. ქართ.

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის; A lazy sheep thinks its wool is heavy-ზარმაც ცხვარს თავისი მატყლი ემძიმება. ქართ. ზარმაც ცხენს კუდი ემძიმებაო.

ასეთი ტიპის ანდაზა-წინადადებებში ქვემდებარე მეტწილად გამოხატულია he ნაცვალსახელით ან არსებითი სახელით, იშვიათად კი- ნაცვალსახელით-all. შემასმენელი შეიძლება იყოს, როგორც ზმნური, ასევე შედგენილი.

თანწყობილი სტრუქტურის ანდაზა-წინადადებები უფრო იშვიათია. თანაც უკავშიროს. მაგ., Experience keeps no school, she teaches her pupils singly-გამოცდილება ძვირად ჯდება, მაგრამ სულელები სხვა გზით ვერ სწავლობენ. ქართ. გაჭირვება ბევრ რამეს გასწავლისო; Speech is silver, silence is gold-სიტყვა ვერცხლია, დუმილი ოქრო. ქართ. სიტყვა ქარიაო.

ზოგიერთ ანდაზას აქვს წამქეზებელი წინადადების ფორმა. ისინი აქეზებენ მოქმედებისკენ, ამასთანავე, დადებითი შეფასების ანდაზები ძირითადად თხრობითი კილოთია წარმოდგენილი, ხოლო უარყოფითი შეფასების ანდაზებს უპირატესად გააჩნია უარყოფის ფორმა: Don't sell the bear's skin before you've caught it-სანამ დათვს არ დაიჭერ, მის ტყავს ნუ გაჰყიდი; ქართ. ბავშვი არ დაბადებულყო და აბრამს არქმევდნენ; Don't cross the bridge before you come to it-ნუ გაივლი ხიდზე, სანამ მასთან არ მისულხარ. ქართ. წინასწარ სიძნელეების შექმნა; Don't count your chickens before they are hatched-ნუ დათვლი წიწილებს, სანამ არ გამოიჩეკებიანო. ქართ.ნუ გაივლი ხიდზე, სანამ მასთან მიხვალო.

განხილული ანდაზების ტროპული სტრუქტურა დაახლოებით ანალოგიურია. ხშირად გვხვდება ისეთი ტროპები, როგორცაა განსახიერება და მეტაფორა. განსახიერების შემცველი ანდაზებია: Many words hurt more than swords-ბევრი სიტყვა ხმალზე უფრო ჭრის. ქართ. ენამ (სიტყვამ) მოჭამა სოფელი, არც ეგრე ხმალმა ამოღებულმა. Opportunity makes the thief-შემთხვევა ადამიანს ქურდად აქცევს. ქართ. ცუდის შემნახველი ქურდის ამხანაგიაო; Care killed the cat-კატა დარდმა მოკლა. ქართ. კაცს დარდი კლავს და არა შრომაო. Good clothes open all doors (დადებითი)-კარგ ტანისამოსს ყველა კარი ღია ხვდება. ქართ. თვალი ჭამს და თვალი სვამსო.

მეტაფორის შემცველი ანდაზების მაგალითები: Procrastination is the thief of time-დაყოვნება დროის დაკარგვაა; გადადება დროის ქურდია. ქართ. გადადებული საქმე გადაგდებულიაო; A bad workman quarrels with his tools-ცუდი ხელოსანი თავის ხელსაწყოებს ეჩხუბება. ქართ. უხეირო ხელოსანი უხეირო ნაკეთებს იარაღებს დააბრალებსო; A little fire is quickly trodden out-პატარა ცეცხლს ადვილად ჩააქრობ. ქართ. ნაპერწკლის ჩაქრობა უფრო ადვილია, ვიდრე ხანძრისა; Love is blind, as well as hatred -სიყვარული, ისევე როგორც სიძულვილი, ბრმაა. ქართ. სიყვარული ბრმაა; A good home keeps its luster in the dark-კარგი სახელი სიბნელეშიც ანათებს. ქართ. ოქრო წყალშიც არ იძირებაო; Diligence is the mother of success-ბეჯითობა წრმატების დედაა. ქართ. თავდადებული შრომა ყველაფერს მიაღწევსო.

როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შეფასების ანდაზებში ზოგიერთი ტროპი ძალზე ხშირად გამოიყენება, სხვები კი იშვიათად გვხვდება.

ანდაზებისთვის დამახასიათებელია შედარება. მას პარემიებში აქვს გამოხატვის სხვადასხვა ფორმა.

ამრიგად, ანდაზების განმსაზღვრელი ძირითადი თვისებებია: თხრობის სიმოკლე, სიმყარე სამეტყველო ხმარებაში, დამრიგებლობითი ხასიათი, ხალხის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების შემცველობა. დადებითი და უარყოფითი შეფასების განხილულ ანდაზების გრამატიკული ფორმა არის ანალოგიური. ეს არის ძირითადად თხრობითი, ხოლო ნაწილობრივ-წამქეზებელი წინადადებები. კითხვითი და ძახილის კონსტრუქციები ანდაზებისთვის არ არის დამახასიათებელი. დადებითი შეფასების ანდაზების სემანტიკა, როგორც წესი, განირჩევა უარყოფითი შეფასების ანდაზების სემანტიკისგან იმით, რომ დადებითი შეფასების ანდაზები, ძირითადად, თავისი შინაარსით ორიენტირებულია ადამიანზე, მის ხასიათზე, ხოლო უარყოფითი შეფასების ანდაზები – ადამიანის სტატუსზე საზოგადოებაში. დადებითი და უარყოფითი შეფასების განხილული ანდაზების ტროპული სტრუქტურა დაახლოებით ანალოგიურია. ხშირად გვხვდება ისეთი ტროპები, როგორცაა განსახიერება და მეტაფორა. აღსანიშნავია განმეორებები და ოქსიმორონები.

შეიძლება განხილული ინგლისური და ქართული მაგალითები ერთმანეთს არ შეესატყვისებოდეს, რადგან ინგლისური და ქართული განსხვავებული სტრუქტურის ენებია და წინადადების აგების პრინციპიც განსხვავებული იქნება. ამიტომ მოყვანილი ქართული მაგალითები დაახლოებით შეესატყვისება ინგლისურს.

### 2.3. სხვადასხვა ხალხის ანდაზების ინვარიანტულობის პრობლემა

ანდაზები „ხალხის ავტობიოგრაფია“, „კულტურის სარკე“ (Dundes 1988:38), ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტის ერთგვარი სახელმძღვანელო (Taylor 1896: 79-80), განმეორებად სიტუაციებში მოქმედების სტრატეგია (Obelkevich 1994: 213). ანდაზები ადამიანებს სთავაზობენ წინა თაობების მიერ შემოწმებულ და მიღებულ გამოცდილებას, რომელზეც შეიძლება დაყრდნობა (Carnes 1994: 475).

„მინი-ტექსტი“ ანდაზა გრანდიოზულია თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით. სემანტიკური, სტრუქტურული და ფუნქციური პარამეტრებით, იგი იმდენად რთულია, რომ ანდაზის ზუსტი და საყოველთაოდ აღიარებული განმარტება დღემდე არა გვაქვს.

ანდაზები და ანდაზური თქმები სიტუაციებსა და საგნებს შორის გარკვეული დამოკიდებულების გამოხატველი ნიშნებია. რაკი ნიშნებია, მათ უნდა გააჩნდეთ (და გააჩნიათ კიდევ) ყველა ენობრივი ერთეულისათვის ნიშანდობლივი განსაკუთრებული სემიოტიკური მახასიათებლები, რაც თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ანდაზებისა და ანდაზური თქმების ლოგიკური სქემა განხილულ უნდა იქნეს, როგორც ლოგიკო- სემიოტიკური სქემა (Пермяков 1970:21).

ანდაზების შესახებ გ. ლ. პერმიაკოვის მიერ გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, სხვადასხვა ხალხის პარემიები ახდენენ ერთნაირი და ერთმანეთის მსგავსი სიტუაციების მოდელირებას, მიუხედავად მათი ეთნიკური, გეოგრაფიული, ისტორიული და ენობრივი სპეციფიკისა. მსგავსი პარემიები წარმოადგენენ რაღაც ტიპიური სიტუაციების ხატოვან ინვარიანტებს, ხოლო ეს ტიპიური სიტუაციები კონკრეტული ანდაზებისა და ანდაზური თქმების ინვარიანტულია (Пермяков 1970: 20-21).



ამ მოსაზრების თანახმად, სიტუაციური მახასიათებლების მიხედვით, რეალურად არსებულ ანდაზებში უნდა გამოიყოს ოთხი დიდი ლოგიკო-სემიოტიკური ინვარიანტული ჯგუფი (პერმიაკოვი მათ უწოდებს ლოგიკო -სემიოტიკურ ინვარიანტებს).

ლოგიკო-სემიოტიკური კლასიფიკაციის თვალსაზრისით, სხვადასხვა ხალხის ანდაზები საფუძვლიანად შესწავლილი ჯერ კიდევ არაა. ამ ჭრილში განვიხილავთ კონკრეტულად ქართული ანდაზების თავსებადობას აღნიშნული კლასიფიკაციის სისტემაში და პარემიების ინვარიანტულობის ზოგად საკითხებს, რომლებიც პარემიოლოგიის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

მოცემულ შემთხვევაში ჩვენ განვიხილავთ ანდაზების ლოგიკო-სემიოტიკურ კლასიფიკაციას (ქართული ანდაზების შესატყვისებით) მარტივად და გასაგებად (სიმბოლური ჩანაწერების გარეშე).

პირველ ჯგუფში გაერთიანებულია ისეთი ანდაზები, რომლებშიც ასახულია დამოკიდებულება საგანსა და მის თვისებას შორის: თუ რომელიმე საგანს გააჩნია რაღაც თვისება, მაშინ მას გააჩნია სხვა თვისებაც:

მაგ., ყველა ცოცხალი მოკვდავია.

ინგლ. All men are mortal.

ყველა კაცი მოკვდავია.

ქართ. ყველა კაცი სიკვდილის შვილია.

ცის ქვეშ რაც კაცია, სიკვდილისააო.

ცის ქვეშ რაც კაცია, ყველა სიკვდილის შვილია.

ყველა სიკვდილის შვილია.

მეორე ჯგუფში მოდელირდება დამოკიდებულება საგნებს შორის: თუ არსებობს ერთი საგანი, მაშინ არსებობს სხვა საგანიც. ე.ი. ერთი საგნის არსებობა განაპირობებს მეორე საგნის არსებობას:

მაგ., არის წყალი -იქნება თევზი.

ინგლ. There is water-there will be fish.

Where bees are, there is honey.

ქართ. სადაც წყალია, იქ სიცოცხლეც არისო.

სადაც წყალი, იქ წნორიო.

დო იყოს, ბუზი მალე მოვაო.

დიდ გვალვას დიდი ავდარი მოსდევსო.

მესამე ჯგუფში მოცემულია ისეთი ანდაზები, რომლებშიც ასახულია დამოკიდებულება სხვადასხვა საგნის მახასიათებლებს შორის: თუ რომელიღაც საგანი „პირველი“ დამოკიდებულია რომელიღაც საგანზე „მეორე“ და ამ „მეორეს“ გააჩნია რაღაც თვისება, მაშინ „პირველ“ დამოკიდებულ საგანსაც გააჩნია იგივე თვისება:

მაგ., დიდი მთის ჩრდილიც დიდია.

ინგლ. A great ship asks deep waters.

A large mountain has a large shade.

ქართ. დიდ ხეს დიდი ნაყოფი სცვივაო.

დიდი ძვლიდან დიდი ტვინი გამოვაო.

დიდ ხეს დიდი ჩრდილი აქვსო.

დიდ ფელამუმს დიდი გობი უნდაო.

დიდი იალქანის დაბერვას, დიდი ქარი უნდაო.

მაღალი მთის ჩრდილი შორს ეფინებაო.

მეოთხე ჯგუფში წარმოდგენილია ანდაზები, რომლებშიც მოცემულია საგნებს შორის დამოკიდებულება მათი გარკვეული თვისებებიდან გამომდინარე: თუ საგანს „პირველს“ გააჩნია რაღაც თვისება, ხოლო საგანს „მეორეს“ არ გააჩნია ეს თვისება, მაშინ „პირველი“ უკეთესია, ვიდრე „მეორე“.

მაგ., შენი თოხი სხვის გუთანზე უკეთესია (შდრ. რუს. Своя борона лучше чужая плуга).

ინგლ. Dry bread at home is better than roast meat abroad.

-უცხოეთში შემწვარ ხორცს სახლში ხმელი პური ჯობია.

ქართ. გარეულ ოქროსანსა შინაური წვივდამწვარი გერჩივნოსო.

შენი მჭადურა სხვათა ხინკალს გერჩივნოსო.

შენი ჯაგლაგი გერჩივნოს სხვის ბედაურსაო...

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, პირველი და მეორე ჯგუფის ანდაზების უმაღლესი ინვარიანტები ასახავს უფრო მარტივ, კერძოდ, უშუალო დამოკიდებულებას საგანსა და თვისებას შორის. ხოლო მესამე და მეოთხე ჯგუფის ანდაზები უფრო რთული ინვარიანტებია: ისინი ასახავენ საგანთა შორის ურთიერთდამოკიდებულებას მათ თვისებებთან მიმართებით.

როგორც ითქვა, ანდაზები და ანდაზური თქმები ლოგიკო - სემიოტიკური თვალსაზრისით საფუძვლიანად გამოკვლეული ჯერ კიდევ არაა. გ. ლ. პერმიაკოვის თვალსაზრისით (Пермяков 1970:20), რაც გაკეთებულია, მეტყველებს იმაზე, რომ ანდაზური ტექსტების მრავალგვარობის მიუხედავად, ნებისმიერი (არსებული თუ შესაძლო) ანდაზა და ანდაზური თქმა ლოგიკო-სემიოტიკური კლასიფიკაციის შემოთავაზებულ სისტემაში აუცილებლად დაიკავებს თავის ადგილს. პერმიაკოვმა 200- მდე ხალხში დაახლოებით 50.000 ანდაზა შეკრიბა და შედარებით ჭრილში შეისწავლა. სწორედ ამ საკმაოდ სოლიდური მასალის ანალიზის საფუძველზე გააკეთა მან სათანადო დასკვნაც. ვფიქრობთ, ყველა ხალხში არსებული ანდაზური ფონდის აღნიშნულ ჭრილში შესწავლა საშური საქმეა. ჩვენმა დაკვირვებამ ცხადყო, რო ზემოთ განხილული ანდაზები მოცემულ სისტემაში გარკვეულწილად თავსებადი უნდა იყოს. სავარაუდოდ, სხვადასხვა ხალხის პარემიების ანალოგიური კუთხით კვლევა ასეთივე შედეგს აჩვენებს.

სხვადასხვა ხალხის ანდაზების ინვარიანტულობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. როგორც შენიშნულია, ანდაზები, ერთი მხრივ, გამოხატავს ეროვნულ ხასიათს, მეორე მხრივ, ანდაზების უმრავლესობის შინაარსი უნივერსალურია. მრავალ ანდაზას მოეპოვება სინონიმი სხვა ენებში (Левин 1984: 123).

დასტურდება შემთხვევები, როცა ანდაზები ადამიანური გამოცდილებისა და აზროვნების უნივერსალურობის დემონსტრირებას ახდენენ. მაგალითად, კატისა და თევზის შესახებ არსებულ ინგლისურ ანდაზებში- „ The cat loves fish, but she's is loath to wet her feet”, “The cat would eat fish and would not wet her feet” (-კატას თევზი უნდა, მაგრამ თათების

დასველება ეჯავრება)- მოცემულია ის აზრი, რომ სასურველის მისაღწევად თავი უნდა შეიწუხო. ეს ვითარება ანალოგიურადაა ასახული სხვა ენების ანდაზებშიც:

*Cattus amat piscem, sed non vult tangere flumen* (ლათ.).

*Chat aime le poisson , mais il n'aime pas à se mouiller les pates* (ფრ.).

*La gatta trayco vorrebbe pesci, ma non peskare* (იტალ.).

*Лакома кошка до рыбки, да в воду лезть не хочется* (რუს.).

ქართ.: კატას თევზი უყვარს, მაგრამ ფეხის დასველება ეჯავრებაო.

კატას ფეხის დასველების რომ არ ეშინოდეს, თევზებს დაიჭერდაო

(ამავე სიტუაციას ასახავს ქართულში სხვა ანდაზებიც: წყალში დაუსველებლად თევზი არ დაიჭირებაო; ორაგული გინდოდეს, ფეხიც სველი გინდოდესო; ვისაც თევზი უნდა, ფეხები სველი უნდა ჰქონდეს; ვისაც თევზი უნდა, საჯდომის დასველებას ნუ ერიდებაო; ვისაც სურს ვარდი, ეკალს ნუ ერიდებაო; ვისაც ნაღები უყვარს, ძროხა ჯიბით დაყავდესო).

სხვადასხვა ლინგვოკულტურული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ანდაზების მნიშვნელობისა და შინაარსის თანხვედრა რიგი ფაქტორებითაა გაპირობებული. ერთ-ერთი არის სოციალურ-ისტორიული პირობების მსგავსება. ასევე თანხვედრაშია ერების უმრავლესობის ძირითად ცხოვრებისეულ შეხედულებათა სისტემა, ვინაიდან ზნეობრივი ღირებულებები და ადამიანის მიერ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის ძიება საერთოა ყველა ერისთვის. როგორც დიდი ქართველი მწერალი ი. ჭავჭავაძე წერდა: „ადამიანის გონებას ყველგან ერთისა და იმავე გზით უვლია თავის წარმატების გზაზედ, ერთნაირს შიშსა და საფრთხეს ერთნაირი წამალი მოჰყოლია და ერთნაირ მიზეზს ერთნაირად გადუხრია, ერთნაირად გაუტაცნია გონება” (ჭავჭავაძე 1978: 28).

სხვადასხვა ხალხის პარემიების მსგავსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა იყოს, აგრეთვე, ის, რომ ანდაზები უნივერსალურ გამონათქვამებს მიეკუთვნება. უნივერსალური გამონათქვამები კი გაერთიანებულია შინაარსით და იქმნება ლოგიკური საერთო მსჯელობის საფუძველზე. ანდაზები გამოირჩევა განზოგადების მაღალი ხარისხით.

საგულისხმოა, რომ გარე სამყაროს აღქმის პროცესი გარკვეულწილად ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებს. ამიტომაც სხვადასხვა ეთნოსის ანდაზური

შეხედულება გარე სამყაროზე ხშირ შემთხვევაში ემთხვევა ერთმანეთს. მაშასადამე, სოციალურ-ისტორიული პირობების, ძირითად ცხოვრებისეულ ღირებულებებზე შეხედულებების მსგავსებას, გარკვეულწილად გარე სამყაროს ინტერნაციონალურობას და სხვა მსგავს პრობლემებს სხვადასხვა ხალხი მიჰყავს ერთნაირ ანდაზურ შეხედულებამდე.

ღირსსაცნობია, რომ ერთი ერის კულტურაში არსებული ანდაზების მსგავსება სხვა ეთნოკულტურის ანდაზებთან არ განისაზღვრება სრული აზრობრივი და ლექსიკური თანხვედრით, არამედ იმ თემატიკისა და პრობლემის თანხვედრით, რომლებსაც ეს ანდაზები წარმოაჩენენ.

ერთი სიტყვით, სხვადასხვა ხალხის ანდაზების ინვარიანტულობა რეალური ფაქტია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი სავსებით ემთხვევა ერთმანეთს. მათ შორის სხვაობაც არის, რომელიც, ასახვის ფორმაში უნდა ვეძიოთ, რაც ნორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგან ადამიანის მსოფლხედვა დამოკიდებულია იმ ენაზე, რომელსაც იგი ფლობს. იმის გამო, რომ ენათა სტრუქტურები განსხვავებულია, განსხვავებული იქნება მათი მსოფლხედვაც.

ამ დებულების არსებითი პრინციპის მიხედვით, მატერიალური სამყარო ყველა ენისათვის ერთი და იგივეა. ე.ი. ის, რაც უნდა აისახოს, ერთი და იგივეა, მაგრამ ნაირგვარია მისი ასახვა: სხვადასხვა ენა სხვადასხვაგვარად ასახავს ერთსა და იმავეს. აქ, უპირველესად, ივარაუდება ენობრივი ფორმა. აზროვნება ვლინდება ენობრივი ფორმით, ხოლო ენობრივი ფორმები (ენობრივი სტრუქტურები) შესაძლოა მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, განსხვავებულია სხვადასხვა ხალხთა აზროვნების ნორმებიც (ჯორბენაძე 1997:12-17). ანდაზა ენობრივი ერთეულია და ყოველივე აღნიშნული უშუალოდ ეხება მასაც.

ლოგიკო-სემიოტიკური თვალსაზრისით ქართულ ანდაზებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქართული ანდაზები გარკვეულწილად თავსებადია მოცემული კლასიფიკაციის 4 ჯგუფიან ინვარიანტულ სისტემაში. ვფიქრობთ, სხვადასხვა ხალხის ანდაზების შესწავლა მკვლევრებს ანალოგიურ შედეგამდე მიიყვანს. რადგან განსხვავებულ ეთნოკულტურათა ანდაზები ერთმანეთის მსგავსია (ინვარიანტებია). ამ დასკვნის საფუძველი არის ის, რომ

ზოგადად, სხვადასხვა ლინგვოკულტურაში არსებული ანდაზები, ერთი მხრივ, გამოხატავს ეროვნულ ხასიათს, მეორე მხრივ, მათი უმრავლესობის შინაარსი უნივერსალურია. მსგავსია, აგრეთვე, სოციალურ-ისტორიული პირობები, გარე სამყარო, ძირითად ცხოვრებისეულ პრობლემებზე შეხედულებათა სისტემა; ადამიანის მიერ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის ძიება საერთოა ყველა ერისათვის. ყველა ამ და სხვა ანალოგიურ პრობლემებს მიჰყავს ადამიანები მსგავს ანდაზურ შეხედულებამდე. მაგრამ მსგავსება პრობლემათა თემატიკაშია, განსხვავება კი – ასახვის ფორმაში, რადგან, როგორც ითქვა, ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა ეთნოსის ანდაზებში ნაირგვარად აისახება, რადგან განსხვავებულია ენობრივი სტრუქტურები და სხვადასხვა ხალხის აზროვნების ნორმებიც.

თავი III. კულტურულ ღირებულებათა ასახვის სემანტიკური თავისებურებანი განსხვავებულ ეთნოკულტურაში (ინგლისური და ქართული ანდაზების მიხედვით)

### 3.1. ანდაზა, როგორც ნაციონალური კულტურის კომპონენტი

ანდაზა ყოველი ხალხის (//ერის) კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია, საუკუნეების მანძილზე ხალხის მიერ დაგროვილი და, როგორც კულტურული ანდერძი, ჩვენამდე მოტანილი ცოცხალი მემკვიდრეობაა.

ენა ხალხის უდიდესი სიმდიდრეა და შეიძლება ითქვას, ხალხის ენობრივი შემოქმედების არც ერთ ფორმაში ასეთი ძალითა და მრავალი კუთხით არ ვლინდება მისი გონება, ისე კრისტალურად არ ლაგდება მისი ნაციონალური ისტორია, საზოგადოებრივი წყობა, ყოფა, მსოფლმხედველობა, როგორც ანდაზებში (დალი 1984: 35). ბევრ მათგანში ასახული ცხოვრებისეული სიტუაციები დღესაც რეალურია, რადგან ისინი მოიცავს ადამიანის არსებობის ყველა სფეროს: შრომა (შრომის გარეშე ნაყოფს ვერ მოიმკი), რწმენა (ფარხმალს არ ყრის ის, ვინც ღმერთის მოიმედეა), მეცნიერება (ვისაც ბევრი ცოდნა უნდა, ცოტა უნდა ეძინოს) და ა.შ.

ფრაზეოლოგიზმების ანალიზისას კულტურის ცნება არის საკვანძო საკითხი, რადგანაც ეს ენობრივი შრეები ნათლად წარმოაჩენენ ენობრივი საზოგადოების უშუალო კავშირს მატერიალურ, სოციალურ და სულიერ გარემოსთან, ზუსტად აქ ავლენს თავს ერის ნაციონალური თვითმყოფადობა.

კულტურის ცნება მოითვლის ასობით განსაზღვრებას, მაგრამ, როგორც თელია აღნიშნავს, არჩეული უნდა იქნეს განსაზღვრება, რომელიც ყველაზე მეტად პასუხობს დასახულ ამოცანას (Телия 1996:89).

კულტუროლოგიის უდიდესი წარმომადგენლები არიან ეთნოლინგვისტიკის ამერიკული და რუსული სკოლების ფუძემდებლები ე. სეპირი და ნ. ი. ტოლსტოი. ე. სეპირი აღნიშნავს: „კულტურა შეიძლება განისაზღვროს როგორც ის, რასაც მოცემული საზოგადოება აკეთებს და ფიქრობს, ენა კი არის ის, რასაც ფიქრობს (Сепир 1993:259-265).

ნ. ტოლსტოის თვალსაზრისით, დამოკიდებულება კულტურასა და ენას შორის შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დამოკიდებულება მთელსა და მის ნაწილს შორის, ენა

შეიძლება აღიქვას, როგორც კულტურის კომპონენტი ან კულტურის იარაღი (რაც ერთი და იგივე არ არის), განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება ლიტერატურულ ენას ან ფოლკლორულ ენას, თუმცა ენა ამავე დროს არის ავტონომიური ზოგადად კულტურასთან დამოკიდებულებაში, და ის შეიძლება განხილულ იქნეს კულტურისაგან განცალკევებით ან კულტურასთან მიმართებით, როგორც მრავალმხრივი და თანაბარუფლებიანი ფენომენი (Толстой 1995:16).

როდესაც მსჯელობა ეხება ერის (ხალხის) კულტურას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მენტალიტეტის როლი ანდაზების შექმნასა და მისი ზეგავლენა კულტურაზე. ვ. ნ. თელიას აზრით, მენტალიტეტი ყალიბდება კულტურის მეშვეობით (Телия 1996: 251) და წარმოგვიდგება რამდენადმე ცალმხრივი. უდავოდ, ერის მენტალიტეტი, დროის კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში, დამოკიდებულია წინა თაობის მენტალიტეტზე და, აქედან გამომდინარე, განისაზღვრება და ფორმირდება კულტურის მეშვეობით, მაგრამ ერის მენტალიტეტი დროის მოცემულ პერიოდში აქტიურ ზემოქმედებას ახდენს კულტურის შემდგომ განვითარებაზე. ეს არის ორი ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთქმედითი კატეგორია და მათ შორის პირველობის საკითხი არ შეიძლება ჩაითვალოს მეცნიერული თვალსაზრისით კორექტულად. გარდა ამისა, მენტალიტეტი განისაზღვრება, აგრეთვე, ბუნებრივი ფაქტორებით, ერის არსებობის საგარეო პირობებით და არ შემოისაზღვრება კულტურის ჩარჩოებით. მენტალიტეტი მჭიდვანდება კულტურაში და ზემოქმედებას ახდენს კულტურაზე, მაგრამ ერის მენტალიტეტის დამახასიათებელი თვისებები დამოკიდებულია არა მარტო მისი კულტურის თავისებურებებზე (Юдина 2010:2), არამედ სხვა ფაქტორებზეც. ღირსსაცნობია, რომ ხალხური ნაციონალური მენტალიტეტი თვალსაჩინოდ პოულობს გამოხატულებას ანდაზებში, ამის უარყოფა შეუძლებელია.

როგორც უკვე აღინიშნა, მრავალრიცხოვან შრომებს, რომლებშიც ანდაზა განიხილება აქსიოლოგიური თვალსაზრისით, საფუძვლად უდევს ჰიპოტეზა, რომ სხვადასხვა კულტურის ფუძეში დევს ფასეულობების ორიენტაციის სისტემები, რომლებიც თავის ასახვას პოულობენ ანდაზებსა და სხვა ფრაზეოლოგიურ ერთეულებში.



ანდაზა ყოველი ერის (ხალხის) კულტურის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ამ უაღრესად რთულ ენობრივ ფენომენში კონცენტრირებული სახით არის მოცემული ინფორმაცია მისი შემოქმედი ხალხის კულტურის შესახებ, დახასიათებულია ისტორიისა და წეს-ჩვეულებების მნიშვნელოვანი მომენტები. სწორედ ანდაზებშია მოქცეული ცხოვრებისეული სიბრძნე და მორალური სახე უბრალო ადამიანისა.

ინგლისური ანდაზების კავშირი ნაციონალურ კულტურასთან, მის თვითმყოფადობასთან ნათლად ჩანს თუ მივყვებით კვალდაკვალ გეოგრაფიულ დასახელებებს, ღირშესანიშნაობებს, ადათ-წესებს და ყოფით დეტალებს. გვხდება ისეთი ანდაზებიც, რომლებშიც ხაზგასმულია ინგლისისა და დიდი ბრიტანეთის უპირატესობა.

მაგ.: With all the world have war, but with England do not jar.

(მთელ მსოფლიოსთან გქონდეს ომი, მაგრამ ინგლისს ნუ წაეჩხუბები).

All countries stand in need of Britain, and Britain of none.

(ყველა ქვეყანას სჭირდება დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერა, მაგრამ ბრიტანეთს არც ერთის).

ინგლისურ ანდაზაში: There is more good victuals in England, than in seven other kingdoms (უფრო მეტი კარგი საზრდოა ინგლისში, ვიდრე შვიდ სხვა სამეფოში), მოცემულია ინგლისის შედარება სხვა საგრაფოებთან იმისათვის, რომ ხაზი გაესვას ინგლისის უპირატესობას, ამასთანავე, ნაჩვენებია ხალხის დადებითი დამოკიდებულება მის მიმართ.

ინგლისურ ანდაზებში ლონდონის დადებითი შეფასებაცაა მოცემული: “When a man is tired of London, he is tired of life” (როცა კაცი იღლება ლონდონით, ის იღლება ცხოვრებით). ანდაზაში -“The streets of London are paved with gold” (ლონდონის ქუჩები მოპირკეთებულია ოქროთი)- ჰიპერბოლა ხაზს უსვამს და ამაღლებს ლონდონის უპირატესობას.

კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულება ვლინდება ინგლისურ ანდაზებში- “London Bridge was made for wise men to go over, and fools to go under”(ლონდონის ხიდი აგებულია ბრძენი ხალხისთვის გადასასვლელად, ხოლო სულელებისათვის-ქვეშ

გასავლელად); “Oxford is the home of lost causes”(ოქსფორდი არის უიმედო ადამიანების სახლი).

ინგლისურ ანდაზებში აისახება ნაციონალურ-კულტურული კომპონენტი, კერძოდ, ინგლისელთა ხასიათის, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები. მაგ., ანდაზაში, რომელშიც გამოყენებულია მეტაფორა, -“An Englishman’s word is his bond”(ინგლისელი კაცის სიტყვა მისი ბორკილია)-წარმოგვიდგენს ინგლისელს, როგორც სიტყვის პატრონს, პასუხისმგებლიანს, კარგად განვითარებული მაღალი ვალდებულების გრძნობის მქონეს, ხოლო ჰიპერბოლა ინგლისურ ანდაზაში “One Englishman can beat three Frenchmen”(ერთი ინგლისელი კაცი მოიგერიებს სამ ფრანგს)- ინგლისელს წარმოგვიდგენს ისეთ ადამიანად, რომელსაც თავის თავზე დიდი წარმოდგენა აქვს, არის ზედმიწევნით ამაყი და მედიდური. ხოლო ანდაზაში ”It is an Englishman’s privilege to grumble”(ინგლისელის პრივილეგიაა ბუზღუნა) წარმოჩენილია ინგლისელები, როგორც ბუზღუნა და მოსაწყენი, აბეზარი ადამიანები.

ინგლისური ანდაზები ინგლისელთათვის დამახასიათებელ თვისებებს შორის ხაზსგასმით გამოხატავენ ინგლისელების პატივისცემას ხელისუფლებისადმი, დიდგვაროვნული ინსტიტუტებისადმი. მაგ.,”An English loves a Lord” (ინგლისელს უყვარს ღმერთი, მეფე, ლორდი). მეტაფორულ ანდაზაში “An Englishman’s home is his castle” (ინგლისელისთვის სახლი ციხე-სიმაგრეა) ჩანს ინგლისელის დადებითი დამოკიდებულება საკუთარი სახლისა და ოჯახისადმი.

ამრიგად, განხილულ ინგლისურ ანდაზებში მოცემულია რეალური სურათი ინგლისელების მენტალიტეტისა და კულტურის შესახებ. ამ ანდაზებში კარგად ჩანს ინგლისური კულტურის, ინგლისური მენტალიტეტის ანარეკლი. ტიპოლოგიურ თვისებას, რომელიც იკვეთება ძირითადად შედარებებისა და მეტაფორების დახმარებით, წარმოადგენს თავისი ქვეყნისა და დედაქალაქის შედარებით უფრო მაღალ შეფასებას. ნაციონალურ-კულტურული კომპონენტი ინგლისურ ანდაზებში კარგად ჩანს, როცა ლაპარაკია ინგლისელების ხასიათის დადებით და უარყოფით თვისებებზე.

როგორც ზემოთ ითქვა, მენტალიტეტი და კულტურა ორი ურთიერთ-დამოკიდებული და ურთიერთქმედითი კატეგორიაა, ამიტომ ზოგიერთი მაგალითი, რომელიც ნაციონალურ-კულტურულ ჭრილშია განხილული, გაანალიზებულია, აგრეთვე, ანდაზურ მენტალიტეტთან მიმართებითაც.

ენა უშუალოდ არის შეპირობებული აზროვნებით. აზროვნება ქმნის კულტურას. ორთავეს უკუგავლენა აქვს: კულტურას აზროვნებაზე, აზროვნებას-ენაზე. მაშასადამე, იქმნება ერთგვარი „ჯადოსნური წრე“-კულტურა-ენა-კულტურა, გაშუალებული აზროვნებით. ამ წრეშია მოქცეული ადამიანის ცნობიერება. ენაში უკუფენილია ერის ისტორია (ჯორბენაძე 1997 7:14). რადგანაც ანდაზა ენობრივი ერთეულია, ყოველივე აღნიშნული ანდაზის მიმართაც შეიძლება ითქვას. ანდაზა ყველა ხალხის კულტურის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ასეა ეს ქართულ სინამდვილეშიც. ქართული ანდაზები ქართველი ხალხის კულტურის სხვადასხვა მხარეს მკაფიოდ წარმოაჩენს, ნათლად გვიჩვენებს ხალხის ყოფასა და კულტურაში ტრადიციულად დამკვიდრებულ უარყოფით და დადებით თვისებათა ასპექტებს.

ქართველ ხალხს ოდითგანვე ჰქონდა მჭირდო კულტურული ურთიერთობა უძველესი ცივილიზაციის სათავეებთან მდგომ ხალხთან. ამ ხალხებთან ერთად, ბუნებრივია, ქართველებიც უძველესი ისტორიისა და კულტურის მქონე ეთნოსია.

აქ აღარ გავაგრძელებთ მსჯელობას ნაციონალურ კულტურასთან ქართული ანდაზების კავშირის შესახებ, რადგან ეს კავშირი ისედაც წარმოჩნდება ანდაზების თემატურ ჭრილში ანალიზთან დაკავშირებით, რომელსაც ცალკე განვიხილავთ.

### **3.2. ინგლისური და ქართული ანდაზების თემატიკა**

როგორც ინგლისელები, ისე ქართველებიძველესი ისტორიისა და კულტურის მქონე ეთნოსია. ორივე ხალხმა ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე შეიმუშავა მდიდარი და მრავალმხრივი ტრადიციები, რომლებიც კარგადაა ასახული პარემიებში. ეს მცირე ფორმისტექსტები, თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით, გრანდიოზულია. ანდაზები, პირველ ყოვლისა, წარმოადგენს მორალურ კოდექსს. საერთოდ, ზნეობა ანდაზების წამყვანი თემაა. ანდაზები გვიქადაგებს, აგრეთვე, სამშობლოს სიყვარულს, კაცთმოყვარეობას,

სტუმართმოყვარეობას, სიკეთეს, სამართლიანობას, პატიოსნებას, თავმდაბლობას... (შიოშვილი 1988:3).

ინგლისური და ქართული ანდაზების თემატიკა ძალზე ფართოა (დიდ თემატურ ჯგუფებში შიძლება გამოიყოს ქვეჯგუფებიც), ამიტომ განვიხილავთ დიდ თემატიკურ ჯგუფებს, რომლებიც უფრო აქტუალურად გვესახება.

ა) ანდაზები შრომის შესახებ

ყველაზე მრავალრიცხოვანია იმ ანდაზების ჯგუფი, რომლებიც ასახავენ ადამიანის დამოკიდებულებას შრომისადმი.

შრომა-მორალის მოქმედების მნიშვნელოვანი სფეროა, რომელიც მოიცავს ადამიანის საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობის ყველა სფეროს. შრომითი ზნეობრიობის ცნება მოიცავს ორ ძირითად საკითხს: მშრომელის დამოკიდებულებას საზოგადოებისადმი მთლიანად და ერთობლივი საქმიანობის მონაწილეებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ნორმებს (ეთიკის ლექსიკონი 1975:134).

ანდაზების მიხედვით, ადამიანი შრომით ფასდება, სახელი და დიდება მხოლოდ შრომით მოიპოვება. „შრომა უდიდესი სიქველეა ამქვეყნად და არც არაფერი ამშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე (გამსახურდია 1984:129).

შრომის შესახებ შექმნილი ანდაზა „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს“,<sup>7</sup> უძველესი პერიოდიდან მომდინარეობს. იგი ეკუთვნის ქრისტიანულ რელიგიაში ცნობილ ერთ-ერთ მოციქულს (პავლე), რომელიც ა.წ. პირველ საუკუნეში მოღვაწეობდა.

შრომასთანაა განუყრელად დაკავშირებული ყოველი ხალხის ისტორია, რადგან შრომის გარეშე არ იქნებოდა თვით ადამიანიც. ყველა ქვეყანაში ყოველთვის ზედმიწევნით კარგად იცოდნენ შრომის ფასი. ასე იყო და არის ინგლისსა და საქართველოშიც, რაზედაც ნათლად მეტყველებს შემდეგი ანდაზები:

---

<sup>7</sup> ეს ანდაზა ტრანსფორმირებული სახეა ანდაზისა „რომელი არა შვრებოდის, ნუცაღა ჭამნ“-ო. ამ სახით გვხვდება იგი X საუკუნის ქართველი აგიოგრაფი მწერლის გიორგი მერჩულის ნაწარმოებში „გრიგოლ ხანცდელის ცხოვრება“ (გ. მერჩულე, 1978:206), ახალ აღთქმაში კი-„უკეთუ ვისმე არა უნებს საქმისა, ნუცაღა ჭამნ“ (ახალი აღთქმა, 1963:495).

ინგლისური ანდაზები შრომაზე:	- თარგმანი ქართულ ენაზე
Add little to little and there will be a great hear	- ცოტას ცოტა მიუმატე და დიდი გროვა გამოვა.
In doing we learn	- შრომაში ჩვენ ვსწავლობთ.
Business before pleasure	- ჯერ საქმე, მერე დასვენება.
Business is the salt of life	-საქმე ცხოვრების მარილია.
Elbow grease gives the best polish	-ბეჯითი მუშაობით დახვეწილ ნივთს მიიღებ.
The greatest burdens are not the gaintfullest	-ყველაზე მძიმე შრომა არ არის ყველაზე შემოსავლიანი.
A good outset is half the way	-კარგი დასაწყისი ნახევარი საქმეა.
If you long for pleasure you must labour hard to see it	-თუ სიამოვნება გსურს, იშრომე და მოიპოვეო.
A work ill done must be done twice	-ცუდად გაკეთებული საქმე მეორედ უნდა გაკეთდეს.
A hard beginning makes a good end	-ძნელმა დასაწყისმა კარგი დასასრული იცისო.
Actions speak louder than words	-საქმენი უფრო ხმამაღლა ლაღადებენ, ვიდრე სიტყვები
All things are difficult before they are easy	-საქმე დაწყებისას ძნელია, შემდეგ გაადვილდება.
Good words without deeds are rushes and reeds	-სიტყვას თუ საქმე არ ახლავს, ლერწმის ჭალას მოგაგონებს.
All work and no play makes Jack dull boy	-თუ მუშაობას მხიარულებაც არ ახლავს, ჯეკი დაჩლუნგდება.
Constant occupation prevents temptation	-საქმით დაკავებული ცდუნებისაგან დაზღვეულია.
Employment is enjoyment	-მუშაობა გართობააო.

ქართული ანდაზები შრომაზე:

შრომა აკეთილშობილებს ადამიანსო;	გულად კაცზე მშრომელი სამი გაფრენით მეტიაო;
ადამიანი შრომაში იწრთობა;	ერთი დღით ადრე დათესილს ერთი კვირით ადრე მოიმკიო;
სიტყვა უსაქმოდ მკვდარიაო;	საქმე წინ წაგდებული სჯობიაო;
შრომამ შექმნა ადამიანიო;	გადადებული საქმე გადაგდებულიაო;
ჯერ შრომა, მერე ხტომა;	სახვალიო საქმე დავიწყებულიაო;
შრომა ბედნიერებააო;	რა რიგადაც იშრომებ, ისედაც იცხოვრებო;
ადამიანის უძვირფასესი განძი შრომააო;	ბედნიერება შრომითა და ბრძოლით მოდისო;
ერთი ვარდისთვის მეზღვემ ათასი ეკალი უნდა გაზარდოსო;	ოჰ, რა მაისის ორშაბათი გამიცდაო. <sup>8</sup>

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ინგლისელებიც და ქართველებიც მაღალ შფასებას აძლევენ შრომას, როგორც ცხოვრების საფუძველს. ორივე ეთნოსის ანდაზებში შრომითი ეთიკის და ესთეტიკის ზუსტი მახასიათებლებია მოცემული, ასახულია განსაკუთრებული მიდგომები ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანესი სფეროს

მიმართ. შეიძლება ითქვას, აღნიშნული ანდაზები დამრიგებლური ხასიათის შრომის განუმეორებელი კოდექსი, მოძღვრებაა. ცალკე აღებული ანდაზა თითოეული უნიკალურია თავისი შინაარსით, მთელი წიგნისოდენა აზრს შეიცავს.

ორივე ეთნოსის ანდაზებში, რომლებიც შრომას ეძღვნება, ჯერ საქმეა საჭირო და მერე დასვენება, შრომით ყველაფერს მიაღწევ, ადამიანი საქმით ფასდება და არა ლაპარაკით. საქმე დაწყებამდეა ძნელი, მაგრამ დასასრული კარგი იცის, შრომას მხიარულებაც უნდა ახლდეს, შრომა ბედნიერებაა, ცხოვრების მარილია, უარყოფითადაა შეფასებული

<sup>8</sup> ეს ანდაზა დაკავშირებულია შემდეგ ამბავთან: გლეხი ყანას თოხნიდა; ამ დროს მეზობელმა ცოლის სიკვდილის ამბავი მოუტანა. გლეხმა თოხი ხელიდან გააგდო და თქვა: ოჰ, რა მაისის დღე გამიცდაო. ეს ანდაზა ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ როგორ ძვირად ფასობდა მშრომელი ადამიანისათვის სამუშაო დრო.

გადადებული საქმე და ა.შ. რა თქმა, უნდა შრომა მძიმეა, მაგრამ მის გარეშე ლხინს ვერ მოიძვი, როგორც შოთა რუსთაველი ამბობს: „მაშა ლხინდა ვინ მოიძვი, პირველ ჭირთა უმუშაკო“.

მოყვანილი ანდაზები შრომისადმი ზოგადად ერთნაირ მიდგომას, დამოკიდებულებას ამჟღავნებს, სემანტიკა მსგავსია. მაგრამ ერთი და იმავე მოვლენის ასახვა განსხვავებულია. მაგალითად, ინგლისური ანდაზის მიხედვით, „ჯერ საქმე, მერე დასვენება“, ქართული-„ჯერ შრომა, მერე ხტომა“. თანმიმდევრობა ორივე ანდაზაში ერთნაირია,-პირველ ადგილზეა შრომა, მერე დასვენება, გართობა. ეს უკანასკნელი ინგლისურში გადმოცემულია ლექსებით „დასვენება“. ქართულში- „ხტომა“. ხოლო ინგლისურ მაგალითში მოცემული სიტყვა „საქმე“ და ქართულში -„შრომა“ ბგერითი შედგენილობით განსხვავებულია, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ერთი უნდა იყოს.

ინგლისური პარემიის მიხედვით, „საქმეზე მნიშვნელოვანი არაფერია“, ქართული-„ადამიანის უძვირფასესი განძი შრომააო“. ამ მაგალითებშიც ერთი და იგივე სემანტიკა განსხვავებულადაა ასახული, თუმცა ორივე შრომის//საქმის მნიშვნელობაზე მიუთითებს.

ინგლისური-„საქმენი უფრო ხმამაღლა ღაღადებენ, ვიდრე სიტყვები“, ქართული-„სიტყვა უსაქმოდ მკვდარია“... აქაც შრომა//საქმეა მთავარი და არა სიტყვები, როგორც ქართული ანდაზა გვიდასტურებს: „ლაპარაკი რად უნდა, საქმე თვითონ ლაპარაკობსო“ (შდრ. ინგ.: „საქმენი უფრო ხმამაღლა ღაღადებენ, ვიდრე სიტყვები“).

აქ აღარ გავაგრძელებთ მოცემული ანდაზების კომენტარებს, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ზოგადად, ორივე ეთნოსის ანდაზების მიხედვით, შრომა უმთავრესი ფაქტორია ადამიანური ბედნიერებისა, ნორმალური ცხოვრების საფუძველია, საქმის კარგი დასაწყისი კარგი დასასრულის საწინდარია. ამასთანავე, ყოველგვარ საქმეს დროულად უნდა დაწყება, გადადებული საქმე „გადადებულია“ და ა.შ. მაგრამ შრომასა და მასთან დაკავშირებული პრობლემების ასახვა განსხვავებულ ეთნოკულტურაში (ამ შემთხვევაში ინგლისურსა და ქართულში) ნაირგვარია. ღირსაცნობია, აგრეთვე, რომ შრომის ამსახველი ანდაზები ქართულში უფრო მრავალფეროვნებით და მასალობრივ სიუხვითაც ხასიათდება, ვიდრე ინგლისურში.

ბ) სიზარმაცის ანდაზური გმობა:

როგორც ითქვა, ინგლისური და ქართული ანდაზები მაღალ შეფასებას აძლევს შრომას, ხოლო საპირისპირო აზრია გატარებული, ე.ი. უარყოფითი კონოტაციით ხასიათდება სიზარმაცე, უქნარობა, ცუდი მუშაობა. ეს ვითარება კარგად ჩანს შემდეგ ინგლისურ ანდაზებში:

By doing nothing we learn to do it	-არაფრის კეთებით ცუდი რამის კეთებას ვსწავლობთ.
Ease makes thief	-უქნარობა კაცს ქურდობამდე მიიყვანს.
A work ill done must be done twice	-ცუდად გაკეთებული საქმე მეორედ უნდა გაკეთდეს.
Lazy sheep thinks its wool heavy	-ზარმაც ცხვარს თავისი მატყლი ემძიმება.
An idle brain is the devil's workshop	-უქნარა ტვინი ეშმაკის სახელოსნოა.
An idle man makes a good prophet	-უქნარისაგან კარგი ქადაგი გამოვა.
Constant occupation prevents temptation	-საქმით დაკავებული ცდუნებისგან დაზღვეულია.

ინგლისური ანდაზების მიხედვით, შრომას სიკეთე მოაქვს ადამიანისათვის. საქმით დაკავებული ცდუნებისაგან დაზღვეულია, ხოლო უქნარობა კაცს ქურდობამდე მიიყვანს (Constant occupation prevents temptation; Ease makes thief). ასევე ცუდად გაკეთებული საქმე მეორედ უნდა გაკეთდეს (A work ill done must be done twice). ამის საპირისპიროდ ასეთი ანდაზაა: ბეჯითი მუშაობით დახვეწილ ნივთს მიიღებ (Elbow grease gives the best polish). მაშასადამე, კარგი შრომით კარგ შედეგს მიიღებ, ცუდი შრომით-ცუდს.

უქნარისაგან კარგი ქადაგი გამოვა (An idle man makes a good prophet), რადგან მის სიტყვებს, ქადაგებას საქმე არ ახლავს. ასეთ შემთხვევას უპირისპირდება ანდაზები: good words without deeds are rushes and reeds (სიტყვას თუ საქმე არ ახლავს, ლერწმის ჭალას



მოგაგონებს); deeds, not words (საქმეა საჭირო და არა სიტყვები); Actions speak louder than words (საქმენი უფრო ხმამაღლა ღაღადებენ, ვიდრე სიტყვები)...

ქართულ ანდაზებშიც უარყოფითადაა შეფასებული, როგორც სიზარმაცე, უქნარობა, ისე ზარმაცი, უსაქმური ადამიანი, რომელიც საქმეს ვერ ართმევს თავს, „საქმემორეულია“ და ა.შ. რასაც ნათელყოფს შემდეგი ანდაზები:

სიზარმაცე ბოროტების დედააო;	ზარმაც ცხენს კული ემძიმებაო;
სიზარმაცე სიღარიბის გასაღებიაო;	შრომაში ზარმაცი, ჭამაში მამაცი;
ზარმაც მწყემსს ძროხების შორიდან მოზრუნება მოუხდებაო;	ზარმაცი კაცისთვის სულ წვიმს და თოვსო;
ზარმაცისათვის ნიადაგ უქმეაო;	ვინც არას დასთესს, არცარას მოიმკისო;
ზარმაცი მუდამ კვნესისო;	მუქთად ჯდომას მუქთა შრომა სჯობიაო;

როგორც ვხედავთ, ქართულ ანდაზებში მკაცრად გაკიცხულია სიზარმაცე, ზარმაცი ადამიანი. ხაზგასმულია, რომ სიზარმაცე ბოროტების დედააო; მუქთად ჯდომას მუქთად შრომა სჯობიაო, რადგან საქმით მუდამ დაკავებული მშრომელი ადამიანი ბოროტებაზე, ცუდ რამეზე არასდროს არ ფიქრობს, ამისთვის ვერ იცლის, თავისუფალი დრო არააქვს, სულ შრომის ფერხულშია ჩაბმული. ასეა ეს გააზრებული ინგლისურშიც, კერძოდ, ინგლისური ანდაზების მიხედვით, საქმით დაკავებული ცდუნებისაგან დაზღვეულია; უქნარობა კაცს ქურდობამდე მიიყვანს.

ზოგადად, ინგლისურ და ქართულ ანდაზებში შრომა სიკეთის, სიმდიდრის საფუძველია, სიზარმაცე, უსაქმურობა კი-ბოროტების, სიღარიბის. შრომას მხიარულებაც უნდა ახლდეს, სხვაგვარად ადამიანი დაჩლუნგდება (როგორც ამას ერთი ინგლისური ანდაზა გვასწავლის), შრომა ბედნიერებაა და ა.შ.

დიდი ილია თავის „მგზავრის წერილებში“ წერს: მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის... ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“... (ჭავჭავაძე 1988:23). ასეთივე მნიშვნელობა

აქვს მოძრაობას ადამიანისათვის. შრომა, მოძრაობა ჯანმრთელობის საფუძველია, ხოლო უმოძრაობა, უქნარობა ნაადრევად უნადგურებს ადამიანს ჯანმრთელობას, მალე აბერებს. „ზარმაცი მუდამ კვნესისო“ - ნათქვამია ერთ ქართულ ანდაზაში, რადგან, უმოძრაობის გამო, ყველაფერი სტკივა და კვნესის. ინგლისურ და ქართულ ანდაზებში უმოძრაობა და უქნარობაც მხილებულია. მაგ.: ინგლ: By doing nothing we learn to do it (არაფრის კეთებით ცუდი რამის კეთებას ვსწავლობთ); A man of words and not of deeds is like a garden full of weeds (სიტყვების მოყვარული და უქნარა კაცი სარეველათი სავსე ბაღსა ჰგავს); God helps them that help themselves (ღმერთი იმათ ეხმარება, ვინც თავიანთ თავს ეხმარება).

ქართული მაგალითები: უსაქმურობა ყველაზე მეტად აუძლურებს ვაჟკაცსო; სიტყვების მოყვარული და უქნარა კაცი სარეველათი სავსე ბაღსა ჰგავს; ღმერთო მიშველეო და-ხელი გაიქნიე და ნაშველები იქნებიო; საქმის დაწყებამდე ასი მოკვდა, დაწყების შემდეგ არც ერთიო; ვერც ერთი ზარმაცი ღრმა სიბერეს ვერ მიაღწევს.

მოცემულ ანდაზებშიც ფაქტიურად შრომის, რომელიც მოძრაობასთან, მოქმედებასთანაა დაკავშირებული, სასიკეთო შედეგზეა ლაპარაკი, რომ შრომა, მოძრაობა ყველა უბედურებისაგან იხსნის ადამიანს. როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ანაზებში ნათლადაა ნაჩვენები, რომ უშრომელად, გარჯის გარეშე დოვლათი არ იქნება, საარსებო საშუალება თავისით არ მოვა. მაგ.: Who lives by hope will die by hunger (ვინც იმედით ცოცხლობს, შიმშილით მოკვდება); If you long for pleasure you must labour hard to get it (თუ სიამოვნება გსურს, იშრომე და მოიპოვეო); One must drink as one brews (როგორც დააყენე, ისეთი დალიეო); The labourer is worthy of his hire (თითოეული ადამიანი იმსახურებს ანაზღაურებას საკუთარი შრომის მიხედვით). ქართ.: თავისით არაფერი მოვაო; მოსავალს უთქვამს: ვინც მოვლას მაკლებს, ის თავის ბეღელს აკლებსო; რასაც დასთეს, იმასვე მოიმკიო...

ფაქტიურად ორივე ეთნოსის ანდაზებში შექებულია ადამიანის ცხოვრებისათვის სიკეთის მომტანი ყოველგვარი საქმიანობა (მიწათმოქმედებასთან, შინამრეწველობასთან თუ სხვადასხვა ყოფით პრობლემებთან იქნება დაკავშირებული).

ამრიგად, ინგლისელებსა და ქართველებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შრომის შესახებ მსგავსი შეხედულებები ჩამოუყალიბებიათ, რომლებიც სათანადოდ რეალიზებულია ანდაზებში. საზიარო, საერთო საქმესთან თუ საკუთრებასთან დაკავშირებითაც კი ანალოგიური აზრია მოცემული, კერძოდ, უარყოფითი დამოკიდებულებაა გამოხატული. ამის ნათელსაყოფად თითო მაგალითის დასახელებაც საკმარისია: Everybody's business, is nobody's business (-საერთო საქმე-არავის საქმეა); ქართ. ზიარი ძროხა მგელმა შეჭამა; ან კიდევ: ვინ მუშაობს ყველაზე უკეთესად? ინგლისური ანდაზის პასუხი ასეთია: He works best who knows his trade (-ყველაზე უკეთესად ის მუშაობს, ვინც თავისი ხელობა იცის); ქართ. კარგი ხელოსნის ნახელავი ყველას სჯობია; კარგ მუშაობაზე და კარგ ნახელავზეც ინგლისელის და ქართველის შეხედულება ანალოგიურია.

#### ბ) ოჯახის მახასიათებლები და ნაციონალური თავისებურებები

ოჯახი ძირითადი სოციალური ინსტიტუტია, რომელიც ქმნის კულტურას, ოჯახი საფუძველთა საფუძველია, რომელზეც იქმნება ყველა დანარჩენი სოციალური ფორმა. ოჯახის სისტემა უზრუნველყოფს საძირკველს, რომელზეც შენდება კულტურაც და ცივილიზაციაც.

ოჯახის კულტურა განისაზღვრება ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებით და კვალს ამჩნევს მისი საქმიანობის ყველა სფეროზე, კერძოდ:

- ოჯახური ტრადიციები და ჩვევები;
- მშობლიური სახლი და ყოფა;
- ურთიერთდამოკიდებულება ოჯახში;
- ოჯახის აღმზრდელობითი პოტენციალი;
- მშობელთა ავტორიტეტი;
- რელიგიისადმი დამოკიდებულება;
- დასვენების ხასიათი და შინაარსი და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ცნება ოჯახი საერთოა ყველა კულტურის ადამიანისთვის, თითოეული ხალხის ოჯახს გააჩნია თავისი განმასხვავებელი მენტალური თვისებები, ქცევის წესები, ტრადიციები.

უდავოდ საინტერესოა ინგლისური ოჯახი თავისი დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებითა-და თავისებურებებით, რომლებიც ჩამოყალიბდა ნაციონალური ჩვევების, ტრადიციების, მორალური ნორმების საფუძველზე. ისინი ეყრდნობა ამ ერის ისეთ მენტალურ თავისებურებებს, როგორცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ოჯახური კერის განდიდება, კერძო საკუთრების კულტი. ინგლისელებისათვის დამახასიათებელია დამოკიდებულებაში//ურთიერთობაში თავშეკავებულობა, თავაზიანობა, თვითრეგულაციის უნარი, უნარი- გრძნობდეს ერთს და გამოხატავდეს სხვას (ე.წ. „ბრიტანელის მკაცრი ბაგე“), წესიერება, ასევე რაციონალიზმი და პრაქტიკულობა. ამ ერის წარმომადგენლები გაწონასწორებულნი და სიცოცხლისუნარიანები არიან. ყოველდღიურ ცხოვრებაში ავლენენ თავშეკავებულობას და მოთმენას.

ინგლისელებისთვის ტრადიცია წარმოადგენს მოვლენების ერთგვარ თანმიმდევრობას, რომელიც ნებისმიერ ფასად უნდა შეინაჩუნოს. ჩვენ ცვალებად საუკუნეში მათ ეს აძლევს მუდმივობის შეგრძნებას. ცნება „ტრადიცია“ ფართო გაგებით მოიაზრებს, რომ რაღაცამ გაიარა დროის ღირსეული გამოცდა და ამიტომაც ის აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს.

ოჯახური ტრადიციების შინაარსობრივი გამდიდრება ხელს უწყობს ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტის, სიცოცხლისუნარიანობის სრულფასოვან ორგანიზაციას, უზრუნველყოფს ოჯახის წევრებს შორის ურთიერთგაგების ზრდას, განსაკუთრებით ბავშვებსა და მშობლებს შორის, ეხმარება ოჯახური აღზრდის პროცესის სრულყოფას.

ყველა ოჯახში საკუთარი წესრიგია, საკუთარი ცხოვრებისეული ყაიდა და ღირებულებების სისტემა. ოჯახის მოწესრიგებისათვის ყველაფერი მნიშვნელოვანია, აქ წვრილმანები არ არსებობს, რადგან თითოეული ოჯახის წყობაში აისახება რეალური დამოკიდებულება ოჯახის წევრებს შორის. ინგლისელებში ღირებული ოჯახური ტრადიციები მკაცრად არის განსაზღვრული და შენარჩუნებული.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული კარგად ჩანს შემდეგ ინგლისურ ანდაზებში: Home is where the heart is (- სახლი იქაა, სადაც გულია); East or west, home is best (-სტუმრად კარგია, სახლში უკეთესია); Don't pour out the dirty water before you have clean (-ქობიდან ჩხუბის ხმა არ უნდა გავიდეს); An Englishman's home is his castle (-ინგლისელის სახლი მისი ციხე-

სიმაგრეა); Every bird likes its own nest best (-ყველა ჩიტი თავის ბუდეს აქებს); It's a foolish bird that soils its own nest (-ბრიყვია ის ჩიტი, რომელიც საკუთარ ბუდეს აბინძურებს); There is no place like home (-მშობლიურ სახლზე უკეთესი ადგილი არ არსებობს); House divided against itself cannot stand (-შინაურთან უთანხმოება კარგს არ მოიტანს)...

ინგლისში არსებობს ორი ტიპის საცხოვრებელი: ბინები მრავალსართულიან ბლოკებში და კერძო აგურის სახლები, ეს უკანასკნელი საცხოვრებელთა (ან ფართის) 80%-ს შეადგენს. ინგლისი კერძო ცხოვრების სამეფოა, რომლის გერბი შეიძლება ყოფილიყო გალავნის გამოსახულება და დევიზი - „ჩემი სახლი-ჩემი ციხე-სიმაგრეა“. ინგლისელის პირადი ცხოვრება გარე სამყაროსაგან იზოლირებულია, რასაც ამართლებს ინგლისური მორალი. ინგლისელის სახლის ზღურბლი წარმოადგენს საოცნებო ზღვარს. ინგლისელების საყვარელი ფრაზაა - „ჩვენ გვიყვარს ჩვენთვის ცხოვრება“. კერძო საკუთრების კულტი წარმოშობს დამოკიდებულებას საკუთარი სახლისადმი, როგორც ციხესიმაგრისადმი.

ინგლისელები ყველაფერში ტრადიციულები არიან. მათ სიამოვნებას ანიჭებს ფრაზა - „თქვენი სახლი ძველ, კეთილ ტრადიციებზეა აგებული“.

ინგლისელისათვის სახლი ციხე-სიმაგრის როლს ასრულებს, სადაც შეუძლია გაერიდოს არა მარტო უსიამოვნო სტუმრებს, არამედ მომაბეზრებელ მზრუნველობასაც. ინგლისელი თავისი ზღურბლის მიღმა სრულიად თავისუფლდება არა მარტო ყოველდღიური საზრუნავისგან, არამედ გარეშე ზეწოლისაგანაც. მას შეუძლია მოიქცეს სურვილისამებრ, დაუშვას ნებისმიერი უცნაურობა.

ინგლისურ ოჯახურ ატმოსფეროს ახასიათებს თავშეკავებულობა, როგორც ერთგვარი თავდაცვა ზედმეტი ფამილარობისაგან. თუ სიმპათიის აშკარა გამოვლენა ითრგუნება, ასევე ითრგუნება გაღიზიანების წყენისა და მრისხანების ნიშნები. ინგლისურ ოჯახში თითქმის არ არის ხმაურიანი სცენები და არც დემონსტრაციული შერიგებები. გასაჭირის ჟამს ინგლისელებს არა აქვთ მხარდაჭერის იმედი ახლო ნათესავებისაგან, მაგრამ, მეორე მხრივ, არ გააჩნიათ მათდამი პასუხისმგებლობისა და მოვალეობის განცდა.

ინგლისელები ბევრთან მეგობრობენ- ეს არის ადამიანის სოციუმში პოპულარობის მაჩვენებელი, მაგრამ ახლო მეგობრულ წრეში ყველას არ უშვებენ. ინგლისელები იშვიათად კითხულობენ რჩევას და დიდი სიფრთხილით პასუხობენ მსგავს თხოვნაზე, თუ რჩევა მაინც მოგცეს, ინგლისურ ენაში მსგავსი გამონათქვამებისათვის გამოიყენება კავშირებითი კილო, რაც გამოხატავს გარკვეულ შესაძლებლობას, მაგრამ არა ვალდებულებას.

ოჯახური ურთიერთობის ამსახველი ანდაზები:

Men make houses, women make homes	-მამაკაცები ქმნიან სახლს, ქალები-კერას;
Every Jack must have his Jill	-თითოეულ ჯეკს თავისი ჯილი ჰყავს;
Marriage is a lottery	-ქორწინება ლატარიაა;
Marriages are made in heaven	-ქორწინება ზეცაში დგება;
A woman's place is in the home	-ქალის ადგილი სახლშია;
Every family has a black sheep	-ოჯახში მახინჯიც ჩნდება.

მშობლების დამოკიდებულება შვილებისადმი ასახულია შემდეგ ანდაზებში:

A child have too much of his mother's Blessing	- დედა თავისი სიყვარულით შვილს აფუჭებს;
A man who has not been flogged is not educated	- ვინც არ გაუროზგავთ, ის არ აღუზრდიათ;
Spare the rod and spoil the child	- შეგეცოდება გასაროზგად-გააფუჭებ შვილს;
Children must be seen but not be heard	- ბავშვებს უნდა ხედავდე და არ უნდა გესმოდეს;
Like father, like son	-როგორცაა მამა, ისეთივეა შვილი;
A wise son makes a glad father	-გონიერი შვილი მამის სიხარულია.

საერთოდ, ინგლისელებს აღზრდის საკუთარი სისტემა აქვთ, რომლის მიხედვითაც ბავშვი იმთავითვე უნდა შეეჩვიოს დამოუკიდებლობას, სირთულეების გადალახვას, გამოუმუშავდეს რწმენა, რომ მას არავინ დაეხმარება, სხვისი (მათ შორის ახლო ნატესავისაც)

იმედი არ უნდა ჰქონდეს. ინგლისელები ძალზე მკაცრად ზრდიან ბავშვებს, რაც სათანადოდ ჩანს კიდეც ანდაზებში.

ინგლისელები თვლიან, რომ მშობლიური სიყვარულისა და სინაზის გამოვლინება ხელს უშლის ბავშვის ხასიათის ჩამოყალიბებას; ბავშვს აფუჭებს ზედმეტი კოცნა და მოფერება; ტრადიციულად ბავშვებს თავშეკავებულად ექცევიან, ცივადც კი. დაიწყებს თუ არა სიარულს, ინგლისელ ბავშვს ესმის თავის ქვეყანაში არსებული საყვარელი ფრაზა: „თავი ხელში აიყვანე“. ინგლისელმა ბავშვებმა კარგად იციან საკუთარი ადგილი, რომ ეს ადგილი ნამდვილად არ არის დედის ან მამის მუხლებზე. ინგლისელების შეხედულებით, ჭეშმარიტი ინგლისელი მზად უნდა იყოს ნებისმიერი დაბრკოლების გადასალახავად ნებისმიერ დროს.

ოჯახურ ურთიერთობებს უნდა ეხებოდეს, აგრეთვე, შემდეგი ინგლისური ანდაზები: Don't teach your grandmother to suck eggs (-კვერცხები ქათამს არ ასწავლიან); ამ ანდაზის მიხედვით, შვილები მშობლებს, ან ბაბუას და ბებიას ვერაფერს ასწავლიან; The black crow thinks her own birds white (-ყველა დედას თავისი შვილი მოსწონს); მოცემული ანდაზის არსი ისაა, რომ ყველა დედას მოსწონს თავისი პირმშო; As the tree, so the fruit (-როგორც ხეა, ნაყოფიც ისეთივეა)... ამ ანდაზის მიხედვით კი როგორც არიან მშობლები, შთამომავლობაც ისეთივე იქნება და ა.შ.

ქართულშიც გვაქვს მრავალფეროვანი ანდაზები, რომლებშიც ასახულია ოჯახური ურთიერთობის სხვადასხვა მხარე. მაგ.: ოჯახობა ვისიანო, ვინც მოუვლის მისიანო; ოჯახის სიმდიდრე იმით გაიზომება, თუ იქ კატა და ძაღლი მსუქანიაო; სახლს ქალი აქცევს სახლად; სახლში მოტანილი სიპი ქვაც ქადააო; ოჯახია-გაქებს, ოჯახია-გაგინებს; ოჯახის სიმდიდრე კატითა და ძაღლით იცნობაო; ოჯახი უგონჯოდ არ არის; ოჯახში, სადაც ორი მამალი ყივის, მზე გვიან ამოვაო; ჩემს ეზოში ავი დარი, შენს ეზოში ავი რძალიო; ჩამოხრჩობილის ოჯახში თოკზე არ ლაპარაკობენ და ა.შ.

ბუნებრივია, ქართულ ანდაზებშიც, ინგლისურის ანალოგიურად, მოცემულია ქართული ოჯახისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები და თავისებურებანი რომლებიც დაკავშირებულია ქართულ ეროვნულ ჩვევებთან, მენტალიტეტთან.

წესრიგი და ტრადიციული მორალური ნორმები ქართული ოჯახისთვისაც ზირითადი დამახასიათებელი თვისებაა. ორივე ეთნოსში ოჯახი მამაკაცისა და ქალის ურთიერთობაა. ინგლისელების მიხედვით, მამაკაცი ქმნის სახლს, ოჯახს, ქალი-კერას;

„ოჯახში მახინჯიც ჩნდება“ ინგლისელის ეს შეხედულება ქართულ ანდაზაში ასე რეალიზდება: „ოჯახი უგონჯოდ არ არის“. „ინგლისელის სახლი მისი ციხესიმაგრეა“, ქართველისათვის- „ჩემი სახლი ჩემი ციხე-დარბაზია“. ინგლისელისათვის სახლი მისი ციხესიმაგრეა, რადგან ეს უქმნის მას საუკეთესო გარემოს, რომ მოიქცეს ისე, როგორც უნდა და არა ისე, როგორც საჭიროა. თავის „ციხე-სიმაგრეში“ ინგლისელი თავს ყველაფრის უფლებას აძლევს. ინგლისელი თავის „ციხე-სიმაგრეს“, სხვისთვის საჩვენებლად კი არა, საკუთარი გემოვნებით ქმნის, მკაცრად იცავს ტრადიციას, ინგლისელის „ციხე-სიმაგრეში“ მრავალ ძველ ნივთს ნახავ, ამით ინგლისელი ამაყობს კიდეც, თუ რაიმე სიახლე შეაქვს, აუცილებლად ძველს უხამებს. საქართველოში კი ეს სხვაგვარადაა, ჩვენი „ციხე-დარბაზები“ უმეტესად სხვის საჩვენებლადაა გაკეთებული. ქართველი ამაყობს კიდეც იმით, რომ მალ - მალე აკეთებს რემონტს და ცვლის ავეჯს, იმისთვის, რომ თქვან,- რა კარგად ცხოვრობსო. ინგლისელს კი ასეთი რამ სულაც არ აწუხებს. მას უყვარს მხოლოდ თავისთვის ცხოვრება.

ამრიგად, ანდაზებში ინგლისურ და ქართულ ოჯახებს შორის მსგავსებაც დაიძებნება და განსხვავებაც. ვფიქრობთ, ინგლისურ მაგალითებში ოჯახი, კერა, მისი ხელშეუხებლობა, შეუვალობა უფრო განდიდებული ჩანს, ვიდრე ქართულში, რაზედაც ნათლად მეტყველებს სათანადო ანდაზები: „ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეა“, „სახლი იქაა, სადაც გულია“, „მშობლიურ სახლზე უკეთესი არ არსებობს“ და სხვ. ინგლისელს უყვარს წყნარი ცხოვრება, რომ „ქოხიდან“ ჩხუბის ხმა არ უნდა გავიდეს, შინაურებთან უთანხმოება კარგს არ მოიტანს. ქართული ანდაზების მიხედვითაც ოჯახში ერთსულოვნება და ურთიერთგაგება ოჯახის წინსვლის საწინდარია, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ქართულ ანდაზაშია აღნიშნული, „ერთმანეთისა მზერითა სახლი აივსო მტვერითა“, „ერთიმეორის ბაძვითა სახლი აივსო ნაგვითა“. ქართული ანდაზური შეხედულებითაც ოჯახში ერთი უფროსი უნდა იყოს.

ქართულში საკმაოდ დასტურდება ისეთი ანდაზები, რომლებშიც მოცემულია მშობლების დამოკიდებულება ბავშვისადმი. ბავშვის აღზრდის პრობლემას არაერთი ანდაზა



ეხება. მაგალითები: ბავშვი თუ არ ტირის, დედა ძუძუს არ აჭმევსო; ბავშვს სწორი გზა ასწავლე, სიბერემდე გაჰყვებაო; ქალი სუსტია, დედა ძლიერიაო; შვილს აღზრდა უნდა, გოჭს-გაზრდაო; შვილს ვინც გიქებს მტერია, ვინც გიძაგებს-შენიაო; შვილი რას წაუხდენია და თავისი დედის მოფერებასო; მშობელი პირველი სარკეა, რომელშიც პატარა იყურებაო; შვილი მომდურე დედისა-ურჩია თავის თავისაო; ვინც მშობელს არ აამებს, იგიც მასვე მოელოდესო; პატარის მოტყუება დიდი ცოდვააო; ერთი ბავშვის გაზრდა ერთი ბათმანი ფეტვის გახვრეტაზე ძნელიაო; ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო; ავისა შვილის დედასა რა გამოუღვეს კვნესასაო; დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო; დედა იკითხეო, კვიცი იყიდეო; დედაკაცი შვილების გაზრდით ფასდებაო; ასი მამა ერთ დედად არ ღირს და ასი მასწავლებელი-ერთ მამადაო და ა.შ.

მოცემულ ანდაზებში მთელი ხალხური დიდაქტიკაა წარმოდგენილი. მომავალი თაობის ზნეობრივი აღზრდა და ცხოვრების სწორ გზაზე დაყენება ყოველთვის აქტუალური პრობლემა იყო და არის ყველა ეთნოკულტურაში, ასეა ეს ინგლისსა და საქართველოშიც. რა თქმა უნდა, ყველა ეთნოსს აღზრდის თავისებური დიდაქტიკა, სისტემა გააჩნია, მაგალითად, ინგლისური აღზრდის სისტემა უფრო სპარტანული აღზრდისაკენ იხრება. ქართულ ოჯახში ხშირად ორი და სამი თაობა ცხოვრობს, ბავშვების აღზრდასაც ბევრად განსაზღვრავს ასეთი სიტუაცია. ინგლისურ ოჯახში კი რამდენიმე თაობის ერთჭერქვეშ ცხოვრება შეუთავსებელია კერძო ცხოვრების კანონებთან. ინგლისელ ბებიებს შეიძლება ძალიან უყვარდეთ შვილიშვილები, სიამოვნებით უმასპინძლებიან მათ შაბათს და კვირას, მშობლების შვებულებაში ყოფნის დროს შვილიშვილებს ერთი-ორი კვირითაც დაიტოვებენ, მაგრამ არასოდეს დაეთანხმებიან, იყონ მათი მუდმივი უფასო ძიძები.

ინგლისელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული პრინციპია: „ჩვენ ამ სამყაროში სიამოვნებისათვის არ გავჩენილვართ“. სწორედ ამას ეფუძნება მათი ხასიათისა და ცხოვრების განმასხვავებელი შტრიხები.

ინგლისელების აღზრდის სისტემა საკმაოდ მკაცრია. რაც უფრო მაღალი ადგილი უჭირავს ინგლისელს საზოგადოებაში, მის ბავშვს უფრო მკაცრად უნდა მოექცნენ. არც თუ ისე იშვიათია, რომ მდიდრულ ინგლისურ ოჯახში უზარმაზარი სასტუმრო ოთახია,

გიგანტური საძინებელი და მდიდრული კაბინეტია, ბავშვის ოთახი კი თითქმის სხვენზეა და წარმოადგენს ღარიბულ სენაკს. ეს ყველაფერი კი კეთდება შეგნებულად, პრინციპული მოსაზრებით, რომ ბავშვი კი არ განაზღვრავს, არამედ გაკაჟდეს. ინგლისში დღემდე პოპულარულია პანსიონების სისტემა, თანაც გოგონებისა და ვაჟებისათვის ცალ - ცალკე, ამასთანავე, ეს ეხება არისტოკრატიული და მდიდარი ოჯახების ბავშვებს. დღემდე დისციპლინა და წესები ამ პანსიონებში წარმოადგენს საპყრობილის, ყაზარმის და მონასტრის ერთგვარ ნაზავს, რომელიც ხელს უწყობს ნამდვილი ინგლისელის სულიერ აღზრდას (კრილოვა 2013- URL: <http://human.snauka.ru/2013/09/3736> ).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ძნელი არ არის დადგენა იმისა, თუ რით განსხვავდება ბავშვის აღზრდა ინგლისურ და ქართულ ეთნოკულტურაში. უეჭველია, რომ ინგლისში მომავალი თაობის აღზრდა ძალზე მკაცრ ჩარჩოებშია მოქცეული. ეს კარგად ჩანს ინგლისურ პარემიებშიც. ქართულ ანდაზებშიც ეს საკითხი საკმაოდ მკაცრადაა დასმული, მაგრამ რეალობაშიც რომ ინგლისურის მსგავსი ვითარება გვქონდეს, ჩვენ საზოგადოებაშიც ყველაფერი რიგზე იქნება.

#### გ) ანდაზები სიკეთისა და ბოროტების შესახებ

ფილოსოფიაში სიკეთე და ბოროტება მორალური შემეცნების ნორმატიულ - შემფასებელი კატეგორიები, კერძოდ, ეთიკის კატეგორიებია, რომლებიც ზოგადად გამიჯნავს ზნეობრივს და არაზნეობრივს, საჭიროს და გასაკილავს, ადამიანის მორალური თვისებებისა და დამოკიდებულებების, ქმედების მოტივირებასა და ქცევებს (ფიქს 1989:178; ბიჭინავაძე 2001:327). ყველა ავტორი საუბრობს სიკეთეზე, როგორც დადებით საქციელზე, კეთილ საქმეზე. სიკეთეს განიხილავენ, როგორც ქონება, სიმდიდრე. ბოროტების შესახებ ყველა მკვლევარი აღნიშნავს, რომ ეს არის რაღაც ცუდი, საზიანო, სიკეთის საწინააღმდეგო ბოროტი საქციელი, უბედურება და ა.შ.

ინგლისური ლექსიკონების მიხედვით, სიკეთე დადებითი მორალური ხარისხია, რაც დასაშვებია და გამართლებულია მორალურად, სიკეთე არის ის, რაც ემორჩილება მორალურ წესებს, რასაც მოაქვს სარგებელი, უპირატესობა, გაუმჯობესება; რასაც აქვს დადებითი

თვისებები. ინგლისელებისათვის „ბოროტება“ ბოროტი საქციელია, ტრაგედიაა, საზიანოა, ცუდია და ა.შ.

ინგლისურ ენაში „სიკეთეს“ გააჩნია შემდეგი კატეგორიები:

1. დადებითი მორალური თვისებები;
2. დადებითი ქმედება, საქციელი;

„ბოროტება“ ინგლისურ ენაში გაიაზრება შემდეგნაირად:

1. რაღაც ცუდი, მავნე, ცოდვიანი;
2. ცუდი ქმედება;
3. უბედურება, არასასიამოვნო.

შეიძლება ითქვას, „სიკეთისა“ და „ბოროტების“ მოცემული ინგლისური კატეგორიები ქართულსაც მოერგება...

ინგლისურ ანდაზებში კონცეპტით “good”(„სიკეთე“) არის, როგორც დადებითი მორალური ხარისხი, დადებითი ქმედება, საქციელი. მაგალითები:

Virtue and happiness are mother and daughter	-სათნობა და ბედნიერება ისეა, როგორც დედა და ქალიშვილი.
Virtue is the beauty of the mind	-სათნობა გონების სილამაზეა.
Virtue and a trade are the best portion for children	-სათნობა და ვაჭრობა საუკეთესო ულუფაა ბავშვებისათვის.
Virtue has all things in itself	-სათნობა თავის მხრივ ყველაფერს მოიცავს.
Virtue is its own reward	-სათნობა თავისთავად ჯილდოა.
Virtue is the only true nobility	-სათნობა ერთადერთი ჭეშმარიტი კეთილშობილებაა.
A good heart conquers ill fortune	-კარგი გული უბედურებას ამარცხებს;
A good life makes a good death	-კარგი სიცოცხლე კარგ სიკვდილს უზრუნველყოფს.

ჩამოთვლილ ინგლისურ ანდაზებში პირველ ადგილზეა კონცეპტი „good“, როგორც დადებითი მორალური ხარისხი.

ინგლისური ანდაზების კონცეპტში “evil” („ბოროტება“) გააზრებულია, როგორც რაღაც ცუდი, მავნე, უბედურება, უსიამოვნება. მაგალითები:

Ill weeds grow space	-სარეველა ბალახი მალე იზრდება.
He who sups with the devil should have a long spoon	-ემშაკთან მოვახშმეს გრძელი კოვზი უნდა ჰქონდეს.
Covetousness is the root of all evil	-სიხარბე ყველა ბოროტების საძირკველია.
One hates not the person, but the vice	-ადამიანი სძულთ და არა ნაკლი მისი.
He that has done ill once, will do it again	-ერთჯერ ბოროტების ჩამდენი მეორედაც გაიმეორებსო.
Vice is its own punishment, and sometimes its own cure	-მანკიერება ზოგჯერ სასჯელია და ზოგჯერ წამალი.
Mischief comes without calling for	-ზიანი მოწვევით მოდის.
Weeds want no sowing	-სარეველას დათესვა არ სჭირდება.
Sin is the root of sorrow	-ცოდვა მწუხარების თავი და თავია.
Every sin brings its punishment with it	-ყოველ დანაშაულს თავისი სასჯელი აქვს.
A wicked man is his own hell	-ბოროტი კაცი ჯოჯოხეთს იქმნის.
A wicked man’s gift has a touch of his master	-ავი კაცის საჩუქარი პატრონით ავია.

მოცემულ ანდაზებში ჭარბობს “evil”, რომელიც გაგებულია, როგორც რაღაც ცუდი, მავნე, ცოდვიანი.

როგორც შენიშნულია, ინგლისური კონცეპტის “good” („სიკეთე“) ბირთვი შენდება შემდეგი შინაგანი ფორმის ირგვლივ - „ადეკვატური, დადებითი თვისებების მქონე ([www.etymoline.com](http://www.etymoline.com))“.

ინგლისურ ენაში კონცეპტის “good” ბირთვს წარმოადგენს დადებითი მორალური ხარისხი, ხოლო პერიფერიულ ნიშნად-“good”, როგორც დადებითი მოქმედება, საქციელი. რომელიც სქემატურად იქნება შემდეგი სახით:


სქემა N1



ინგლისურ ანდაზებში კონცეპტის “evil” ბირთვი შენდება შემდეგი შინაგანი ფორმის ირგვლივ: „ცუდი, ბოროტი, გაფუჭებული“ ([www.etymonline.com](http://www.etymonline.com)). კონცეპტ “evil”-ის ბირთვს წარმოადგენს „ბოროტება“, როგორც რაღაც ცოდვიანი და „ბოროტება“, როგორც არასწორი ქცევა. კონცეპტ “evil”-ის პერიფერიულ ნიშნად ინგლისურ ენაში არის

„ბოროტება“-უბედურება (Ветрюк 2010: 215-220) რომელიც სქემატურად შეიძლება ასე გამოიხატოს:

სქემა N2



მოცემული სქემები გამოდგება ქართული ანდაზებისთვისაც.

## სიკეთე და ბოროტება ქართულ ანდაზებში

სიკეთისა და ბოროტების ურთიერთდაპირისპირება კაცობრიობის გაჩენის დღიდან არსებობს. ამ დაპირისპირებაში ყოველთვის სიკეთე იმარჯვებს. სიკეთის არსი გრძელია. ამის შესახებ დიდი შოთა რუსთაველიც ხაზგასმით მიუთითებს: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. სიკეთე ყველა ხალხის ეთნოკულტურაში დადებითადაა შეფასებული, რადგან სიკეთე კაცობრიობის პროგრესის საფუძველია. ასევე ბოროტება დაგმობილია ყველა ხალხში, რადგან იგი მტერია კაცობრიობის პროგრესისა. შეიძლება ითქვას, „რაც მტრობას (//ბოროტებას) დაუნგრევია, სიყვარულს (//სიკეთეს) უშენებია“; „სიტკბომ აშენა და სიმწარემ ანგრიაო“-ქადაგებს ქართული ანდაზები.

ყველა ხალხის ანალოგიურად, ქართულ ეთნოკულტურაშიც სიკეთე დადებითადაა შეფასებული, ბოროტება-უარყოფითად. „ბოროტებისა და სიკეთის ურთიერთდაპირისპირება, ბოროტების გაკიცხვა-დაგმობა და სიკეთის ქადაგება ყოველთვის იყო და არის ხალხური ანდაზების ერთ-ერთი აქტუალური და საყვარელითემა“ (შიოშვილი 1988:20). სიკეთის ქება, ქადაგება და სამსახური მოცემულია შემდეგ ქართულ ანდაზებში:

სიკეთე ქვაზე დადევ, წინ დაგიხვდებაო;
სიკეთეს მიეწიე, სიავს გაექეო;
სიკეთის ნერგი იხარებს, დარგე თუნდაც სიჰსა ქვაზედაო;
რასაც დასთეს, იმას მოიმკიო;
ავის მქმნელი თავის მტერიაო;
ავი სიტყვა მის მთქმელსაო;
კარგი ჰქენი,ქვაზე დადე,გაიარე,წინ დაგიხვდებაო;
ნუ უთხრი სხვას ორმოს, თორემ თვითონ ჩავარდებიო;
რასაც იფიქრებ სხვაზედა,ავიცხადდება თავზედა;
თვითონ სიფროთხილე სჭირდება,სხვას ვინც დაუგებს მახესაო;

ამ ანდაზებში ნათლად ჩანს, რომ ადამიანმა მხოლოდ სიკეთე უნდა აკეთოს, სიკეთე ყოველთვის მოუტანს სასარგებლო შედეგს. სიკეთეს დასთეს, სიკეთეს მოიმკი. ადამიანი

ყოველთვის უნდა ერიდებოდეს სიავის ქმნას, ნუ დაუგებ სხვას მახეს, თორემ თვითონ გაებმები და ა.შ.

სიკეთე უანგარო უნდა იყოს, „დამადლებული სიკეთე პრასის ფურცლებზეც არ დაიწერებაო“. ადამიანი მარტო თავისთვის კი არ უნდა იყოს კეთილი, სხვის მიმართაც უნდა იჩინდეს სიკეთეს: „თუ მარტო შენთვის ხარ კეთილი, ისიც ბოროტებააო“; „ბოროტია იგიც, ვინც მხოლოდ თავისთვის არის კეთილი“; „თუ გული გულობს, სიკეთის ქნა ყოველთვის შეიძლებაო“; „ადამიანმა წყენა უნდა დაივიწყოს, სიკეთე-არაო“;

„სულგრძელობა ის არის, ავს სიკეთით ვძლიოთ“; „სიკეთე ძალსაც არ დაავიწყდებაო“ და ა.შ. თუმცა ერთი ანდაზა გვაფრთხილებს: „სიკეთისათვის სიკეთე არავის არ უქნიაო“. რა თქმა უნდა, ქართულ ანდაზებში სიკეთე დადებითი მორალური კატეგორიაა, საზოგადოებაში ტრადიციულად დამკვიდრებული ზნეობრივი ნორმაა. ადამიანი კარგ ნამოქმედარს, სიკეთეს არ უნდა ივიწყებდეს. „სიკეთე ძალსაც არ დაავიწყდებაო“ „სიკეთის ნერგი იხარებს დარგე თუნდ სიჰსა ქვაზედა“, „კარგი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე წინ დაგხვდებაო“... გვასწავლის ქართული ანდაზები. ინგლისურშიც არის ანალოგიური ანდაზები. ერთ-ერთი ასეთია - “A good deed is never lost” (-კარგი ნამოქმედარი არ დაიკარგება).

ქართულ ანდაზებში გაკიცხულია ბოროტება, შური. კარგი//კეთილი უპირისპირდება ბოროტებას, შურიანობას, ცუდს. უპირატესობა ყოველთვის სიკეთის, კარგის მხარეზეა. „ღვარძლის მთესველი ხორბალს ვერ მოიმკისო“. ე.ი. ბოროტებას დათესავ, ბოროტებას მოიმკი. ბოროტი შვილი უბედურებაა დედისთვის: „ბოროტი შვილის დედასა რა გამოუღევეს კვნესასა“. „ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო“;

„ავისა შვილის დედასა რა გამოუღევეს კვნესასაო“, „კაი შვილის დედა მცინარია, ცუდისა-მტირალიო“. ქართული ანდაზა გვაფრთხილებს, ნუ ვენდობით ბოროტი ადამიანის სიტყვას, რადგან „ბოროტს ენა აქვს ნამდვილი ზრახვის დასამალავადო“.

ქართულ ანდაზებში დაგმობილია შური და სიხარბე, რადგან ეს თვისებებიც ბოროტების თავისებური გამოვლინებაა.

მაგალითები: „შურმა დალია ქვეყანა, ბაძილმა ააშენაო“; „შურიანი კაცის ღონე ცილისწამებააო“; „შურმა უმჯობესის პატივი არ იცისო“; „ხარბის გულს მიწის მეტი რა გაადღებსო“; „მოხარბებული კაცი ბრმა არისო“...

ქართველმა ხალხმა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში უარყო სისხლის აღების უბოროტესი ბარბაროსული ტრადიცია, რაზედაც ნათლად მეტყველებს ანდაზა:

„სისხლი სისხლით არ დაიბანებაო//გაიბანებაო“. (შდრ. ინგლ. “Blood will have blood”- სისხლი სისხლს გამოიწვევს). ე.ი. ბოროტებას ბოროტებით არ უნდა ვებრძოლოთ, რადგან მას უფრო დიდი და უსასრულო უბედურებები მოჰყვება. „სულგრძელობა ის არის, ავს სიკეთით ვძლიოთ“, „სიკეთეს მიეწიე, სიავეს გაექეო“, „ადამიანმა წყენა უნდა დაივიწყოს, სიკეთე-არაო“ - გვაფრთხილებს ქართული ანდაზები.

განხილული ბრძნული გამონათქვამები შორეულ წარსულშია შექმნილი, რომლებიც ახალ თაობებს გადმოეცა ჩვენი წინაპრების, როგორც ერთგვარი ანდერძი, შეხედულებათა ფორმულები, რომლებითაც ცხოვრებაში უნდა ვიხელმძღვანელოთ ინგლისური და ქართული ანდაზების ფონდში კიდევ ბევრი მაგალითი დაიძებნება, რომლებშიც შექებულია სიკეთე, ხოლო დაგმობილია ბოროტება. მაგრამ გაანალიზებული ანდაზებიც ცხადყოფს, რომ ორივე ეთნოკულტურაში სიკეთე დადებითი მორალური კატეგორიაა, ხოლო ბოროტება-ცუდი, არასასიამოვნო, მორალურად მიუღებელია. ოღონდ, ამ შემთხვევაშიც, სხვაობა ასახვის ფორმაში უნდა ვეძიოთ. ბოროტებისა და სიკეთის ასახვის ხერხები ინგლისურსა და ქართულში განსხვავებულია, ზოგადი შინაარსი კი-მსგავსია, რადგან სიკეთე ყველგან კარგია, ბოროტება-ცუდი.

დ) ანდაზები მეგობრობაზე

როგორც ინგლისური, ისე ქართული ანდაზების კორპუსში მეგობრობის შესახებ საკმაოდ ბევრი ანდაზა გვხვდება. მაგალითად:

A friend in need is a friend indeed.	-მეგობარი გასაჭირში იცნობა.
A man is known by the company he keeps.	-ადამიანი მეგობრების წრით იცნობა.



Lend your money and lose your friend.	-თუ გინდა დაკარგო მეგობარი, ასესხე ფული.
Among friends all things are common.	-მეგობრებს ყველაფერი საერთო აქვთ.
A friend is never known till a man have need.	-ვიდრე კარს გაჭირვება არ მოგადგება, მეგობარს ვერ გამოიცნობ.
A friend's frown is better than a foe's	-მტრის ღიმილს მეგობრის გამწყრალი სახე სჯობს.

ქართული ანდაზები:

ცხენი აღმართში გამოსცადე, ამხანაგი - განსაცდელშიო.	გონიერი მტერი სჯობია უგუნურ მეგობარსაო.
მეგობრობამ მანძილი არ იცისო.	გულმრუდი მეგობარი უფრო საშიშია, ვიდრე პატიოსანი მტერიო.
მეგობარი მეგობრისთვის ციხესიმაგრეა.	მეგობრისთვის მეგობარი სარკეაო.
კაცი მეგობლით იცნობაო.	ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა.
რკინა რკინით ილესება, კაცი მეგობრითაო.	ამხანაგთან მრუდეთ მოქცევა ქურდობა და ავაზაკობააო...

როგორც ვხედავთ, ინგლისურშიც და ქართულშიც შექებულია და დადებითადაა შეფასებული კარგი, უანგარო მეგობრობა.

ე) ანდაზები სიყვარულზე

Love can neither be bought nor sold.	-სიყვარულს ვერ იყიდი, ვერც გაყიდი.
Love is blind.	-სიყვარული ბრმაა.
Love laughs at locksmiths.	-სიყვარული დასცინის კლიტეების ხელოსნებს.
Love is the mother of love.	-სიყვარული სიყვარულს შობს.
Love makes the world go round.	-სიყვარული ამოდრავებს სამყაროს...

ქართული ანდაზების მიხედვითაც:

სიყვარული ბრმაა.
სიყვარულმა სირცხვილი არ იცის.
სიყვარულის ძალამ სოვდაგარი ამუშავა.
სიყვარული ვარდს ეძებს, ეჭვი-ეკალსაო.
სიყვარული ვარდია, ეჭვიანობა ეკალიო...

რა თქმა უნდა, ორივე ხალხის ანდაზებში შექცეულია ამაღლებული, ნამდვილი სიყვარული, მაგრამ მეტწილად ასახულია განსხვავებულად.

ანალოგიური მსგავსება სხვა თემატიკის ანდაზებშიც ნათლად ჩანს. მაგალითად, ინგლისურში “A still tongue makes a wise head” (-დუმილი ჭკუის მაჩვენებელია). შდრ. ქართ. დუმილი ოქროაო; ჭკვიანი ზედმეტს არ იტყვის; მოთმენა ვერცხლია, მოუთმენლობა ცეცხლიო... ამ რიგის ერთ-ერთი ანდაზა - „სიტყვა ვერცხლია, დუმილი - ოქრო“ - შორეული წარსულიდან მომდინარეობს. ამ „ბებერ“ ანდაზას X საუკუნის ქართველი აგიოგრაფი მწერალი გიორგი მერჩულე თავის ნაწარმოებში („გრიგოლ ხანცდელის ცხოვრება“) ასეთ კონტექსტში იყენებს: „აწ სულელნი სიბრძნით მეტყველებენ, ხოლო თვისსა და ბრძენთა ჰქმნეს დუმილი... მათ ვერ გულის-ხმა ყვეს, ვითარმედ: „ბრძნად მეტყველება ვერცხლი არს წმინდა, ხოლო დუმილი-ოქრო რჩეული“, ვითარცა თქვა სოლომონ“ (მერჩულე, 1978:125). მაშასადამე, ეს ანდაზა მომდინარეობს სოლომონ ბრძენისგან რომელიც იყო ისრაელის სამეფოს მეფე ძვ. წ. 965-928 წ.წ. (ქსე, ტ. 9, 1985); მითოლოგიური ლექსიკონის მიხედვით, სოლომონ ბრძენმა იმეფა 1115-975 წ.წ. (გელოვანი 1983:643).

ან კიდევ: A stick is soon found to beat a dog with (-ძალის საცემად ჯოხი მალე მოინახებაო). ქართ. თუ გინდა ძალლი გაჯოხო, თქვი, რომ ტაფა შეჭამაო.

A soft answer turns away wrath (-თავაზიანი პასუხი სიბრაზეს აქარწყლებს; ქართ.ტკბილი სიტყვა რკინის კარს გააღებსო; თავმდაბლობამ ცა მოდრიკაო; ტკბილი სიტყვით ცხრაკლიტული გატყდებაო...

Beautiful flowers are soon picked (-ლამაზ ყვავილებს მალე კრეფენ); ქართ. ლამაზი ქალი ადრე თხოვდება.

Beauty is but skin-deep (-გარეგნული სილამაზე მხოლოდ კანის ზედაპირზეა); ქართ. სილამაზეს რა ჭკუა აქვს...

თუ ასე მივყვებით, ანალოგიური შინაარსის, სემანტიკის მქონე მრავალი ანდაზა აღმოჩნდება.

როგორც ზემოთ ითქვა, ანდაზების თემატიკა ძალზე ფართო და მრავალფეროვანია. ღირსსაცნობია, რომ არ არსებობს ცხოვრების სფერო თუ ცხოვრებისეული მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც არ იყოს ასახული ინგლისურ და ქართულ ანდაზებში. ამ თემატიკიდან ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ჯგუფი განვიხილეთ, რომლებიც ძირითადად ეხება შრომას, ოჯახს, სიკეთესა და ბოროტებას...

განაალიზებული ანდაზები ნათლად მეტყველებს, რომ ინგლისელებიც და ქართველებიც მაღალ შფასებას ანიჭებენ შრომას, როგორც ცხოვრების საფუძველს. ორივე ეთნოსის ანდაზებში შრომითი ეთიკის ზუსტი მახასიათებლებია მოცემული; ასახულია განსაკუთრებული მიდგომები ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანესი სფეროს მიმართ. ეს ანდაზები დამრიგებლური ხასიათის შრომის განუმეორებელი კოდექსი, მოძღვრებაა.

ინგლისური და ქართული ანდაზები შრომისადმი ზოგადად ერთნაირ დამოკიდებულებას ამჟღავნებს, სემანტიკა მსგავსია, მაგრამ ერთი და იგივე მოცლენის ასახვა განსხვავებულია. მაგალითად, ინგლისური ანდაზების მიხედვით, „ჯერ საქმე, მერე დასვენება“; „საქმეზე მნიშვნელოვანი არაფერია“... ქართულ ანდაზებში ანალოგიური შინაარსი შემდეგნაირადაა ასახული: „ჯერ შრომა, მერე ხტომა“;

„ადამიანის უძვირფასესი განძი შრომაა“... ამ ანდაზების სემანტიკა მსგავსია, ასახვა - განსხვავებული.

როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ანდაზებში შრომა, მშრომელი ადამიანი შექებულია, ხოლო უარყოფითი დამოკიდებულებაა გამოხატული სიზარმაცის, უქნარა ადამიანისადმი. ორივე ეთნოსის ანდაზების მიხედვით, მიუღებელი და შეუწყნარებელია როგორც სიზარმაცე და უქნარობა, ასევე ცუდი შრომა, ზერელედ გაკეთებული საქმე, რომ უსაქმურობას ადამიანი დანაშაულამდე მიჰყავს, სიზარმაცე ბოროტების დედაა და ა.შ.

ინგლისურ და ქართულ ანდაზებში საუკეთესოა წარმოჩენილი ოჯახის მახასიათებლები და ნაციონალური თავისებურებანი. კერძოდ: ოჯახური ტრადიციები და ჩვევები; მშობლიური სახლი და ყოფა; ურთიერთდამოკიდებულება ოჯახის წევრებს შორის; ოჯახის აღმზრდელობითი პოტენციალი; მშობელთა ავტორიტეტი და ა.შ. ამ თემატიკის ანდაზებშიც გვხვდება სემანტიკური მსგავსება და განსხვავებაც, რადგან ინგლისი კერძო საკუთრების კლასიკური ქვეყანაა. „ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეა“-ნათქვამია ერთ-ერთ ინგლისურ ანდაზში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ინგლისელი ამ „ციხე-სიმაგრის“ მფლობელი და მეციხოვნეც თვითონაა. ქართული ანდაზის მიხედვით, „ჩემი სახლი ჩემი ციხე-დარბაზია“. ინგლისელის სახლი („ციხე-სიმაგრე“) სხვებისთვის საჩვენებლად არაა განკუთვნილი, ჩვენი „ციხე-დარბაზები“ კი უმეტესად სხვის დასანახად შენდება. ინგლისელების დევიზია: „ჩვენ გვიყვარს ჩვენთვის ცხოვრება“, ისინი არც არავის აწუხებენ და არც არავისთვის წუხან. ჩვენთან კი პირიქითაა.

ინგლისურ და ქართულ ანდაზებში ბევრი საერთო დაიძებნება ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით, მაგრამ სხვაობა აქაც საკმაოდ გვხვდება. ინგლისური აღზრდის სისტემა უფრო მკაცრია, ვიდრე ქართული. „ბავშვებს უნდა ხედავდე და არ უნდა გესმოდეს“, ამ ინგლისური ანდაზის მიხედვით, ყველაფერი ნათქვამია შვილისადმი მშობლების დამოკიდებულების შესახებ. „ბავშვს სწორი გზა ასწავლე, სიბერემდე გაჰყვებაო“, „შვილს აღზრდა უნდა, გოჭს-გაზრდაო“-ქადაგებს ქართული ანდაზები.

როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ანდაზებში მთელი ხალხური დიდაქტიკაა წარმოდგენილი. მომავალი თაობის აღზრდა და ცხოვრების სწორ გზაზე დაყენება აქტუალური პრობლემაა ორივე ეთნოკულტურაში, მაგრამ ყველა ეთნოსს აღზრდის თავისი სისტემა გააჩნია. მაგალითად, ინგლისური აღზრდის სისტემა უფრო სპარტანული

აღზრდისაკენ იხრება. მომავალი თაობის აღზრდის საკითხი ქართულ ანდაზებშიც საკმაოდ მკაცრად დასმული, მაგრამ დღევანდელ რეალობაში საქმე სულ სხვაგვარადაა.

ინგლისური და ქართული ანდაზების ერთ-ერთი აქტუალური თემაა სიკეთისა და ბოროტების საკითხი. ინგლისურში სიკეთე არის დადებითი მორალური თვისებები; დადებითი ქმედება, საქციელი. ბოროტება კი გაგებულია, როგორც რაღაც ცუდი, მავნე, ცოდვიანი, ცუდი ქმედება, უბედურება, არასასიამოვნო რამ. ასეა გაგებული ეს კატეგორიები ქართულშიც. მაგალითად, „ვინც სათნოებას დასთესს, დიდებას მოიმკის“. ეს ინგლისური ანდაზა მკაფიოდ მიუთითებს, რომ სიკეთეს, სათნოებას კარგი შედეგი მოაქვს. ასეა ეს ქართულშიც („სიკეთის ნერგი იხარებს, დარგე თუნდ სიჰსა ქვაზედაო“). ორივე ეთნოსის პარემიებში უარყოფითი კონოტაციით ხასიათდება ბოროტება. ინგლისური ანდაზების მიხედვით, „ბოროტი კაცი ჯოჯოხეთს იქმნის“, „ცოდვა ცოდვას შობს“, „სისხლი სისხლს გამოიწვევს“... ქართული ანდაზების მიხედვითაც, ბოროტება, შური, სიხარბე დამღუპველია („ბოროტი შვილის დედასა რა გამოუღვეს კვნესასა“;

„შურმა დალია ქვეყანა, ბაძილმა ააშენაო“; „მოხარბებული კაცი ბრმა არისო“...).

ინგლისური და ქართული ანდაზების ფონდში არაერთი მაგალითი დაიძებნება,

რომლებშიც შექებულია მეგობრობა, სიყვარული, სიდინჯე, სიბრძნე, სწავლა - განათლება, ვაჟკაცობა და ა.შ. ხოლო უარყოფითადაა დახასიათებული მეგობრობაში ღალატი, აჩქარება, სიბრიყვე, უსწავლელობა//ცუდი განათლება, სიმხდალე და ა.შ.

### **3.3. სულიერი კულტურის შემცველი პარემიები**

ანდაზებში ასახულია ხალხის სულიერი კულტურა, რომელიც კაცობრიობას გაჩენის დღიდან ახასიათებს, მისი არსებობის თანმდევი, ნიშანდობლივი მოვლენაა. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში, შეიძლება გამოიყოს პარემიები, რომლებიც დაკავშირებულია ხალხის წარსულთან, ისტორიულ მოვლენებთან, ასევე წეს-ჩვეულებებთან (რიტუალები, ტრადიციები). ეს რეალიები მიეკუთვნება პროტოტიპის სახეს ენის გარეშე, რომელიც მიანიშნებს პარემიების ჩამოყალიბებაში ექსტრალინგვისტურ

ფაქტორებს. სხვადასხვა ხალხის ანდაზური ტექსტები აღნიშნულ საკითხებს განსხვავებულად წარმოაჩენს. რასაც ნათლად გვიჩვენებს ინგლისურ- ქართული ანდაზების შედარებითი ანალიზი.

ინგლისური პარემია- “When Adam delved and Eve span, Who was then the gentleman?” ფრაზეოლოგიური ლექსიკონების მიხედვით, ეს გამოთქმა ირონიულად გამოიყენება წარმომავლობით თავმომწონე ადამიანებთან (ე.წ. კეთილშობილად დაბადებულთა) მიმართებით.

აღნიშნული ანდაზა გენეტიკურად უკავშირდება ერთ-ერთ ისტორიულ მოვლენას, კერძოდ, XIV საუკუნეში ინგლისში სოციალური წინააღმდეგობა უკიდურესად გამწვავდა. მდაბიოები ქანცის გაწყვეტამდე შრომობდნენ, შედეგად კი ვერაფერს იღებდნენ და ფაქტიურად შიმშილობდნენ, მათი შრომით მდიდრები უფრო მდიდრდებოდნენ. მშრომელთა ეკონომიკურ სიდუხჭირეს დაემატა 1348-1349 წლებში ქვეყანაში გავრცელებული შავი ჭირის („შავი სიკვდილის“) ეპიდემია. ხალხის მდგომარეობა უკიდურესად დაამძიმა მეფე რიჩარდ მეორის მიერ მკაცრი საგადასახადო პოლიტიკის გატარებამ. მშრომელი ხალხის დამცირება ყოველგვარ ზღვარს გადასცდა. ამიტომ დაიწყო მსჯელობა საკუთარ წარმომავლობაზე „საერთო მშობლებიდან“ –ადამ და ევადან.

მოცემული ანდაზის დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამი და ევა ჯენტლმენები არ ყოფილან. ისინი თანასწორი უფლებებით სარგებლობდნენ, ორივე შრომობდა და არანაირი განსხვავებული პრივილეგიები არ გააჩნდათ. დღეს კი ვითარება სულ სხვადავარადაა. ხალხის გულისტკივილს ნათლად და ლაკონიურად გადმოსცემდა თავის ქადაგებებში სასულიერო პირი ჯონ ბოლი (Ball). ის იყო სახალხო მქადაგებელი და ლოლარდების [ინგლ. მრ.რ. Lollard, შუანიდერლანდური Lollaert (d), სიტყვასიტყვით-მოხუტბუტე (ლოცვისა)] იდეოლოგიც. ლოლარდები მონაწილეობდნენ გლეხურ-პლებეურ მოძრაობაში ინგლისსა და დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. ისინი არ ცნობდნენ კათოლიკური ეკლესიის პრივილეგიებს და მკაცრად აკრიტიკებდნენ ფეოდალური წყობილების უსამართლობას, ამათრახებდნენ მათ სიმდიდრეს და მანკიერებას.

ინგლისში ვითარება ისე დაიძაბა, რომ 1381 წელს ქვეყნის ისტორიაში გლეხთა უდიდესი ანტიფეოდალური აჯანყება დაიწყო, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ სოფლის ხელოსანი უოტ ტაილერი (Wat Tyler) და კენტის ბერი ჯონ ბოლი (ამ უკანასკნელის მიერ გამოთქმული ზემოთ აღნიშნული ერთ-ერთი რევოლუციური ლოზუნგი ანდაზის სახით დამკვიდრდა ინგლისურ ფრაზეოლოგიაში).

1381 წლის 13 ივნისს აჯანყებულებმა ლონდონიც კი აიღეს, 14 ივნისს მეფე რიჩარდ მეორეს მიაღებინეს თავიანთი მოთხოვნები, კერძოდ, გააუქმებინეს ბატონყმური წესები და ფეოდალური ბეგარა. შემოაღებინეს ერთგვაროვანი და ზომიერი ფულადი რენტი; მიაღწიეს თავისუფალ ვაჭრობასა და აჯანყების ყველა მონაწილის ამნისტიას. საბოლოო ჯამში გლეხთა აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მან დააჩქარა გლეხთა პირადი გათავისუფლებისა და ბეგარის ფულადი რენტით შეცვლის პროცესი (ქსე, II, 1977:449; ქსე, VI, 1983:283; ქსე, X, 1986:163). სწორედ ამ ისტორიულ მოვლენას უკავშირდება ზემოთ მოცემული ანდაზა.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული ანდაზა რუსულ ენაშიცაა ინგლისურიდან შესული, თუმცა იგი ოდნავ შეცვლილი სახით გვხვდება და არ წარმოადგენს ინგლისურის სიტყვასიტყვით თარგმანს და არსებობს მხოლოდ, როგორც ორიგინალის კონცეპტუალური ორიგინალი (თავისებური გააზრებით): “Когда Адам пахал и пряла Ева, где родословное тогда стояло древо?” ამ შემთხვევაში ინგლისური ანდაზის სიტყვასიტყვითი თარგმანი გამოიწვევდა ამ ენობრივი ერთეულის სრულ გაუგებრობას (გაუაზრებლობას), რადგან არსებობს ამ ორი კულტურის წარმომადგენლებს შორის სხვადასხვა მსოფლმხედველობა: ცნება „ჯენტლმენი“ არ არის დამახასიათებელი და ბუნებრივი რუსებისათვის, ამიტომაც პრაქტიკულად შეუძლებელია დაიჭირო ამ სიტყვის ყველა კონოტაცია. მიუხედავად იმისა, რომ ცნება „ჯენტლმენი“ არ არის მშობლიური რუსულენოვანი რეციპიენტისთვის, ის მაინც აღიქვამს მას ინგლისური კულტურის მატარებლისაგან სრულიად განსხვავებულად, რუსის ცნობიერებაში

„ჯენტლმენი“ კარგი მანერების მქონე ადამიანია, ხოლო ინგლისელისათვის ეს სიტყვა აღნიშნავს ფეოდალური წარმომავლობის, კარგი აღზრდისა და განათლების მქონე ადამიანს.

განხილული ინგლისური ანდაზის მიხედვით, ყველა ადამიანი დაბადებიდან თანასწორია, ხოლო განსხვავებული წარმომავლობა თუ არათანასწორობის პრინციპები ადამიანების მიერ შემდეგ არის მოგონილი. რაკი ცნებაში „ჯენტლმენი“ რუსი დებს სხვა აზრს, ამ ანდაზის თარგმანი ვერ დამკვიდრდებოდა რუსული ანდაზების ფონდში, როგორც ინტერნაციონალური (ე.ი. როგორც უცხოკულტურული წარმომავლობის, მაგრამ ნაცნობი და ხშირად გამოყენებული სხვა კულტურაში) ანდაზა. ამიტომაც, რომ მიეღო თავის ფონდში სხვა ენიდიან ანდაზა, რუსულმა მოახდინა მისი

„რუსიფიცირება“, ანუ ამოიღო ტექსტიდან უცხოკულტურული რეალია „джентльмен“, რომელიც ურთულდება ინგლისური ანდაზის გაგებას, მისცა რუსულენოვან ტექსტს სხვა სახე, თუმცა შეინარჩუნა ორიგინალური ტექსტისთვის დამახასიათებელი რითმა (ინგ. „Span-gentlman“; რუს. “Ева-дерево”). რუსულ ტექსტში სიტყვა „джентльмен“-ის ნაცვლად გამოყენებულია „Родословное древо“, რომელიც უფრო განზოგადებული ენობრივი ერთეულია.

ისტორიული რეალიების ამსახველი ანდაზები ქართულშიც გვხვდება. ერთ-ერთი ასეთი უნდა იყოს ანდაზურად თქმული ლექსი: „ნუგზარ ერისთვის დროსაო, /სისხლის წვიმების დროსაო“. ნუგზარ არაგვის ერისთავის სახელს ჩვენი ერი დღესაც იხსენიებს ამ საგულისხმო ლექსით (ჭავჭავაძე 1987:157). ნუგზარ ერისთავი არაგვის ერისთავი იყო XVII საუკუნის პირველ მეოთხედში. იგი მკაცრი მეთოდებით ცდილობდა ბატონყმურ ურთიერთობათა დანერგვას მთაში (ქსე, 7, 1984:484). თავისუფლებას შეჩვეული აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობისათვის ბატონყმობა მიუღებელი იყო. ნუგზარ არაგვის ერისთავმა კი ეს ურთიერთობა ცეცხლითა და მახვილით დაამყარა. სწორედ ამ მოვლენასთან დაკავშირებულ სისხლის ღვრას ასახავს აღნიშნული ანდაზა-ლექსი.



საერთოდ, ყველა ანდაზა გენეტიკურად გარკვეულ მიზეზთან თუ ამბავთან (იგავ-არაკი, თქმულება, ისტორიული მოვლენა...) არის დაკავშირებული, მაგრამ ისინი მეტწილად ზოგად პარამეტრებშია მოცემული და ზოგჯერ ჭირს წარმოშობის კონკრეტული საფუძვლის „ამოკითხვა“.

როგორც რუსულ მაგალითზე ითქვა, ქართულენოვანი რეციპიენტისათვისაც არაა დამახასიათებელი ტერმინი „ჯენტლმენი“ და იგი, ბუნებრივია, არც ქართულ ანდაზებშია. მის ნაცვლად გვხვდება „კაი ყმა“, „გმირი“, „გულადი“, „სახელოვანი“...

მაგალითად: გმირის სიკვდილი მზის ჩასვენებასა ჰგავსო; ვაჟკაცი საცა შერცხვება მისი სამარე იქ არიო; თავადის შვილი იზრდებოდა და ვირდებოდაო, გლეხის შვილი იზრდებოდა და გმირდებოდაო; კაი ყმის ნაბინვარში შეშანი დარჩებიანო, ცუდისა ნაბინვარში ქარნი ნაცარსა ყრიანო; კარგი ვაჟკაცი და ძალლი სოფლის იმედიანო; ლომის ნადგომზე ძვლები რჩება, კაი კაცისა-სახელიო; სამშობლოს ერთგული უდიდგვაროდაც დიდიანო; გულადი სიცოცხლეში ერთხელ კვდება, მხდალი-ყოველდღე; ვაჟკაცი წყნარი ჯობია, ჩალად არა ღირს მკვებარა; იმერეთიდან გადმოდის საქციელი და ზრდილობაო: თუ კაცი თვითონ არ ვარგა, რას არგებს გვარიშვილობა; კარგი ყმა ომში კვდებაო; კარგს ეძმე და ეყმეო; მგელი არ მოშლის მგლობასა, კაი ყმა მამაცობასა; ქალი-ქმრითა, ჩიტო- ფრთითა, შვილი-დედმამითა, ოჯახი გვარიშვილობითა.

როგორც ითქვა, ინგლისურში სიტყვა „ჯენტლმენი“ ფეოდალურ- არისტოკრატიული წარმომავლობის პიროვნების მიმართ გამოიყენება, რომელსაც კარგი აღზრდა და განათლება აქვს, გამოირჩევა სანიმუშო ყოფა-ქცევითა და მანერებით. ქართულში კი, ანდაზების მიხედვით, ადამიანი პრივილეგიური გვარის შთამომავალია თუ მდაბიო წარმომავლობის, ფასდება თავისი თვისებებით: კაი ყმა, კარგი კაცი, გმირი, გულადი, მამაცი, შეუდრეკელი, სამშობლოს ერთგული... თუმცა გვარიშვილობასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და დღესაც დადებითი შეფასებით სარგებლობს ქართულ საზოგადოებაში. ოღონდ კაი გვარიშვილობას ხშირად წინაპრის კარგი და კეთილი საქმიანობა ამკვიდრებს. ქართული ანდაზების მიხედვით, „კაცი თუ არ ვარგა, ჯილაგი რა

საჭიროა”, „როსტომ თქვა: სიბერკაცითა სიტყვას არ უნდა რბილობა, თუ კაცი თვითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა”...

ქართულ ანდაზებში ბატონის ქმედება, ბატონის შვილის საქციელი, აზნაურების თვისებები გაქილიკებული და გამათრახებულია, რადგან ისინი მხოლოდ საკუთარ პრივილეგიებზე, მის შენარჩუნებაზე ზრუნავდნენ და ქვეყნის თუ ხალხის საქმე დიდად არ ადარდებდათ. ქართულ პარემიებში შექებულია კაი დედმამიშვილი, გლეხის შვილი, სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლი, კაი ყმა, მისი რაინდული თვისებები, გმირი, რომელსაც სირცხვილის „ჭამას” სიკვდილი ურჩევნია; თუმცა ზოგჯერ გლეხის შვილების უარყოფითი თვისებებიცაა გამომზეურებული. მაგ. „გლეხის შვილი იზრდებოდა, თანდათან ვირდებოდაო”.

გმირობა-ვაჟკაცობას, სახელოვან სიკვდილს მაღალ შეფასებას აძლევს ინგლისური ანდაზებიც. მაგ.: “Better a glorious death than a shameful life“- სახელოვანი სიკვდილი სჯობია სამარცხვინო სიცოცხლეს (ქართ. „სახელოვანი სიკვდილი სიცოცხლის უტბილესიაო”, „ერთხელ სჯობია სიკვდილი მუდამ ჟამს დაღონებასა”...). „Better die standing than live kneeling“ - ზეზე სიკვდილი სჯობია დაჩოქილ სიცოცხლეს (ქართ. „ერთხელ სჯობია სიკვდილი ნიადაგ მოყივნებას”, „ღირსეული სიკვდილი სჯობია უღირს სიცოცხლესო”...).

„A courageous man never wants weapons“ – მამაცი უაიარალოთაც მამაციაო (ქართ. „ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხისაო”...).

როგორც ინგლისურ, ისე ქართულ სულიერ კულტურაში დიდი ადგილი უჭირავს ბავშვის სწორად, სიმართლისა და ჭეშმარიტი მაგალითის მიხედვით აღზრდის პრობლემას. ეს ძალზე ვრცელი თემაა, ამიტომ აქ მხოლოდ რამდენიმე საგულისხმო მაგალითს მოვიყვანთ:

„He that cockers his child, provides for his enemy” - ვინც თავის ბავშვს ანებივრებს, ის მტერს ზრდის (ქართ. „შვილი მტრულად გაზარდე და მოყვარედ გამოგადგებო”).

„A good example is the best sermon” - კარგი მაგალითი საუკეთესო ქადაგებაა.

აღნიშნულ თემაზე ანდაზები ქართულში საკმაოდ უხვად გვხვდება.

მაგ.: ბავშვს ის არგებს, რაც დიდებსაც არ აწყენსო;

ბავშვს სახრე არ აწყენსო;

ბავშვი და გამოუწვავი ჭურჭელი ერთია: როცა გამოიწვება , მერე აღარ გასწორდებაო;

პატარის მოტყუება დიდი ცოდვააო;

შვილს სწორი გზა ასწავლე, სიბერემდე გაჰყვებაო...

მოცემული ანდაზების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ერთი და იმავე კონცეპტის გამოსახატავად ხალხები კარგად ოპერირებენ მათთვის ცნობილი და აღიარებული ცნებებით, ამასთანავე, კონცეპტის მეტი სიზუსტით გამოსახატავად შეუძლიათ შეცვალონ ცნებები თვით ნასესხებ ერთეულებშიც კი.

რიტუალები და ტრადიციები ჭეშმარიტად სახალხო მოვლენას წარმოადგენს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იქმნება და გადაეცემა თაობიდან თაობას. ისინი უშუალო კავშირშია ხალხის ყოფა-ცხოვრებასთან, მათ პროტოტიპულ სცენებთან. კონკრეტული ეთნოსის წეს-ჩვეულებანი უხვად არის ასახული ანდაზებსა და ანდაზურ თქმებში.

ინგლისური პარემია-Lead apes in hell-წარმოადგენს საკმაოდ ხატოვან და მეტაფორულ ტექსტს. ეს მეტაფორული პარემია დაკავშირებულია ცრუ რწმენასთან, რომლის თანახმადაც, სიკვდილის შემდეგ შინაბერები ჯოჯოხეთში მაიმუნების ძიძები იქნებიან, რადგან სიცოცხლეში საკუთარი შვილები არ ჰყავდათ. ბუნებრივია, შინაბერობა ინგლისურში უარყოფითი კონოტაციით ხასიათდება.

შინაბერობა არც ქართულ ანდაზებშია დადებითად წარმოდგენილი. უარყოფითადაა დახასიათებული გაუთხოვარი, უშვილო და პურძვირი ადამიანი. მაგ.: გაუთხოვარი ქალიშვილი ღმერთამა მტერსაც ნუ დაურჩინოს სახლში; გაუთხოვარი ქალი ოჯახის ბოქაულიაო;

შინაბერას ყველა სარკე მრუდე ჰგონიაო;

არასოდეს არ გახმება წყალთა შიგა ხეთა ძირი, არასოდეს არ ცხონდება;

უშვილო და პურაძვირი, თუ უშვილო ცხონდებოდეს, სამოთხეში შევა ვირი;

უშვილო ქალი უნაყოფო ხეა;

უშვილო კაცი ჯირკია;

ერთ-ერთი ანდაზის მიხედვით, დაგმობილია უკეთური შვილის ყოლა: უშვილოდა სჯობს სიკვდილი უკეთურ შვილის ყოლასა.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ქართულ ანდაზებში ძალზე უარყოფითი პოზიციას გამონათული, როგორც გაუთხოვარი, ასევე უშვილოთა მიმართ.

ინგლისური ანდაზის მიხედვით, “An unmarried daughter has a broken wing” - გაუთხოვარი ქალი ფრთამოტეხილია (ქართ. „ქალი ქმრითა, ცხვარი მითითაო“, „ქმარი ქალის ფრთებიაო“, „ჩიტი ფრთითაო, ქალი ქმრითაო“...).

ამრიგად, შინაბერობა ინგლისურ და ქართულ ანდაზებში უარყოფითი კონოტაციით ხასიათდება. ოღონდ ქართულში, არა მარტო შინაბერობა, უშვილობაც დიდ ნაკლადაა მიჩნეული. ასევე, ინგლისურისგან განსხვავებით, ქართულ ანდაზებში მოცემული ვითარება აზრობრივადაც და ლექსიკურადაც განსხვავებულადაა ასახული. საინტერესოა, აგრეთვე, ქვემოთ მოყვანილი ანდაზები, რომლებიც წარმოადგენს ერთი კონცეპტის როგორც ლექსიკურ, ასევე აზრობრივად სხვადასხვანაირ რეალიზაციას. მაგალითად, ინგლისური ჩვეულების მიხედვით, კეთილდღეობის ნიშნად მშობლები ახალშობილს ჩუქნიდნენ ვერცხლის კოვზს. ეს ჩვეულება საფუძვლად დაედო მეტაფორულ გამოთქმას “To be born with a silver spoon in one’s mouth” (-პირში ვერცხლის კოვზით დაბადება). იგივე კონცეპტი (ილბლიანობა, ბედნიერება და კეთილდღეობა) ქართულ ენაში გადმოიცემა შემდეგნაირად: „დაიბადა პერანგით”,

„პერანგში დაბადებული”, „აბრეშუმის პერანგით დაბადებული”, „დაბადებისას ქუდბედი დაყვაო”, „ქუდბედიანიაო”, „ქაჩხით (აჭარ. თავისი გარსით-ლ.ქ.) დაბადებული”, „ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული”. როგორც ვხედავთ, ქართული პარემიები არანაკლებ თვალსაჩინოდ და სპეციფიკურად ასახავს უბრალო ქართველი ადამიანის წარმოდგენას ბედნიერებაზე.

ინგლისურ ენაში გადმოცემული კონცეპტის აღქმა ქართველისათვის რთული არაა, თუნდაც არ ჰქონდეს საბაზისო ცოდნა პარემიაშია გამოყენებულ წეს-ჩვეულებაზე, რადგან ქართულშიც არის შინაარსობრივად მსგავსი გამოთქმა („პერანგით დაბადებული“...).

ამრიგად, ორივე კულტურის წარმომადგენლები ამ კონცეპტში დებენ იდეას იმის შესახებ, რომ ადამიანის დაბადება თავად წინასწარმეტყველებს მის ბედს: ე.ი. თუ დაიბადა თავის პერანგში, ბედნიერ ვარსკვლავზე ან ვერცხლის კოვზით, ის ბედნიერი იქნება. თუმცა ინგლისელებისთვის ილბლიანობის, ბედნიერებისა და კეთილდღეობის კონცეპტში დევს მხოლოდ მატერიალურ კეთილდღეობაზე წარმოდგენა.

პროტოტიპულ სცენად ინგლისში მდიდარი ხალხის წეს-ჩვეულებების აღება იმაზე მეტყველებს, რომ ბედნიერი შეიძლება იყოს მხოლოდ მდიდარი ოჯახიდან გამოსული ადამიანი, ღარიბისათვის ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. ქართველისათვის კი ილბალი და კეთილდღეობა დამოკიდებულია ბედისწერით გაპირობებულ შემთხვევაზე. ილბალი, ბედნიერება და კეთილდღეობა ყველას წილხვედრი არაა, ის მხოლოდ რჩეულების ხვედრია, თანაც მატერიალური კეთილდღეობა ბედნიერებისა და კეთილდღეობის პირობა არ არის, არამედ მხოლოდ აქედან გამომდინარე შედეგია. ამიტომაც სიმდიდრე არ დევს ქართულენოვან ლინგვოკულტურული საზოგადოების მიერ აღნიშნული კონცეპტის გააზრებაში. შემთხვევითი არ არის, რომ ანდაზურ გამონათქვამებს: „პერანგით დაბადება//პერანგში დაბადება...“ საფუძველად უდევს ბავშვის თავისი გარსით დაბადების ფაქტი, რაც ძალიან იშვიათად ხდება, როგორც მდიდრებში, ასევე ღარიბებში. რაც იმას ამტკიცებს, რომ ქართული ანდაზური გამონათქვამის საფუძველი გამორჩეულობისა, შემთხვევითობაა.

ამრიგად, რეალიების შემცველი ანდაზები და ანდაზური გამონათქვამები, რომელთა საფუძველი ისტორიული მოვლენები, წეს-ჩვეულებები, რიტუალები და ცრურწმენებია, უცხოკულტურული რეციპიენტისაგან მოითხოვენ დამატებით ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ინფორმაციას. ფრაზის შიდა კონტექსტი, რომელიც ხშირად აღიქმება ჩვეულებრივ არამოტივირებულ მეტაფორად, წარმოადგენს ადრე არსებული გარკვეული ნაციონალურ-ისტორიული და კულტურული რეალიების ასახვას, რითაც ხდება სხვა კულტურის წარმომადგენელთა მიერ სინამდვილის კატეგორიზაციის თავისებურებების დეტერმინიზაცია.

რეალიების შემცველი ტექსტები რთული გასაგებია უცხოკულტურული რეციპიენტისთვის, რადგან ამ უკანასკნელის ანდაზებსა და ანდაზურ გამონათქვამებში, რომლებშიც მსგავსი კონცეპტებია, აბსოლუტურად მსგავსი რეალიები არ არის. ეს დაკვირვება ადასტურებს ფაქტს, რომ ორი კულტურის ეკვივალენტური ტექსტები, რომელთაგან ერთ-ერთი შეიცავს მინიშნებას საგნებზე ან სულიერი კულტურის მოვლენებზე, ლექსიკურად სხვადასხვა ტექსტებს წარმოადგენენ, რომლებიც ზოგჯერ განსხვავდება თავისი კონცეპტუალური სისავსით.

### 3.4. მატერიალური კულტურის შემცველი პარემიები

ინგლისურ პარემიებში ყოფა-ცხოვრებითი რეალიები წარმოდგენილია კერძების, სასმელების, ფულის ერთეულების, საზომი ერთეულების სახელწოდებებით. ყველაზე ხშირად გვხვდება კერძების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები. ერთ-ერთი ასეთი არის pudding. მაგ.: “The proof of the pudding is the eating”(მტკიცება პუდინგისა მდებარეობს დანამატ ქიმიურ ნაერთებში), “better some of a pudding than none of a pie” და სხვ.

“To pick the plums out of the pudding” (შენთვის კარგი აირჩიო სხვებს კი ცუდი დაუტოვო). ამ მეტაფორულ პარემიაში და სხვა ანდაზებში მოცემული „pudding” ინგლისელებში ყველაზე მეტად გავრცელებული საშობაო კერძის სახელია, რომლის მოსამზადებლად ბევრი ხილია საჭირო.

პირველად მიირთვა გემრიელი კერძი –ადამიანისათვის დამახასიათებელი თვისებაა, რომელიც ყოველთვის იარსებებდა, რომ საზოგადოების მორალური კანონებით არ გაკიცხულიყო. სწორედ ეს თვისება დაედო საფუძვლად აღნიშნული გამოთქმის წარმოქმნას. ე.ი. მოცემული თვისება გააზრებულ იქნა ხატოვნად და შეიქმნა მეტაფორული პარემია –“To pick the plums out of the pudding”, რომელშიც რეალიზდება კონცეპტი: „აიღე შენთვის ყველაზე უკეთესი (საუკეთესო)”.

ანალოგიური კონცეპტი ვერბალიზდება რუსულ პარემიაშიც, –“Снимать пенки (сливки)”. ხატოვანი გამოთქმის ეს წყვილი (ინგლისური და რუსული) შეიძლება

ჩაითვალოს ეკვივალენტად ფუნქციონალურ-აზრობრივი თვალსაზრისით. ორივე ანდაზა ეხება კვების პროდუქტებს (თანაც საუკეთესოს არჩევით), კულინარიისა და კვების სფეროს.

ქართულშიც გვაქვს მატერიალური რეალიების ამსახველი ანდაზები, მაგრამ ისინი მეტწილად ზოგად სპექტრშია წარმოდგენილი. ამასთან უფრო მეტად პატიოსანი შრომით მოპოვებული ლუკმა-პურის საკითხია წარმოჩენილი.

მაგ.: ლუკმა მაშინაა ტკბილი, როცა კაი კაცობითაა ნაშოვნი;

ღარიბის ლუკმა ტკბილია;

ღარიბი კაცის პურის ჭამა მადლიანია;

შვიდ სადილზე შეესწარი-შვიდი ლუკმა აიღეო;

ვინც უჯაფოდ პურსა ჭამს, იმან ხეირიანი პურის ჭამაც არ იცისო;

ძუნწმა კაცმა თაფლი გასცა და უკან მიჰყვა ლოკვითაო;

ტკბილი ლუკმა ბოლოსაო;

აკრძალული ხილი გემრიელია...

მოცემულ ანდაზებში კარგად ჩანს ქართული ყოფითი თავისებურებანი, კერძოდ, დადებითადაა შეფასებული კაი კაცობით ნაშოვნი ლუკმა, ღარიბი კაცის ლუკმა ტკბილია, რადგან პატიოსანი შრომითაა მოპოვებული. გაკიცხულია უჯაფოდ პურის მჭამელი, სიძუნწე. ქართული ჩვეულების მიხედვით, შვიდ სადილს რომ შეესწრო,

„შვიდი ლუკმა აიღეო“, რადგან მასპინძლის შეურაცხყოფად ითვლება, როცა კეთილი გულით გეპატიჟება, შენ კი უარს ამბობ, რაც ფაქტიურად სადილის დაწუნებას ნიშნავს.

პარემიების ფონდში გვაქვს ისეთი ანდაზებიც, რომლებშიც პირადი ინტერესებია წინა პლანზე წამოწეული.

მაგ.: კუჭი ძმაზე ახლოაო;

კუჭი სჯის და კუჭი ფიქრობს;

ჯერ თავო და თავო. მერე ცოლო და შვილო;

ვინც მოხადა ქვევრიო, იმას ერგო ბევრიო;

ერთი მუჭა ბალახი აქლემს მაღლა აახტუნებსო;

ვისაც თაფლი უდგია, თითსაც ის ილოკავსო;

შენ ხილი იგემე, მეზადეს რას კითხულობო;

შენ ხილი მიირთვი და მეხილეს რას დაეძებო...

ამ მაგალითებში ლუკმა-პურთან დაკავშირებით ისეთი რამ არაა, როგორც ეს სომხურ ანდაზებშია: „რად ჰკითხულობ, ვისი გამომცხვარია ეს პური? გინდ ურისა იყოს, თუ გემრიელია, სჭამეო“. ანუ: „სადაც ნახო პური, იქ დაბინავდიო“. ეს სომხური ანდაზები გაანალიზებული აქვს ილია ჭავჭავაძეს. დიდი მწერალი ამ ანდაზებთან დაკავშირებით აღნიშნავს: მართალია, ამისთანა ანგარიშიანს სიბრძნეს დღეს დიდი ბაზარი აქვს, მართალია, დღეს ბურთი იმას გააქვს მოედნიდან, ვინც ამ მოძღვრებას მისდევს, მაგრამ თავმოსაწონებელი და საქებარი – კი არა ჰყრია – რა, პირიქით, რაცა ჰყრია, ძირიანად ამოსათხრელია და წყალში გადასაყრელი.

დიდი ხანია, სარწმუნოება ჩვენი გვასწავლის: „არა გული გითქმიდეს... მისთვის, რაცა იყოს მოყვასისა შენისაო“. დიდი ხანია ქვეყნიერებაზედ ამ ანდაზების მხარდამხარ ერთი სხვა მორცხვი, მაგრამ კაცთა საკადრისი და გამაპატიოსნებელი მოძღვრებაც დადის: „ნუ სძლები სხვისა რძითა, ნუ იმოსები სხვისა მატყლითაო“, სხვისა ნურა გინდა-რა, შენი იკმარე, ეს არის კაცთა ურთიერთობის ქვაკუთხედი, ეს არის დედაბოძი ზნეობისა.

მართალია, ამ ანდაზებს რომ გვერდით მივუყენოთ ქართველთა ანდაზა: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია“, ან: „უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედიანების“-პირველნი ახლანდელის დროში ჰკუთამყოფელობას მოასწავებს, და მეორენი ბედოვლათობას, მაგრამ, ღმერთმა იცის, -კაცურ კაცობისათვის რა უფრო სანატრელია, სხვისის პურის ჭამა, თუ თავისისა გაცემა. ვინ იცის: ზნეობა უფრო მაგარი ქვითკირია კაცთა ცხოვრებისათვის, თუ საცა ვისი რამ მოახელო, სჭამე, რაკი გემრიელია”(ჭავჭავაძე 1987:55).

ამ ვრცელ ამონარიდში საუკეთესოდაა დახასიათებული ქართული ზნე-ჩვეულებანი, მატერიალური და სულიერი ღირებულებები სომხურთან მიმართებით.



ზემოთ მოყვანილ ინგლისურ ანდაზაში აღწერილია ერთ-ერთი გამორჩეული საშობაო კერძი პუდინგი, რომელიც ნაღებითაა დაფარული, რუსულში-რძით, ზემოდან დაფარული ნაღებით. ამასთანავე, მინიშნებულია-აიღე შენთვის საუკეთესო. ანალოგიური აზრია გატარებული ზემოთ მოყვანილ სომხურ ანდაზებშიც, კერძოდ, თუ პური გემრიელია, მიირთვი, ნუ კითხულობ გამომცხობს. ან: სადაც პური ნახო, იქ დაბინავდი... ქართულშიც გვაქვს: ხილი მიირთვი და მეხილეს ნუ იკითხავ... მაგრამ ლუკმა-პურთან დაკავშირებით საკითხი სხვაგვარად დგას: ლუკმა-პური კარგია, მაგრამ გარჯით უნდა იყოს მოპოვებული; ყველაფერი კარგია თუ შენი შრომითაა მიღებული, მხოლოდ ის შეგერგება, ხოლო „რაც არ გერგება, ის არ შეგერგება“. „ნუ სძლები სხვისა რძითა, ნუ იმოსები სხვისა მატყლითაო“. ნუ გინდა სხვისი რამ, იკმარე შენი. დიდი ილიას სიტყვებით: „ეს არის კაცთა ურთიერთობის ქვაკუთხედი, ეს არის დედაბოძი ზნეობისა“. „ტკბილი ლუკმა ბოლოსაო“-ესეც ქართული ტრადიციის ამსახველია.

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებული პარემიები სხვადასხვა ეთნოკულტურაში განსხვავებულია, როგორც ლექსიკურად, ასევე შინაარსობრივად თუ აზრობრივ-სემანტიკურადაც. უფრო ახლოსაა დასახელებული ინგლისური და რუსული მაგალითები, რომლებიც შეიძლება ერთმანეთის ინვარიანტებად ჩაითვალოს. ქართულსა და სომხურში კი სხვადასხვაგვარადაა ასახული. ეს ყველაფერი იმის დასტურია, რომ ერთი და იმავე კონცეპტის გამოსახატავად თითოეული ხალხი იღებს ნაცნობ სახეებს და იმ ნიშან-თვისებებს, რომლებიც მისი თვალთახედვით ყველაზე მეტად ასახავს გარკვეულ კონცეპტებს. ნიშან-თვისებების, მოვლენების და სახეების შერჩევა პირდაპირაა დამოკიდებული ასოციაციებზე, რომლებიც დაფუძნებულია გარემომცველი სინამდვილის აღქმისა და სემანტიკის თავისებურებებზე.

ინგლისურ ანდაზებში კომპონენტებად გვხვდება მატერიალური კულტურის აღმნიშვნელი ლექსემები, რომლებიც ძირითადად მოცულობას, ფულსა და საზომ ერთეულებს (წონის, სიგრძის მოცულობის და ა.შ.) ასახავს.

ინგლისური ანდაზები- “An ounce of practice is worth a pound of theory” (უკეთესია ცოტა პრაქტიკა, ვიდრე ბევრი თეორია); “An ounce of discretion is worth a pound of

wit”(ნატამალი (მცირე) თავდაჭერილობა (ტაქტი) და ძვირფასი მახვილსიტყვაობა). ამ ანდაზურ ტექსტებში გამოიყენება წონის ერთეულების (“ounce” და “pound”) აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მიუთითებს „მცირე” და „დიდ” რაოდენობაზე არა პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ მეტონიმიურად.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ინგლისელები პრაქტიკას თეორიაზე მაღლა აყენებენ, ხოლო ტაქტს - გონებაზე მაღლა.

აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით არაერთი ინგლისური და ქართული ანდაზაა.

მაგ.: “An ounce of vanity spoils a hundred weight of meri”.- ერთი მისხალი პატივმოყვარეობა აფუჭებს ერთ ცენტნერ ღირსებას (ქართ. ერთი დამპალი ვაშლი ერთ კალათა ვაშლს დააღპობსო).

“An ounce of discretion is worth a pound of learning”- უნცია სიფრთხილე გირვანქა სწავლას უდრის. (ქართ. ერთი თვალთ რომ გეძინოს, მეორეთი უნდა ფხიზლობდეო, ერთი მისხალი გაფრთხილება ერთ გირვანქა სწავლას უდრისო). “An ounce of prevention is worth a pound of theory”- პრაქტიკის ერთი უნცია თეორიის გირვანქას უდრის. (ქართ. თეორია პრაქტიკის გარეშე მკვდარიაო).

“Deeds are fruits, words are leaves” -საქმე ნაყოფია, სიტყვა ფოთოლი (ქართ. „სიტყვა ქუხილია, საქმე წვიმაა”...).

მოცემული ქართული შესატყვისები ზუსტად არ ასახავს ინგლისური ანდაზების სემანტიკას, ისინი დაახლოებით ანალოგიური შინაარსისაა. პრაქტიკული გამოცდილების მნიშვნელობა უფრო მკვეთრად ჩანს შემდეგ ქართულ ანდაზებში:

„ბებერი ხარის რქაც ხნავსო”, „ერთი პური მეტი მიეცი და პური მეპურეს გამოაცხოზინე”,

„პური მეპურემ გამოაცხოზოსო” და ა.შ. მაშასადამე, ქართული ანდაზების მიხედვითაც, საქმე იმან უნდა აკეთოს, ვისაც შესაბამისი საქმის პრაქტიკული გამოცდილება აქვს. ამ თვალსაზრისით, ქართული და ინგლისური ანდაზების სემანტიკა თანხვედრაშია.

“Try to put a quart into a pint pot”. ეს იდიომა რომ გავიგოთ, აუცილებელია ვიცოდეთ გამონათქვამში გამოყენებული საზომების რეალური სიდიდეები, ან თუნდაც გვეჩვენოს მათზე მიახლოებითი წარმოდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ტიპის ანდაზები აღიქმება, როგორც არამოტივირებული და მნიშვნელობები („შეეცადე შეძლო შეუძლებელი” და „გსურდეს შეუძლებელი”) გაუგებარია. მიუხედავად იმისა, რომ ლექსემებს “quart”, “pint” თავისებური აზრობრივი მნიშვნელობა გააჩნიათ („საზომი ერთეულები”) და გამოხატავენ თანაფარდობას იერარქიულ სკალაზე (სხვადასხვა საფეხურს შორის). მოცემული სიდიდეების ცოდნა კი აუცილებელია უცხოკულტურული რეციპიენტისათვის.

ინგლისურში „კვარტა” სითხის საზომია (1 კვარტა უდრის 1,14 ლ.), ხოლო „პინტა” მოცულობის საზომია (1 პინტა უდრის 0,57 ლ.). ამ სიდიდეების ცოდნის საფუძველზე, შეიძლება ადვილად აღდგეს ანდაზაში მათი გამოყენების მნიშვნელობა და მოტივირება. შესაბამისად, ნათელი ხდება ამგვარი კატეგორიზაციის მიზეზები ინგლისელი ხალხის მიერ, რომელსაც შეუძლებლობის იდეის გამოსახატავად მოჰყავს თვალსაჩინო მაგალითი, რომელშიც გამოყენებულია ქვეყანაში არსებული საზომი ერთეულები-“კვარტა” და “პინტა”.

ქართულ ანდაზებშიც გვხვდება საზომი ერთეულები. მაგ., “კოკა”, „მტკაველი”...

ბევრი კოკა წყალი ჩაივლისო;

ცა მტკავლით არ გაიზომება;

შვიდი ფეხი ყანა გქონდეს და შვიდ მაისს წვიმა მოვიდეს, იმედი გქონდესო;

ერთმა პილწმა თავგმა ასკოკიანი ქვევრი წაბილწაო;

კურდღელს ასი ურემი შემა მიჰქონდაო...

ამ ანდაზებში გამოყენებული „კოკა” ქეგლ-ში ორი მნისვნილობითაა მოცემული:

1. წყლის საზიდი თიხის ჭურჭელი:მოზრდილი, დიდმუცლიანი, ვიწროქუსლიანი, დაბალყელიანი, ცალყურიანი.2. ღვინის საწყაო სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ზომისა (საშუალოდ ერთი ფუთიდან ფუთნახევრამდეა (ქეგლ. IV, 1955). „შვიდი ფეხი ყანა” კი მიწის ნაკვეთზე, პატარა ყანაზე უნდა მიუთითებდეს. ურემი შემაც განსაზღვრულ რაოდენობას აღნიშნავს( რამდენსაც ურემი დაიტევს).

ინგლისურ ანდაზებს –“Give him an inch and he’ll take an ell”- ერთი გოჯი რომ მისცე, ერთ მეტრს წაიღებს, “Give him an inch and he’ll take a mile/yard”... რომლებშიც ვერბალიზდება კონცეპტი „სიხარბე, გაუმადლობა”, გააჩნია ქართულში ფუნქციონალურ-აზრობრივი ეკვივალენტი: „თითი რომ პირში ჩაუდო, მოგაკვნეტსო”, „ემშაკს რომ თითი მისცე, მთელ ხელს წაგართმევსო”...

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ორივე ენაში გამოიყენება ერთნაირი სინტაქსური სტრუქტურები და ლექსიკურად ეკვივალენტური ზმნები მიცემა-აღების მნიშვნელობით. ორივე ენაში შედარება მიდის შემდეგი ხაზით: „მცირე-დიდი”,

„ნაწილი-მთელი”, მაგრამ ქართულ ენაში ანდაზის ლექსიკური შევსება ხდება ადამიანის სხეულის ნაწილებით, ინგლისურში-სიგრძის აღმნიშვნელი ლექსემებით.

საგულისხმოა, რომ ინგლისელი და ქართველი ხალხის სიგრძის საზომი ერთეულები სხვადასხვაა. ინგლისურ ანდაზაში ნახსენები „დიუმი” და „მილი” არის ინგლისელი ხალხის რეალია, რომელიც ხატოვნად არის რეალიზებული მოცემულ ანდაზაში.

ორივე ენის ანდაზებში სიტყვები „თითი” და “inch” გამოიყენება „ძალიან პატარა”-ს (ამ შემთხვევაში - ნაწილი), ხოლო „ხელი” და “mile” („მილი”)-„დიდი”-ს (ამ შემთხვევაში-მთელი, ყველაფერი) მნიშვნელობით.

როგორც ვხედავთ, ერთი და იმავე კონცეპტის შედარებისთვის სხვადასხვა ობიექტის გამოყენება განპირობებულია სხვადასხვა ხალხის ცხოვრების განსხვავებული სტილით, რაც, თავის მხრივ, აისახება მსოფლმხედველობის ნაციონალურ თავისებურებებში. ამიტომაც ჭეშმარიტი სინამდვილის კონცეპტის გამოსახატავად თითოეული ერი (სხვა ერისაგან დამოუკიდებლად) ეყრდნობა რა თავისი კულტურის რეციპიენტს, შედარებისთვის ირჩევს მისთვის ნაცნობ ცნებებს. მაგ., ინგლისელები დიდისა და პატარის შესადარებლად იყენებენ მიწის საზომ ერთეულებს. მოცემული რეალიები, რომლებიც გამოხატავს სიგრძით ზომებს („დიუმი” და „მილი”), წაკითხვისთანავე მიგვანიშნებს აღნიშნული ანდაზებისა და ანდაზური თქმების ნაციონალურ კუთვნილებაზე და საფუძვლიანად შესწავლისას ხსნიან ინგლისელების მიერ რეალური სამყაროს ასეთი სემანტიკის თავისებურებებს.

საზოგადოდ, სამყაროს ენობრივი სურათის ძირითადი კატეგორიები (მოცემულ შემთხვევაში პატარისა და დიდის, ნაწილისა და მთელის მნიშვნელობა) დამახასიათებელია ყველა საზოგადოებისათვის, მაგრამ აღიქმება და ხატოვან ერთეულებში ივსება სხვადასხვანაირად.

### 3.5. ანთროპონიმები პარემიებში

პარემიები, რომელთა შემადგენლობაში შედის ანთროპონიმი (ადამიანის სახელი ან გვარი), უცხოკულტურული რეციპიენტისთვის ხასიათდება მკვეთრი ეროვნული მარკირებით. ასეთ ტექსტებში ანთროპონიმები გვხვდება სხვადასხვა ასოციაციური კავშირითა და კონოტაციით მდიდარი არსებითი სახელი, რომელსაც გააჩნია გადატანითი მნიშვნელობა და გამოიყენება სხვადასხვა სიტუაციასთან დაკავშირებით. ეს სახელები თითქოს უკვე აღარ განეკუთვნება თავის მატარებელს; კონკრეტული სახელები განზოგადებულ ხასიათს იძენს და წინა პლანზე წამოსწევს არა სახელწოდებას, არამედ მის შეფასებას, მოსაუბრის დამოკიდებულებას ობიექტისადმი, რომელიც ატარებს ამ სახელს, ასევე ახალი ობიექტისადმი, რომელზეც გადადის ეს სახელი. კონცეპტუალური თვალსაზრისით, უცხოკულტურული ანდაზები და ანდაზური თქმები, რომლებშიც გვხვდება ანთროპონიმები, საკმაოდ რთულია, რადგან მათი მნიშვნელობის გარკვევა, ასევე სხვა ენის ეკვივალენტების მნიშვნელობებთან შედარებისას საჭიროა დამატებითი ენობრივ - მხარეთმცოდნეობითი ცოდნა.

განსაკუთრებით საინტერესოა პარემიების ჯგუფი, რომელთა ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს ინგლისური ტრადიციული სახელი ან გვარი. მაგ., Betty, Tom, Jack, Dick, John, Mary, Brown, Jones, Smith და სხვ.

მაგალითად, ადამიანის საკუთარი სახელები დამკვიდრდა ანდაზაში „Tom, Dick and Marry”, ხოლო – გვარები - ანდაზაში „Brown, Jones and Robinson”. ორივე ანდაზა სინონიმურია, რადგან თითქმის ერთნაირი მნიშვნელობით გამოიყენება - „საშუალო, კარგი, ჩვეულებრივი ადამიანები; პირველი შემხვედრი”. მოცემულ ენობრივ ერთეულებში ინგლისური სახელებისა და გვარების არსებობა ქართველი რეციპიენტისთვის ანდაზების

ნაციონალური მარკირების ინდიკატორია. ამასთანავე, იგი აფართოებს უცხოკულტურული რეციპიენტების ფონურ ცოდნას ინგლისური სახელების შესახებ.

ქართულშიც დასტურდება ანდაზები, რომლებშიც გამოყენებულია საკუთარი სახელები და გვარები.მაგ.:

არალო, ბიჭო გოგია, მოხან და ბევრი მოგია;

ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო;

ამირან დარეჯანის ძე ჩაივლის ყარაიასა, ცოლსა საკაბეს მოუტანს, დედასა - დარაიასა;

ამილახორო, რა ხარო? ხარ – კამეჩივით დახვალო;

აბესალომ და ეთერი ღმერთმა შეჰყარა ერთფერი;

ალიანსა, ჩალიანსა, უნათლულანთ მარიამსა, ბუთურთ ბუთლას საქმე აქვის, თქვენთვის არას ცალიანსა;

ციციანთ დავა გახდა;

ქაისხეური - წისქვილი და გრემისხეველი თინაო;

ასეა, ჩემო თომაო, სმასაც კი უნდა ზომაო...

მოცემული მაგალითების მიხედვით, ვერ ვიტყვით, რომ ისინი შინაარსითა და სტრუქტურით ერთმანეთის ეკვივალენტებია. შეიძლება ითქვას, ეს ანდაზები მკვეთრად განირჩევიან. ბუნებრივია, ინგლისურ ანდაზებში ინგლისში გავრცელებული ტიპიური ანთროპონიმებია მოცემული, ქართულში – ქართველებისათვის დამახასიათებელი გვარსახელები. რაც, როგორც ითქვას, ანდაზების ნაციონალური მარკირების ინდიკატორია.

კონცეპტუალური თვალსაზრისით, სხვადასხვა ხალხის პარემიების არსებითი განსხვავება მდგომარეობს იმაშიც, რომ კონცეპტში „საშუალო, ჩვეულებრივი და მოხერხებული ადამიანი“ კონკრეტული ეთნოსი დებს სხვადასხვა წარმოდგენას, რაც დამოკიდებულია ხალხის ცხოვრების ხასიათზე და დონეზე. ამიტომაც თვით ეკვივალენტური ანდაზებიც კი სხვადასხვაგვარად ასახავს კონკრეტულ სიტუაციას, რომელიც შეესაბამება სამყაროს ნაციონალურ სურათს. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი, საშუალო ადამიანები ინგლისსა და საქართველოში განსხვავდებიან მატერიალური

მდგომარეობით, წესებით, ჩვევებით, ტანსაცმლით და ა.შ. შესაბამისად, განსხვავდება ამ ადამიანების სახეები შესაძარებელი ორი ლინგვოკულტურული საზოგადოების წარმომადგენლების ცნობიერებაში.

არის შემთხვევა, როცა ანდაზაში გამოყენებული კონკრეტული ანთროპონიმი საზოგადო სახელად იქცევა. მაგალითად, ზემოთ განხილულ ერთ-ერთ ინგლისურ ანდაზაში- „Jack of all trades and master of none” - ყველა ხელობის მცოდნე ჯეკი და არაფრის ოსტატი (შდრ. ქართული: „სიტყვით ყველაფერიო, საქმით არაფერიო”. „ბატმა თქვა: ცურვაც ვიცი, სიარულიც და ფრენაცაო; - არც ერთი არ ვიცი კარგადო”). ამ ანდაზების დედაარსი ისაა, რომ უმჯობესია ადამიანმა ერთი ხელობა იცოდეს კარგად, ვიდრე – რამდენიმე ცუდად. როგორც ვხედავთ, ინგლისურ ანდაზაში გამოყენებული საკუთარი სახელი ჯეკი განზოგადებულია და აღნიშნავს ადამიანს, რომელიც ყველაფრის გაკეთებას ცდილობს, სინამდვილეში კი არაფერი არ იცის. ეს ვითარება ქართული ანდაზის მიხედვითაც უარყოფითადაა შეფასებული. ოღონდ ქართულ ანდაზაში საკუთარი სახელი კი არა, საზოგადო სახელია გამოყენებული. “Every Jack has his Jill”(ყველა ჯეკს თავისი ჯილი უწერია)-ამ პარემიის მიხედვით, ყველას მისი მყიდველი გამოეძებნებაო, ქართ. ყველა საქონელს თავისი მყიდველი ჰყავსო.

ინგლისური იდიომის –“ Before one can say Jack Robinson”- (ვიდრე მოასწრებდე თქვა: ჯეკ რობინსონ) ქართული ფუნქციონალურ-აზრობრივი ეკვივალენტი შეიძლება იყოს-„თვალის დახამხამებაში”, „ელვასავით სწრაფი”. ეს თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ სისწრაფის გამომხატველი ერთი და იგივე კონცეპტი შეიძლება რეალიზდეს ხატოვნად ენობრივ გამოსახვაში სხვადასხვანაირად. ამასათანავე, ერთი და იმავე კონცეპტის საფუძველი სხვადასხვა პროტოტიპული სცენაა.

ქართულ ენაში ხატოვანი გამოთქმის- „თვალის დახამხამებაში”- საფუძველი პრაქტიკულად ადვილად შესამოწმებელი ქმედებაა - „თვალის დახამხამება”, რომელიც ძალზე მცირე დროში ხდება.

ინგლისურ იდიომაში დასახელებული ჯეკ რობინსონი კონკრეტული ისტორიული პერსონაჟია, რომელიც ხშირად სტუმრობდა ნაცნობებს და ტოვებდა მათ სანამ

გამოაცხადებდნენ მისი მოსვლის შესახებ. ბუნებრივია, ეს ანთროპონიმი მიანიშნებს ტექსტის ეროვნულ მარკირებაზე. ამასთანავე, მოითხოვს დამატებით ცოდნას ჯეკ რობინსონის ვინაობასთან დაკავშირებით და ანდაზაში მისი დამკვიდრების მიზეზის გარკვევას. მოყვანილი მაგალითები მიანიშნებს ერთი და იმავე კონცეპტის სხვადასხვა გარდატეხაზე ორ ენაში. კერძოდ, ინგლისურ ანდაზაში სისწრაფე გადმოიცემა ისეთი სახით, რომელიც თავად ქმედებაზე უფრო ხანგრძლივია ქართულ გამოთქმასთან შეფარდებით, თვალი რომ დაახამხამო, წამის ერთი ნაწილია თუ მონაკვეთი საჭირო, ხოლო მოსვლის შესახებ გამოცხადება უფრო მეტ დროს მოითხოვს.

ინგლისურ იდიომაში “The Vicar of Bray” მოცემული ანთროპონიმი ვიკარ ბრეიდან ნახევრად ლეგენდარული პიროვნებაა, რომელიც ცხოვრობდა XVI საუკუნეში. მან ოთხჯერ შეიცვალა რელიგია: ორჯერ იყო პროტესტანტი და ორჯერ კათოლიკე. ამიტომაც იგი უპრინციპობის სიმბოლოდ იქცა და რეალიზება ჰპოვა მოცემულ ინგლისურ იდიომაში.

„The Vicar of Bray” წარმოადგენს სახელ-დახასიათებას, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ხაზს უსვამს გასაკიცხი ადამიანის უპრინციპობას. ინგლისელებისათვის კი უპრინციპობა, რელიგიისადმი არამდგრადი (არათანმივდევრული), მერყევი დამოკიდებულება მიუღებელია.

ქართულ ანდაზებშიც გაკიცხულია რელიგიისადმი, ღვთისადმი გულგრილი დამოკიდებულება, ოღონდ უფრო ზოგადად. მაგ.:

კაცი რომ ღვთის ცნებას გადავა, მისი საქმე წახდებაო;

ეგრე არა ჰქნა, ხუცესო, საქმე არა ჰქნა უწესო, თორემ ეგ შენი ნაქნარი შენ შვილიშვილსაც უწევსო;

სახით მღვდელი, სამით მგელი;

თუ ღმერთი მწყალობს, ეშმაკი რას დამაკლებსო;

მარტო ლოცვით სამოთხეში არ შეისვლება...

ქართულში კაცობის, პრინციპულობის ამსახველი არაერთი ანდაზა დასტურდება:

კაცი უნდა იყოს კაცი, არა დიაცმაცუნაო;

კაცს კაცობა უნდა, თორემ უღვაში კატასაც კი აქვს;



კაცი კაცი უნდა იყოს, თორემ ქუდი სოკოსაც კი ხურავს...

ბუნებრივია, დასახელებული ანდაზები ინგლისურის ეკვივალენტებად არ გამოდგება. ისინი შეიძლება თემატიკურად ეხმიანება ერთმანეთს. კერძოდ, ორივე ენის ანდაზები ასახავს ღვთისადმი პატივისცემას, კაცურ, პრინციპულ თვისებებს. უარყოფითად აფასებს უპრინციპობას, რელიგიისადმი გულგრილობას და ა.შ.

### 3.6. ტოპონიმები პარემიებში

ტოპონიმის შემცველ ინგლისურ პარემიებს არ გააჩნია ქართულენოვანი შესატყვისები, რადგან ინგლისურ ანდაზებში გვხვდება ინგლისური გეოგრაფიული სახელები, ქართულში კი - ქართული ტოპონიმები. ცხადია, ანდაზაში მოცემულია იმ ქვეყნის ტოპონიმები, რომელ ქვეყანაშიც ეს ანდაზა არის შექმნილი, ამიტომ სავსებით ბუნებრივია, ამ ენობრივ ერთეულში იმავე ქვეყნის კონკრეტული ობიექტებისა და გარესამყაროს მოვლენებია ასახული. პარემიები ჭეშმარიტად ხალხურ შემოქმედებას წარმოადგენს, ისინი უნივერსალური ენობრივი ერთეულებია, ამასთანავე, შეიცავს ნაციონალურ სპეციფიკურ მახასიათებლებს. ამიტომაც პარემიები მხოლოდ მისი შემოქმედი ერის კუთვნილებაა და არ გააჩნიათ ზუსტი ანალოგი სხვა ერის კულტურაში. ინგლისურ და ქართულ კულტურაში ტოპონიმების შემცველი ისეთი ეკვივალენტური წყვილების არსებობა, როგორცაა “ To carry coals to Newcastle”- ქვანახშირის წაღება ნიუკასლში (ქვანახშირის საბადოა) და ქართ. „ანაკლიაში ერთ კაცს შემწვარი თევზი მიჰქონდაო”, აიხსნება, პირველ რიგში, დიდ ბრიტანეთსა და საქართველოში ასეთი სახელწოდების ადგილების არსებობით, მაგრამ ინგლისურ ვარიანტში დასახელებულია ქვანახშირის წარმოებით ცნობილი ადგილი, ქართულში - ადგილი, სადაც თევზი ისედაც ბლომდაა და იქ თევზის მიტანას აზრი არა აქვს. ტოპონიმები „ნიუკასლი” და „ანაკლია” სრულიად შეუცდომლად განსაზღვრავენ დასახელებული ანდაზების კონკრეტული კულტურისადმი კუთვნილებას.

ბევრ ინგლისურ პარემიას არ გააჩნია ქართულენოვანი შესატყვისი, რაც ართულებს მათ გააზრებას. მაგალითად, ინგლისურ პარემიაში: “To be on the high-road/highway to Needham” შეესაბამება „გაკოტრების ზღვარზე ყოფნა//გაკოტრების ზღვარზე ვარ”.

ამ პარემიის კონცეპტის განსაზღვრისათვის აუცილებელია მისი პროტოტიპული სცენის გამოვლენა, რომელიც დაკავშირებულია ისეთ დასახლებულ პუნქტთან, როგორცაა Needham. არ არსებობს რაიმე ცნობა, რომელიც იძლეოდეს განსაკუთრებულ დახასიათებას ინგლისის ქალაქ იპსვიჩთან არსებული პატარა სოფლის Needham Market- ის შესახებ<sup>9</sup>. ეს გარემოება ქმნის ვარაუდის საფუძველს, რომ გადატაკება-გალარიების კონცეპტის მეტაფორულ-ხატოვნად რეალიზების მიზნით, ინგლისელებმა შექმნეს სიტყვა-ტოპონიმი “Needham”, რომელიც დამკვიდრდა პარემიაში და წარმოადგენს არსებითი სახელის (სიღარიბე//სიღატაკე) დერივატს. მოცემული ტოპონიმის გამოყენება ანდაზაში ეროვნულ სპეციფიკაზე მეტყველებს და ის არ შეგვხვდება სხვა ხალხის ლინგვოკულტურულ ტექსტებში.

პარემიაში- “To send to Coventry”- მოცემულია რეალურად არსებული ტოპონიმი, რომელიც გამოიყენება ბოიკოტირების, იგნორირების, ვიღაცის აუტანლობის მნიშვნელობის გადმოსაცემად. აღნიშნული გამოთქმის გენეტიკური პროტოტიპი ასახავს შემდეგ ვითარებას: XVII საუკუნეში ინგლისის ქალაქ კონვენტრივის ციხე წარმოადგენდა როიალისტების გადასახლების ადგილს, შემდეგ აქ განთავსებული იყვნენ ბინებში ჯარისკაცები. ბუნებრივია, წარსულში (XVII საუკუნეში) საზოგადოება უარყოფითად იყო განწყობილი აღნიშნული ციხის მიმართ. შემდგომში, როცა ეს ციხე კი არა, ჯარისკაცების საცხოვრებელი იყო, საზოგადოებისათვის აქ ჯარისკაცების ყოფნა და სამხედრო სამსახურიც უარყოფითად ითვლებოდა. ეს სახელწოდება სიმბოლურად საზოგადოებისაგან გარიყულობის აღმნიშვნელია.

მაშასადამე, სხვა პარემიების მსგავსად, მოცემული ენობრივი ერთეული თავდაპირველად წარმოაჩენდა განსაზღვრული კონკრეტული ადგილის მდებარეობას

<sup>9</sup> ზემო აჭარაში არის სოფლები-ვერნები და კვატია. ამ სოფლების შესახებ არსებობს გამოთქმა: „ვერნები და კვატიაო, ღმერთად ანტრათ დატიაო“, მაგრამ რა საფუძველზე წარმოიშვა ეს გამოთქმა, უცნობია.

და მის დანიშნულებას (რომელსაც პარემიოლოგები უწოდებენ სამყაროს პირველ სურათს), ხოლო შემდეგ მოხდა მისი ტრანსფორმირება მოცულობით უფრო ზოგად ხატოვან კონცეპტად (სამყაროს მეორე სურათი).

განხილული ინგლისური პარემიის შესატყვისი ქართულში არა გვაქვს. თუმცა საქართველოშიც იყო ციხეები, ასევე საქართველო წარმოადგენდა რუსეთის ცარისტული ხელისუფლებისათვის არასასურველი მოღვაწეების გადასახლების ერთ-ერთ რეგიონს.

მიუხედავად ამისა, ინგლისურის მსგავსი ანდაზა ქართულში არ შექმნილა. მოცემული ინგლისური და ქართული პარემიების ზუსტი კონცეპტუალური ეკვივალენტების არქონა ადასტურებს იმას, რომ განსხვავებული ლინგვოკულტურული საზოგადოების წარმომადგენლები გარემომცველ ნორმალურ სამყაროს აღიქვამენ სხვადასხვანაირად, სამყაროს საკუთარი სურათების შესაბამისად. ამიტომაც განსხვავებული ენების ანდაზები და ანდაზური თქმები, ლექსიკური და კონცეპტუალური გამოსახვით, ზოგჯერ არაა თანხვედრაში, არის შემთხვევა, როცა ერთი და იმავე ტიპის ანდაზებში კონცეპტუალური პარალელის გავლებაც კი ჭირს, რადგან შესადარებელ ენაში არაა მსგავსი კონცეპტი.

ხატოვან გამონათქვამში- “To talk Billingsgate”- მოცემულია ტოპონიმი, რომლის პროტოტიპადაც მიიჩნევა დიდი თევზის ბაზარი ლონდონში – “Billingsgate”.

ქართულშიც გვაქვს ბაზართან დაკავშირებული გამოთქმები მაგ.: “ბაზრის დედაკაცივით ყვირის”, „ბაზრის ვაჭარვით ილანძღება“, „თავი ბაზარში ჰგონია“, “ბაზრობაზე/ბაზარში წასვლა”, „ურიების ბაზარი“... მაგრამ ამ გამოთქმებში კონკრეტული ადგილი არაა დასახელებული. ეს გამოთქმები, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად ახლოსაა ინგლისურ გამოთქმასთან, რადგან იგულისხმება ბაზარი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ვაჭრებისა და მყიდველების ხმაური და ლანძღვა. მაგრამ ინგლისური გამოთქმა ხასიათდება თავისებური ხატოვანებით და კონკრეტულობით, რადგან მასში ნახსენებია კონკრეტული ადგილი –“Billingsgate”- ყველაზე ხმაურიანი ადგილი თავისი დიდი ტერიტორიით.

როგორც აღინიშნა, ქართულშიც გვაქვს სიტყვა „ბაზარი“ რომელიც არაერთ გამოთქმაში გვხვდება და წარმოადგენს ნებისმიერი კონკრეტული ბაზრის საზოგადო

სახელს. იგი ხასიათდება ნაკლები კონკრეტულობით და განზოგადების მაღალი ხარისხით. განსხვავებული ლექსიკური ერთეულების მიუხედავად, რომლებიც გამოიყენება ერთი და იმავე კონცეპტის გადმოსაცემად (საკუთარი და საზოგადო სახელი), თანხვედრაშია ძირითადი ასოციაციური კავშირები ქართული და ინგლისური გამოთქმების ვარიანტებისა, კერძოდ, ბაზრის ზოგადი მახასიათებლები (ლანძღვა- გინება, აურზაური, უწესრიგობა) ერთნაირია.

სხვადასხვა ხალხის ანდაზები და ანდაზური თქმები, რაც არ უნდა მახლობელი ეკვივალენტები იყოს, მაინც იჩენს თავს გარკვეული განსხვავებები, რომელიც, პირველ რიგში, გამოიხატება განსხვავებული ლექსიკური ერთეულების გამოყენებით. ამასთანავე, ბაზრები სხვადასხვა ქვეყანაში ( ამ შემთხვევაში ინგლისსა და საქართველოში) განსხვავდება საქონლით, სამუშაო დროით, ფულის ერთეულითა და მყიდველების მატერიალური მდგომარეობით. ამიტომაც სხვადასხვა ლინგვოკულტურული საზოგადოების წარმომადგენლებში აღნიშნული ენობრივი ერთეულებით გამოწვეული ასოციაციები განსხვავებული იქნება.

ყოველი ანდაზის აღმოცენება აუცილებლად დაკავშირებულია გარკვეულ კონკრეტულ გარემოებასთან. ქართულ ანდაზათა მდიდარ ფონდში გაჭირდება დაიძებნოს ისეთი ნიმუში, რომელიც დაკავშირებული არ იყოს რეალურ მოვლენასთან, ფაქტთან (ზანდუკელი 1980: 185). ერთ-ერთი ასეთი რეალური მოვლენა თუ ფაქტი უნდა იყოს ზოგიერთი ტოპონიმის შესახებ არსებული გადმოცემა, რომლის საფუძველზეც შექმნილია ანდაზა და ამავე გადმოცემის მეშვეობით ანდაზაში შესულია, აგრეთვე, ტოპონიმიც.

საერთოდ, თქმულება რომ ანდაზის შექმნის ერთ-ერთი საფუძველია, ამაზე ნათლად მეტყველებს ერთი ქართული ანდაზაც: „თქმულება ყვავილია, ანდაზა ნაყოფია“. ქართულ ანდაზებში ტოპონიმები მეტწილად გადმოცემების საფუძველზეა შესული. მაგალითად, „გადმომიგდე იტრიაო, როგორც ერთი კიტრიაო“. იტრია სოფელია სურამის თავზე. აზნაურმა აბაზაძემ თავისი ოხუნჯობით თურმე ძალიან გაამხიარულა გიორგი მეფე. მეფემ მადლობის გადახდა მოისურვა და ჰკითხა: რასა

მთხოვო? აბაზადემ უპასუხა: გადმომიგდე იტრიაო, როგორც ერთი კიტრიაო. მეფემ შეუსრულა თხოვნა და უბოძა მთელი სოფელი (ქართული ანდაზები 1965: 28-29).

ხულოს რაიონის სოფ. ფაჩხის კლდესთან დაკავშირებით მკვლევარ-მოგზაურ ზ. ჭიჭინაძეს ასეთი გადმოცემა (გამოქვეყნებულია გაზეთ „ივერიაში“, 1895 წ. N#127) ჩაუწერია: სოფ. წაბლანისა და ფაჩხის გვერდით, ერთი მთის ძირას, ძველად ყოფილა ეკლესია, რომელიც თურქებს დაუქცევიათ. ეკლესიის ქვებიც იქვე მიმოფანტულა, ერთი ქვა, რომელზეც გამოხატული ყოფილა ქრისტე ჯვარცმით, წყლის პირას ჩაგორებულა. სოფლის დედაკაცები სარეცხს მიიტანდნენ, ამ ქვაზე დადგებოდნენ და რეცხავდნენ. ერთხელ, როცა ერთი დედაკაცი მაცხოვარზე შემდგარი რეცხავდა, ფაჩხის კლდის ერთ დიდ ლოდს დაუყვირია: „ადექი, გაათავე, წადი, თორემ მოვდივარო“. ქალს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია და გაუგრძელებია რეცხვა, ქვას რამდენიმეჯერ გაუმეორებია. ბოლოს ქალს შეუძახია: „ჯანდაბას შენი თავი,... წამოიქეცი და დაიქეციო“. ქვა მართლაც წამოქცეულა და ქალი მოყოლია. შეშინებული დედაკაცები ამის შემდეგ სარეცხს აქ აღარ რეცხავდნენ. ეს ამბავი ყველას მიავიწყდა, დარჩა მხოლოდ გამოთქმა: „რას იძახი ფაჩხის კილდესავითაო“, „გახადე ფაჩხის კილდე“...

ეს გამოთქმა, რომელიც არაა შესული ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმების გამოქვეყნებულ კრებულებში, დღესაც გვხვდება ადგილობრივ მეტყველებაში გაჭიანურებული საქმის მნიშვნელობით(შდრ. „ციციანთ დავა გახდა“. ე.ი. აღარ აქვს დასასრული (ქართული ანდაზები 1965:141).

აღნიშნული გადმოცემის საფუძველზე შევიდა სოფ. ფაჩხა მოცემულ გამოთქმაში. ანალოგიური მაგალითები საკმაო რაოდენობით დაიძებნება ქართული ანდაზების ფონდში.

საზოგადოდ, ტოპონიმების შემცველი პარემიები განსხვავებული კულტურის რეციპიენტს აცნობენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანების ცხოვრების თავისებურებებსა და თავისი ქვეყნის გეოგრაფიას. ისინი წარმოადგენენ ეროვნული თავისებურებების ინდიკატორებს გარემომცველი სამყაროს სურათთან მიმართებით, რომელ ენაზეც არიან შექმნილი. გაანალიზებული ანდაზების შედარებით ჭრილში შესწავლა წარმოადგენს

იმის მტკიცებულებას, რომ ერთი და იგივე კონცეპტი ხალხების მიერ სხვადასხვანაირად გადმოიცემა, ასევე ზოგჯერ არ ემთხვევა ერთმანეთს ასოციაციური კავშირები, რომლებიც წარმოიქმნება კონცეპტის აღქმისას.

ამრიგად, ანდაზებისა და ანდაზური თქმების სპეციფიკა, რომლებიც შეიცავენ რეალიების<sup>10</sup> კატეგორიებს, იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლმხედველობის ნაციონალური თავისებურებები ასახულია ძირითადად რეალიების მნიშვნელობებში, რომლებიც გავლენას ახდენენ მთლიანი ანდაზური ტექსტების მნიშვნელობაზე. ნაციონალურ-კულტურული თვითმყოფადობა მოიცავს სიტყვა-რეალიის მთლიან მნიშვნელობას და ნათლად წარმოაჩენს მატერიალური და სულიერი კულტურის უნიკალურ ფაქტებს. გაანალიზებული მაგალითები საკმაოდ ინფორმაციული ხასიათისაა, რადგან თავისი უდიდესი ლინგვისტურ-მხარეთმცოდნეობითი პოტენციალით აღრმავებს უცხო კულტურული რეციპიენტის ცოდნას მისი შემოქმედი ხალხის ისტორიის, ტრადიციებისა და გეოგრაფიის შესახებ. უფრო მეტიც, ისინი წარმოაჩენენ ხალხის განსხვავებულ და განუმეორებელ შეხედულებებს ირგვლივ არსებული სინამდვილის შესახებ. ერთ ენაში არსებული რეალიების შემცველ ანდაზებსა და ანდაზურ თქმებს არ გააჩნიათ ლექსიკურად ეკვივალენტური ერთეულები სხვა ენაში. ისინი შეიძლება ერთმანეთს შეესატყვისებოდეს და შეესატყვისებიან კიდევ მხოლოდ კონცეპტუალურად. მიუხედავად იმისა, რომ ერთი წყება ანდაზები და ანდაზური თქმები გადმოსცემენ ერთსა და იმავე აზრს, გამომსახველობითი და ტონალობითი კოლორიტი არ იძლევა იმის საშუალებას, ვისაუბროთ მათ სრულ სემანტიკურ ეკვივალენტობაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინგლისური და ქართული ლინგვოკულტურული საზოგადოების სამყაროს სურათები, მიუხედავად იმისა, რომ გააჩნიათ თანხვედრა, არ არის ერთმანეთის განსახიერება, ხოლო ანდაზები და ანდაზური თქმები არის ხელმეორედ წარმოჩენილი სურათები, რომლებიც საინტერესოა მათი მნიშვნელობის გამოვლენის თვალსაზრისით,

---

<sup>10</sup> ლათ. Realis („ნამდვილი“, „ქეშმარიტი“) - ნამდვილად არსებული ნივთი; მატერიალური კულტურის ყოველი საგანი (ჭაბაშვილი 1989).

ასევე მათი გენეტიკური პროტოტიპის დეკოდირების ქრილში, მათი წარმოქმნისა და მნიშვნელობის, ხალხის კულტურის შესახებ ცოდნის მიღების ხერხის თვალსაზრისით.

### 3.7. ანდაზური მენტალიტეტი

ანდაზური მენტალიტეტი ხალხის მენტალიტეტია, რომელიც კონკრეტულ კულტურულ გარემოში მცხოვრები ადამიანების ინტეგრალური დახასიათებაა. იგი საშუალებას იძლევა აღიწეროს ამ ადამიანების მიერ სამყაროს ხედვის თავისებურება და ახსნას მასზე თავისივე რეაგირების სპეციფიკა.

ინგლისურ და ქართულ ანდაზებში საუკეთესოადაა წარმოჩენილი ინგლისელებისა და ქართველების მსოფლმხედველობა, მათი შეხედულებები ცხოვრებისეულ მოვლენებზე. რომლებიც ხშირად თანხვედრაშია, ზოგჯერ კი განსხვავებულია, რადგან მატერიალური სამყარო ორივე ეთნოსისათვის ერთია, მაგრამ ნაირგვარია მისი ასახვა: სხვადასხვა ენა სხვადასხვაგვარად ასახავს ერთსა და იმავეს, განსხვავდება ერთმანეთისაგან ენობრივი ფორმები და სხვადასხვა ხალხის აზროვნების ნორმებიც.

ანდაზური მენტალიტეტის შესახებ სპეციალური გამოკვლევა არა გვაქვს. საერთოდ, ანდაზური მენტალიტეტი ძალზე ფართოა, ამასთან ბევრ საინტერესო საკითხს მოიცავს და ნაშრომის ერთ პარაგრაფში შეუძლებელია მისი საფუძვლიანი შესწავლა. ამიტომ მოცემულ პარაგრაფში განხილულია ანდაზურ მენტალიტეტთან დაკავშირებული საკითხების ნაწილი, რომლებიც უფრო აქტუალურად გვესახება.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ „ენა ერის კულტურის პროდუქტია“, ანდაზა კი, უდავოდ ენობრივი ერთეულია. მაშასადამე, ანდაზა (ანდაზური მენტალიტეტი) კულტურის სფეროს განეკუთვნება, ნაციონალურ-კულტურული კომპონენტია. ამიტომ ანდაზური მენტალიტეტის ზოგიერთი საკითხი განხილულია, აგრეთვე, ანდაზისა და კულტურის ურთიერთმიმართების პრობლემასთან დაკავშირებით.

ანდაზები ეროვნული ხასიათის თავისებურებების გასაცნობად საუკეთესო მასალას წარმოადგენს, რადგან ანდაზებს გააჩნიათ ისტორიულად ჩამოყალიბებული ხატო ვანი

გამოთქმის სისტემა და ასახვენ გარკვეული ენობრივი ეთნოსის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას და ამ ეთნოსის მიერ გარემომცველი რეალობის აღქმას.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ყოველ ენას გააჩნია სამყაროს განსაკუთრებული სურათი და ამა თუ იმ ენის მატარებელი პიროვნება ვალდებულია საკუთარ მეტყველებას გაუწიოს სათანადო ორგანიზება, რათა თავისი გამონათქვამების შინაარსი შეესაბამებოდეს ამ სურათს. სამყაროს სურათის გაგებულება ყალიბდება გარე სამყაროზე ადამიანის წარმოდგენების შესწავლის საფუძველზე (Чернощекова 2009:80). კოგნიტური ლინგვისტიკის წარმომადგენლები, რომლებიც უპირატესობას სემანტიკის კვლევას ანიჭებენ, ამტკიცებენ, რომ ჩვენი კონცეპტუალური სისტემა, ასახული სამყაროს ენობრივი სურათის სახით, დამოკიდებულია ფიზიკურ და კულტურულ გამოცდილებაზე და უშუალოდ კავშირშია მასთან (Маслова 2001: 64).

„ადამიანი სამყაროს შეიცნობს უმთავრესად თავისი ფიზიკური გამოცდილების საფუძველზე... ბუნებრივი ენის სემანტიკაზე სინამდვილის პროექტირების შედეგად წარმოიქმნება „პროექტირებული სამყარო“, რომლის რეალურისაგან განსხვავება განპირობებულია ადამიანის ფიზიკური თავისებურებებითა და კონკრეტულ კულტურათა სპეციფიკით” (გამყრელიძე... 2003:465).

დავას არ იწვევს, რომ ანდაზა ენობრივი ერთეულია და ეს „ანონიმური გამონათქვამი” (Мокиенко 2007:512) წარმოადგენს სამყაროს ენობრივი სურათის ფრაგმენტს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, მენტალიტეტი არის კონკრეტულ კულტურულ გარემოში მცხოვრები ადამიანების ინტეგრალური (მთლიანი, განუყოფელი) დახასიათება, რომელიც საშუალებას იძლევა აღიწეროს ამ ადამიანების მიერ გარე სამყაროს ხედვის თავისებურება და ახსნას მასზე თავისივე რეაგირების სპეციფიკა (Дурнов 1993: 20).

არსებობს სამყაროს ანდაზური სურათი, რომელიც სამყაროს ენობრივი სურათის ნაწილია. ასევე არსებობს ანდაზური მენტალიტეტი, რომელიც წარმოადგენს ხალხის მენტალიტეტს, უფრო სწორად, საზოგადოების განსაზღვრული სოციალური ჯგუფების მენტალიტეტს (Иванова 2006: 3, 49).



როგორც შენიშნულია, ფრაზეოლოგიზმებსა და ანდაზებში სრულად ამოიკითხება, პირდაპირ და ზუსტად წარმოჩნდება ამა თუ იმ ერის კულტურის ნიშნები (Телия 1996:249; Верещагин, Костомаров 1990: 78).

პარემიები ობიექტებს ახასიათებენ თვისებების მიხედვით, რომლებიც ასოცირდებიან სამყაროს სურათთან, გულისხმობენ მთელ დესკრიფციულ სიტუაციას (ტექსტს), აფასებენ მას. თავისი სემანტიკით ანდაზა ახასიათებს ადამიანს, უფრო მეტად კი – მის საქმიანობას.

მენტალიტეტი აყალიბებს სამყაროს სურათს, რომელიც აისახება სამყაროს ენობრივ სურათზე, რაც ნათლად მეტყველებს ენობრივი მენტალიტეტის არსებობაზე (Чернощекова 2009: 81). ანდაზები და ანდაზური გამონათქვამები ინახავს ცოდნას სამყაროსა და ადამიანის შესახებ ამ სამყაროში, რაც იძლევა შესაძლებლობას, ვილაპარაკოთ სამყაროს ანდაზურ წარმოდგენაზე.

ყოველი ერის მენტალიტეტი, თავის ეროვნულ სპეციფიკურ თვისებებთან ერთად, მოიცავს ეროვნებათაშორის, უნივერსალურ, ზოგადსაკაცობრიო თვისებებს. ყველა პარემიოლოგიურ ერთეულს არ ახასიათებს ეროვნულ-კულტურული კოლორიტი, არ აქვს კავშირი კულტურასა და ხალხის მენტალიტეტთან, ისინი ზოგადსაკაცობრიო, უნივერსალური მნიშვნელობის მქონეა. მაგალითად, ინგლ. „To throw (cast) in man’s (people’s) eyes” - „თვალეებში მტვრის შეყრა”; რუს. „пускать пыль в глаза” - „თვალეებში მტვრის შეყრა”; ქართ. „თვალეებში ნაცრის შეყრა”. ამ მაგალითების სემანტიკა ანალოგიურია („თვალის ახვევა”, „მოტყუება”). სხვაობაც მხოლოდ ერთ ლექსემაშია. კერძოდ, ინგლისელი და რუსი იყენებენ სიტყვას „მტვერი”, ქართველი - „ნაცარი”.

ვ. ნ. თელია ფრაზეოლოგიზმების კულტურულ - ნაციონალური ინტერპრეტაციის

ერთ-ერთ წყაროდ ასახელებს სიტყვა-სიმბოლოებს (Телия 1996 :243).<sup>11</sup> ფრაზეოლოგიზმების, (მათ შორის-ანდაზების, ანდაზური გამონათქვამების) ცალკეული ელემენტები ხდებიან სიმბოლოები. მაგალითად, ფრაზეოლოგიზმებში – „მიახოცეს ცხვირი“, „მიუჭექყეს ცხვირი“, „ცხვირიდან სისხლის დენა“, „ცხვირიდან ძმრის დენა“, „ცნობისმოყვარე ბარბარეს ბაზარში ცხვირი მოამკვრეს“.... ამ ფრაზებში „ცხვირი“ წარმოადგენს ადამიანის სუსტი ადგილის სიმბოლოს.

პარემიები თვალსაჩინოდ გამოხატავს ხალხის მსოფლმხედველობის ეროვნულ სპეციფიკას. აღწერს იმ სამყაროს სურათს, რომელშიც ადამიანები იღვწიან. ანდაზებში აისახება ცხოვრების პირობები, ხალხის ისტორია და ყოფა, საცხოვრებელი გარემო, რომლებიც გავლენას ახდენენ ეროვნული ცნობიერების თავისებურებებზე. სამყაროს აღქმის ეროვნულობა ვლინდება ამა თუ იმ ცნების გამოსახატავად შერჩეულ გამოთქმებში, ასევე რეალური საგნების აღსანიშნავ სხვადასხვა ნიშნის აქტუალიზაციაში. მიუხედავად იმისა, რომ გარესამყაროს აღქმის პროცესი გარკვეულწილად ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებს, სხვადასხვა ენობრივ ეთნოსში ასახვის ფორმა განსხვავებულია.

ინგლისურ ანდაზაში- If there were no the sky, we shouldn't enjoy the sun (უღრუბლო ცის მაცქერალი მზეს ფასს ვერ დასდებს),-მოცემულია დიდი ბრიტანეთის სურათი, მისი

---

<sup>11</sup> ზოგი მკვლევარი სიმბოლოს მიიჩნევს მეტაფორის ნაწილად, ამასთანავე აღნიშნავენ, რომ სიმბოლოებს შეიძლება ჰქონდეთ, როგორც პიროვნული (Personal significance), ასევე კოლექტიური კულტურული მნიშვნელობა (Shared cultural meaning) (Lawley Topkins 2005).

სიმბოლო ხალხის კულტურის ფენომენია. რუსი მეცნიერები, პირველ რიგში, ხაზს უსვამენ სიმბოლოს სოციალურ მნიშვნელობას, ე.ი. მის ჩართულობას სოციალურ კონტექსტში (მის ტრადიციულობას, გასაგებობას) (Иванов. 2002: 113-114). სიმბოლოების უმრავლესობა ნაციონალურად სპეციფიკურია, მაგრამ არსებობს ერთი წყება სიმბოლოებისა, რომლებიც გასაგებია ხალხთა უმეტესობისათვის. მაგალითად, წიგნი-ცოდნის სიმბოლოა; პალმა – გამარჯვებისა და ტრიუმფის; ხარი - მოთმინებისა და ძალის; ძალი – ერთგულების; ლომი – დიდებულების...

სიმბოლოებად ყვავილებიცაა გამოყენებული. მაგალითად, წითელი ვარდი სიყვარულის მანიშნებელია, თეთრი ვარდი - მეგობრობისა და მონატრების, თეთრი შრომანი - უბიწობის და სისპეტაკის, ქრიზანთემები - მეგობრობის, წითელი ტიტა - ნაყოფიერების, ყვითელი - უნაყოფობის...

ტენიანი კლიმატი, ე.ი. ინგლისელის დაკვირვებით, თუ ცა მოღრუბლულია (თუ არის ღრუბელი), აუცილებლად გაწვიმდება, რაც არაა სასიამოვნო ამ ქვეყნის მცხოვრებთათვის.

კლიმატურ პირობებთან დაკავშირებით ინგლისელებს არაერთი ანდაზა შეუქმნიათ. მაგ., After a storm comes a calm (-ქარიშხალს სიმშვიდე მოსდევს); After rain comes fair weather (-წვიმის შემდეგ კარგი დარი დგება); A foul morning may turn to a fair day (-ავდრიანი დილა შეიძლება დარიანი დილით შეიცვალოს); A blustering night., a fair day (-ქარიშხლიანმა ღამემ გადაწმენდილი დღე იცის); A fair day in winter is the mother of a storm (-ზამთრის დარიანი დღე ქარიშხლის წინამორბედა).

ანალოგიური სემანტიკის მქონე ანდაზები ქართულშიც საკმაოდ გვხვდება. მაგ., ქარიშხალს სიმშვიდე მოსდევს; დიდ დარს დიდი ავდარი მოსდევსო; ავდარს დარი მოსდევსო; ავდარს დარი მოჰყვებაო; დიდ ავდარს დიდი დარი მოსდევსო; დიდ გვალვას დიდი ავდარი მოსდევსო.

როგორც დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, განსხვავებულ ეთნოკულტურაში (ამ შემთხვევაში, ინგლისური და ქართული) ადამიანების მიერ კლიმატურ ცვლილებებზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაკვირვების შედეგად გაკეთებული დასკვნები ანალოგიურია, სხვაობა შეიძლება ვეძიოთ მხოლოდ ასახვის ფორმაში.

ინგლისელებში ფრიად გავრცელებული ადამიანის საკუთარი სახელია Jack, რომელიც ხშირად გვხვდება ინგლისურ ანდაზებში, როგორც საზოგადო სახელი.

მაგ., Jack of all trades is master of none (-ყველა ხელობის მცოდნე ჯეკმა რიგიანად არც ერთი არ იცის). მსგავსი სემანტიკის მქონე ანდაზები ქართულშიც გვაქვს, მაგ., სჯობს ერთი ხელობა კარგად იცოდე, ვიდრე ათი – ცუდად; სიტყვით ყველაფერიო, საქმით არაფერიო; ბატმა თქვა: ცურვაც ვიცი, სიარულიც და ფრენაცაო; - არც ერთი არ ვიცი კარგადო.

ინგლისურ პარემიებში საკუთარი სახელი Jack გამოყენებულია ზოგადად ისეთი ადამიანის მიმართ, რომელიც ყველაფრის გაკეთებას ცდილობს, მაგრამ სინამდვილეში არაფერი არ იცის. ეს ვითარება ქართულში სხვაგვარადაა მოცემული და არც დადებითადაა შეფასებული. ღირსსაცნობია, რომ ამ შემთხვევაში ინგლისური და ქართული ანდაზების

სემანტიკა ანალოგიურია, რომ ყველა ხელობის მცოდნე ადამიანმა არც ერთი არ იცის რიგიანად. ოღონდ, აქაც ასახვის ფორმაა განსხვავებული. შეფასება კი ორივეგან უარყოფითია, ე.ი. უარყოფითი კონოტაციის მქონეა.

განხილულ ანდაზებში შეინიშნება ოსტატობის ერთი და იმავე კონცეპტის ერთნაირი ხარისხი, კერძოდ, ინგლისური და ქართული მენტალიტეტის მიხედვით, სჯობს ადამიანმა ერთი ხელობა კარგად იცოდეს, ვიდრე რამდენიმე – ცუდად.

აღნიშნული მაგალითები, პირველ რიგში, მიანიშნებს ინგლისური ანდაზის ნაციონალურ კუთვნილებაზე, რადგან შეიცავს ანთროპონიმს (Jack), რომელიც, როგორც ითქვა, ერთ-ერთი გავრცელებული საკუთარი სახელია ინგლისში. მეორე მხრივ, ერთი და იმავე კონცეპტის ფუძეში სხვადასხვა ერი სხვადასხვა პრინციპებსა და ლექსიკურ ერთეულებს დებს (ინგლისურ ვარიანტში – საკუთარი სახელი, ქართულში – საზოგადო სახელი).

ინგლისურში საკმაო რაოდენობით დასტურდება ისეთი ანდაზები, რომლებშიც მკაფიოდაა ასახული ინგლისელის დადებითი და უარყოფითი ხასიათი. ინგლისის// დიდი ბრიტანეთის, ინგლისელის, ლონდონის... უპირატესობა სხვა ქვეყნებსა და ხალხთან შედარებით. მაგ.,

With all the world have war, but with England do not jar.

მთელ მსოფლიოსთან გქონდეს ომი, მაგრამ ინგლისს ნუ წაეჩხუბები.

All countries stand in need of Britain, and Britain of none.

ყველა ქვეყანას სჭირდება დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერა, მაგრამ ბრიტანეთს არც ერთის.

There is more good victuals in England, than in seven other kingdoms.

უფრო მეტი კარგი საზრდოა ინგლისში, ვიდრე შვიდ სხვა სამეფოში.

England is a little garden full of very sour grapes.

When a man is tired of London, he is tired of life.

როცა კაცი იღლება ლონდონით, ის იღლება ცხოვრებით.

The streets of London are paved with gold.

ლონდონის ქუჩები მოპირკეთებულია ოქროთი.

One Englishman can beat three Frenchmen.

ერთი ინგლისელი კაცი სამ ფრანგს მოიგერიებს.

An Englishman's house is his castle.

ინგლისელის სახლი მისი ციხე - დარბაზია.

It is an Englishman's privilege to grumble.

ინგლისელის პრივილეგიაა ბუზღუნა.

მოცემული ანდაზების მიხედვით, ინგლისი ძლიერი და მდიდარი ქვეყანაა, იქ უფრო მეტი საზრდოა, ვიდრე სხვა შვიდ სამეფოში. ლონდონი ლამაზია, ინგლისელი სიტყვის პატრონია ა.შ.

გვხვდება, აგრეთვე, უარყოფითი კონოტაციის მქონე ანდაზებიც. კერძოდ, ერთ-ერთ ანდაზში მოცემულია ინგლისისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, რომ ინგლისი ძალიან მჟავე ყურძნით სავსე ბაღია; ერთ ანდაზში კი ინგლისელი წარმოდგენილია, როგორც ბუზღუნა და აბეზარი ადამიანი.

განხილულ ანდაზებში ნათლადაა წარმოჩენილი ინგლისური მენტალიტეტი. თავისი ქვეყნისა და დედაქალაქის შეფასება, მისი ღირსშესანიშნაობანი, ინგლისელების დადებითი და უარყოფითი თვისებები. ამასთანავე, ანდაზებში მოხსენიებული გეოგრაფიული სახელები და ინგლისელთა ხასიათის თავისებურებები ნათლად მეტყველებენ ნაციონალურ მარკირებაზე.

ქართულ სინამდვილეშიც გვაქვს მრავალი ანდაზა, რომლებშიც საკმაოდ კარგადაა ასახული ქართული მენტალიტეტი; ქართველების შეხედულებები ცხოვრებისეულ მოვლენებზე, ეროვნული ყოფა და კულტურა...

მაგ.: ადამიანს სიკვდილი ყურს უკან უზისო;

ავჭალასა და მცხეთას არ დაიძახებს გუგული;

ალვის ხე ცამდის ასული ჭიანჭველას წაუქცევია;

ამხანაგის მოღალატეს ყელზე ჰკიდია გველი;

გაქცეულ მტერს ნუ გაედევნები, სირცხვილია;

ბალი კატარში გამწარდებაო;

ასი მამა ერთ დედად არა ღირს და ასი მასწავლებელი ერთ მამადო;

მტერი თუნდ ჭიანჭველა იყოს, მაინც უფროთხილდიო;

წყალი თავიდან ეიმღვრევა;

არალო, ბიჭო გოგია, მოხან და ბევრი მოგივა;

წყალი უმალ დაწყნარდება, ვიდრე მტერიო;

ჩემი სახლი ჩემი ციხე-დარბაზია;

ქართველი კაცის დუქანი დავწვი, სომეხისა-გუთანო, ტაფაისა-ქობობაო, დამბაჩაის-თოფობაო და სხვ. მრ.

ინგლისურ ანდაზებში ინგლისის, ლონდონის, ინგლისელის... ქება-დიდებაა წარმოდგენილი, მოცემულ ქართულ ანდაზებში ასეთი რამ (ქართველების, ჩვენი ქვეყნის თუ ქალაქის, ან საქართველოს რომელიმე კუთხის უპირატესობა სხვასთან შედარებით) არ გვხდება. თუმცა ქართულ ანდაზებშიც დასტურდება გეოგრაფიული თუ ადამიანის საკუთარი სახელები, მაგრამ ისინი გარკვეულ ამბავთან თუ სიტუაციასთან დაკავშირებით არიან მოხსენიებული და ნაციონალურ მარკირებაზე მიუთითებენ, რადგან ანდაზების საშენ მასალად, სხვა ლექსიკურ ერთეულებთან ერთად, ქართული გეოგრაფიული სახელები და პერსონული ონიმებია გამოყენებული.

აღნიშნულ ქართულ ანდაზებში მოცემულია ადამიანის შეხედულებები ცხოვრებისეულ მოვლენებზე, თუ რა არის უარყოფითი და რა - დადებითი, რომ მტერი თუნდ ჭიანჭველა იყოს, გაუფროთხილდი, რადგან მას შეუძლია ცამდის აწვდილი ალვის ხის წაქცევაც კი; წყალი უმალ დაწყნარდება, მტერი არაო; შექების ნაცვლად, გაკიცხულია ქართველი კაცის მედუქნეობა და სომეხის-მეგუთნეობა: როგორც ტაფა არ გამოდგება ქვების ნაცვლად, დამბაჩა - თოფის შემცვლელად, ისევე არ გამოდგება ქართველი კაცი მედუქნედ და სომეხი -მეგუთნედ. ხოლო ანდაზა, რომელშიც დედის, მამისა და მასწავლებლის შეფასებაა მოცემული, ერთ-ერთი გამორჩეული პარემიაა ქართული ანდაზების ფონდში.

დასახელებულ ანდაზებში კიდევ ბევრი საკითხია მოცემული, მაგრამ მათ შესახებ მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ, რადგან პასუხს მეტწილად თვით ანდაზა იძლევა; აზრობრივ-სემანტიკურადაც ადვილი გასაგებია.

ამრიგად, გაანალიზებულ ანდაზებში ნათლადაა ასახული ინგლისელებისა და ქართველების მენტალიტეტი. მათი შეხედულება გარე სამყაროზე ხშირ შემთხვევაში

თანხვედრაშია. ზოგჯერ კი შეინიშნება სხვაობაც, რაც ნორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგან ადამიანის მსოფლხედვა დამოკიდებულია იმ ენაზე, რომელსაც იგი ფლობს. იმის გამო, რომ ენათა სტრუქტურები განსხვავებულია, განსხვავებული იქნება მათი მსოფლხედვაც.

ამ დებულების არსებითი პრინციპის მიხედვით, მატერიალური სამყარო ყველა ენისათვის ერთი და იგივეა. ე.ი. ის, რაც უნდა აისახოს, ერთი და იგივეა, მაგრამ ნაირგვარია მისი ასახვა: სხვადასხვა ენა სხვადასხვაგვარად ასახავს ერთსა და იმავეს. აქ უპირველესად ივარაუდება ენობრივი ფორმა. აზროვნება ვლინდება ენობრივი ფორმით, რადგანაც ენობრივი ფორმები (ენობრივი სტრუქტურები) შესაძლოა მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, განსხვავებულია სხვადასხვა ხალხის აზროვნების ნორმებიც.

### **3.8. ანდაზები თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ლინგვოკულტურაში**

ყოველი ცოცხალი ენა იცვლება. შეუძლებელია ენა ფუნქციონირებდეს და დროთა განმავლობაში არ იცვლებოდეს.

„ენა არის არა მოქმედების პროდუქტი, არამედ მოქმედება“- ეს არის ჰუმბოლდტის ლინგვისტური კონცეფციის ერთ-ერთი ძირითადი დებულება (Гумнолдт 1984). ფ. დე სოსიურის მიხედვით კი ნებისმიერ მომენტში ენა არის მოქმედი სისტემა და წარსულის პროდუქტიც ( Сосиур 1977). ენა დაუსრულებელი შემოქმედებაა (Кроче 1920).

მაშასადამე, ენა, როგორც ფუნქციური სისტემა, განუწყვეტილად ვითარდება და იცვლება. მასთან ერთად (სხვადასხვა სახით) იცვლება, აგრეთვე, ანდაზები და ყველა ანალოგიური სიტყვათშეხამება. რა თქმა უნდა, ცვლილებები არ ხდება თვითნებურად, არამედ იგი მიმდინარეობს კულტურასთან შესაბამისობაში. ანდაზები ადამიანის

შემოქმედებისა (ფიზიკური თუ გონებრივი) და მსოფლმხედველობის თავისებური რეგულატორია.

ვითარდება და იცვლება ცხოვრება, ეს ცვლილება კი აუცილებლად აისახება ენაში. ე.ი. ცხოვრებასთან ერთად იცვლება ენაც, რადგანაც ცვლილების, განვითარების იმპულსი იმთავითვე არის ენაში მოცემული, ამ იმპულსის ამოდრავება და გამოვლინება დროთა განმავლობაში ხდება (ჯორბენაძე 1989:27). ადამიანთა ურთიერთობის ვერბალური ენის ძირითადი მახასიათებლები ფოკუსირდება და თავისებურად გარდატყდება მასობრივი კომუნიკაციის ენაში (Володина 2004:11)

ე.წ. სახეცვლილ ანუ დეფორმირებულ ანდაზებს ინგლისურ ენაში უწოდებენ „anti-proverbs“ (ანტი-ანდაზებს) ან „twisted wisdom“ (გრეხილ სიბრძნეს).<sup>12</sup> ინტერნეტში აღმოჩნდა, აგრეთვე, ტერმინი „სილიკონის ანდაზები“ (silicon proverbs). ახალი ანდაზები ხშირად ეფუძნება უკვე არსებულს. ამ ტერმინს თითქოს დაჰკრავს ირონიის ელფერი, რადგან მოიაზრება ერთგვარი პლასტიკური ოპერაცია, რის შედეგადაც ანდაზა ღებულობს ახალ ჟღერადობას, რომელიც ასახავს დღევანდელი ღირებულებებს. სახეცვლილი ანდაზები თანამედროვე ინგლისურ ენაში საკმაოდაა გავრცელებული (Калаева 2009:3).

ანტი - ანდაზა აგებულია ტრადიციული ანდაზის საფუძველზე და მისი მნიშვნელობის შემცვლელია. მას ანტი-ანდაზა იმიტომ ჰქვია, რომ უარყოფს ტრადიციული ანდაზით დამტკიცებულ ნორმებსა და წესებს, ხშირად დასცინის მათ, ან ახდენს მათდამი არასერიოზულ დამოკიდებულების დემონსტრირებას. ზოგიერთი მკვლევარი მას ველერიზმებს უწოდებს. ველერიზმი არის გამონათქვამი, მსგავსების გამოხატვა, რომელიც შედგება კარგად ცნობილი ციტატისაგან და აქვს სახუმარო, იუმორისტული გაგრძელება. იგი წარმოიშვა ჩარლზ დიკენსის (1812-1872) „პიკვიკის კლუბის ჩანაწერებიდან“ (1836-37),

<sup>12</sup> მიდერის განმარტებით: Anti proverbs are parodied, twisted, or fractured proverbs that reveal humorous or satirical speech play with traditional proverbial wisdom (Mieder, 2004:28). მაშასადამე, ავტორის აზრით, ანტი-ანდაზები ძველი ანდაზების პაროდიას წარმოადგენს და მათ სატირულ-იუმორისტული ბუნება გააჩნიათ (შავლაძე, 2015).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოდ, ირონია ანდაზისათვის ტიპიურ მხატვრულ ფორმადაა მიჩნეული. რუსი მკვლევრის ანიკინის მიხედვით, ანდაზისათვის მხატვრული სახეობრიობის ტიპობრივ ფორმად გვევლინება ირონია, რომელიც ახასიათებს ხალხურ ანდაზებს, რადგან ისინი თავისი ჟანრული ბუნებით ადამიანისაგან მოითხოვს ჩაწვდომას, აზრის სიღრმეს. ამიტომ გონების სწორედ ასეთ თვისებას თან ახლავს ირონია (Аникин, 1957:40). მაშასადამე, ირონია არა მარტო ანტი-ანდაზებს, ხალხურ ანდაზებსაც ახასიათებს.



სადაც სემ ველერი იყენებდა მსგავს ფრაზებს. ველერიზმი არის კლიშეთა, გამონათქვამთა თუ ანდაზათა იუმორისტულად უარყოფა, მიგვითითებს, რომ აღნიშნული ანდაზა ან გამონათქვამი ყველა სიტუაციაში არ ამართლებს. დიდი ხნის წინ დამკვიდრებულმა კლიშემ თუ სტერეოტიპმა შეიძლება გარკვეულ სიტუაციაში კრაზი განიცადოს, ვალერიზმი კი ამ სიტუაციას მახვილგონივრული სიტყვებით ცვლის და ისე გადმოსცემს. მკვლევარი ნორიკი ანტი- ანდაზებს „ინტერტექსტუალურ ხუმრობებს“ (intertextual jokes) უწოდებს (შავლაძე 2015). ანტი-ანდაზების ერთი ნაწილი უბრალოდ ენობრივი თამაშია, ზმაა,<sup>13</sup> რომელიც ჩნდება ხუმრობის, ენამოსწრებულობისაკენ მისწრაფებით:

All that glitters is sold as gold-ყველაფერი რაც ბრწყინავს ოქროს ფასად იყიდება (All that glitters is not gold-ყველაფერი ოქრო როდია, რაც ბრწყინავს);

An apple a day makes 365 a year- (An apple a day keeps the doctor away-ყოველდღე თუ თითო ვაშლს შეჭამ, ექიმიც არ დაგჭირდება);

ანტი - ანდაზების მეორე ნაწილი კი ასახავს თანამედროვე ადამიანის მენტალიტეტს, მისი შეხედულებების ცვლილებას „მარადიულ ჭეშმარიტებებზე“, ურყევ ღირებულებებზე, თანამედროვე სამყაროს რეალიებისადმი მის დამოკიდებულებაზე:

A man's house is his castle, let him clean it (A man's house is his castle).

-სახლში შეგიძლია გააკეთო ყველაფერი, რაც გინდა (ინგლისელი კაცის სახლი მისი სასახლეა).

ტრადიციული ანდაზების საფუძველზე ანტი - ანდაზების წარმოქმნა რამდენიმე ხერხით თუ საშუალებით ხორციელდება:

1. ტრადიციული ანდაზის ერთ-ერთი კომპონენტის ან ნაწილის შეცვლა:

Where there's a will, there's a loophole (where there's a will, there's a way).

-სადაც სურვილია, იქ გასადრომიც მოიძებნება (სადაც სურვილია იქ გზაც გამოჩნდება).

Loophole- (გასადრომი) გულისხმობს რაღაც წესების ან აკრძალვების დარღვევას,

<sup>13</sup> ზმა (ზმისა) გალექსილ თქმაში შერჩეული ორი ისეთი მოსაზღვრე სიტყვა, რომ მათი (ან მათი ნაწილების) შეერთებით შეიძლება ახალი სიტყვის მიღება. მაგ., „მაღლით წვიმა მოდიოდა, ნაზადმა ვერ დამფარაო, დამასველა მან თავიდან ფეხებამდე მასხა რაო“. (ქეგელ, IV, 1955).

მიზნისადმი უკანონო მისწრაფებას, რაც არ არის თავდაპირველ, ამოსავალ ანდაზაში.

Tasting is believing (seeing is believing)

-დაგემოვნება რწმენაა (ნახვა რწმენაა)

2. ტრადიციულ ანდაზაში კომპონენტის ან კომპონენტების ჩასმა:

The best things in life are duty free (The best things in life are free).

-ცხოვრებაში საუკეთესო არის ის, რომ ყველაფერი უფასო იყოს (ცხოვრებაში საუკეთესო თავისუფლებაა).

3. წინადადების გაშლილი წევრების ან პრედიკატული სტრუქტურის დამატება, რომლებიც აფართოებენ არსებული ანდაზური წინადადების სტრუქტურას:

Silence is golden, especially for a blackmailer (silence is golden).

-სიჩუმე ოქროა, განსაკუთრებით შანტაჟისათვის (სიჩუმე ოქროა).

Still waters run deep, but the devil is at the bottom (Still waters run deep).

-დამდგარი წყალი ღრმად ჩაედინება თუმცა ემმაკი ბუდობს ფსკერზე(დამდგარი წყალი ღრმად ჩაედინება).

შესაძლებელია რამოდენიმე ხერხის შერწყმა (მაგალითად, დამატება და შეცვლა):

In a dictatorship, suppression is nine points of the law (possession in nine points of the law).- თუ ქონება გაქვს ცხრა წილი სამართალი შენია, ერთი კი სხვისი.

სიტყვას suppression (დაფარვა ფაქტებისა, სიმართლისა და მისთ.) ცვლის possession (საკუთრება), გარდა ამისა, წინადადებას ემატება ახალი წევრი (in a dictatorship), რომელიც მიუთითებს პირობაზე (როცა ეს მოსაზრება სამართლიანია).

ზოგჯერ შემცვლელად რეალიზდება გარეგნულად (ბგერადობით) ახლოს მყოფი სიტყვები (პარონიმები):

Strike while the irony is hot (strike while the iron is hot)

-ირონია სანამ ცხელია, მანამ გაჭედო (რკინა სანამ ცხელია, მანამ გაჭედო)

გვხვდება, აგრეთვე, ომონიმებით თამაში:

Taste makes waste (Haste makes waste)

-გემოვნება დროის დაკარგვა (აჩქარება დროის დაკარგვა);

საზოგადოდ, ანტი-ანდაზები ზოგიერთ ლინგვოკულტურაში საკმაოდ კარგადაა შესწავლილი, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ყველა ხალხის ანდაზური ფონდის მიმართ, ამის დასტურია თუნდაც ქართული ანდაზების კვლევა აღნიშნული მიმართულებით, რომელიც სრულიად არასაკმარისია.

სამეცნიერო მიღწევები, ეკოლოგიური პრობლემები, თანამედროვე ინგლისურ ანდაზებში ირონიულადაა ასახული. ყურადღება გამახვილებულია დღევანდელი ცხოვრების უფრო სერიოზულ პრობლემებზე:

მაგ., The proof of the pudding is in the chemicals additives (-მტკიცება პუდინგის მდებარეობს დანამატ ქიმიურ ნაერთებში); Curiosity killed the cat, cloning brought it back (-ცნობისმოყვარეობამ მოკლა კატა, კლონირებამ დააბრუნა ის უკან); If you can't stand heat, don't buy coffee in polystyrene cups (-თუ სიცხის ატანა არ შეგიძლია, ნუ იყიდი ყავას პოლისტიროლის (პლასმასი) ჭიქებით); Where there is smoke, there is pollution (-სადაც კვამლია, იქ დაჭუჭყიანებაცაა).

ოჯახში ბავშვისადმი დამოკიდებულებას შეიძლება თვალი გავადევნოთ ერთი ინგლისური ანდაზის ტრანსფორმაციის საფუძველზე:

Children should be seen not heard (-ბავშვებს უნდა ვხედავდეთ და არა გვესმოდეს მათი) ეს ანდაზა თავიდან შემდეგნაირად ჟღერდა: Maids (little girls) should be seen not heard (-ქალიშვილებს(პატარა გოგონებს) უნდა ვხედავდეთ და არა გვესმოდეს მათი). ამ ანდაზის აქტუალობა ბევრმა ეჭვებში დააყენა. თანამედროვე ინგლისურ ენაში გვხვდება მისი ტრანსფორმირებული ვარიანტი: Children should be seen and not spanked or grounded (-ბავშვებს ყურადღება სჭირდებათ და არა ცემა-ტყეპა).

როგორც ტრანსფორმირებული, ისე ახალი ანდაზები უფრო მეტად ეძღვნება ყველაზე პოპულარულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს-ინტერნეტსა და კომპიუტერულ ტექნოლოგიებს.

მაგ.: The internet shall set you free (-ინტერნეტი ათავისუფლებს). A man without internet is lonely indeed( -ადამიანი ინტერნეტის გარეშე მართლაც მარტოსულია).

ამ მიმართებით საყურადღებოა ერთი ანდაზა, რომელიც არ უნდა იყოს ახალწარმოქმნილი: Give a man a fish and you feed him for a day: teach him to use the Net he won't bother you for weeks (-მისცე ადამიანს თევზი- ნიშნავს, გამოკვებო ის ერთი დღით: ასწავლე მას ბადის გამოყენება და ის არ შეგაწუხებთ რამოდენიმე კვირის განმავლობაში).

მოცემულ ანდაზაში მოხდა ლექსიკური და არა სინტაქსური ცვლილება, მაგრამ თანამედროვე ადამიანი მასში სულ სხვა აზრს დებს, ვიდრე რამდენიმე ათეული წლის წინ, რაც სამყაროს სწრაფ ცვლილებაზე მიუთითებს. ანდაზაში გამოყენებულია სიტყვა

„ქსელი“, რომელიც შეიძლება აღნიშნავდეს, როგორც „მეთევზის ქსელი, ბადე“, ასევე ინტერნეტის გლობალურ ქსელს. შეიძლება ითქვას, დღეს უმეტესი ინგლისელის ცნობიერებაში მოცემული სიტყვა ასოცირდება სწორედ ინტერნეტის გლობალურ ქსელთან, რადგან „მეთევზის ქსელი, ბადე“ ყოველდღიურ ცხოვრებაში უკვე ძალიან იშვიათად გამოიყენება.

საერთოდ, თანამედროვე ანდაზები, ამა თუ იმ ლინგვოკულტურის კუთვნილების მიუხედავად, მკვეთრად წარმოაჩენს ინტერნეტისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გავლენას ჩვენს ცხოვრებაზე:

თანამედროვე ანდაზა „რიმეიქი“	თავდაპირველი, ამოსავალი ანდაზა
You can't teach a new mouse old clicks- (ახალ მაუსს ძველ დაწკაპუნებებს ვერ ასწავლი).	You cannot teach old dogs new tricks- (ბებერ ძაღლებს ახალ ფანდებს ვერ ასწავლი).
A chat has nine lives- (ჩატს(ჭორაობას) ცხრა სიცოცხლე აქვს).	A cat has nine live- (კატას ცხრა სიცოცხლე აქვს).
Fax is stranger than fiction -(ფაქსი ჭორზე უფრო უცნაურიაო).	Truth is stranger than fiction – (ჭეშმარიტება ჭორზე უფრო უცნაურიაო).
There is no place like home.com. – (home.com- ს (ერთ-ერთი ვებ-გვერდი) არაფერი სჯობს)	There is no place like home -(სახლს არაფერი სჯობს).

თუმცა ინტერნეტი მაინც ვერ ცვლის ჩვეულებრივ ადამიანურ ურთიერთობებს:

1. Facebook does not a true friend make (-Facebook არ არის ნამდვილი მეგობარი).

2. In asence of communication the mind is left to speculate. Speculation is the mother of Mistrust (-კომუნიკაციის არ არსებობისას გონებას სპეკულირებალა დარჩენია. სპეკულირება უნდობლობის დედა).

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, ინგლისურში დასტურდება ტერმინები თუ გამოთქმები-„ანტი-ანდაზა“, „გრეხილი სიბრძნე“, „სილიკონის ანდაზა“-და სათანადო კვლევა-ძიებაც მიმდინარეობს. სამწუხაროდ, ქართულ ენაში ეს საკითხი საფუძვლიანი კვლევის ობიექტი ჯერ კიდევ არაა.

როგორც ცნობილია, ანდაზას საუკუნეები ვერ შლის, ვერ ანგრევს. მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება-ცვლილებებთან ერთად, ისიც განიცდის ცვლილებას (ოღონდ ძლზე ნელი ტემპით), რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან ძველ საქართველოში გამოყენებადი ანდაზები გრამატიკულად და ლექსიკურად ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით იყო აგებული, რაზედაც ნათლად მეტყველებს შემდეგი მაგალითები: „ბრძნად მეტყველება ვერცხლი არს წმიდა, ხოლო დუმილი- ოქრო რჩეული“; „რომელი არა შვრებოდეს, ნუცადა ჭამნ“-ო (ძვ. ქართ. ლიტ. ძეგლები, 1978:125, 206). ეს უკანასკნელი, ოდნავ შეცვლილი სახით („უკეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცადა ჭამნ“), ახალ აღთქმაშიცაა შესული (ახ. აღთქ., 1963:495).

ზემოთ აღნიშნული გვაქვს, რომ ეს ანდაზები უძველეს პერიოდშია შექმნილი და მოცემული სახით იყენებს X საუკუნის ქართველი აგიოგრაფი მწერალი გრიგოლ ხანძთელი თავის ნაწარმოებში „გიორგი მერჩულე“. ისინი ტრანსფორმირებული ვარიანტებით დღეს შემდეგნაირად გვხვდება: „ლაპარაკი ვერცხლია, სიჩუმე - ოქრო“,

„ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს“ (ამავე ვითარებას ასახავს ქართული ანდაზა: „ვინც საქმე გააკეთა, პურიც იმან ჭამოს“).

ქართულში ამჟამად გვხვდება ანდაზები: „ჩიტი ბრდღვნად არ ღირდა და დევნა სულ მეტი იყო“, „ჩიტი ბრდღვნად არ ღირდა და დევნა მეტი იყო“. ეს ანდაზები ფაქტიურად ერთმანეთის ინვარიანტებია. ოდნავი განსხვავება ფიქსირდება ლექსიკურ

შემადგენლობაში. ამ ინვარიანტების ამოსავალი უნდა იყოს ილია ჭავჭავაძის მიერ გამოყენებული ანდაზა: „ჩიტი ბრდღვნად არ ჰღირდა, უკან დევნა მეტი იყო“ (ი. ჭავჭავაძე 1987:34). როგორც ვხედავთ, ოდნავი სხვაობა ლექსიკაშია.

დღეს ხშირად გამოიყენება ანდაზა: „ახალი ცოცხი კარგად ჰგვის“, რომელიც სრულყოფილად შემდეგნაირადაა: „ახალი ცოცხი კარგად ჰგვის, ძველი მოატანს ქვიშასა“. ე.ი. ეს ანდაზა ამჟამად შეკვეცილი სახით გამოიყენება.

საერთოდ, ანდაზები არა მარტო დროში, არამედ სივრცეშიც უნდა იცვლებოდეს, რაზედაც ნათლად მეტყველებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრებილი მასალა.

მაგალითად, ფშავ-ხევსურული:

ადგილის კურდღელს ადგილის ძაღლი უნდაო;

ამანათი ჯერ მგელმა იცისო (ე.ი. მიბარებული მგელმაც კი შეინახაო. ჯერ მგელმა=მგელმაც კი);

ასე, ჩემო მანასეო, შენ ეგრე და მე ასეო;

აჭარული:

ათასჯერ გაზომე და ერთ ალაგს გადაჭარო;

აჭარელს ჭადის სახელი დამიწყია;

მბალი კატარში (წვერში) გამწარდებაო;

წყალი სათავიდან ეიმღრევაო;

ბევრი „ოქში“ ხარს უკან წეიყვანსო//ბევრი „ვოშო“ („ვოიშ“) ხარს უკან დასწევსო;

სხვაგან ჩაწერილი:

ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო;

ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო;

ათჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერო;

ბევრი „ჰო“ ხარს გააგიჟებსო;

წყალი სათავიდან იმღვრევა;

წყალი სათავიდან უნდა დაწმინდავდესო;

მიბარებული მგელმაც იცისო. . .

ეს მაგალითები თემატიკურად მსგავსია. განსხვავება მხოლოდ ლექსიკაშია. სხვაობა მეტწილად დიალექტიზმების გამოყენებითაა გაპირობებული.

ზოგ ანდაზაში არქაული ლექსიკაცაა შემონახული. მაგალითად, „ალიანსა, ჩალიანსა, უნათლულანთ მარიამსა, ბუთურთ ბუთლას საქმე აქვის, თქვენთვის არა სცალიანსა“. აქ არქაიზმია „აქვის“ (<აქუს) (შემოუნახავს ფშავ-ხევსურულს). ძვ. ქართ. მათ//მას აქუს.

საერთოდ, ანდაზებში საკმაოდ დაიმეზნება დიალექტიზმები. ვფიქრობთ, როგორც ქრონოლოგიური, ისე სივრცული ცვლილებების თვალსაზრისით, ანდაზების სპეციალური კვლევა ღირებული უნდა იყოს.

შენიშნულია, რომ ბევრი ანდაზა, წარმოშობის სიძველის მიუხედავად, არ ძველდება და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ყოველ ახალ საფეხურზე ახალ ფუნქციას იძენს და ახალი შინაარსით უდგება ყოველ ეპოქას ( სიხარულიძე 1960:216). ზოგი ანდაზა კი დროთა განმავლობაში გამოდის აქტიური მიმოქცევიდან, სამაგიეროდ, ახალი ცხოვრების შესაბამისად, ახალი ანდაზებიც ჩნდება.

მაგ.: ახალ ცხოვრებას ახალი გზა უნდაო;

აბრა სხვაა-საქმე სხვაა;

დიდკაცს გაუტყდა კალამი, მერე იკადრა სალამი;

ერთი ეგონა კირკიტას კრიტიკაცა და ინტრიგაც;

წუნი წუნმდებელსაც დაედებაო...

სამწუხაროდ, ახალი ანდაზების შეკრება-გამოცემისა და შესწავლის საქმეში სერიოზული ხარვეზია. სათანადო მასალის შეკრებას ართულებს ის, რომ ანდაზას მთქმელი ჩვეულებრივ საუბარში იყენებს. ამიტომ ანდაზების შეკრებას ხალხში ხანგრძლივი ტრიალი სჭირდება (ქართული ანდაზები 1965:5-6).

როგორც ითქვა, ინგლისელები ადრეც იყენებდნენ ტერმინებს ქსელი//ზადე. მაგ., მეთევზის ქსელი//ზადე, მაგრამ ამჟამად ეს ტერმინი ასოცირდება ინტერნეტის გლობალურ ქსელთან. ქართულშიც გვხვდება (წარსულშიც და ახლაც) ლექსიკური ერთეულები ქსელი და ზადე (სხვადასხვა დანიშნულებით).

ინგლისურის ანალოგიურად, ეს ტერმინები ამჟამად ხშირად გამოიყენება ინტერნეტის თუ სამაუწყებლო საშუალებებთან მიმართებით. მაგრამ ეს ტერმინები ჯერ კიდევ არ ჩანს ქართულ ანდაზებში. ეტყობა, ინგლისელები მყისიერად ახდენენ ახალშექმნილი ანდაზების ფიქსაციას. სამწუხაროდ, ასეთი რამ ჩვენთან არ ხდება. როგორც ყველა ლინგვოკულტურაში, ისე ქართულშიც ახალი ანდაზების შექმნის საფუძველი ყოველთვის არის და იქმნება კიდევ, რაც საჭიროებს სათანადო აღნუსხვას.

ამრიგად, ღირებულებათა ორიენტაციის სისტემები, რომლებიც საფუძველად უდევს სხვადასხვა კულტურას, ეს უკანასკნელი კი დღენიადაგ იცვლება და ვითარდება, სათანადოდ აისახება ანდაზაშიც, რომელთა ლინგვოკულტურული ანალიზი იძლევა საშუალებას, დადგინდეს თანამედროვე ზნეობრივი პრიორიტეტების ცვლილებები კულტურის სფეროში. თანამედროვე ანდაზებში შეიძლება თვალი გავადევნოთ დღევანდელი სამყაროს რეალობას, დავინახოთ, რა არის ღირებული მოცემულ ეტაპზე არა მარტო ინგლისურენოვანი, არამედ ნებისმიერი კულტურის წარმომადგენელთათვის, განსაკუთრებით მძაფრად აღიქმება ანდაზებში ეკონომიკური კრიზისი.



## თავი IV. პარემიების პრაგმატიკული და კომუნიკაციური ფუნქციები

### 4.1. პარემიების პრაგმატიკული ფუნქციები

მე-19 საუკუნის ბოლოს ამერიკელმა უილიამ ჯეიმსმა (1842-1910) განავითარა დოქტრინა პრაგმატიკის სახელწოდებით. მისმა თანამოაზრემ, ჩარლზ ს. პირსმა (1834-1914) კი მსგავსი ტერმინი, პრაგმატიციზმი გამოიყენა და აქცენტირება მოახდინა ადამიანის სემიოტიკურ მოქმედებაზე. კერძოდ, მისი ინტერესის სფეროში მოექცა ლინგვისტური ნიშნები და მათი ხმარება.

პირსის მოსწავლემ და თანამემამულემ, ჩარლზ უ. მორისმა (1901-1979) ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე მოახდინა ლინგვისტური ნიშნების შემსწავლელი ძირითადი დისციპლინების კლასიფიკაცია:

სინტაქსი, რომელიც ეხება რთულ გამონათქვამში ნიშნებს შორის მიმართებას.

სემანტიკა, რომელიც ეხება ნიშნებსა და რეალობას შორის მიმართებას.

პრაგმატიკა, რომელიც ეხება ნიშნებსა და მათ მომხმარებლებს შორის მიმართებას.

ამგვარად, დაიბადა ახალი ლინგვისტური დისციპლინა, რომელიც ინტერესდება არა მხოლოდ ნიშნებით, მათი შემადგენელი ელემენტებითა და რეფერენტებით, არამედ მომხმარებლებით.

ტერმინი „პრაგმატიკა“ ლინგვისტურ მიმოქცევაში XX საუკუნის 30-იან წლების დასასრულს შემოვიდა (Л. Э. Словарь, 1990). ამასთანავე, იგი ჩამოყალიბდა, როგორც ლინგვისტიკის დარგი. ეს ტერმინი ანდაზებთან დაკავშირებით პირველად ესტონელმა მკვლევარმა კრიკმანმა გამოიყენა (Крикман 1978).

პრაგმატიკის აქტუალურ საკითხებზე ამჟამადაც ქვეყნდება საინტერესო გამოკვლევები, რომელთა ჩამოთვლას აქ აღარ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ამ პრობლემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ნაშრომების დიდი ნაწილი მიმოხილულია პროფ. მ. რუსიეშვილის მონოგრაფიაში (რუსიეშვილი 2005).

ნებისმიერი დარგის მეცნიერება, განსაზღვრული პრობლემის კვლევისას, ცდილობს გასცეს პასუხი სამ კითხვას: რა? როგორ? რატომ? (რისთვის?).

ენათმეცნიერულ დარგთაგან სინტაქტიკა შეისწავლის ნიშანთა შორის არსებულ წრფივ მიმართებებს, ნიშანთა განაწილებას მიმდევრობაში. სინტაქსი პასუხობს კითხვას: როგორ ითქვა. სემანტიკა ასახავს აბსტრაქციის მეორე საფეხურს. იგი ითვალისწინებს მიმართებას აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის. სემანტიკა პასუხობს კითხვას: რა ითქვა?

პრაგმატიკა შეისწავლის ნიშნის მომხმარებლის დამოკიდებულებას ნიშანთან. პრაგმატიკული ასპექტი ყველაზე ფართოა; იგი განიხილავს პიროვნულ ფაქტორებს და შემოქმედებისდაგვარად სრულად ახასიათებს ნიშანთა სისტემაში რეალურად არსებულ მიმართებებს (გამყრელიძე... 2003:30).

მაშასადამე, პრაგმატიკა სწავლობს მეტყველებაში ენობრივი ნიშნების ფუნქციონირებას, გამოყენებული ენობრივი ნიშნებისა და ადამიანების დამოკიდებულებას და გვიჩვენებს თუ რატომ ითქვა ეს ფრაზა, რა უნდა მოჰყვეს მას შემდეგ. პრაგმატიკა განისაზღვრება, როგორც ლინგვისტიკის ასპექტი, რომელიც შეისწავლის დამოკიდებულებას გამონათქვამს, მთქმელსა და სიტუაციას შორის (Антонова 1979:170).

ენობრივ გამონათქვამებს ყოველთვის გარკვეული შინაარსი აქვს. ისინი ღირებულია იმდენად, რამდენადაც მიუთითებენ რაღაცაზე გარეენობრივ სამყაროში: აღნიშნავენ საგნებს, მოვლენებს, თვისებებს. მათი აღნიშვნა არის ენობრივი ნიშნის ძირითადი ფუნქცია. მაშასადამე, მნიშვნელობის მქონე ყოველი ელემენტი ენობრივ სისტემაში არის ნიშანი ( გამყრელიძე 2003:25).

ენობრივ ნიშნებს ადამიანები იყენებენ საკუთარი აზრების სხვებისთვის გასაცნობად. ე.ი. ეს ნიშნები წარმოადგენენ ადამიანებს შორის კომუნიკაციის საშუალებას. თუმცა ეს არ არის მათი ერთადერთი დანიშნულება. ენობრივი ნიშნების მეშვეობით უნდა დაინტერესდეს თანამოსაუბრე, რათა მიიღოს მონაწილეობა კომუნიკაციის აქტში. ეს კი შეიძლება მოხერხდეს ენობრივი ნიშნების გამოყენებით თანამოსაუბრის გარკვეულ გრძნობებზე, სურვილზე, იმედებზე აპელირებით. ენობრივი ნიშნების გამგზავნი ინფორმაციის მიმღებს უბრალოდ კი არ გადასცემს ინფორმაციას, არამედ სურს

გამოიწვიოს მასში გარკვეული რეაქცია, ე.ი. პრაგმატიკული ინფორმაცია გარკვეული მნიშვნელობის (სასარგებლო თუ საჭირო) მატარებელია და ინფორმაციის მიმღებზე ახდენს გარკვეული ხასიათის ზემოქმედებას (Кларк 1967: 59; Гак 1992:60).

ლინგვისტური პრაგმატიკა მოიცავს მოსაუბრესთან, ადრესატთან, მათ კომუნიკაციასთან, მთლიანად სასაუბრო სიტუაციასთან დაკავშირებული კითხვების კომპლექსს.

სუბიექტის მეტყველებასთან დაკავშირებით შეისწავლება გამონათქვამების ფარული თუ აშკარა მიზნები, რომლებიც მართავენ ინფორმაციის ან აზრის, კითხვის მიმართულებას (კითხვას, ბრძანებას, თხოვნას, რჩევას, დაპირებას...), მეტყველების ტაქტიკას და მეტყველების ტიპებს. მოსაუბრის მიერ პრაგმატიკული შეფასებისას დიდი ყურადღება ექცევა ცოდნის საერთო ფონს, კონკრეტულ ინფორმირებულობას, ინტერესებს, აზრებსა და შეხედულებებს. მეტყველების ადრესატი კი, ღებულობს რა ინფორმაციას, გარკვეული სახით უკეთებს ინტერპრეტირებას, აკონკრეტებს გამონათქვამის პირდაპირ ან ირიბ მნიშვნელობას. ამასთან დაკავშირებით შეისწავლება, აგრეთვე, ადრესატზე ზემოქმედების ხარისხი, კერძოდ, ემოციური მდგომარეობის, შეხედულებების, ადრესატის შეფასებების ცვლილებები და მის მიერ შესრულებულ მოქმედებაზე გავლენა (Ахманова 1957:52).

სემანტიკურ მნიშვნელობასთან ერთად გამონათქვამს გააჩნია პრაგმატიკული მნიშვნელობაც (პრაგმატიკული ფუნქცია). პრაგმატიკულობის სოციალურ სფეროს განეკუთვნება სიმპტომატური და სასიგნალო ფუნქციები (Моисеева, Чудина 2004:171)

ენა არის იარაღი, რომელიც გამოიყენება ნივთების თუ საგნებისა და მოვლენების აღსაწერად, გარკვეული გრძნობების (სიმპათიის, აღშფოთების...) გამოსახატავად (სიმპტომატური ფუნქცია). ენა გამოიყენება, აგრეთვე, იმისათვის, რომ გამოიწვიოს ინფორმაციის მიმღებში გარკვეული (სასიამოვნო თუ არასასიამოვნო) ქცევა გარკვეული ქმედებით (-სასიგნალო ფუნქცია).

პრაგმატიკა კომუნიკაციის რეალურ პროცესს სწავლობს. შესაბამისად, მისი ძირითადი „ცდის ობიექტი“ მეტყველების პროცესია (რუსიევილი 2005:146).

პრაგმატიკის განსაკუთრებულ სამეცნიერო მიმართულებად გამოყოფა იმით აიხსნება, რომ გამონათქვამები ტრადიციულად ძირითადად შეისწავლებოდა აღწერით ასპექტში და არა უშუალოდ ადამიანის საქმიანობასთან კავშირში. პრაგმატიკის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ორი ტიპის გამონათქვამების შესწავლამ: 1. პერფორმატიული გამონათქვამები, რომლებშიც საქმიანობითი ასპექტი შეადგენს მათ სემანტიკურ შინაარსს; 2. ირიბი გამონათქვამები, რომლებშიც გამონათქვამების მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მსმენელზე ორიენტირებული მოსაუბრე პრაგმატიკული მნიშვნელობის საშუალებით ამაღლებს მის საქმიანობას, რათა მიაღწიოს პარტნიორისგან კომუნიკაციურ-პრაგმატიკულ თანხმობას, ურთიერთგაგებას, რაც კომუნიკაციის მთავარ მიზანს წარმოადგენს. „პრაგმატიკულად დამუხტული“ გამონათქვამების გამოყენების დამსახურებაა, რომ მოსაუბრეს აქვს დამატებითი აქცენტის გაკეთების საშუალება, კომუნიკაციური თვალსაზრისით, გამონათქვამების განსაკუთრებით საჭირო ელემენტების ხაზგასმის საშუალება, რაც ხელს უწყობს ადრესატზე მიზანმიმართულ ზემოქმედებას, რომელიც დამოკიდებულია არა მარტო შინაარსზე, არამედ გამონათქვამის ორგანიზაციის ფორმაზე.

კერძო პრაგმატიკული ფუნქციებიდან გამოყოფენ შემდეგს:

- ადრესატის ყურადღების მიპყრობის ფუნქცია;
- კომუნიკაციურად მნიშვნელოვან ელემენტებზე აქცენტის გადატანა (გამოყოფა);
- ინფორმაციის კომპრესირების ფუნქცია.

ჩამოთვლილი სამივე ფუნქცია გარკვეულწილად დამახასიათებელია ანდაზებისა და ანდაზური თქმებისთვის, როგორც „პრაგმატიკულად დამუხტული“ გამონათქვამებისთვის (Моисеева, Чудина 2004:171).

ადრესატის ყურადღების მიპყრობის ფუნქცია: ანდაზები და ანდაზური თქმები გამოიყენება ნეიტრალური კონტექსტის ფონზე და იქცევენ ყურადღებას ხატოვანებით, მნიშვნელობის განზოგადებით, დიდაქტიკური აზრით. სწორედ ანდაზებისა და ანდაზური თქმების ყურადღების კონცენტრირების უნარი ქმნის წინაპირობას მიზანმიმართული აღქმისათვის. შესაბამისად, აძლიერებს მეტყველებით ზემოქმედებას.

ანდაზებისა და ანდაზური თქმების ამ ფუნქციას მკვლევრები უცხო ენების შესწავლის მეთოდადაც მიიჩნევენ.<sup>14</sup>

კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვანი ელემენტების გამოყოფა: ეს ფუნქცია მჭიდროდ არის დაკავშირებული ყურადღების მიპყრობის ფუნქციასთან, რადგან გამოიყოფა ძალზედ მნიშვნელოვანი, ღირებული მახასიათებლები, რომლებსაც ხატოვანი სახით დებულობს ადრესატი.

ინფორმაციის კომპრესირების ფუნქცია: ანდაზები და ანდაზური თქმები ენობრივი ეკონომიის ნიმუშს წარმოადგენენ და ხშირად ეხმარებიან ინფორმატორს გადმოსაცემი ინფორმაციის კომპრესირებაში. ჩვეულებრივ ზეპირ მეტყველებაში მოცემული ინფორმაცია, ანდაზებისა და ანდაზური თქმების საშუალებით, შეიძლება გადმოიცეს მოკლედ, სხარტად და ხატოვნად. ობიექტურად არსებული და სოციალურად დამკვიდრებული მათი მნიშვნელობა თვალსაჩინოა; ეს კი საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნენ ისინი ტექსტში, როგორც შეფასებითი და მოდალობის მნიშვნელობის აზრობრივი სიგნალები.

როგორც ცნობილია, ანდაზები და ანდაზური თქმები, ენობრივი ერთეულებია, რომელთა მნიშვნელობაც არ გამომდინარეობს შემადგენელი ნაწილების კრებითი მნიშვნელობებისაგან, ისინი მიეკუთვნებიან ირიბ გამონათქვამებს, სადაც ძირითადი მნიშვნელობა პრაგმატიკულისაგან განსხვავებულია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ შეესაბამება გადმოსაცემის აზრს. ირიბი გამონათქვამები სემანტიკური ტრანსპოზიციის (გადასმა, გადაყვანა) შედეგს წარმოადგენს.

ანდაზებისა და ანდაზური თქმების გლობალურად აღქმის თვისება, როგორც მზა სახით არსებული კონსტრუქციული და სემანტიკური მთლიანობა, რომელიც წარმოითქმება კომუნიკაციურ სიტუაციებში არსებითი მნიშვნელობის ცვლილების

---

<sup>14</sup>მიდერი და თ.არჩერი ყურადღებას აქცევენ ანდაზების პედაგოგიური მიზნით გამოყენებას ბავშვის აღზრდისას და მიანიშნებენ უცხო ენების შესწავლისას პარემიოლოგიის დიდაქტიკურ და მეთოდოლოგიურ ღირებულებაზე. ვან კინი (Wang Qin) სტატიაში "Basic characteristics of proverbs" (1996) აღნიშნავს, რომ შეუძლებელია უცხო ენის შესწავლა პარემიოლოგიური ფონდისაგან მოწყვეტით, რამეთუ არც ერთ სხვა ლინგვისტურ მასალას არ შეუძლია ისე ასახოს ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ისტორიული, ეკონომიკური და კულტურული განვითარების თავისებურებები, როგორც ანდაზებს.

გარეშე, იმის საფუძველია, რომ ანდაზები და ანდაზური თქმები შეიცავენ გარკვეულ წესებს და საქმიანობის პრეცედენტებს, გამოხატულს პირდაპირი ან საჩვენებელი ფორმით, რომელიც წარმოადგენს ქმედებისა და სამყაროს მოდელს, მეტყველების შემდგომი სიტუაციის განვითარების პროგნოზირებას (Антонова 1979:170).

მსმენელზე პრაგმატიკული ზემოქმედების ამალგების რამდენიმე ხერხი არსებობს. მათი გამოვლენის მიზნით უნდა განვიხილოთ, როგორ გავლენას ახდენს ანდაზებისა და ანდაზური თქმების ინვარიანტული (სხვადასხვა ვარიანტული) ფორმები პრაგმატიკული ეფექტის ამალგებაზე.

შენიშნულია, რომ სიტუაცია, რომელშიც ჩნდება ანდაზა, არსებითად იმეორებს ინფორმაციას, რომელსაც მოიცავს. ანდაზას შეუძლია შეკრიბოს და განაზოგადოს ნათქვამი, ან შეასრულოს დამატებითი აქცენტუაციის როლი. მსგავს სიტუაციებში ანდაზა აზრის პრაგმატიკული ეფექტის გამაძლიერებლად გვევლინება. ეს უფრო თვალსაჩინოდ შეიძლება აიხსნას სათანადო მაგალითებით:

- I am so sorry. I didn't mean to hurt you. Are you angry?
- What's lost is lost. Calm down.
- Thank you.

-ძალიან ვწუხვარ. არ მინდოდა, რომ გული გტკენოდა. გაბრაზებული ხარ?

-რაც მოხდა მოხდა. დამშვიდდი.

-გმადლობთ.

What is lost is lost (რაც დაკარგულია, დაკარგულია).

ქართ. დაკარგულს ვერ დაიბრუნებო; დაღვრილი წყალი არ აიხვეტება;

ანდაზები და ანდაზური თქმები შეიძლება ერთადერთი გამომხატველი იყოს აზრის რაღაც მონაკვეთის:

I tried to enter this university. I wanted it so much. But an oak is not felled at one stroke.

-ვეცადე ამ უნივერსიტეტში ჩაბარება. მე ძალიან მსურდა ეს, მაგრამ ერთი დარტყმით მუხას ვერ წააქცევ.

An oak is not felled at one stroke (-ერთი შეხებით მუხას ვერ წააქცევ). ქართ. ერთი შემოკვრით ხე არ წაიქცევაო.

აქ ძალაში შედის ანდაზებისა და ანდაზური თქმების ძირათადი პრაგმატიკული ფუნქცია, ესაა მოდელირების ფუნქცია, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ანდაზა აძლევს ამა თუ იმ ცხოვრებისეულ სიტუაციას სიტყვიერ მოდელს, ამავდროულად გამოხატავს გარკვეულ აზრს და შეიცავს საჩვენებელ სახეს.

აღნიშნული საშუალებები წარმოადგენს პრაგმატიკული ეფექტის შექმნის ექსპლიციტურ საშუალებებს. მოცემულ სიტუაციაში ანდაზები კარგად ასრულებენ თავის პრაგმატიკულ დანიშნულებას, ანუ მიანიშნებენ მთქმელის დამოკიდებულებაზე სიტუაციისადმი (მოწონება, დაწუნება, თანხმობა, რჩევა).

ანდაზები და ანდაზური გამონათქვამები მიეკუთვნებიან სპეციალურად გამიზნულ სამეტყველო აქტებს. პირდაპირი მიმართულება და, აქედან გამომდინარე, უდიდესი პრაგმატიკული ეფექტი მიიღწევა იმ გამონათქვამებში, რომლებსაც გააჩნიათ იმპერატივის (ბრძანებითი კილოს) ფორმა:

- Look before you jump (-ვიდრე გადახტებოდე, წინ დაიხედე).

ქართ. ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერიო.

- Cut your coat according to your cloth ( -პალტო იმის მიხედვით გამოსჭერი, რამდენიც ქსოვილი გაქვს).

ქართ. საბანი ისე დაიხურე, როგორც გაგწვდებოდესო.

- Make hay while the sun shines, etc (-თივა მანამ თიბე, ვიდრე მზე კაშკაშებს).

ქართ. სანამ თორნე ცხელია, პური მანამ ჩააკარიო;

მოცემული ანდაზები, გარდა ფაქტობრივი და შეფასებითი ხასიათის ინფორმაციისა, გვამღევეს ეთიკურ რეკომენდაციებს, გვასწავლის რაც საჭიროა.

სამეტყველო აქტი, გამოთქმის გეგმა წარმოდგენილია გარკვეული მეტყველებითი ფორმულებით, მაშინ, როცა შინაარსის გეგმა განისაზღვრება სოციალური ფუნქციით, რომელსაც შეიძლება ეწოდოს პრაგმემა (Буковская, Биренбаум 1988:110). პრაგმემა შეიძლება იყოს ბრძანებითის, რჩევის, რეკომენდაციის ფორმის.

საილუსტრაციოდ შეიძლება სათანადო მაგალითების მოყვანა:

N	პრაგმემა	ფორმა
1	<p>Live and let live (-იცხოვრე და სხვაც აცხოვრეო). ქართ. იხარე და მეც მახარეო.</p> <p>Live not to eat but eat to live (-ნუ ცხოვრობ იმისთვის, რომ ჭამო, არამედ ჭამე, რომ იცხოვრო).</p>	ბრძანება
2	<p>Get a name to rise early, and you may lie all day (-ადრე ამდგომი კაცის რეპუტაცია დაიმსახურე, შემდეგ კი თუ გინდ მთელი დღე ლოგინში იგორავე).</p> <p>ქართ. პირველი შთაბეჭდილება ყველაზე ძლიერიაო.</p>	რჩევა
3	<p>Of two evils choose the less (-ცუდთა შორის აირჩიე უმცირესი).</p> <p>ქართ. შევხედე და სიკვდილს სიღარიბე სჯობიაო.</p>	რეკომენდაცია

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში პრაგმემა დამოკიდებულია ურთიერთობის სიტუაციაზე, ადრესატზე, გამონათქვამის ავტორზე, ასევე კონკრეტული ანდაზის და ანდაზური გამონათქვამის ფორმაზე.

ამრიგად, მეტყველებაში ანდაზებისა და ანდაზური თქმების პრაგმატიკული ფუნქცია, მათი კომუნიკაციური მნიშვნელობა განისაზღვრება სემანტიკური შემადგენლობით, რომელიც განაპირობებს ამა თუ იმ ანდაზითა თუ ანდაზური თქმით წარმოქმნილ პრაგმატიკული ეფექტის თავისებურებას. სუბიექტურ-მოდალური ფრაზეოგემა, თავისი სემანტიკით გამოცოცხლების სხვადასხვა ელფერს



წარმოადგენს, იგი არის ერთი და იმავე ანდაზის და ანდაზური გამონათქვამის პრაგმემის სხვადასხვა სახე.<sup>15</sup>

#### 4.2. პარემიების კომუნიკაციური და ფუნქციური პარამეტრები

კომუნიკაცია (ლათ. „Communicatio“-„ერთიერთობა“; „გაცვლა-გამოცვლა“; „შეტყობინება“) არსებითად სოციალური მოვლენაა და ადამიანთა საზოგადოებაში უპირატესად შეტყობინებათა (ინგლ. message) გაცვლა-გამოცვლას გულისხმობს (გამყრელიძე... 2003:46).

მაშასადამე, კომუნიკაციის პროცესი გაიაზრება, როგორც ინფორმაციის გაცვლის პროცესი; სახელდობრ, ერთობლივი საქმიანობისას ადამიანები ერთმანეთს უცვლიან სხვადასხვა იდეას, ინტერესს, გრძნობას...

ენის შესწავლისადმი კომუნიკაციურმა მიდგომამ განაპირობა ინტერსის გადახრა სამეტყველო კომუნიკაციისა და პირობებისაკენ, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ წარმატებასა და მიმდინარეობას.

დასავლურ ლინგვისტიკაში ანდაზები აღიწერება ენაში მათი ფუნქციონირების თვალსაზრისით. ამ კომუნიკაციურ მიდგომასთან აკავშირებენ სამეტყველო აქტების თეორიას, რომლის ფუძემდებლად მიჩნეულია ფილოსოფიის პროფესორი ჯ. ოსტინი. ოსტინმა პირველმა გამიჯნა ერთმანეთისაგან წინადადება-კონსტატივები და წინადადება-პერფორმატივები.

ჯ. ოსტინის წიგნი „How to do things with words“ (1962) (წიგნის რუსული თარგმანი ორჯერ გამოქვეყნდა განსხვავებული სათაურებით: „სიტყვა, როგორც მოქმედება“ (1986); „როგორ ვიმოქმედოთ სიტყვების დახმარებით“ (1999), წარმოადგენს ლექციების კურსს, რომელიც მან 1955 წელს წაიკითხა ჰარვარდის უნივერსიტეტში. სწორედ ამ წიგნმა ჩაუყარა საფუძველი მეტყველების აქტების თეორიას, რომელიც ლინგვისტური პრაგმატიკის ერთ -

<sup>15</sup> საერთოდ, აქ განხილული საკითხები, როგორც საზღვარგარეთულ, ისე ქართულ ენათმეცნიერებაში არაა საფუძვლიანად შესწავლილი. ანდაზის პრაგმატიკული ღირებულებაც არაა სრულყოფილად დადგენილი (მ. რუსიეშვილი, 2005, გვ.145).

ერთი საკვანძო ნაწილია. ამ წიგნმა ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანამედროვე ლინგვისტიკასა და კოგნიტურ მეცნიერებაში.

ლ. ვიტგენშტეინის თვალსაზრისით, ენა მრავალფუნქციურია. მანვე შემოიტანა ტერმინი „ენობრივი თამაში“, -ეს არის ლინგვისტური და არალინგვისტური ქმედებების ურთიერთგადაკვანძვა, რომლებიც ხორციელდება „წესების“ შესაბამისად (Wittgenstein, 1953: 302), რაც გულისხმობს იმას, რომ ენა არის არა რაღაც მოუწესრიგებელი სიმრავლე, არამედ ისეთი ელემენტების ერთობლიობა, რომელთა შორის გარკვეული მიმართებები და კავშირები არსებობს. საერთოდ, ენობრივი თუ სიტყვათა თამაშის ერთაზროვანი განმარტება არ არსებობს. მკვლევრები მის სხვადასხვაგვარ განმარტებებს გვთავაზობენ (Delabastita 1996: 128; Davis 1967:25).

მოგვიანებით ოსტინმა, ვიტგენშტეინის მოძღვრების (ენის მრავალფუნქციონირების შესახებ) გავლენის გარეშე, განაზოგადა თავისი პოზიცია ერთიანი მეტყველების კონცეპტში. ამ უკანასკნელს ახასიათებს სამწევრიანი სტრუქტურა: ლოკუციური აქტი (ამა თუ იმ გამონათქვამის გონივრულად გამოთქმა), ილოკუციური აქტი (სამეტყველო აქტის განხორციელება ერთ-ერთი შესაძლებელი ფუნქციით) და პერლოკუციური აქტი (თავად სიტყვის ან გამონათქვამის წარმოთქმა გავლენას ახდენს აუდიტორიაზე).

მაშასადამე, სამეტყველო აქტების თეორია გამოყოფს სამ დონეს ან ანალიზის სამ ასპექტს, პირველ რიგში, მეტყველების აქტი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც რაღაცის თქმა. ამ ასპექტში მეტყველების აქტი წარმოგვიდგება ლოკუციური აქტის სახით (ლათ. Locutio „თქმა“). ლოკუციური აქტი, თავის მხრივ, წარმოგვიდგენს რთულ სტრუქტურას, რადგან შეიცავს ბგერების წარმოთქმას (ფონაციის აქტს), სიტყვების გამოყენებას, ასევე მათ დაკავშირებას გრამატიკული წესების შესაბამისად, მათ აღნიშვნას ამა თუ იმ ობიექტების საშუალებით (რეფერენციის აქტი) და ამ ობიექტებისათვის რაიმე თვისებებისა და დამოკიდებულებების მიწერა (პრედიკაციის აქტი).

მაგრამ ადამიანი არ ლაპარაკობს ამავე პროცესის ხატრით, არც იმის გამო, რომ დატკბეს საკუთარი ხმის ტემბრით, არც იმიტომ, რომ შეადგინოს სიტყვებისაგან წინადადებები, ახსენოს წინადადებებში რაღაც საგნები, მიაწეროს მათ ესა თუ ის

თვისება და ამით ასახოს რაღაც არსებული მდგომარეობა სამყაროში. თქმის პროცესში ადამიანი რაღაც მოქმედებასაც ასრულებს, რომელსაც გააჩნია გარკვეული მიზანი: ის ეკითხება ან პასუხობს, აწვდის ინფორმაციას, არწმუნებს ან აფრთხილებს, ვიღაცას ნიშნავს რაღაცად, ვიღაცას აკრიტიკებს და ა.შ. მეტყველების აქტი, მისი ენობრივი მიზნების განხილვის გარეშე, წარმოადგენს ილოკუციურ აქტს. ინტეგრალურ ანუ განმაზოგადებელ და მთლიან დახასიათებას გამონათქვამისა, როგორც ილოკუციური აქტის განხორციელების საშუალებას, ეწოდება ილოკუციური ფუნქცია, ან გამონათქვამის ილოკუციური ძალა.

თქმის საშუალებით ადამიანი აღწევს გარკვეულ შედეგს, ცვლის გარემომცველ სამყაროს, უპირველესად, თანამოსაუბრის ცნობიერებაში. თუმცა მიღებული შედეგი შეიძლება შეესაბამებოდეს ან არა მეტყველების მიღმა არსებულ მიზანს, რომლის მიღწევასაც ცდილობდა მოსაუბრე. მეტყველების აქტი, განხილული რეალური შედეგების ჭრილში, წარმოადგენს პერლოკუციურ აქტს. პერლოკუციური აქტი და მისი შესაბამისი ცნება პერლოკუციური ეფექტი-ეს არის მეტყველების საქმიანობის ასპექტი.<sup>16</sup>

ჯ. ოსტინმა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მეტყველების აქტების თეორიას, ვერ მისცა ილოკუციური აქტის ცნებას ზუსტი განსაზღვრება. მან მოიყვანა მხოლოდ აქტები: კითხვა, პასუხი, ინფორმირება, დარწმუნება, გაფრთხილება, კრიტიკა და ა.შ. აღნიშნა, რომ ყოველ ენაში არსებობს ასეთი მოქმედებების საკუთარი ნომენკლატურა.

---

<sup>16</sup> მეტყველების ფუნქციათა აღწერის მოდელი ჩამოყალიბებულია, აგრეთვე, რ. იაკობსონის მიერ. მისი აზრით, მეტყველება შესწავლილ უნდა იქნეს ყველა თავისი ფუნქციის მიხედვით. მეცნიერი ასეთ საკომუნიკაციო სქემას წარმოადგენს: მოლაპარაკე (ლოკუციის წყარო) შტყობინებას გადასცემს ადრესატს (ლოკუციის მიზანს), ხოლო სამეტყველო აქტის მესამე შემადგენელია თვით შეტყობინება, გამონათქვამი, ლოკუცია. იმისათვის, რომ შეტყობინებამ შესარულოს თავისი ფუნქცია, მას ჭირდება კონტექსტი-როგორც რეფერენციის ობიექტი, რომელიც ნაცნობია ადრესატისათვის და რომელსაც უკვე აქვს ვერბალური (ენობრივი) ფორმა. ყოველი ეს ქმნის ექსტრალინგვისტურ კონტექსტს. ენის ფუნქციების გამოყოფა უკავშირდება სამეტყველო აქტის სხვადასხვა კომპონენტის წინა პლანზე წამოწევას, სახელდობრ: ენის რეფერენციული ფუნქცია-გულისხმობს ორიენტაციას შეტყობინების კონტექსტზე. ექსპრესიული ფუნქცია-შტყობინების გამგზავნზე. აპელაციური ფუნქცია-მიმღებზე. ფატიკური ფუნქცია-გამგზავნისა და მიმღების ურთიერთდამოკიდებულებაზე. მეტალინგვისტური ფუნქცია-ენობრივ კოდზე, რომლითაც შეტყობინება გადაიცემა. პოეტური ფუნქცია-საკუთრივ შეტყობინებაზე. რ. იაკობსონი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფუნქციები ერთმანეთს არ გამოირიგხავს. ისინი ხშირად თანაარსებობენ. ამდენად, მეტყველება შეიძლება ერთდროულად რამდენიმე ფუნქციას ახორციელებდეს (თ. გამყრელიძე... 2003:438-449; Якобсон P. O., 1987).

ჯ. ოსტინის თეორია შემდეგ განავითარეს მისმა მოწაფეებმა ჯ. სერლიმ და სხვა მკვლევრებმა. ჯ. სერლი (Серль 1976; Серль 2002) წარმოგვიდგენს ილოკუციური

აქტების საკუთარ კლასიფიკაციას, რომლის საფუძვლადაც მიიჩნევს ილოკუციური მიზნის და მისგან გამომდინარე გაგებულების არჩევას: შეგუების მიმართულება და გულწრფელობის პირობების გამოხატულება. მეცნიერმა გამოყო: აგრეთვე, შემდეგი ილოკუციური აქტები: რეპრეზენტატივები, დირექტივები, კომისივები, ექსპრესივები, დეკლარაციები (Серль 1976). სერლის მიერ გამოყოფილი ილოკუციური აქტები გაანალიზებულია პროფ. მ. რუსიეშვილის მონოგრაფიაში (რუსიეშვილი 2005: 150-151), ამიტომ ამ საკითხზე მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ.

მეტყველებითი აქტების თეორია განიხილავს კომუნიკაციის წარმატებისა და წარუმატებლობის პრობლემებს, რომლებიც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის დაცული ურთიერთობის პოსტულატები. ამ პოსტულატების გამოყოფა გ. პ. გრაისის დამსახურებაა. მასვე ეკუთვნის ცნება იმპლიკაციები („იმპლიკატურები“), -ის, რაც გადმოიცა ირიბი ნათქვამით. გრაისმა გამოყო, აგრეთვე, ე.წ. სასაუბრო მაქსიმები:

„გამოთქვი მოკლედ“, „იყავი ორგანიზებული“, „მოერიდე ბუნდოვან გამონათქვამებს“, „ერიდე გაურკვევლობას“ (Граис 1975:500).

მეტყველებაში ანდაზების გამოყენებით, მოსაუბრე ახორციელებს პერლოკუციურ აქტს, - აიძულებს მსმენელს, „ეძიოს“ დამატებითი მნიშვნელობა ან იმპლიკაციები გამონათქვამისთვის (Norrick 1994:145).

ანდაზური გამონათქვამები თითქოს „ორმაგად ირიბია“. პირველ რიგში, ეს არის ციტირების აქტები. მეორე რიგში, ანდაზები წარმოქმნის იმპლიკაციებს, კერძოდ, მთქმელს მხედველობაში აქვს ზუსტად ის, რასაც წარმოთქვამს, ამასთანავე, მოიაზრებს უფრო მეტს. ესაა მსმენელი, რომელმაც უნდა გაიაზროს ეს იმპლიკაციები (Norrick 1994:146).

ნორმალურ სიტუაციაში ადამიანებს შორის დიალოგი არ წარმოადგენს თანმიმდევრულად ერთმანეთთან დაუკავშირებელ რეპლიკებს; ასეთ შემთხვევაში მათ არანაირი აზრი არ ექნებოდა. ჩვეულებრივ, დიალოგი წარმოადგენს მოსაუბრეების

ერთობლივ საქმიანობას, რომელშიც თითოეული მათგანი გაიაზრებს საერთო მიზნებს, ან თუნდაც საუბრის „მიმართულებას“.

მოსაუბრისაგან დაცული უნდა იყოს შემდეგი ძირითადი პრინციპი: შენი კომუნიკაციური წვლილი დიალოგის კონკრეტულ ეტაპზე ისეთი უნდა იყოს, როგორსაც მოითხოვს ამ დიალოგის ერთობლივად მიღებული მიზანი (მიმართულება). ამ პრინციპს კოოპერაციის პრინციპს უწოდებენ.

შეიძლება გამოიყოს უფრო კონკრეტული პოსტულატები, რომელთა დაცვაც ზოგადად და მთლიანობაში შეესაბამება აღნიშნული პრინციპის შესრულებას. ეს პოსტულატები შეიძლება დაიყოს ოთხ ძირითად კატეგორიად, რომლებსაც, კანტის კვალდაკვალ, გრაისი უწოდებს რაოდენობის, ხარისხის, დამოკიდებულებისა და ხერხის კატეგორიებს (Граис 1975:500).

რა თქმა უნდა, არსებობს სხვა სახის პოსტულატებიც (ესთეტიკური, სოციალური ან მორალური, როგორცაა მაგალითად, „იყავი თავაზიანი“...). ამ პოსტულატებს ძირითადად იცავენ დიალოგის მონაწილეები. ამასთანავე, მათ შეუძლიათ წარმოქმნან არაკონვენციური იმპლიკაციები. გ. ჰ. გრაისი თვლის, რომ სწორედ კომუნიკაციური პოსტულატები და მათდამი განკუთვნილი კომუნიკაციური იმპლიკაციები დაკავშირებულია იმ სპეციფიკურ მიზნებთან, რომელთა შესრულებაზეა მორგებული და რომლისთვისაც გამოიყენება მეტყველება (და მეტყველებითი ურთიერთობა).

კომუნიკაციური „იმპლიკატურა“ უნდა იყოს ლოგიკურად გამომდინარე, რადგან თუ „იმპლიკატურის“ არსებობა შეიგრძნობა ინტუიციურად, მაგრამ არ გამომდინარეობს ლოგიკურად, მაშინ ასეთი იმპლიკატურა (თუ საერთოდ ასეთი არსებობს) ჩაითვლება კონვენციალურად და არა კომუნიკაციურად. გარკვეული კომუნიკაციური

„იმპლიკატურის“ გამოკვეთისას მსმენელი ეყრდნობა შემდეგ ინფორმაციას: 1. გამოყენებული სიტყვების კონვენციალური მნიშვნელობა და ყველა მათი რეფერენტის ცოდნა; 2. პოსტულატებისა და კოოპერაციის პრინციპების ცოდნა; 3. გამონათქვამის კონტექსტი, როგორც ლინგვისტური, ისევე ნებისმიერი სხვა; 4. სხვა ფონური ცოდნა; 5. ის ფაქტი (ან ვარაუდი), რომ მთლიანი რელევანტური ინფორმაცია გასაგებია კომუნიკაციის

ორივე მონაწილისთვის; ორივემ იცის ან ვარაუდობენ, რომ ეს ასეა ([http://ksenia-vetruk.narod.ru/index/spisok\\_publicacij/0-37](http://ksenia-vetruk.narod.ru/index/spisok_publicacij/0-37)).

რუსი მკვლევარი ტ. მ. ნიკოლაევა ამტკიცებს, რომ სამეტყველო სიტუაციაში მოსაუბრეს ხშირად უწევს სოციალური მარტოსულობის გადალახვა და ამ კომპლექსის დასაძლევად მთავარია შევქმნათ მოსაუბრის უკან მდგომი მტკიცე და ჰომოგენური სოციალური გარემოს ილუზია (Николаева 1995:312). ამ მიზნით აუცილებელია მეტყველებაში შემოვიტანოთ ანდაზა, რითაც მივანიშნებთ, რომ მოსაუბრის აზრი არ ეყრდნობა ადამიანური ცხოვრებისაგან მოწყვეტილ შეხედულებებს. სწორედ ამ აზრის გამოსახატავად ვიყენებთ პარემიებს, რომელთა საშუალებითაც ადამიანი თითქოს ეკონტაქტება ანდაზურ წყობას (მიზანდასახულობას), შედის დიალოგში და განსაზღვრავს მას, როგორც „საკუთარ“ პიროვნულს ან „უცხოს“ (Арутюнова 1999:845).

გონებაზე ანდაზების ზემოქმედების კონკრეტული მიზნები განისაზღვრება ადრესანტის მეტყველებითი შეტყობინების უშუალო მიზნებით და თავად ანდაზის სემანტიკური დატვირთვით, მისი აზრობრივი პოტენციალით. ამასთანავე, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ის, რომ ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში ანდაზა (მისი გამოყენება) ასრულებს არა ერთ, არამედ რამდენიმე ფუნქციას. კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება გამოიყოს, აგრეთვე, ანდაზური ტექსტის დომინირებული ფუნქცია.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფილია ანდაზური ტექსტების ფუნქციები, კერძოდ, ვ. ა. ვეტრიუკი (Ветрюк [http://ksenia-vetruk.narod.ru/index/spisok\\_publicacij/0-37](http://ksenia-vetruk.narod.ru/index/spisok_publicacij/0-37)) ჟიგარინას კვალდაკვალ (Жигарина Е. Е., (<http://www.ruthenia.ru/folklore/zhigarinaI>), ითვალისწინებს რა რ. ო. იაკობსონისა და ნ. ბ. მეჩკოვსკაიას მიერ ენის ფუნქციების განსაზღვრას (Мечковская 2000), ასევე პარემიების ფუნქციების შესახებ გამოთქმულ გ. ლ. პერმიაკოვის თვალსაზრისს (Пермяков 1988; Пермяков 1970), ენის ფუნქციების შესაბამისობაში ანდაზების შვიდ ფუნქციას გამოყოფს, რომლებშიც ესა თუ ის როლი შეესაბამება არა ანდაზას (ანდაზურ ტექსტს), არამედ პარემიას კონტექსტში. გამოყოფენ ანდაზების შემდეგ ტექსტურ ფუნქციებს:

1. კომუნიკაციური – შეესაბამება რეფერენციას, ანუ შეტყობინების შინაარსს. ზოგადად იგი ენისათვის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს. კომუნიკაციური აქტის დაწყებისთანავე და მიმდინარეობის პროცესში ეს ფუნქცია მთლიანად ვლინდება აბსოლუტურად ნებისმიერი ტიპის ინფორმაციისას, რომლებიც შეესაბამება განსხვავებულ მიზნებს. ბუნებრივია, ამ მხრივ არც ანდაზური სიტუაციაა გამონაკლისი.

2. შემეცნებითი - ნ. ბ. მეჩკოვსკაიას თვალსაზრისით, შემეცნებაში ენის როლის განხილვისას, უნდა განვასხვავოთ ორი ასპექტი: წარმოდგენების, ცნებების, მსჯელობის, დასკვნების, საგნობრივი ფორმირებისა და აღქმის პროცესებში ენისა და მეტყველებითი სააზროვნო მექანიზმების მონაწილეობა, ასევე მეხსიერების მექანიზმებისა და ენის მონაწილეობა თაობიდან თაობაზე ადამიანების საზოგადოებრივ – ისტორიული გამოცდილების შენახვასა და გადაცემაში (Мечковская 2000). ანდაზები, ისევე როგორც ნებისმიერი ფოლკლორული ტექსტი, წარმოადგენს ხალხის გამოცდილების შემნახველს. ანდაზური ტექსტების შემეცნებითი ფუნქციის პირველივე ასპექტი შეიძლება შევადაროთ გ. ლ. პერმიაკოვის მიერ გამოყოფილ პარემიების სასწავლო ფუნქციას. მკვლევრის მტკიცებით, ყველა მათგანს ახასიათებს ერთი თვისება – გამოყენებულ იქნეს საჭირო რაღაცების შესწავლის საშუალებად (Пермяков 1988:88).

3. რეგულაციური – ანდაზების ერთ-ერთი საკვანძო ფუნქციაა. ანდაზები არეგულირებს არა მარტო ქცევას, არამედ გონებასაც. ენის რეგულაციურ ფუნქციას შეიძლება შევუპირისპიროთ გ. ლ. პერმიაკოვის მიერ გამოყოფილი პარემიების ორი ფუნქცია: მოდელირებისა და პროგნოზირების. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, მოდელირების ფუნქციის შემსრულებელი (ან მეონე) პარემიები იძლევიან ამა თუ იმ ცხოვრებისეული (ან ლოგიკური) სიტუაციის სიტყვიერ (ან აზრობრივ) მოდელს (სქემას) (Пермяков 1988:89). საუბრისას ანდაზები ზუსტად ასეთ როლს თამაშობენ. პერმიაკოვის თვალსაზრისით, პარემიების პროგნოზირების ფუნქცია მომავლის წინასწარმეტყველებაშია (Пермяков 1988:88). ხშირად თავად ანდაზური შეგონება წინასწარმეტყველების მოდელის მიხედვით იგება. ანდაზებთან მიმართებაში ამ ფუნქციას ე. ე. ჟიგარინა „პრესკრიპტულს” უწოდებს. სიტუაციებში, რომლებშიც განიხილება მომავლის ან ახლანდელი მოვლენების

განვითარება, ადრესანტს ხშირად ანდაზების საშუალებით მიაწერენ ქცევის ისეთ სახეს, რომელსაც მიჰყავს სასურველ შედეგამდე.

4. ემოციურ-ექსპრესიული – ვლინდება იმ შემთქვევაში, თუ გამონათქვამში პირდაპირაა გამოხატული ადამიანის დამოკიდებულება იმასთან, რასაც ამბობს, ან სიტუაციასთან.

კონტექსტების ჯგუფებში, რომლებშიც ანდაზების ეს ფუნქცია დომინირებადია, პარემიული ტექსტები გვამღევეს სიტუაციის (სუბიექტის // ობიექტის) მდგომარეობის ხატოვან დახასიათებას.

5. ესთეტიკური – პ. ო. იაკობსონის მიხედვით, ეს ფუნქცია დაკავშირებულია ინფორმაციისადმი ყურადღებასთან თავად ინფორმაციის გამო (Мечковская 2000).

რაც შეეხება ანდაზების გამოყენებას, ეს ფუნქცია ვლინდება უშუალოდ მორალის წაკითხვისას. მეტყველებაში ამ ფუნქციის შემსრულებელი ანდაზა წარმოადგენს არა იმდენად შეფასების საშუალებას, რამდენადაც თვითმიზანს. ხდება შეფასება, მაგრამ თითქოს არ თამაშობს ანდაზური განსჯის დამამტკიცებელ როლს. ანდაზა წარმოადგენს ზეგანაკვეთური დადგენილების კანონზომიერების განზოგადებულ დასკვნას.

6. გართობის – რომელიც, როგორც აღნიშნავს პერმიაკოვი, შეიძლება დამახასიათებელი იყოს ყველა ტიპის პარემიისათვის, მაგრამ ყველაზე პირველხარისხოვანია მისამღერებლისათვის და ე.წ. სახუმარო გამოცანებისა და „ვაჭრობისათვის“ (Пермяков 1988: 89).

7. ორნამენტული – რომელიც ყველა ტიპის პარემიის საფუძველია. მაგრამ არც ერთი მათგანისათვის არ არის წამყვანი და აუცილებელი (Пермяков 1988: 89). პარემიული ტექსტების მოცემული აქტუალური ფუნქციები ძირითადად გამოყოფილია პერმიაკოვის მიერ, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ანდაზების კვლევა-ძიების საქმეში.

პარემიული ტექსტი შეტყობინებას უფრო შინაარსიანს ხდის. ანდაზით განზოგადება საშუალებას იძლევა გადმოსაცემ აზრს მიეცეს აბსოლუტურობის ხასიათი. ანდაზები გარკვეულწილად ალამაზებენ მეტყველებას, ქმნიან სიტუაციებს, გადააქცევენ



მათ გარკვეულ აზრობრივ ბლოკებად. ესაა სწორედ ანდაზებისა და ანდაზური თქმების ორნამენტული ფუნქცია.

ანდაზებისა და ანდაზური გამონათქვამების განხილვა ლოგიკურ ასპექტში, პირველ რიგში, სარწმუნოს ხდის მათ საგანგებო მნიშვნელობას აღნიშნული (ტიპის) მეტყველებისათვის.

#### 4.3. პარემიების დანიშნულება ტექსტებში

ანდაზებსა და ანდაზურ თქმებს უხვად იყენებენ მწერლები თავიანთ მხატვრულ შემექმედებაში. ასევე თვითონაც ქმნიან აფორიზმებს, რომლებიც სწრაფად ვრცელდება ხალხში და ბევრმა არც კი იცის, რომ მას ავტორი ჰყავს. ასეთებია მაგ., „სჯობს სიცოცხლესა ნამრახსა სიკვდილი სახელოვანი“; „არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“.

. . შოთა რუსთაველის ეს უკვდავი აფორიზმები გადასულია ხალხში და ანდაზების სახით გამოიყენება. ასევე ხშირად იყენებს ხალხი დ. გურამიშვილის სხარტულ გამოთქმებსაც. მაგ., „ჯერ მწარე სჭამე კვლავ ტკბილი, თუ ემებ გემოვნებასა“; ანდაზადაა ქცეული აკ. წერეთლის „თორნიკე ერისთავში“ გამოყენებული მოსწრებული გამონათქვამი: „ხმალზე უფრო ძლიერად სჭრის პატარა და რბილი ენა“...

ანდაზები ყოველთვის დიდ გავლენას ახდენდა ყველა ხალხის მწერლობაზე. პარემიები ხშირად გვხვდება სხვადასხვა სახის პუბლიკაციაში (მხატვრული, პუბლიცისტური, პოლიტიკური), მაგრამ ისინი მაინც მხატვრულ ნაწარმოებებშია უხვად გამოყენებული. ყველა საუკუნის ქართული მხატვრული ლიტერატურა საკმაოდ არის დავალებული ხალხის პოეტურ ქურაში გამოწრთობილი მოხდენილი ანდაზებით. ანდაზები და ანდაზური გამონათქვამები თითქმის ყველა გამოჩენილი ქართველი მწერლის შემოქმედების მძლავრი ფაქტორია. პატარა მოცულობის, მაგრამ ხალხის გენიის გამომხატველი ანდაზები თავისებურ იერს აძლევს მხატვრული სიტყვის ოსტატთა ქმნილებებს (სიხარულიძე 1960:326). ასეა ეს სხვა ხალხის მწერალთა შემოქმედებამიც.

მხატვრულ ტექსტებში ხშირად გვხვდება ანდაზები და ანდაზური გამონათქვამები, რომლებიც გარკვეულ ფუნქციას ასრულებენ. აღნიშნულის საილუსტრაციოდ განვიხილავთ

ქართულ, ინგლისურ და რუსულ ტექსტებს, რომლებშიც თვალსაჩინოდაა წარმოჩენილი ანდაზების ფუნქციები მეტყველების აქტებში, მოცემულია პარემიების ლოგიკო-სემიოტიკური ინვარიანტები.

ეპიზოდი ჭაბუა ამირეჯობის რომანიდან „დათა თუთაშხია“ (კარი III, 1975:362). აბრაგმა დამბაჩა იშიშვლა, ჯონჯოლიას დაუმიზნა... შუაში ჩავუდექი და მაღალ ღმერთს შევევედრე:

–უფალო, დააცხრე სული კვლად აღმდგარი კაცისა და დაუოკე წყრომა გულისა, რამეთუ დაშთება სიკვდილისგან ერთი ჯონჯოლიასი ხუთი ჯონჯოლია ობოლი, ლატაკი, მიუსაფარი და ავბედობისა გამო დაადგებიან ხუთნივ გზასა მრუდსა, ცოდვილსა და სამაგელს!...

–თვითონ თუ დასცალდა, დიმიტრი-მღვდელი, ჯონჯოლიას თავისი შვილების გაზრდა, მამაზე უკეთესი რატომ გამოვა რომელიმე, ნეტავი?! მისი შვილების ბედი და მომავალი თუ გალაპარაკებს, მაშინ აქეთ უნდა მეხვეწებოდე, მოკალი ეს ღორის შვილიო.

ფეხებში ჩავუვარდი აბრაგს და კვლავ ზეცას შევლაღადე:

–ღმერთო ჩვენო, შენ განუხსენ თვალი გონებისა და განუღე კარი ჭეშმარიტებისა მონასა შენსა, თუთაშხიას დათას, რათა აღარ შეგცოდოს. შთააგონე მას, რომ ბოროტების აღმოფხვრა და აღმოშანთვა ბოროტებითვე არ არის გონიერი და მართებული, რადგან ავსა საქმეს, თუნდაც სიკეთის სახელით ჩადენილს, სხვა უამრავი ჭირი მოაქვს, რომელნი უსასრულო და დამღუპველ არიან...

შემისმინა უფალმა ჩვენმა, აბრაგს თავის განზრახვაზე ხელი ააღებინა. იარაღი ბუდეში ჩააბრუნა.

–ჯონჯოლია! - თქვა თუთაშხიამ. - ხოლუას, შენ რომ ჩაიდიწე, იმაზე უარესი არ უქნია, იცოდე! კი ხარ მოსაკლავი, მაგრამ ჩემი ხელით არ შეიძლება შენი სიკვდილი: იტყვიან, მას რომ ესროლა, მიტომ მოკლა თუთაშხიამო. მე რომ მესროლე, ამისთვის კი არ ხარ მოსაკლავი - ფულის გულისთვის კაცის მოკვლა რომ შეგიძლია, ამისთვის ხარ სიკვდილის ღირსი და დაიხსომე ჩემი სიტყვა, შენი სიხარბე და დაუნდობლობა მალე მოგიღებს ბოლოს!

თუთაშხია ცხენზე შეჯდა და აღმართში წავიდა.

რომანის ამ პატარა ეპიზოდში არაერთი ანდაზა (თუ ინვარიანტი) და ანდაზური გამონათქვამია გამოყენებული. დათა თუთაშხია დარწმუნებულია, რომ ჯონჯოლია ბოროტი კაცია. რომელსაც შეუძლია ფულის გულისთვის კაცის მოკვლა. ასეთი კაცის შვილები, თუ მათ ჯონჯოლია ან მისთანა მამა გაზრდის, „მამაზე უკეთესი რატომ გამოვა რომელიმე, ნეტავი?!“

დათა თუთაშხიას შეხედულება, რომ ბოროტი კაცი შვილებსაც ბოროტებად გაზრდის, შემთხვევითი არაა, მის რწმენას ამაგრებს ქართული ანდაზები: „ეკალზე ეკალი ამოვაო“; „ჯინჭრის ძირში ჯინჭარი ამოვაო“... ამდენად, დათა თუთაშხიას რწმენა საკმაოდ არგუმენტირებულია. ასევე თუთაშხიას ანდაზურ ნათქვამს - „შენი სიხარბე და დაუნდობლობა მალე მოგიღებს ბოლოს“ - მხარს უჭერს ქართული ანდაზები: „სიხარბემ რა ქნა და-ყველაფერი დაკარგაო“; „ავკაცობა არავის არ შერჩენიაო“; „არამად ნაშოვნი არავის შერგებიაო“; „ბევრის მსურველი კეთილს ვერ ნახავსო“; „მეტისმეტის მაძიებელი მოკვდა გაუხარებელი“...

დათა თუთაშხიას საწინააღმდეგოს ამტკიცებს და თანაც საფუძვლიანად დიმიტრი-მღვდელი, რომელიც ევედრება ღმერთს, რომ შთააგონოს აბრაგს,- „ბოროტების აღმოფხვრა და აღმოშანთვა ბოროტებითვე არ არის გონიერი და მართებული, რადგან ავსა საქმეს, თუნდაც სიკეთის სახელით ჩადენილს, სხვა უამრავი ჭირი მოაქვს. რომელნი უსასრულო და დამღუპველი არიან“... (აქ რამდენიმე ანდაზა თუ ანდაზური გამონათქვამია მოცემული: „ბოროტების აღმოფხვრა და აღმოშანთვა ბოროტებითვე არ არის გონიერი და მართებული“; „ავსა საქმეს, თუნდაც სიკეთის სახელით ჩადენილს, სხვა უამრავი ჭირი მოაქვს“; „ავსა საქმეს... სხვა უამრავი ჭირი მოაქვს, რომელნი უსასრულო და დამღუპველი არიან“...).

მღვდლის მტკიცებულებაც ქართულ ანდაზებს ემყარება, კერძოდ: „სისხლი სისხლით არ დაიბანება“; „სისხლი წყლით უნდა დაიბანოს“... ვარაუდობენ, რომ ასეთი ანდაზები ჯერ კიდევ გვაროვნულ-ტომობრივი ურთიერთობის დაცემის ეპოქაში შეიქმნა. შურისძიების სისხლით გადახდის ჩვეულებამ იმდენად მოქანცა ჩვენი წინაპრები,

რომ ამ დრომოჭმული ტრადიციის წინააღმდეგ თვითონვე აიმაღლა ხმა და მსგავსი ანდაზების სახით საუკეთესო კოდექსი შექმნა. (ზანდუკელი 1980:188).

სწორედ უძველეს ეპოქაში შექმნილი აღნიშნული ანდაზებით ხელმძღვანელობს დიმიტრი-მღვდელი, როცა შეახსენებს აბრაგს, რომ ბოროტებას ბოროტებით არ ებძვიან.

თუთაშხიას აზრით, ბოროტ ადამიანში არც სიკეთეა და არც სიმართლე. ბოროტი ჯონჯოლია სიკვდილის ღირსია. აბრაგის ანდაზური გამონათქვამები გრაისის (Граис 1975) პოსტულატების მიხედვით შემდეგ სურათს გვიჩვენებს:

პირველი პოსტულატი (რაოდენობის) დაცულია, - თუთაშხიას იმდენი საფუძვლიანი მტკიცებულება აქვს და ლაპარაკობს ამის შესახებ, რამდენიც საჭიროა ჯონჯოლიას გასამტყუნებლად.

მეორე პოსტულატი (ხარისხის) დაცულია. აბრაგი თვლის, რომ გააჩნია საფუძველი ჯონჯოლიას ბრალდებისთვის, რადგან ჯონჯოლიამ მართლაც მოკლა კაცი ფულისთვის. მთელი კონტექსტი ამტკიცებს, რომ ჯონჯოლია ბოროტია.

მესამე პოსტულატი (ხერხის) დარღვეული არ არის, რადგან თუთაშხია ამბობს გარკვევით და ნათლად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ჯონჯოლიასადმი.

მეოთხე პოსტულატიც (დამოკიდებულების) ასევე დაცულია, თუთაშხია თემას არ უხვევს, ის კოოპერაციულია, რადგან იწყებს და აგრძელებს აქტიურ საუბარს ჯონჯოლიას შესახებ.

აბრაგის მსჯელობის მიხედვით, ჯონჯოლია ბოროტია, ავია; თუთაშხიას შეხედულებას მხარს უჭერს კიდევ ერთი ქართული ანდაზა - „ავი ავის მეტს რას იქამსო“. ამ შემთხვევაში მოდელირდება შემდეგი სიტუაცია: აბრაგი დარწმუნებულია იმაში, რომ ჯონჯოლია ბოროტია და შეეძლო მოეკლა კაცი და მოკლა კიდევ. აბრაგის ბრალდება ჯონჯოლიას მიმართ სინამდვილეს შეესაბამება.

გრაისის პოსტულატები დაცულია, დიმიტრი-მღვდლის გამონათქვამებშიც. კერძოდ, პირველი პოსტულატის მიხედვით, მღვდელი ამბობს იმდენს, რამდენიც საჭიროა.

მეორე პოსტულატი დაცულია, რადგან მღვდელს გააჩნია საკმაო საფუძველი („ბოროტებას ბოროტებით არ ებძვიან“) ჯონჯოლიას დასაცავად.

ხერხის პოსტულატი დარღვეული არ არის, რადგან მღვდელი გარკვევით მსჯელობს და ნათლად გამოხატავს დამოკიდებულებას ჯონჯოლიასადმი (ზოგადად ბოროტებისადმი).

დამოკიდებულების პოსტულატიც დაცულია, სასულიერო პირი თემას არ უხვევს და კოოპერაციულია.

პარემიების დამხმარე ფუნქცია ამ შემთხვევაში ემოციურ-ექსპრესიულია, რადგან, როგორც აბრაგი, ისე მღვდელი ანდაზებისა თუ ანდაზური თქმების გამოყენებით ცდილობენ, თავიანთი გამონათქვამები გახადონ უფრო ღირებული და ემოციურ-შეფასებითი დამოკიდებულება წარმოაჩინონ ობიექტურ ჭეშმარიტებად.

თუთაშხიას მიხედვით, ბოროტი კაცი ბოროტებას ჩაიდენს („ავი ავის მეტს რას იქამსო“) მოდელირდება საგნებს შორის დამოკიდებულება: თუ არის ერთი, იქნება მეორეც. ხოლო მღვდლის გამონათქვამებშიც მოდელირდება დამოკიდებულება ბოროტებასა და სიკეთეს შორის. ე.ი. თუ არის ბოროტება, საპირისპიროდ უნდა იყოს სიკეთეც...

ერთ-ერთ ინგლისურ ტექსტში, რომელიც ონლაინ დღიურშია, არის ასეთი ფრაგმენტი:

Tuesday, March 22nd, 2005

Day 1 - A midnight Visitation... It is with great regret and a palpable loss of innocence that I take my leave of the warm and comfortable life I shared with the meatbags I called my parents, the Darklords. I had always felt out of sorts in this family being far less skinful then my brothers and sisters. The clown often tried to cheer me up but he was as big a freak as I having neither bone nor flesh but living in some transient interim state. Fool that I was I envied him even this rotting semblance of flesh - anything that would make me feel more at home with my more ensinewed family. Still Rotzo's balloon animals and the cries of the sodomized children served to lighten many a dark hour and for that my friend, I thank you. Know that my leaving was long delayed by your efforts, my delicate jester. No, there was a nagging suspicion which grew stronger in me each day that I was not of this clan. I often felt it to be a failing on my part

that I never grew muscle or skin. My "parents" and their associates were always kind enough to show me affection despite what I perceived to be my affliction; but I was certain that behind closed doors, I was a shame and a burden to be pitied. That is why I so readily accepted, nay Welcomed the words of the gnomes as they gathered around me one night to tell me the truth. I had always been mistrustful of them. Their surreptitious means of entering the household; the ease with which they were accepted by their new hosts and greeted with laughter; how readily the motley pair of meated fools who oft visited my folks would take the blame for the sudden appearance of these fiendish creatures - when both the Indian Boy and I knew full well that they had appeared of their own volition. Toward what end I do not know though Runs-With-Stereotype assumed (as usual) that they were here to take his land (Poor ignorant savage).

There was much to mistrust about these red-nosed and sinister creatures, **but even the devil sometimes speaks the truth.** When they whispered to me of my origins, it resounded deep within me. These so-called Darklords were not my real parents. I WAS ADOPTED! ([www.skelebaby-joe.livejournal.com](http://www.skelebaby-joe.livejournal.com)).

ანდაზაში- „ Even the devil sometimes speaks the truth”- იგულისხმება, რომ ხანდახან ბოროტმა ადამიანმაც, რომლისგანაც არ ელი არაფერ კარგს, შეიძლება თქვას სიმართლე.

ანალიზი ცხადყოფს, რომ მოცემულ სიტუაციაში გრასის ყველა პოსტულატი დაცულია.

ჯ. სერლის კლასიფიკაციის (Серп 1976) მიხედვით, ეს რეპრეზენტატივ- ექსპრესივია, რადგან, პირველ რიგში, ამ გამონათქვამის ილოკუციური მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ დააფიქსიროს მოცემული მსჯელობის ჭეშმარიტებისადმი მთქმელის პასუხისმგებლობა, მეორე, მთქმელი გამოხატავს გულწრფელობის პირობით გამოწვეულ თავის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას საგნების მდგომარეობასთან მიმართებით (სტრესს, მშობლებთან ცხოვრებით უკმაყოფილებას, რომელიც გამოწვეულია ურთიერთგაურკვევლობით)...

ანდაზა ამ შემთხვევაში ასრულებს მოდელირების ფუნქციას, რადგან იქმნება შემდეგი სიტუაცია: შვილი ცუდ დამოკიდებულებაშია მშობლებთან, რაც იმის მიზეზია, რომ

ადამიანებს, რომლებიც სტუმრობენ მის მშობლებთან და ამჟღავნებენ კეთილგანწყობას მათდამი, ბიჭი აღიქვამს „გნომებად“, რომლებიც ითვლებიან ბოროტებად და მატყუარებად, მაგრამ ხანდახან მათაც შეუძლიათ თქვან სიმართლე.

დამხმარე ფუნქციად გვევლინება ემოციურ-ექსპრესიული, რადგან შვილის გამონათქვამში გამოხატულია მისი დამოკიდებულება (უარყოფითი დამოკიდებულება თავისი მშობლებისადმი, უკმაყოფილება) აღნიშნული სიტუაციისადმი (გაუგებრობა შვილსა და მიმღებ მშობლებს შორის).

მოცემულ ანდაზაში მოდელირდება საგნებს შორის დამოკიდებულება მათი გარკვეული თვისებების არსებობის მიუხედავად: თუ ერთი საგანი P უმჯობესია მეორე საგანზე Q-ზე, თუ ერთ მათგანს გააჩნია, ხოლო მეორეს არ გააჩნია გარკვეული დადებითი თვისება, მაშინ ეს საგანი უარყოფითია, მაგრამ უარყოფით საგანსაც შეიძლება ხანდახან ჰქონდეს დადებითი თვისება.

ელექტრონულ ჟურნალში „ცხოვრება ქალაქგარეთ“ („Жизнь за городом“) გამოქვეყნებული იყო ო. სემიონოვის მოთხრობა „დანაკარგი“.N-ს დაეკარგა ძაღლი, რომელიც მნიშვნელოვანი იყო მთელი სოფლისთვის. ძაღლის დაკარგვაში ყველა ადანაშაულებს Y-ს (ადგილობრივ მონადირეს), რომელიც დიდი ხანია იმუქრებოდა, რომ მოკლავდა ძაღლს. მაგრამ Y უარყოფს თავის მონაწილეობას ძაღლის გაქრობაში.

-არ გრცხვენია, ვიტია! შეხედე რას დაემგვანა ნიკოლაევნა! ცოცხალი ლეშია! რატომ მოუკალი მეგობარი? გიშლიდა შენ რამეს?-საყვედურით შეხედა მოხუცმა.-შენ მაინც ქალაქში იზამთრებ, ჩვენ კი ეს ძაღლი... შინაური ადამიანივით გვყავდა.

-არ მომიკლავს თქვენი მეგობარი-მკერდზე დაიბრახუნა ტრიფონოვმა.

-ნუ ტყუიხარ! შენი გაკეთებულია! ვისაც სიკეთის უნარი არ შესწევს, იმაში სიმართლეს ცოტაა!-არ წყნარდებოდა მოხუცი.

-უსირცხვილო! გახსოვს, როგორ იპარავდი კოლმეურნეობის ბაღში ვაშლებს, მე და ნიკოლაევნამ კი გამოგიჭირეთ? სიტყვაც არ გვითვამს, თუმცა თავჯდომარე ცდილობდა წამოეცდინა! ვის დაემგვანე ასეთი, ვიტია? მამაშენს ცუდი არავისთვის გაუკეთებია, შენ კი... მგონი, მგელივით გვიყურებ.

უსმენდა რა მოხუცებს, ტრიფონოვი მიყუჩდა და ჭუჭყიანი ჩექმების ცხვირით რაღაცას ჩიჩქნიდა ([www.rus-plotnik.ru](http://www.rus-plotnik.ru)).

ანდაზაში „ვისაც სიკეთის უნარი არა აქვს, მასში სიმართლევ ნაკლებია” საუბარია იმაზე, რომ თუ ადამიანში სიკეთე არ არის, არც სიმართლეა მასში.

განვიხილოთ მოცემული მაგალითი გრაისის პოსტულატების დაცვის თვალთახედვით:

პირველი პოსტულატი (რაოდენობის პოსტულატი) დაცულია, როგორც X (პირველი მოხუცი) ამბობს, იმდენს, რამდენიც საჭიროა.

მეორე პოსტულატი, ხარისხის პოსტულატი, ირღვევა. X თვლის, რომ გააჩნია საკმაო საფუძველი Y-ს ბრალდებისთვის, სინამდვილეში ეს ასე არ არის. სიტუაციის მთლიანად გაანალიზებისას, შეიძლება დავასკვნათ, რომ მეორე პოსტულატი, რომელიც გვეუბნება „არ თქვა ის, რისიც საკმაო საფუძველიც არ გაქვს” არ არის დაცული. მომდევნო კონტექსტი ამტკიცებს, რომ ის მართალი არ იყო, როცა ბრალს დებდა Y-ს ძალის მოკვლაში, რაც მართლაც არ ჩაუდენია.

ხერხის პოსტულატი დარღვეული არ არის, რადგან X-ს ამბობს გარკვევით, ნათლად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას Y-სადმი.

დამოკიდებულების პოსტულატიც ასევე დაცულია, X თემას არ უხვევს. X კოოპერაციულია, რადგან ის იწყებს და აგრძელებს აქტიურ საუბარს Y-სთან.

ანდაზა „ვისაც სიკეთის უნარი არა აქვს, მასში სიმართლევ ნაკლებია” ასრულებს მოდელირების ფუნქციას, რადგან ხდება შემდეგი სიტუაციის მოდელირება: X დარწმუნებულია იმაში, რომ Y ბოროტია, ამიტომაც შეეძლო მოეკლა ძალღი და არ ეღიარებინა. X ბრალს დებს Y-ს დანაშაულში.

ანდაზის დამხმარე ფუნქცია ამ შემთხვევაში ემოციურ-ექსპრესიულია, რადგან X ანდაზის გამოყენებით ცდილობს თავისი გამონათქვამი გახადოს უფრო ღირებული. X თავის ემოციურ-შეფასებით დამოკიდებულებას წარმოაჩენს ობიექტურ ჭეშმარიტებად.

ანდაზაში - „ვისაც სიკეთის უნარი არა აქვს, მასში სიმართლევ ნაკლებია”- მოდელირდება საგნებს შორის დამოკიდებულება: თუ არ არის ერთი საგანი Q, მაშინ არ



არის სხვა საგანიც P, ან, უფრო ზუსტად, თუ ერთი საგანი დაკავშირებულია მეორესთან, თუ არ არის ერთი საგანი, არ არის მეორეც.

მოცემულ შემთხვევაში ანდაზები გაანალიზებულია კომუნიკაციური მიდგომით, კონკრეტულ სიტუაციასა და კონკრეტულ კომუნიკაციურ აქტში მიდგომით, კონკრეტულ სიტუაციასა და კონკრეტულ კომუნიკაციურ აქტში გამოყენებული ანდაზების მნიშვნელობის გაანალიზებით, კომუნიკაციურ აქტში ანდაზების ფუნქციის, ასევე მეტყველების აქტების ილოკუციური მიმართულების გამოყოფით. ასეთი მიდგომით, ანდაზის სრული მნიშვნელობა შეიძლება გაიხსნას და ზუსტად იქნას გაგებული მხოლოდ გარკვეულ რეალურ სიტუაციაში გამოყენებისას. მოცემული მასალა გ.ლ. პერმიაკოვის მიერ გამოყოფილი ( Пермяков 1988:89) ლოგიკო-სემიოტიკური ინვარიანტების სისტემაშიც თავსდება.

## ზოგადი დასკვნები

ანდაზა „ხალხის გენია“ კერძოდ და კაცობრიობისა საზოგადოდ. ეს ინტერპრეტაციაც საკმარისია იმისათვის, თუ რატომ იჩენდნენ და ახლაც იჩენენ ყურადღებას სხვადასხვა დარგის მკვლევრები ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ენობრივი ფენომენის მიმართ, რომელშიც კონცენტრირებული სახით არის მოცემული ინფორმაცია მისი შემოქმედი ხალხის კულტურის შესახებ, დახასიათებულია ისტორიისა და წეს-ჩვეულებების მნიშვნელოვანი მომენტები. ანდაზა ხალხის (ერის) კულტურის ერთ-ერთი ძირითადი „კოდი“, „ხალხის ავტობიოგრაფია“, „კულტურის სარკეა“.

პარემიოლოგიაში ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა ანდაზების შესწავლა სტრუქტურული და სემანტიკური თვალსაზრისით. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს განსხვავებული ეთნოკულტურის ანდაზების შეპირისპირებითი კვლევის საფუძველზე (მოცემულ შემთხვევაში, ინგლისური და ქართული) სტრუქტურული და სემანტიკური თავისებურებების გამოვლენა.

სათანადო მასალის შეპირისპირებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ინგლისური და ქართული ანდაზები სტრუქტურულ - სემანტიკური თვალსაზრისით ბევრ საერთოს ავლენენ ერთმანეთთან. ეს საერთოობა უფრო მეტად ჩანს ცხოვრებისეულ ზოგად პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც გარკვეულწილად ერთნაირია ორივე ეთნოსისათვის და შესაბამისად ასახულია პარემიებშიც. ანდაზა მხოლოდ მისი შემოქმედი ერის კუთვნილებაა, თუმცა მკვეთრ ეროვნულ სპეციფიკასთან ერთად, ბევრ ანდაზას მკვეთრი განზოგადებული მნიშვნელობაც გააჩნია. იგი უნივერსალურ გამონათქვამთა რიგს მიეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ ერთი ენის ანდაზებს არ მოეპოვება ზუსტი ანალოგი სხვა ენაში, მაგრამ მსგავსი ცხოვრებისეული სიტუაციები ერთნაირადაა (დაახლოებით მაინც) ინტერპრეტირებული. ბუნებრივია, სხვადასხვა ენის ანდაზები განსხვავებულია სტრუქტურული თვალსაზრისითაც. ვინაიდან ინგლისური და ქართული ენობრივი სტრუქტურები განსხვავებულია, შესაბამისად, განსხვავებული იქნება ანდაზების სტრუქტურაც. ასევე, სემანტიკაც ხასიათდება მსგავსებითა და განსხვავებული თავისებურებით,

ანდაზები განსხვავებულია ლექსიკითაც, რადგან ყოველი ერი ანდაზაში იყენებს თავისი ენისათვის ნაცნობ ცნებებს. მსგავსება ვლინდება ანდაზების ტიპების (მოდალობის, რაგვარობის) მიხედვითაც, რადგან ყველა ხალხის ანდაზურ ფონდში მოიპოვება ბრძანების, რჩევის, რეკომენდაციის... ტიპის ანდაზები, გვხვდება, აგრეთვე, სინონიმური და ანტონიმური პარემიები.

უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისური და ქართული ანდაზების მსგავსება უფრო სემანტიკაში შეინიშნება, რადგან ორივე ეთნოსისათვის გარკვეულწილად მსგავსია სოციალურ - ისტორიული პირობები, გარე სამყარო, ძირითად ცხოვრებისეულ პრობლემებზე შეხედულებათა სისტემა;მასთანავე, ადამიანის მიერ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის ძიება საერთოა ყველა ერისათვის. ამ და სხვა ანალოგიურ პრობლემებს მიჰყავს ადამიანები მსგავს ანდაზურ შეხედულებამდე, მაგრამ მსგავსება პრობლემათა თემატიკაშია, განსხვავება კი - ასახვის ფორმაში. ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა ეთნოსის ანდაზებში ნაირგვარად აისახება, რადგან განსხვავებულია ენობრივი სტრუქტურები და სხვადასხვა ხალხის აზროვნების ნორმები. მაგალითები: Good seed makes a good crop (ქართ. რაც ხეა, ნაყოფიც ისეთიაო). ინგლისური მაგალითის მიხედვით, კარგისგან კარგი მიიღება, აქედან გამომდინარე, კარგი მოდგმის ადამიანისაგან კარგ შთამომავლობას მივიღებთ. ქართულ მაგალითშიც იგივე აზრია ჩაქსოვილი: როგორიცაა ხე, ნაყოფიც ისეთივე იქნება (შდრ. რაც მამაა, ისიც შვილია, ხემ მოისხა ხილია). ინგლისურში ეს ვითარება უფრო მარტივადაა გადმოცემული, ვიდრე ქართულში. შედარება მიდის შემდეგნაირად: ინგლისურში-კარგი-კარგი, ქართულში-რაც//როგორიც- ისეთი.

Better the devil you know, than the devil you don't know (ქართ. შეუჩვეველ ჭირს შეჩვეული ჯობიაო).

როგორც ვხედავთ, ინგლისურ ვარიანტში აღებულია კონკრეტულად ნაცნობი და უცნობი ეშმაკი, ქართულში- ზოგადად შეჩვეული და შეუჩვეველი ჭირი. სხვაობა უფრო თვალსაჩინოა სტრუქტურაში. ინგლისურში არნიშნული სიტუაცია რთულად და მრავალსიტყვაობითაა გადმოცემული, ხოლო ქართულში-მარტივად და ლაკონიურად.

A barley corn is better than a diamond to a cock (ქართ. ნუ დაუყრი ღორს მარგალიტებსო).

ამ ანდაზების სემანტიკა ერთია: მარგალიტი ძვირფასია მისთვის, ვინც მისი ფასი იცის, მაგრამ სტრუქტურული სხვაობა თვალსაჩინოა. კერძოდ, ინგლისური ანდაზა თხრობითი კილოთია გადმოცემული, ქართული- ბრძანებით.

Everybody's business is nobody's business (ქართ. ზიარი ძროხა მგელმა სეჭამაო)...

მოცემული ანდაზების მიხედვით, საერთო საქმე ან საკუთრება უარყოფითი კონოტაციით ხასიათდება. ყველაფერს ერთი პატრონი ჰყავდეს და საქმეც კარგად გაკეთდება.

საერთოდ, სტრუქტურულად ინგლისური და ქართული ანდაზები ძირითადად წარმოდგენილია თხრობითი, შედარებით ნაკლები სიხშირით დასტურდება ბრძანებითი წინადადებებით. თხრობითი ანდაზა-წინადადებები გვხვდება, როგორც მარტივი, ისე რთული კონსტრუქციებით. უფრო მეტია მარტივი აგებულების მაგალითი.

რთული აგებულების ანდაზა-წინადადებების ჯგუფში შედარებით მეტია რთული ქვეწყობილი, ხოლო უფრო იშვიათია რთული თანწყობილი წინადადების სტრუქტურის მქონე ანდაზები.

ფრაზეოლოგიზმები (რა თქმა უნდა, ამ ფონდში შემავალი ანდაზებიც) ნათლად წარმოაჩენენ ენობრივი საზოგადოების უშუალო კავშირს მატერიალურ, სოციალურ და სულიერ გარემოსთან. ყველაზე მეტად აქ ვლინდება სწორედ ნაციონალური თვითმყოფადობა, ერის ნიჭი და შემოქმედებითი ტალანტი.

ინგლისური ანდაზების კავშირი ნაციონალურ კულტურასთან, მის თვითმყოფადობასთან ნათლად ჩანს თუ მივყვებით კვალდაკვალ გეოგრაფიულ დასახელებებს, ღირშესანიშნაობებს, ადათ-წესებს და ყოფით დეტალებს.

ინგლისურ ანდაზებში გვხვდება ისეთი მაგალითები, რომლებშიც ასახულია ინგლისის უპირატესობა სხვა ქვეყნებთან შედარებით (All countries stand in need of Britain and Britain of none). მოცემულია ქება-დიდება ლონდონის ღირშესანიშნაობებისა და კულტურული მემკვიდრეობისა (The streets of London are paved with gold; When a man is tired of London, he is tired of life), წარმოჩენილია, აგრეთვე, ინგლისელთა ხასიათის დადებითი და უარყოფითი თვისებები. დადებით თვისებებს შორის გამოყოფილია ინგლისელის

პრინციპულობა და პასუხისმგებლობა (An Englishman's word is his bond) ზოგ ანდაზაში ინგლისელი წარმოდგენილია ზედმიწევნით ამაყ (One Englishman can beat three Frenchmen), ზოგჯერ კი- როგორც ბუზღუნა და მოსაწყენ, აბეზარ ადამიანად (It's an Englishman's privilege to grumble). განსაკუთრებით ხაზგასმითაა გამოხატული ინგლისელების პატივისცემა საკუთარი სახლისადმი, ხელისუფლებისა და დიდგვაროვანი ინსტიტუტებისადმი (An Englishman's house is his castle; An English loves a Lord)...

ბუნებრივია, ქართულ ანდაზებშიც წარმოჩენილია ქართველი ხალხის მდიდარი და მრავალმხრივი ტრადიციები. ამ მცირე ფორმის ტექსტებში, რომლებიც დიდია თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით, ნათლადაა ასახული ჩვენი ერის ზნეობრივი ღირებულებები.

საერთოდ, არ არსებობს მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული პრობლემა, რომელიც არ იყოს ასახული ინგლისურ და ქართულ ანდაზებში. ორივე ხალხის ანდაზებში დადებითადაა შეფასებული შრომისმოყვარეობა, ოჯახური სიყვარული, შვილების მაღალზნეობრივი, კეთილშობილური თვისებებით აღზრდა, სიკეთე, მეგობრობა, სიყვარული, სიდინჯე, სიბრძნე, სწავლა-განათლება, გმირობა-ვაჟკაცობა..., დაგმობილია უქნარობა, ოჯახური უთანხმოება, უზნეობა, ბოროტება, ღალატი, აჩქარება, სიბრიყვე, უსწავლელობა//ცუდი განათლება, სიმდიდრე, სისხლის აღების ტრადიცია...

ინგლისური და ქართული პარემიები ორივე ერის ისტორიის, კულტურის, ადათ-წესების ნათელი სარკეა. ანდაზებში ასახულია ხალხის სულიერი კულტურა, რომელიც კაცობრიობას გაჩენის დღიდან ახასიათებს, მისი არსებობის თანამდევი მოვლენაა. ბევრი ანდაზა დაკავშირებულია ხალხის ისტორიულ წარსულთან, ასევე რიტუალებსა თუ ტრადიციებთან. სხვადასხვა ხალხის ანდაზები აღნიშნულ საკითხებს განსხვავებულად წარმოაჩენს, რასაც ნათლად გვიჩვენებს ინგლისური და ქართული ანდაზების შეპირისპირებითი ანალიზი.

ქართულენოვანი რეციპიენტისათვის არაა დამახასიათებელი ტერმინი „ჯენტლმენი“ და იგი, ბუნებრივია, ქართულ ანდაზებშიც არ დასტურდება, მის ნაცვლად გვხვდება „კაი ყმა“, „გმირი“, „სახელოვანი“...

ინგლისური სიტყვა „ჯენტლმენი“ ფეოდალურ - არისტოკრატიული წარმომავლობის პიროვნების მიმართ გამოიყენება, რომელსაც კარგი აღზრდა და განათლება აქვს მიღებული, გამოირჩევა სანიმუშო ყოფა-ქცევითა და მანერებით. ქართული ანდაზების მიხედვით კი ადამიანი ფასდება თავისი თვისებებით და არა პრივილეგიური თუ დიდგვაროვნული წარმომავლობით (თუ კაცი თვითონ არ ვარგა, რას არგებს გვარიშვილობა); შექებულია სამშობლოს ერთგული მებრძოლი, გმირი, რომელსაც სირცხვილის „ჭამას“ სიკვდილი ურჩევნია; ხშირად უარყოფითადაა შეფასებული გაბატონებული საზოგადოებრივი ფენა.

გმირობა - ვაჟკაცობას, სახელოვან სიკვდილს მაღალ შეფასებას აძლევს ინგლისური ანდაზებიც. ოღონდ ერთი და იმავე კონცეფტის გამოსახატავად ქართულში და ინგლისურში სხვადასხვა ცნებებია გამოყენებული. როგორც ინგლისურ, ისე ქართულ პარემიებში უარყოფითადაა შეფასებული „შინაბერობა“.

ზოგი პარემია დაკავშირებულია ტრადიციულ წეს-ჩვეულებებთან, მაგალითად, ინგლისური ჩვეულების მიხედვით, კეთილდღეობის ნიშნად მშობლები ახალშობილს ჩუქნიდნენ ვერცხლის კოვზს. ეს ჩვეულება სათანადოდ ასახულია ინგლისურ პარემიებში. იგივე კონცეფტი (იღბლიანობა, ბედნიერება და კეთილდღეობა) ქართულ პარემიებში სხვაგვარადაა გადმოცემული. თუმცა ორივე კულტურის წარმომადგენელი ამ კონცეპტში დებენ იდეას იმის შესახებ, რომ ადამიანის დაბადება თავად წინასწარმეტყველებს მის ბედს; მაგრამ ინგლისელებისათვის იღბლიანობის, ბედნიერებისა და კეთილდღეობის კონცეპტში დევს მხოლოდ მატერიალურ კეთილდღეობაზე წარმოდგენა. პროტოტიპულ სცენად ინგლისში მდიდარი ხალხის წეს- ჩვეულებების აღება იმაზე მეტყველებს, რომ ბედნიერი შეიძლება იყოს მხოლოდ მდიდარი ოჯახიდან გამოსული ადამიანი, დარიბებისათვის ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. ქართველისათვის კი იღბალი და კეთილდღეობა დამოკიდებულია ბედისწერით გაპირობებულ შემთხვევაზე. იღბალი, ბედნიერება და კეთილდღეობა ყველას წილხვედრი არაა, ის მხოლოდ რჩეულების ხვედრია, თანაც მატერიალური კეთილდღეობა ბედნიერების პირობა არ არის, არამედ მხოლოდ აქედან გამომდინარე შედეგია. ამიტომაც სიმდიდრე არ დევს ქართულენოვან

ლინგვოკულტურული საზოგადოების მიერ აღნიშნული კონცეპტის გააზრებაში. შემთხვევითი არ არის, რომ ქართულ ხატოვან გამონათქვამებს საფუძვლად უდევს ბავშვის თავისი გარსით დაბადების ფაქტი, რაც ძალიან იშვიათად ხდება, როგორც მდიდრებში, ასევე ღარიბებში. რაც იმას ამტკიცებს, რომ ქართული ანდაზური გამონათქვამის საფუძველი გამორჩეულობისა შემთხვევითობაა.

რეალიების შემცვლელი ანდაზური ტექსტები რთული გასაგებია უცხოკულტურული რეციპიენტისათვის, რადგან პარემიებში, რომლებშიც მსგავსი კონცეფტებია, აბსოლუტურად მსგავსი რეალიები არ არის. ეს დაკვირვება ადასტურებს ფაქტს, რომ ორი კულტურის ეკვივალენტური ტექსტები, რომლებიც შეიცავს მინიშნებას საგნებზე ან სულიერი კულტურის მოვლენებზე, ლექსიკურად სხვადასხვა ტექსტებს წარმოადენენ, რომლებიც ზოგჯერ განსხვავდებიან თავიანთი კონცეპტუალური სისავსითაც.

ინგლისურ ანდაზებში ყოფა-ცხოვრებითი რეალიები წარმოდგენილია კერძების, სასმელების, ფულისა და საზომი ერთეულების... სახელწოდებებით, რომლებიც უფრო კონკრეტულობით ხასიათდება. ქართულში კი - მეტწილად ზოგად სპექტრშია მოცემული.

აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებული ანდაზები სხვადასხვა ეთნოკულტურაში განსხვავებულია, როგორც ლექსიკურად, ისე აზრობრივ - სემანტიკურადაც, რადგან ერთი და იმავე კონცეპტის გამოსახატავად თითოეული ხალხი იღებს ნაცნობ სახეებს და იმ ნიშან - თვისებებს, რომლებიც მისი თვალთახედვით ყველაზე მეტად ასახავს გარკვეულ კონცეპტს. მაგალითად, ინგლისურ და ქართულ ანდაზებში დადასტურებული საზომ-საწყაო, კერძების, სასმელების, ფულის... აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები, ბუნებრივია, განსხვავდება ერთმანეთისაგან. ისინი, პირველ რიგში, ამ ანდაზების ნაციონალურ კუთვნილებაზე მიგვანიშნებენ.

პარემიები, რომელთა შემადგენლობაში შედის ანთროპონიმი, უცხოკულტურული რეციპიენტისათვის ხასიათდება მკვეთრი ეროვნული მარკირებით. ასეთ ტექსტებში ანთროპონიმები გხვდება სხვადასხვა ასოციაციური კავშირებითა და კონოტაციით

მდიდარი არსებითი სახელი, რომელსაც გააჩნია გადატანითი მნიშვნელობა და გამოიყენება სხვადასხვა სიტუაციასთან დაკავშირებით.

როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ანდაზებში უხვად გვხვდება ანთროპონიმები, რომლებიც ამ ენობრივ ერთეულებში შესულია გარკვეული მიზეზების საფუძველზე. ბუნებრივია, ინგლისურ ანდაზებში ინგლისური ანთროპონიმები გვხვდება (Betty, Tom, Jack, John, Mary, Brown, smith...) რომლებიც ქართველი რეციპიენტისათვის ანდაზების ნაციონალური მარკერების ინდიკატორია. ამ რიგის ინგლისური და ქართული ანდაზები ერთმანეთის ეკვივალენტები ვერ იქნება თუნდაც იმიტომ, რომ მათში განსხვავებული ეთნოანთროპონიმებია მოცემული, ასევე განსხვავებულ სიტუაციებს ასახავენ, განსხვავებულია შინაარსობრივადაც.

როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ანდაზებში საკმაოდ ხშირად დასტურდება ტოპონიმები, ცხადია, პარემიებში მოცემულია იმ ქვეყნის გეოგრაფიული სახელები, რომელ ქვეყანაშიც ეს ანდაზაა შექმნილი, მაგრამ თემატურად შეიძლება მათი დაკავშირება. მაგ., To carry coals to Newcastle. ქართ. ანაკლიაში ერთ კაცს შემწვარი თევზი მიჰქონდაო. ინგლისურ და ქართულ კულტურაში ტოპონიმების შემცველი მოცემული ეკვივალენტების არსებობა აიხსნება, პირველ რიგში, დიდ ბრიტანეთსა და საქართველოში ასეთი სახელწოდების ადგილების არსებობით, მაგრამ ინგლისურ ვარიანტში დასახელებულია ქვანახშირის წარმოებით ცნობილი ადგილი, ქართულში-ადგილი, სადაც თევზი ისედაც ბლომდაა და იქ თევზის წაღებას აზრი არა აქვს. ტოპონიმები-„ნიუკასლი“ და „ანაკლია“ სრულიად სეუცდომლად განსაზღვრავენ დასახელებული პარემიების კონკრეტული კულტურისადმი კუთვნილებას.

საზოგადოდ, ტოპონიმების შემცველი პარემიები განსხვავებული კულტურის რეციპიენტს აცნობენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანების ცხოვრების თავისებურებებსა და თავისი ქვეყნის გეოგრაფიას. ანდაზები წარმოადგენენ ეროვნული თავისებურებების ინდიკატორებს გარემომცველი სამყაროს სურათთან მიმართებით, რომელ ენაზეც არიან შექმნილი, მათი შეპირისპირებით (კონკრეტულად, ინგლისური და ქართული ანდაზების) ჭრილში შესწავლა გვიდასტურებს იმ ფაქტს, რომ ერთი და იგივე კონცეპტი ხალხების მიერ



სხვადასხვანაირად გადმოიცემა, ასევე ზოგჯერ არ ემთხვევა ერთმანეთს ასოციაციური კავშირები, რომლებიც წარმოიქმნება კონცეპტის აღქმისას.

ინგლისურ და ქართულ ანდაზებში საუკეთესოააა წარმოჩენილი ინგლისელებისა და ქართველების მენტალიტეტი, მათი შეხედულებები ცხოვრებისეულ მოვლენებზე, რომლებიც ხშირად თანხვედრაშია, ზოგჯერ კი განსხვავებულია, რადგან მატერიალური სამყარო ორივე ეთნოსისათვის ერთია, მაგრამ სხვადასხვა ენა განსხვავებულად ასახავს ერთსა და იმავეს.

პარემიების სპეციფიკა, რომლებიც შეიცავენ რეალიების კატეგორიებს, იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლმხედველობის ნაციონალური თავისებურებები ასახულია ძირითადად რეალიების მნიშვნელობებში, რომლებიც გავლენას ახდენენ მთლიანი ანდაზური ტექსტების მნიშვნელობაზე. ნაციონალურ-კულტურული თვითმყოფადობა მოიცავს სიტყვა-რეალიის მთლიან მნიშვნელობას და ნათლად წარმოაჩენს მატერიალური და სულიერი კულტურის უნიკალურ ფაქტებს. ინგლისური და ქართული ანდაზები საკმაოდ ინფორმაციული ხასიათისაა, რადგან თავისი განუზომელი ლინგვისტურ - მხარეთმცოდნეობითი პოტენციალით აღრმავებს უცხო კულტურული რეციპიენტის ცოდნას მისი შემოქმედი ხალხის ისტორიის, ტრადიციებისა და გეოგრაფიის შესახებ. ისინი წარმოაჩენენ ხალხის განსხვავებულ და განუმეორებელ შეხედულებებს ირგვლივ არსებული სინამდვილის შესახებ. ერთ ენაში არსებული რეალიების შემცველი პარემიებს არ გააჩნიათ ლექსიკურად ეკვივალენტური ერთეულები სხვა ენაში. ისინი შეიძლება ერთმანეთს შეესატყვისებოდეს მხოლოდ კონცეპტუალურად. მიუხედავად იმისა, რომ ერთი ნაწილი ანდაზებისა გადმოსცემენ ერთსა და იმავე აზრს, გამომსახველობითი და ტონალობითი კოლორიტი არ იძლევა საშუალებას, ვისაუბროთ მათ სრულ სემანტიკურ ეკვივალენტობაზე. ინგლისური და ქართული ლინგვოკულტურული საზოგადოების სამყაროს სურათები, მიუხედავად იმისა, რომ გააჩნიათ თანხვედრა, არ არის ერთმანეთის განსახიერება, ხოლო პარემიები არის ხელმეორედ წარმოჩენილი სურათები, რომლებიც საინტერესოა მათი მნიშვნელობის გამოვლენის თვალსაზრისით,

ასევე მათი გენეტიკური პროტოტიპის დეკოდირების ჭრილში, მათი წარმოქმნისა და მნიშვნელობის, ხალხის კულტურის შესახებ ცოდნის მიღების ხერხის თვალსაზრისით.

ენა, როგორც ფუნქციონალური სისტემა, განუწყვეტლივ ვითარდება და იცვლება. მასთან ერთად იცვლება, აგრეთვე, ანდაზებიც. ეს ცვლილებები კულტურასთან შესაბამისობაში მიმდინარეობს. ახალი ანდაზები ხშირად ეფუძნება უკვე არსებულს, რის შედეგადაც ანდაზა ლებულობს ახალ ჟღერადობას, რომელიც ასახავს დღევანდელი ღირებულებებს. სახეცვლილი ანდაზები თანამედროვე ინგლისურ ენაში საკმაოდ გვხვდება. ინგლისურში მათ „გრეხილ სიბრძნეს“, „ანტი - ანდაზებს“, „ველერიზმებს“ უწოდებენ, რომლებიც რამდენიმე ხერხით მიიღება.

სამეცნიერო მიღწევები, ეკოლოგიური პრობლემები, თანამედროვე ინგლისურ ანდაზებში ირონიულადაა ასახული. ყურადღება გამახვილებულია დღევანდელი ცხოვრების უფრო სერიოზულ პრობლემებზე.

როგორც ტრანსფორმირებული, ისე ახალი ანდაზები უფრო მეტად ეძვნება ყველაზე პოპულარული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს - ინტერნეტს და კომპიუტერულ ტექნოლოგიებს.

ტრანსფორმირებული ანდაზები ქართულშიც გვხვდება, რადგან ძველ პერიოდში გამოყენებადი ანდაზები ძველი ქართული ენის ნორმებით იყო გაფორმებული, ახალში კი - ახალი ენობრივი ნორმებით შეიცვალა. გვაქვს, აგრეთვე, თანამედროვე პერიოდში შექმნილი ანდაზებიც.

საერთოდ, ახალი ანდაზები ყველა ლინგვოკულტურაში იქმნება. მისი წარმოშობის საფუძველი ყოველთვის არის. ანდაზა ცხოვრების განვითარებას და ცვლილებებს ფეხდაფეხ მიჰყვება და ასახავს მის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს; აყალიბებს ცხოვრების ერთგვარ კოდექსს მომავალი თაობებისათვის სახელმძღვანელოდ.

თანამედროვე ანდაზებში შეიძლება თვალი გავადევნოთ დღევანდელი სამყაროს რეალობას, დავინახოთ, რა არის ღირებული მოცემულ ეტაპზე არა მარტო ინგლისურენოვანი, არამედ ნებისმიერი კულტურის წარმომადგენელთათვის. განსაკუთრებით მძაფრად აღიქმება ანდაზებში ეკონომიკური კრიზისი.

ღირებულებათა ორიენტაციის სისტემები, რომლებიც საფუძვლად უდევს სხვადასხვა კულტურას, ეს უკანასკნელი კი დღენიადაგ იცვლება და ვითარდება, სათანადოდ აისახება ანდაზებშიც (კონკრეტულ შემთხვევაში, ინგლისურსა და ქართულში), რომელთა ანალიზი იძლევა საშუალებას, დადგინდეს თანამედროვე ზნეობრივი პრიორიტეტის ცვლილებები კულტურის სფეროში.

ანდაზებს უხვად იყენებენ მწერლები თავიანთ შემოქმედებაში. პარემიების გამოყენებით მხატვრული ნაწარმოების მოქმედი პირები ცდილობენ, თავიანთი გამონათქვამები გახადონ უფრო ღირებული და ემოციურ - შეფასებითი დამოკიდებულება წარმოაჩინონ ობიექტურ ჭეშმარიტებად. ამის საილუსტრაციოდ ნაშრომში განხილულია ქართული, ინგლისური და რუსული ტექსტების ფრაგმენტები.

ინგლისური და ქართული ანდაზების თემატიკა ფართო და მრავალფეროვანია. ორივე ეთნოკულტურის ანდაზები უპირატესად მსგავსია შინაარსობრივ-სემანტიკურად, მაგრამ განსხვავებულია ცხოვრებისეული მოვლენის ასახვის თვალსაზრისით. მსგავსება შეიძლება დაიძებნოს სტრუქტურულ ჭრილშიც, მაგრამ ინგლისური და ქართული სხვადასხვა სტრუქტურის ენებია და ამიტომაც მეტი განსხვავება უფრო ანდაზების სტრუქტურაშია მოცემული.

ზოგადად, ინგლისური და ქართული ანდაზების თავისებურებები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: მოკლე ფრაზები, რიტმული ორგანიზებულობა, ფართო თემატიკა, უნარი, - მოგვცეს, როგორც ცხოვრების სხვადასხვა მხარის და ადამიანის მოღვაწეობის, მისი კულტურის შესაბამისად, დასაბუთებული სიღრმისეული დახასიათება; ასევე ასახოს ადამიანის გარემომცველი სამყაროს მოვლენები. ორივე ეთნოსის ანდაზებში თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ცხოვრებისეული სიბრძნე და ადამიანების მორალური სახე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ამირეჯიბი 1975: ამირეჯიბი ჭაბუა, „დათა თუთაშხია“, თბ.,
2. ბარდაველიძე 1979: ბარდაველიძე ჯონდო „ანდაზების რიტმული წყობა“, ფოლკლორის თეორია და ისტორია, ტ.8, თბ., გვ. 1-286
3. ბუსლაევი 1861: ბუსლაევი თევდორე ივანესძე. რუსული ხალხური სიტყვიერებისა და ხელოვნების ისტორიის ნარკვევები. მოსკოვი, 1861.
4. გამსახურდია 1984: გამსახურდია კ., „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“, თბ., გვ. 129.
5. გამყრელიძე... 2003: გამყრელიძე თამაზ, კიკნაძე ზაზა, შადურიინგა, შენგელია ნანა, „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“, თბ., გვ. 1-795.
6. გომხეთელიანი 2013: გომხეთელიანი ი. „გენდერული სტერეოტიპები ინგლისურ და ქართულ ანდაზებში“, საერთაშორისო კონფერენციის მასალები მიძღვნილი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის იუბილესადმი. ქუთაისი.
7. გომხეთელიანი 2011: გომხეთელიანი ი. „Influence of Culture and Mentality in the Process of Borrowing Proverbs in the Georgian Language“, პარემიოლოგიის საერთაშორისო კოლოკვიუმი: „ყველა გზა პარიზის დიდროს უნივერსიტეტში მიდის“. საფრანგეთი. პარიზის დიდროს უნივერსიტეტი.
8. გომხეთელიანი 2011: გომხეთელიანი ი., „Cultural Implications in English and Georgian Proverbs“, საერთაშორისო კონფერენციის EUROPHRAS 2010 მასალები. ISBN 978-3-8340-0946-3 გრანადა, ესპანეთი.
9. დვალაძე 2009: დვალაძე ნინო, ტექსტისა და დისკურსის ურთიერთ - განმსაზღვრელი მიმართებები და განსხვავებანი ლინგვისტიკაში. – საერთაშორისო კონფერენციის მასალები-ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში. რსუ. 2009

10. დვალიძე 2013: დვალიძე ნინო, „ალიტერაციული და ტავტოლოგიური იდიომების ეტიმოლოგია და ლექსიკონებში მათი თარგმანის ადექვატურობა“, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“-XXII. თბ.,10. ერთელიშვილი 1957: ერთელიშვილი ფ., „ანდაზის ცნების საკითხისათვის“, „მნათობი“, № 3, თბ.,
11. ზანდუკელი 1980: ზანდუკელი ფიქრია, „წერილები საბავშვო ფოლკლორზე“ თბ.,
12. ზანდუკელი 1964: ზანდუკელი ფიქრია, „ანდაზისა და სიტყვის მასალის ურთიერთობისათვის“.: ქართული ფოლკლორი, I-II, N1-2. თბ., გვ.145-156
13. ზანდუკელი 1980: ზანდუკელი ფიქრია, „ანდაზისა და სიტყვის მასალის ურთიერთობისათვის (ფიქრია ზანდუკელის წერილები საბავშვო ფოლკლორზე), თბ.,
14. ზანდუკელი 1985: ზანდუკელი ფიქრია, „მახატვრული ოსტატობის საკითხები ქართულ ფოლკლორში, თბ.,
15. თევდორაძე 2011: თევდორაძე ნინო, „ტექსტის ლინგვისტიკა“ თბ., 250 გვ.
16. კარტოზია 1995: კარტოზია ალექსანდრე,, ენა, ტექსტი, თარგმანი“ (ავტორეფერატი, ფილოლ. მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.), თბ.,
17. ლებანიძე 1998: ლებანიძე გურამ, „კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ენათმეცნიერება“, თბ.
18. ლეჟავა 1959: ლეჟავა ლია, „ქართულ ანდაზათა ენა“ \_ ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. ტ. I, გვ.139-267
19. მერჩულე 1987: მერჩულე გ., „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ქართული მწერლობა, ტ. I. თბ., გვ. 621.
20. უმიკაშვილი 1876: უმიკაშვილი პ., „ქართული ანდაზები, თბ.,
21. რუსიეშვილი 2005: რუსიეშვილი მანანა, ანდაზა, თბ.,
22. სერგია 1989: სერგია ვლადიმერ, „ტექსტის ლინგვისტიკა“, თბ., გვ. 1-286.
23. სიხარულიძე 1951: სიხარულიძე ქსენია, „ქართული ხალხური სიტყვიერება“,

ქრესტომათია, I, თბ.,

24. სიხარულიძე 1938: სიხარულიძე ქსენია, „ქართული საბავშვო ფოლკლორი“, თბ., გვ.181.
25. სიხარულიძე 1961: სიხარულიძე ქსენია, „ანდაზა“ – ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება. ტ.I. თბ., გვ.313
26. ქურდოვანიძე 2001: ქურდოვანიძე თეიმურაზ, „ქართული ფოლკლორი“, მერანი, თბ., გვ.1-320
27. ფარტენაძე 2013: ფარტენაძე ლია, „ნაციონალური მენტალიტეტისა და ენობრივ მოვლენათა კოლერაცია სამყაროს ენობრივ სურათში“, სადოქტორო დისერტაცია, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი
28. შავლაძე 2015: შავლაძე თეა, „ქართული და ანგლო-ამერიკული ანტი ანდაზების იუმორი“, ჟურნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, №23 , თბ., გვ.52 – 55.
29. შიოშვილი 1998: შიოშვილი თინა „ზნეობრივი აღზრდის ტრადიციები მცირე ჟანრის ქართულ პოეტურ ფოლკლორში“ (ანდაზა,გამოცანა), სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, IX. თბ.,
30. შიოშვილი 2002: შიოშვილი თინა, „ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო“, წიგნი პირველი. ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი.
31. შიოშვილი 2004: შიოშვილი თინა, „ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო“, წიგნი მეორე. ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი.
32. ჩიქოვანი 1956: ჩიქოვანი მიხეილ, „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია“, თბ.,
33. ჭავჭავაძე 1989: ჭავჭავაძე ილია, „ქვათაღაღადი“, ტ.V. თბ.,
34. ჭავჭავაძე 1988: ჭავჭავაძე ილია, თხზ. ტ. II, თბ.,
35. ჭავჭავაძე 1987: ჭავჭავაძე ილია, „აი ისტორია“ ტ. IV. თბ.,
36. ჯაში 1984: ჯაში ქეთევან, „ანდაზა ფრაზეოლოგიური ერთეული“, უცხო ენები სკოლაში, № 3, გვ.63-68.

37. **ჯაში 1988:** ჯაში ქეთევან, „ლინგვისტური პარემიოლოგია: საგნისა და მეთოდის პრობლემა“, ახალგაზრდა მეცნიერთა შრომათა კრებული.თბ., გვ.10-14
38. **ჯორბენაძე 1989:** ჯორბენაძე ბესარიონ, „ქართული დიალექტოლოგია“, I, თბ., გვ.1- 636.
39. **ჯორბენაძე 1997:** ჯორბენაძე ბესარიონ, „ენა და კულტურა“, თბ., გვ. 1-202
40. **ღლონტი 1955:** ღლონტი ალექსანდრე, „ხალხური ზეპირსიტყვიერების, ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ზოგიერთი საკითხი“, სტალინირი, 1955. - გვ. 64-236
41. **Albig 1931:** Albig William, „Proverbs and social control”, Sociology and social research, Vol 15. P.527-535
42. **Baian 1939:** Bain R., „Verbal stereotypes and social control”, Sociology and social research. Vol. 23. P. 431-446.
43. **Black 1995:** Chateris-Black J., „ The survival of English proverbs: a corpus based account”, An electronic journal of international proverb studies. <http://Deproverbio.com/>.
44. **Boeder 1985:** Boeder Winfried, “La structure du proverbe georgien”, Revue des Etudes Georgiennes et Caucasiennes, p. 97-115.
45. **Carnap 1955:** Carnap R.,“On some concepts of Pragmatics”, Philosophical Studies, N6, p 89-91.
46. **Carnes, 1994:** Carnes Pack, "The Fable and the Proverb: Intertexts and Reception," Wise Words: Essays on the Proverb, ed. Wolfgang Mieder (New York: Garland). P.305
47. **Clarke.... 1986:** Clarke Herbert, Deanne Wilkes-Gibbes, “Referring as a collaborative process”, Cognition N22.
48. **Cohen 1996:** Cohen A. “Speech acts”, CUP, p. 383-421.
49. **Dundes 1962:** Dundes Alan, „Trends in Content Analysis//Midwest Folklore, P. 31-38.
50. **Dundes 1975:** Dundes Alan, „On the structure of the Proverb”, Proverbium №5, p. 961-973
51. **Dundes1988:** Dundes Alan, „Interpreting folklore“, Bloomington.
52. **Dundes 1980:** Dundes Alan. „Interpreting folklore”, Bloomington: Indiana University Press.
53. **Delabastita 1996:** Delabastita Dirk, „Wordplay and Translation”, Manchester. St. JEROME

publishing. P. 127-139

54. **Davis 1991:** Davis S; Pragmatics./ A reader CUP.
55. **Haskell 1987:** Haskell R. E. "Structural Metaphor and Cognition", Ibid. P 241-255.
56. **Hockett 1975:** Hockett Charles, "Language in Culture", N9.
57. **Jacobson 1981:** Jacobson Roman, „Poetry of Grammar and Grammar of poetry” ,  
“Mouton publishers”, III, The Hague-Paris-New york.
58. **Jacobson 1970:** Jacobson Roman, Language in Relation to other communication systems. in:  
Linguaggi nella soceta e nella technica Milano, pp 3-16.
59. **Jackendoff 1994:** Jackendoff Ray, „ Patterns in the Mind: Language and Human Nature”,  
New York.
60. **Kahleen 1997:** Kahleen Davis, „Signature in translation”, in Delabastita (ed). 1997:23-44.
61. **Lado 1993:** Lado, Robert, “The necessity for a Systematic Comparison of language and  
Cultures”, Landmarks of American Language and Linguistics, V. I, USIA, pp. 79-84.
62. **Lawley.... 2005:** Lawley J., Topkins P., „Metaphors in mind :Transformation Through  
Symbolic Modelling”, . L.,
63. **Leech 1983:** Leech Geoffrey, „ Principles of pragmatics”, London.
64. **Levinson 1994:** Levinson Stephen, „Pragmatics”, Cup.
65. **Mieder 1985:** Mieder Wolfgang, "A Proverb a Day Keeps no Chauvinism Away,"  
Proverbium, 2 , p. 273-277
66. **Mieder 1995:** Mieder Wolfgang, The Apple doesn't fall far from the Tree, A Historical and  
Contextual Proverb Study based on books, Archives and data-bases, De  
Proverbso: An Electronic Journal of International Proverb Studies, Vol. #1, #1.
67. **Morris 1955:** Morris Ch., „Signs, Language and Behaviour”, New York.
68. **Morris 1971:** Morris Charles William, „pragmatics of natural languages”, N. Y.
69. **Norrick 1985:** Norrick, Neal, P.,How Proverbs Mean: Semantic Studies in English Proverbs,  
N. Y.
70. **Norrick 1994:** Norrick Neal, P., Proverbial locutions/ How to do things with proverbs //  
Wise words/ Essays on the proverb/ Ed/ by W/Mieder, N.Y., p.143-157
71. **Obelkevich 1994:** Obelkevich J., “Proverbs and Social history”-Wise words: Essays on the  
proverbs, ed. Wolfgang Mieder, New York: Garland.



72. **Permiakov 1979:** Permiakov G. E., „From Proverb to Folk-tale. Moscow.
73. **Qin 1996:** Wang Qin, „Racial characteristics of proverbs // Teaching and Learning” –Los Angeles: University of California. P. 18-201
74. **Taylor 1962:** Taylor A., The Proverb, Hatboro, Pensylvania.
75. **Taylor 1975:** Taylor A., “Selected writings on Proverbs”, Helsinki.
76. **Wales 1986:** Wales Roger, Language Acquisition “, 2<sup>nd</sup> ed., CUP.
77. **Weisgerber 1934:** Weisgerber L., Die Stellung der Sprache im Aufbau der Gesamtkultur, Bd. 1 und 2, Heidelberg 1933/1934 (<<Wörter und Sachen>>, Bd. 16, 1934).
78. **Wilson... 1979:** Wilson D., Smith P., “Modern Linguistics”, Penguin.
79. **Wierzbicka 1980:** Wierzbicka Anna, “Speech Acts”, N.Y.
80. **Wittgenstein 1953:** Ludwig Wittgenstein, „Philosophical investigations by Ludwig Wittgenstein”- Translated by G. E. M. Anscombe. UK. p.324
81. **Whorf 1956:** Whorf B. L. Language, Thought and reality, Cambridge 1956: “Cambridge niversity press”.
82. **Yankah 1994:** Yankah K., “Rhetoric: Anthropological Perspectives”, In R. Asher and J.M.Y. Simpson, Encyclopedia of Language and Linguistics, Oxford: Pergamon: Press Limited.
83. **Антонова 1997:** Антонова М. К. „Пословица как фрагмент поля побудительности в английском языке”. Челябинск, . 158 С.
84. **Аникин 1997:** Аникин В., Русские Народные пословицы, поговорки, загадки и детский фольклор, М.
85. **Арутюнова 1998:** Арутюнова Н.Д., „Язык и мир человека. Язык”, семиотика, культура, "Языки русской культуры", М.
86. **Арутюнова 1999:** Арутюнова Н.Д., „Язык и мир человека”, Языки русской культуры, М. 896 С.
87. **Архангельский 1964:** Архангельский В.Л., „Нстойчыве фразы в современном русском языке”, Ростов-На-Фонд: Изд-во ростовского ун-та. 314 С.

88. **Ахманова 1957:** Ахманова О. С., „О психолингвистике”(под ред. Звегинцева В.А.)  
М.64 с.
89. **Буковская... 1988:** Буковская Н. В., Биренбаум Я. Г., „Имплицитная прагматическая  
отмеченность пословиц В художественном тексте“, Челябинск. 110 С.
90. **Верещагин... 1990:** Верещагин Е. М., Костомаров В. Г., „Лингвострановедение в  
преподавании“, Язык и культура, Москва. 246 С.
91. **Веселовский 1908:** Веселовский А. Н. Собр. Соч. Т. 1-6, 8, 16. СПб.-М.-Л., 1908-38.
92. **Вежбицкая 1997:** Вежбицкая А., „Русские словари“, Язык.Культура, Познание, М.
93. **Ветрюк 2010:** Ветрюк К.А. „Паремии в коммуникативном и функциональном  
аспектах“, Слово, фразеологизм, текст в литературном языке и говорах –  
г.Орел, №3 (37) часть 2
94. **Володина 2004:** Володина М.Н., „Язык СМИ — основное средство воздействия на  
массовое сознание”, М., 11-39 С.
95. **Гак 1992:** Гак В. Г., „Сопоставительная прагматика”, Филологические науки. №3. 78 с.
96. **Гак 1985:** Гак В. Г., „Прагматика, узус и грамматика речи”, @Иностранные языки  
В школе@, #5, М.
97. **Грайс 1975:** Грайс Г. П. „Логика и речевое общение “, Новое в зарубежной  
лингвистике, #16, 500 С.
98. **Гумбольдт 1977:** Вильгельм фон Гумбольдт, „О различии строения человеческих  
языков и его влиянии на духовное развитие человечества”,  
Избранные труды по языкознанию. М., 231 С.
99. **Даль 1957:** Даль В., „Пословицы русского народа”- Сборник, М.,
100. **Даль 1984:** Даль В. , „Пословицы русского народа”, М.
101. **Добровольский...1992:** Добровольский Д. О., Караулов Ю. Н., „Фразеология  
в ассоциативном” 1992. 120 С.
102. **Добросклонская 1998:** Добросклонская Т.Г. „К вопросу об изучении текстов массовой  
информации”, Вестник МГУ; Серия "Лингвистика и межкультурная

коммуникация". М., 32-39 С.

- 103. Дубов 1993:** Дубов, И.Г., „Феномен менталитета: психологический анализ”, Вопросы психологии. № 5. Москва. 20-29 С.
- 104. Емирова...1967:** Емирова А.М., Авалиани Ю. Ю., „некоторые вопросы современной фразеологии”, Проблемы фразеологии и задачи её изучения в высшей и средней школе. М.
- 105. Жигарина 2002:** Жигарина Е.Е. Функциональный характер и вариативность пословиц в современном бытовании // <http://vwww.nithenia.ru/iolklore/z.iigarinal.htm>2002
- 106. Жуков 1966 :** Жуков В. П., „Словар русских пословиц и поговорок”, М., С. 535
- 107. Жуков 1978:** Жуков В. П., „Семантика фразеологических оборотов”, М.: Просвещение, 160 с
- 108. Жуков 1990:** Жуков В. П., „ О семантических параметрах фразеологизмов”, Фразеологическая параметризация в машинном фонде русского языка, М., С. 41–46.
- 109. Иванов 2002:** Иванов Н.В., „Проблемные аспекты языкового символизма”, опыт теоретического рассмотрения, Минск .
- 110. Иванова 2006:** Иванова Е.В., „Мир в английских и русских пословицах”, учебное пособие, Изд-во СПбГУ.
- 111. Клаус 1967:** Клаус Ф., „Сила слова: гносеологический и прагматический анализ языка”, М. 64 С.
- 112. Константинова 2009:** Константинова А.А., „Особенности узуального и окказионального использования паремий в предвыборной риторике Барака Обамы”, Материалы международной конференции, М.-Ярославль: Ремдер, С. 177 – 181. – 0,3 п.л.
- 113. Коул 1977:** Коул М., Скрибнер С., Культура и мышление. М., 1977.
- 114. Крикманн 1975:** Крикманн А.А., К пролематике исследования содержания и мирозрения пословиц ( на материале Эстонских пословиц) АКД, Таллин.
- 115. Крикманн 1978:** Крикманн А.А., „Некоторые аспекты семантической неопределенности пословицы”, М.,

- 116. Крылова 2013:** Крылова М.Н., „Функционально-семантический анализ как основа системного исследования языковых единиц”. Функционально-семантическая категория сравнения, Гуманитарные научные исследования, № 9.
- 117. Крылова 1982:** Крылова О.А., Одинцов В.В. Функциональные типы русской речи. М., 223 с.
- 118. Кроче 1920:** Кроче Бенедетто, „Эстетика как наука о выражении и как общая лингвистика”, I, М.,
- 119. Кунин 1914 :** Кунин А.В., „фразеология современного английского языка”, М.
- 120. Ларин 1956:** Очерки по фразеологии. О систематизации и методах исследования фразеологии // Учен. Зап. Ленингр. Ун-та. 1956. #198. Серия филологическая. Вып.24. С. 200- 225.
- 121. Левин 1984:** Левин Ю. И., „Провербильное пространство”, Паремнологические исследования (Сб. Статей). М.
- 122. Лицкий 1897:** Лицкий Е.А., „несколько замечаний к вопросу о пословицах и поговорках”, Т. II. 753 С.
- 123. Маслова 2004:** Маслова. А., В., „Когнитивная лингвистика”, Минск.
- 124. Маслова 2001:** Маслова В.А., „Лингвокультурология”, М.: Академия.
- 125. Маслова 2004:** Маслова В.А., „Когнитивная лингвистика”, учеб. Пособие. Минск.
- 126. Мечковская 2000:** Мечковская Н. Б., „Социальная Лингвистика”, М.
- 127. Моисеева... 2004:** Моисеева И.Ю., Чудина Е.В., „Прагматические функции пословиц и поговорок”, Вестник Оренбургского государственного университета, 170-172 С.
- 128. Мокиенко 2007:** Мокиенко В. М., „В глубь поговорки: Рассказы о происхождении крылатых слов и образных выражений”, СПб.
- 129. Назарян 1976:** Назарян А. Г., „фразеология современного французского языка”, М.
- 130. Никитина 1975:** Никитина С.Е. „О словаре языка русского песенного фольклора”, Предварительные публикации по экспериментальной и прикладной лингвистике Института русского языка АН СССР. М.
- 131.Никитина 1982:** Никитина С.Е. „Общие признаки научного и фольклорного текста”,

Референция и проблемы текстообразования.М.

- 132. Никитина 1989:** Никитина С.Е. „О взаимоотношении устных и письменных форм в народной культуре”, Славянский и балканский фольклор. М.
- 133. Николаева 1995:** Николаева Г.М., Обобщенное, конкретное и неопределенное в паремии. //Малые формы фольклора: Сб. статей памяти Пермякова.
- 134. Остин 1986:** Остин ДЖ., „Слова как действие”, Новое в зарубежной лингвистике.№17, Москва.
- 135.Остин 1999:** Остин ДЖ., Остин ДЖ., „Как производить действия при помощи слов” Москва.
- 136. Пермяков 1970:** Пермяков Г. Л., „От поговорки до сказки” (Заметки по общей теории клише), М: Главная редакция восточной литературы издательства <<Наука>>.
- 137. Пермяков 1975:** Пермяков Г. Л., К вопросу о структуре паремиологического фонда//Типологические исследования по фольклору: Сб. статей., М., С. 247-274.
- 138. Пермяков 1988:** Пермяков Г. Л., „Основы структурной паремиологии”, Главная редакция восточной литературы. М.: Наука.
- 139. Потехня 1930 :** Потехня А., „Из лекции по теории словесности”, Харьков. 85 С.
- 140. Птушко 2010:** Птушко С. В., „Лингвистический статус паремий” (<http://www.rusnauka.com/5-PNW-010/Philologia/59172.doc.htm>).
- 141. Серл 2002:** Серл Дж., „Открывая сознание заново”, Идеа-пресс. М.
- 142. Серл 1976:** Серл Дж., „Классификация иллокутивных актов”, Новое в зарубежной лингвистике , №17.
- 143. Сепир 1993:** Сепир Э.,Избранны труды по языкознанию и культурологии. М., 259-265
- 144. Соколов 1914 :** Соколов Ю. М., „Пословицы и Загадки”, Русский фольклор, М.,
- 145. Соссюр 1977:** Соссюр Ф. Де, „Курс общей лингвистики”, Труды по языкознанию. М.,
- 146. Тарбеева 2007:** Тарбеева О. В., „Условия и причины изменения ценностных предпочтений лингвокультурных концептов”, Вестник МГУ. Сер. 19. Лингвистика и МК. №1. С. 94 – 105.

147. **Теилор 1896:** Теилор Э., „Первобытная культура”, стр. 79.
148. **Телия 1972:** Телия В. Н., „вторичная номинация”, *Общее языкознание*. М.,
149. **Телия 1996:** Телия В.Н., „Русская фразеология. Семантический, прагматический и лингвокультурологический аспекты”, *Языки русской культуры*, М. 288 с
150. **Третьякова 1995:** Третьякова, Татьяна Петровна, „Английские речевые стереотипы”, СПб.
151. **Толстой 1995:** Толстой Н. И., „Очерки по славянской мифологии и этнолингвистике”, *Язык и народная культура*, М. 512 с.
152. **Толстой 1997:** Толстой Н.И., *Этнолингвистика в кругу гуманитарных дисциплин // Русская словесность. От теории словесности к структуре текста. Антология*. М.: Academia, С. 306-315.
153. **Чернощекова 2009:** Чернощекова В.О., „Лингвокультурный аспект пословиц”, *Язык и культура*, № 1.
154. **Якобсон 1987:** Якобсон Р. О., „Работы по поэтике”, „Прогресс”, М.
155. **Юдина 2011:** Юдина И. Ю., „Метафорическое переосмысление значения В Английской пословице “, *Вестник МГОУ. Серия «Лингвистика»*. № 4 .
156. **Юдина 2010:** Юдина И. Ю., *Английская пословица как национально-культурный компонент*. (<http://confer.hses-online.ru/pdf/2-05.pdf>).
157. **Каллаева 2009:** Каллаева Д.А., „Пословицы в современной английской лингвокультуре”, *Дагестанский Государственный Университет*, Россия.

ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ანდაზების კრებულები.

158. **კალანდაძე... 1965:** კალანდაძე ა., „ქართული ანდაზები“, თბ.,
159. **ქართული... 1955:** „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. IV, თბ.,
160. **ქართული... 1962:** „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, VII, თბ.,
161. **ქართული... 1976:** „ქართული ანდაზები და გამოცანები“, ბათუმი.
162. **ქართული...1977:** „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, II, თბ.,
163. **ქართული... 1983:** „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, VI, თბ.,
164. **ქართული ... 1985:** „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ ტ. 9, თბ.,

165. ქართული... 2008: „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, I, თბ.
166. ჭაბაშვილი 1989: ჭაბაშვილი მ., „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, თბ.,
167. ძველი... 1978: „ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლები“. თბ.,
168. A Dictionary... 1952: “ A Dictionary of American Proverbs”, Oxford University Press.
169. English...1573: “English Proverbs explained compiled by Ronald and Clifford Withing, Pen.
170. English... 1975: “English proverbs and sayings with their Georgian translations and equivalentents” (შეადგენილი ი. გვარჯალაძის მიერ), თბ.
171. The Oxford... 1966: “ The Oxford Dictionary of English proverbs, comiled by W. G. Smith, London.
172. The Oxford... 1991: “The Oxford Library of Words and Phrases”, Vol. II Proverbs OUP.
173. Гальперина ... 1992: Гальперина И.Р., „Большой англо-русский словарь“, М.
174. Словарь...1990: „ Словарь Лингвистический энциклопедический словарь“ М.